საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
www.geworld.ge
22 - 28 ნოემბერი, 2014
№2 (237)
gazeti@inbox.ru

# ღალატის შუქ-ჩრდილები

სააკაშვილის ფინანსები და ბერძენიშვილის რომანსები 3

«დათო და ნატო» 4

დღეს ქვეყანას პრეზიდენტი არ ჰყავს! 8

«ამ ადამიანების მიზანი ხელისუფლებაში «ნაცების» დაბრუნებაა!» 9

ზურაბ ჟვანია მოკლულია და ამის გამო, სულ ცოტა, 15 მაღალჩინოსანი დაისჯება! 10

«დღესაც ვინმე ფიქრობს, რომ ივანიშვილმა ამერიკის უკითხავად შემოაბიჯა პოლიტიკაში, რომ მისი გადაწყვეტილება ამერიკის ელჩისთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ჩვენთვის?!» 16



გულიკო ერისთავი:
«არც ივანიშვილის მესმის – ადამიანს, რომელმაც ერთხელ უღალატა, გვერდით როგორ იყენებს? გული მწყდება, რომ ასეთ ადამიანებს აპარპაშებენ და წესიერ ადამიანებს წიხლს ჰკრავენ» 12

კატალონია – ევროკავშირის რღვევის კატალიზატორი 18

2 ვინ არის მთავარი პროკურორი?

11 «ვიდრე დასაქმების პრობლემა არ მოგვარდება, წინსვლა არ გვიწერია!»

«ორდენოსანთა მთელი არმია და გენერლების ბატალიონი გვყავს, ამ დროს ყველა ომი წაგებული გვაქვს» 14

15 გორში სტალინის ძეგლის აღდგენას ეწინააღმდეგება პრემიერი ღარიბაშვილი

19 ისტორიის სახელმძღვანელოები ნაგვისგან უნდა გაიწმინდოს

«ჩემ გვერდით გოგო იდგა, კოჭში გადაუმტვრიეს «დუბინკით» ფეხი, ქვალი ხორცში ჰქონდა გამოჩრილი და «სპეცნაზელმა» კიდევ რამდენიმეჯერ ჩასცხო თავში ხელკეტი» 7



ვინ ებრძვის მართლმადიდებლობას? 20
...ჯვაროსნული ლაშქრობა დასავლეთმა გლობალიზაციის იდეების რეალიზაციისთვის წამოიწყო და მანვე დააფინანსა...



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ეკონომიკის თავისუფლების ინდექსით საქართველო 22-ე ადგილზეა

**ორგანიზაცია Heritage Foundation-მა 2014 წლის „ეკონომიკის თავისუფლების ინდექსი“ გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ევროპის 43 ქვეყანას შორის საქართველო 22-ე ადგილზეა.**

„თავისუფლების ინდექსით“ საქართველო უკვე 19 წელიწადია, ფასდება. ამ ხნის განმავლობაში მისი მონაცემები 28 ქულით გაუმჯობესდა და ახლა ის 72,6 ქულას შეადგენს.



## ტრაგიკულად დაღუპული მოციგავის მამა შვილის ცხედრის გადასვენებით იმუქრება

**2010 წლის ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის წინ ტრაგიკულად დაღუპული ქართველი მოციგავის — ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახი საფლავიდან შვილის ცხედრის ამოსვენებით იმუქრება.**

დავით ქუმარიტაშვილმა განაცხადა, რომ ბაკურიანის ეკლესიის ეზოში, იქ, სადაც მისი შვილია დაკრძალული, ადგილობრივი ხელისუფლება ატრაქციონის მოწყობას გეგმავს. „მე და ჩემი მეუღლე მივედით ნოდარის საფლავზე, რომელიც ბაკურიანის ცენტრში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ეზოშია. დავინახეთ, როგორ მიმდინარეობდა სამუშაოები — იწყობოდა დიდი კონსტრუქცია, მოყვანილი ჰყავდათ მანქანები. ისე შემძრა ნანახმა, ხმა ვერ ამოვიღე. როგორც გვითხრეს, ატრაქციონების დადგმას აპირებენ. არ ვიცი, ვის მივმართო, იძულებული ვხდები, ამოვასვენო ნოდარი და ჩემი მშობლების გვერდით დავკრძალო.

ამასთანავე, ეკლესია ვერ შემოღობეს, ზაფხულობით აქ ნახირი შემოდის და ნაკელი გროვდება ეკლესიის ეზოშიც და საფლავის ირგვლივაც. არავის ადარდებს ამ ტერიტორიის მოვლა, ტურისტები რომ მოდიან, მრცხვენია. რატომ დამაკრძალინეს ამ ადგილას, თუ არავინ მიხედავდა?! იძულებული ვარ, მოვიწვიო ჟურნალისტები, საზოგადოება და მათ თვალწინ ამოვასვენო ჩემი შვილი“, — განაცხადა დავით ქუმარიტაშვილმა.

**P.S. ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ნოდარ ქუმარიტაშვილის საფლავის ტერიტორიაზე ატრაქციონის მშენებლობა შეჩერებულია.**



## საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე სარეკორდო ოდენობის ნარკოტიკის გატანას ცდილობდნენ

**18 იანვარს სომხეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს თურქეთის მოქალაქე, რომელიც ირანიდან ამ ქვეყნის ტერიტორიის გავლით 927 კგ ჰეროინის გატანას ცდილობდა.**

სომეხმა სამართალდამცველებმა ნარკოტიკით დატვირთული ავტომობილი, რომელიც ირანიდან სომხეთის გავლით საქართველოში უნდა შემოსულიყო, მეგრინსკის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს და მისი ძარიდან 1 ტონამდე ჰეროინი ამოიღეს. ექსპერტთა განცხადებით, ეს ნარკოტიკული ნივთიერების ყველაზე დიდი პარტიაა, რომელიც ოდესმე დაუკავებიათ ამიერკავკასიის რეგიონში.

ნარკოტიკების გადაზიდვის ორგანიზების ბრალდებით დაკავებულია თურქეთის მოქალაქე, 41 წლის ოსმან უგურლუ. დაკავებულია, აგრეთვე, სატვირთო ავტომობილის მძღოლი, საქართველოს მოქალაქე, 61 წლის ავთანდილ მარტიაშვილი.

## ამერიკელი ანალიტიკოსი აშშ-ის ხელისუფლების მოქმედებით შოკირებულია

**უკრაინის დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებმა საღად მოაზროვნე ამერიკელები აღაშფოთა. მათი გაღიზიანება კიევში განვითარებულ პროცესებში აშშ-ის ხელისუფლების აქტიურმა ჩარევამ გამოიწვია.**




## დუგლას ბანდოუ: დასავლეთის ფარისევლობისგან სუნთქვა მეკვრის!

პოლიტიკის ანალიტიკოსმა და მწერალმა, პრეზიდენტ რეიგანის ყოფილმა სპეციალურმა მრჩეველმა, ლიბერტარიანული კვლევითი ცენტრის — კატონის ინსტიტუტის (Cato Institute) ყოფილმა თანამშრომელმა **დუგლას (დუგ) ბანდოუმ** ჟურნალ „ფორბსში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუცია ბრუნდება? აშშ ამ ბრძოლაზე მაღლა უნდა დადგეს“. ამ სტატიაში ამერიკელმა ანალიტიკოსმა ყველაფერი თქვა, რასაც აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციაზე ფიქრობს.

**„ე. წ. ნარინჯისფერი რევოლუციიდან 9 წლის შემდეგ, რომელიც არჩევნების გაყალბების გამო დაიწყო, უკრაინის პრეზიდენტის — ვიქტორ იანუკოვიჩის მომხრეები იმედოვნებენ, რომ ასეთივე სცენარს გაიმეორებენ, თუმცა, ამჯერად მთავარი საკითხი: ვისთან გააფორმებს კიევი ეკონომიკურ კავშირს — ევროპასთან თუ რუსეთთან, აშშ-ს არ ეხება, ამიტომ ობამას ადმინისტრაციამ თავი უნდა შეიკავოს კიევში განვითარებულ პროცესებში ჩარევისგან...**

**უსაფრთხოების თვალსაზრისით, უკრაინაში რუსეთის მოქმედება საფრთხეს არ უქმნის აშშ-ს, ამერიკის მოქმედებაზე კი ამას ვერ იტყვი — ნატოს ექსპანსია რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან შეუძლებელია, რუსეთისთვის შემაშფოთებელ პროცესად არ განიხილო, ეს ისეთივე მოვლენაა „ვარშავის ხელშეკრულების“ წევრი ქვეყნები მექსიკამდე რომ გაფართოვდნენ. არათუ დღე, საათიც კი ისე არ გავა, რომ ვაშინგტონი სხვა ქვეყნის ხელისუფლების მოსყიდვას ან შეშინებას არ შეეცადოს.**

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი განუწყვეტლივ მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ჭკუას არიგებს ხალხებს, როგორ უნდა მოიქცნენ.**

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ამერიკა იქცა სახელმწიფოდ, რომელიც დასახული მიზნების მისაღწევად რეგულარულად იყენებდა სამხედრო ძალას. ვაშინგტონს, როგორც ჩანს, ვერ წარმოუდგენია ერთი პრობლემაც კი, რომელიც ამერიკის ჩაურევლად შეიძლება გადაწყდეს, მაგრამ უკრაინის სტატუსი სწორედ ასეთ საკითხებს განეკუთვნება.

დასავლეთის ფარისევლობისგან სუნთქვა მეკვრის“, — წერს დუგ ბანდოუ.

**ამერიკელი ანალიტიკოსის სტატია ჩვენთვის, ქართველებისთვის, იმ თვალსაზრისით არის საყურადღებო, რომ 10 წლის წინათ საქართველოშიც მოხდა ე. წ. ვარდების რევოლუცია, რომელმაც ქვეყანას უამრავი უბედურება მოუტანა და პროცესების მსგავსი სცენარით განვითარება აღარ უნდა დავუშვათ.**

## რატომ სურთ სომხებს თავიანთი ქვეყნისთვის სახელის შეცვლა

**სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი არმენ აშოტიანი ქვეყნისთვის სახელის შეცვლის ინიციატივით გამოვიდა. მინისტრი ამბობს, რომ სახელმწიფოს „აღმოსავლეთ სომხეთის რესპუბლიკა“ უნდა ეწოდოს. „ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, პატრიოტიზმისა და კანონიერი მოთხოვნიდან გამომდინარე, გთავაზობთ, განვიხილოთ ქვეყნისთვის სახელის შეცვლის საკითხი“, — განაცხადა არმენ აშოტიანმა.**




სომეხი მალალჩინოსნის აზრით, სომხეთის ამჟამინდელი სახელმწიფო ნაწილია ისტორიული სომხეთისა („დიდი სომხეთი“ — რედ.), რომელიც მოიცავდა მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებს. მისი აღმოსავლეთი ნაწილი წარსულში სპარსეთის შემადგენლობაში იყო, შემდეგ კი — რუსეთის იმპერიის. სწორედ ამ ტერიტორიაზე შეიქმნა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. დასავლეთი სომხეთი კი თურქეთის ტერიტორიად იქცა, სადაც XX საუკუნის დასაწყისში სომხებს გენოციდი მოუწყვეს და მილიონ-ნახევარი კაცი დახოცეს.

**სომხეთის განათლების მინისტრის ზემომოყვანილ განცხადების ტექსტში შორსმიმავალი და ჩვენთვის, ქართველებისთვის, შემაშფოთებელი მიზანიც გამოსჭვივის და აი, რატომ: თუ „აღმოსავლეთი სომხეთი“ იარსებებს, ბუნებრივია, უნდა იარსებოს „დასავლეთ სომხეთმაც“. „აღმოსავლეთი სომხეთის“ დასავლეთით თურქეთის ტერიტორიაა, ჩრდილო-დასავლეთით კი — საქართველოს უძველესი მიწები — ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონები. სომხები, რომლებსაც დღეს 80 მილიონიანი მოსახლეობის თურქეთის მიმართ აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები, როგორ გგონიათ, საქართველოს წინაშე დაიხევენ უკან?**



## დაინიშნა საქართველოს მთავარი პროკურორი

**თითქმის თვეა, საქართველოს მთავარი პროკურორი არ ჰყავდა. ოთარ ფარცხალაძემ, რომელიც მთავარ პროკურორად 2013 წლის 7 ნოემბერს დაინიშნა, განცხადება პოსტიდან გადადგომის შესახებ იმავე წლის 30 დეკემბერს დაწერა.**

მთავარი პროკურორის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილებოდა, მათ შორის მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის — ირაკლი შოთაძის, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის — ეკა ბესელიას და პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ამჟამინდელი უფროსის — გიორგი ბადაშვილის.

21 იანვარს პრემიერ-მინისტრთან გამართული კონსულტაციების შედეგად საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, პროკურატურის შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დასანიშნავად მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ამჟამინდელი უფროსის — გიორგი ბადაშვილის, კანდიდატურა წარუდგინა. მისი დანიშვნის ბრძანებას კი პრემიერმა ხელი იმავე დღეს მოაწერა.

გიორგი ბადაშვილი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის მოადგილედ, სხვადასხვა პერიოდში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მაღალ თანამდებობებზე; პროფესიით იურისტია, იცის ინგლისური და რუსული ენები.



## ვინ არის ყველაზე მდიდარი მსოფლიოსა და საქართველოში

**ამერიკულმა გავლენიანმა კომპანია „ბლუმბერგმა“ ახლახან გამოაქვეყნა თავისი ყოველწლიური ანგარიში „მილიონერთა ინდექსი“, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების სამეული ასეთია:**

1. **ბილ გეიტსი** — კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებლის, 58 წლის მაგნატის ქონება 2013 წელს 15,8 მილიარდი დოლარით გაიზარდა და ახლა ის 78,5 მლრდ დოლარს შეადგენს;
2. **კარლოს სლიმ ელუ** — ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მსხვილი ფიჭური ოპერატორის America movil-ის მფლობელის ქონება 2013წელს 1,4 მილიარდი დოლარით შემცირდა და ახლა ის 72,1 მლრდ დოლარია;
3. **ამანსიო ორტეგა** — სავაჭრო ქსელ Inditex-ის (მასში გაერთიანებულია „ზარა“ და სხვა პოპულარული ბრენდები) მფლობელის ქონება 2013 წელს 9 მილიარდით გაიზარდა და 66,9 მლრდ დოლარი შეადგინა;

**ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით კი ყველაზე მდიდარი ქართველების სამეული ასე გამოიყურება:**

1. **ბიძინა ივანიშვილი — 8 მლრდ დოლარი;**
2. **ტარიელ ვასაძე — 5 მლრდ;**
3. **ნიკოლოზ გოგიტიძე — 4 მლრდ.**

**ძველი რეჟიმის რესტავრაციის თვალსაზრისით, საქართველოში იქნება თუ პერუში, ყველაზე საშიშ რესურსს წარმოადგენენ არა თავად ყოფილი მაღალჩინოსნები, მათი იაფფასიანი იდეები თუ ლოზუნგები ან წლების განმავლობაში მოპოვებული კომპრომატი, არამედ საეჭვო წარმოშობის უკონტროლო ფული, რომლის გამოყენება პროვოკაციისთვის, საბოტაჟისთვის ან თუნდაც ტერორისთვის შეუძლიათ**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საააკაშვილის ფინანსები და ბერძენიშვილის რომანსები

**საბრალონი, დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი, ჰიუგო და დოსტოევსკი რომ იტყოდნენ; ან კიდევ, „ნაციონალებისთვის“ გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, გალეტილნი, ჩარეცხილნი და მიჩმორებულნი. გამორიცხული არაა, რომ მათ, ვინც წაიკითხეს წერილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ფრანგულ სასამართლოს გაუგზავნა, ყველა ეს სიტყვა ერთდროულად გაახსენდათ.**



**„მას (დავით კეზერაშვილს) დაევალა, გამოეყენებინა მისი ნიჭი და კონტაქტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ ფინანსების მოზიდვაში. მთელი ამ წლების მანძილზე ის ფინანსების მოძიების კუთხით ცენტრალური ფიგურა იყო და პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიკოსად რჩებოდა,** — წერს ჰალსტუხების მბრძანებელი ფრანგულ თემიდას, — **ის მონაწილეობდა პარტიის ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილების მიღებაში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. 2012 წელს, არჩევნებში დამარცხების შემდგომ, დაიწყო დევნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ახალი ოპოზიციური ძალის, და მისი დონორების წინააღმდეგ და მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მაშინაც კი, როდესაც ახალმა მთავრობამ საქართველოში დარჩენა შეუძლებელი გახადა, მისი მნიშვნელობა პარტიისთვის კიდევ უფრო გაიზარდა. ის იყო ერთადერთი, რომელიც იცნობდა ნებისმიერი კამპანიის პოტენციურ დამფინანსებლებს და იყო ერთადერთი, რომლებსაც დონორები ენდობოდნენ“. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ კეზერაშვილის პატიმრობაში დარჩენა „ნაცმოძრაობას“ მძიმე დღეში ჩააგდებს და სთხოვს ფრანგულ სასამართლოს, მისი ექსტრადირების გადაწყვეტილება არ მიიღოს.** იგივე თემა გაშლილია ყოფილი მმართველი პარტიის კოლექტიურ განცხადებაშიც: **„კეზერაშვილის ამჟამინდელი პატიმრობა ნიშნავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური აქტივობების დაფინანსების მნიშვნელოვან შემცირებას“.**

ისე, საინტერესო პარტიაა „ნაციონალური მოძრაობა“ — ხელმძღვანელ რგოლში ირიცხება მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელსაც პოტენციური დონორები ენდობიან. შესაძლოა, უნდა ვივარაუდოთ, რომ დანარჩენ „ნაციონალებს“ ხსენებული დონორები უიმედო აფერისტებად აღიქვამენ, რომლებთანაც სასაუბროდ წესიერი ადამიანი, უბრალოდ, არ დაჯდება. ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიდგომა „ამ ადამიანის გარდა არავის დაველაპარაკებით“ უფრო დამახასიათებელია არა პატიოსანი ბიზნესმენებისთვის, არამედ მაფიოზებისთვის და ტერორისტებისთვის, რამაც შეიძლება გარკვეული ეჭვები გააჩინოს. თუმცა, ალბათ, უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველა ბუნდოვან მომენტს ეჭვმიტანილთა სასარგებლოდ გავშიფრავთ და, აქედან გამომდინარე, დროებით ჩავთვლით, რომ „ნაცმოძრაობის“ დონორები სავსებით კანონმორჩილი ადამიანები არიან და მართლაც უყურებენ კეზერაშვილს დაახლოებით ისე, როგორც XVIII საუკუნის მელომანები ნორჩ მოცარტს.

აქ სხვა რამ არის საინტერესო — **რატომ ახსენებენ ფულს საერთოდ?** ხომ შეეძლოთ, უბრალოდ დაეწერათ, რომ კეზერაშვილი, მაგალითად, „გამოჩენილი დემოკრატი რეფორმატორია“ და, ამავე დროს, სამხედრო საქმის ტიტანი, რომელმაც 2008-ში რუსებს სტალინგრადამდე სდია, სადაც ბატარეა დაუჯდა. **ის, რომ „ნაცმოძრაობას“ დაფინანსება შეეზღუდება, ფრანგული მართლმსაჯულების გადასახედიდან ვერ აღიქმება, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება** (იყო ძველად ასეთი ფრაზა: „შერიფს ინდიელების პრობლემები არ ანაღვლებს“). **მეტიც, აპელირებამ ამ თემის მიმართ შეიძლება ახალი უხერხული კითხვები გააჩინოს, სასამართლოში თუ არა, მასმედიაში** (რაში მდგომარეობს კეზერაშვილის უნიკალური როლი? რა ფონდებზე და რომელ დონორებზე ვსაუბრობთ? და ა. შ.). შესაძლოა, „ნაციონალებმა“ უბრალოდ ვერ გაიაზრეს ეს მომენტი ან კიდევ აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რადგან **კეზერაშვილის იზოლაციამ მათ რეალური დარტყმა მიაყენა და პარტიული „შავი სალაროს“, უხეშად რომ ვთქვათ, „ობშიაკის“ ნაწილი მათთვის მიუწვდომელი გახადა.**

ერთი შეხედვით, ეს არადამაჯერებელი ვერსიაა, რადგან მსგავს სიტუაციებში ხდება „ყულაბაზე“ კონტროლის დუბლირება, შესაძლო მოულოდნელობების პრევენციით. თუმცა სააკაშვილის ჯგუფმა წარსულში არაერთი კოსმოსური მასშტაბის სისულელე ჩაიდინა და, ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ აქაც საბედისწერო შეცდომა დაუშვა. **შესაძლოა, ეს საფინანსო კონსპიროლოგია უსაფუძვლოა და „ნაციონალებს“, უბრალოდ, კეზერაშვილის ალაპარაკება აშინებთ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს როგორც ახალი ხელისუფლების კონტროლის დამყარება მათ საიდუმლო ფონდებზე, ისე მთელი რიგი საბრალდებო დასკვნების დამძიმება, რომელსაც ყოფილ მაღალჩინოსნებს, სავარაუდოდ, არცთუ შორეულ მომავალში წარუდგენენ.**

აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ უდანაშაულობის პრეზუმფცია და დავაფიქსიროთ, რომ „ნაცმოძრაობის“ საიდუმლო ფონდების არსებობა და დავით კეზერაშვილის კავშირი მათთან მხოლოდ ვარაუდებზე დაფუძნებული ვერსიებია, რომელიც საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა. კეზერაშვილი და მისი თანამეინახეები უდანაშაულოებად ითვლებიან, ვიდრე სასამართლო საპირისპიროს არ დაადგენს. ისე კი, ერთი რამ ნამდვილად უნდა ითქვას:

**„ნაციონალებს“ ძალიან არ გაუმართლათ, რომ 2011-ში მათ ოპონენტებს სათავეში ჩაუდგა არა გენერალი ან (სიტყვაზე) ბალეტის მოცეკვავე, არამედ მილიარდერი, რომელსაც ფულის მნიშვნელობა და როლი ძალიან კარგად ესმის. არსებობს ინფორმაცია, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდე** (ზოგიერთი ვერსიის თანახმად, პოლიტიკაში მოსვლამდე) **ბიძინა ივანიშვილმა დასვა სპეციალისტები და დაავალა, შეესწავლათ, თუ როგორ ხდება „ნაციონალების“ პარტიული „ყულაბის“ შევსება, საბიუჯეტო თანხების გათეთრება, შესაბამისი საიდუმლო ფონდების ფორმირება და ა. შ. მათ მიერ მომზადებული მოხსენებების დეტალები უცნობია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ეს სამუშაო ნამდვილად ჩატარდა.**

შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილს არ სურდა, პერუს ხელისუფლების შეცდომა გაემეორებინა, რომელმაც დააპატიმრა და, პროცედურების იდეალური დაცვით, გაასამართლა ქვეყნის ყოფილი მმართველი ალბერტო ფუხიმორი თავის თანამზრახველებთან ერთად, მაგრამ მოუმზადებლობისა და იურიდიული სირთულეების გამო, ვერ მისწვდა ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ მიტაცებულ თანხებს (ექსპერტების შეფასებით, სახელმწიფომ ამ ფულის მხოლოდ 7-8%-ის დაბრუნება თუ მოახერხა). ამ ფულმა დიქტატორის მომხრეებს გადაჯგუფების შესაძლებლობა მისცა, მათ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ომი გააჩაღეს და წლების განმავლობაში დესტაბილიზაციისა და ძველი რეჟიმის რესტავრაციის საფრთხეს ქმნიდნენ. 2011 წლის არჩევნებში დიქტატორის ქალიშვილს, კეიკო ფუხიმორის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებამდე ხმების სულ რაღაც 3% დააკლდა. აქ, ალბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პერუ საქართველოზე ძლიერი და სტაბილური ქვეყანაა და უცხო სახელმწიფოები მის საქმეებში გაცილებით ფრთხილად ერევიან.

**ძველი რეჟიმის რესტავრაციის თვალსაზრისით, საქართველოში იქნება თუ პერუში, ყველაზე საშიშ რესურსს წარმოადგენენ არა თავად ყოფილი მაღალჩინოსნები, მათი იაფფასიანი იდეები თუ ლოზუნგები ან წლების განმავლობაში მოპოვებული კომპრომატი, არამედ საეჭვო წარმოშობის უკონტროლო ფული, რომლის გამოყენება პროვოკაციისთვის, საბოტაჟისთვის ან თუნდაც ტერორისთვის შეუძლიათ** (სააკაშვილის ჯგუფის წარსულის გათვალისწინებით, ალბათ, არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ამას ხელს არავითარ შემთხვევაში არ მოაწერენ). ამ ფაქტორის თუნდაც ნაწილობრივი ნეიტრალიზაცია ძველი დიქტატურის მომხრეთა პროპაგანდისტულ და პარტიულ ინფრასტრუქტურას უსერიოზულეს დარტყმას მიაყენებს და დესტაბილიზაციის საფრთხეს მინიმუმამდე დაიყვანს. რაც შეეხება ჩვეულებრივ პოლიტიკურ საქმიანობას „თეთრ ბუღალტერიაზე“ დაყდნობით, ამას, ცხადია, ვერავინ აუკრძალავს როგორც საქართველოში, ისე პერუში.

**მოკლედ, ამ სიტუაციაში მთავარია ფინანსური ბაზისი და არა პოლიტიკური ზედნაშენი და, შესაძლოა, სწორედ ამიტომ ასე შეწუხდნენ „ნაციონალები“, როდესაც დავით კეზერაშვილს ექსტრადირება დაემუქრა. ინფორმაციას, რომელიც მან შეიძლება გამოძიებას მიაწოდოს, ძალიან დიდი ფასი აქვს. ბევრი რამ სააკაშვილმაც იცის, თუმცა მის დაკითხვამდე საქმე ჯერ არ მისულა და შეიძლება საერთოდაც არ მივიდეს, თუ ხელისუფლება იმ იდეებს დაეყრდნობა, რომელთაც ბოლო დროს ლევან ბერძენიშვილი ახმოვანებს.**

სხვათა შორის, ყველას ვინც ესპანურს ფლობს, შეუძლია წაიკითხოს, რას წერდა პერუს პრესა ფუხიმორის პროცესის წინ. იქაც იყო დაახლოებით ასეთი ფრაზები: „ძია სემი გაგვიბრაზდება“, „ლათინური ამერიკა ვერ გაგვიგებს“, „მას მსოფლიოში მაინც წარმატებულ ნეოლიბერალ (თან ნეოკონსერვატორ) რეფორმატორად იცნობენ“ და ა. შ. **საბოლოო ჯამში, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — ფუხიმორის დანაშაული დაუმტკიცდა, ის ციხეში ზის, აშშ და მთელი ლათინური ამერიკა მშვენივრად თანამშრომლობს პერუს ხელისუფლებასთან. პრობლემა ისაა, რომ პერუში მსგავს პროპაგანდას მხოლოდ ფუხიმორისტები მიმართავდნენ, საქართველოში კი ამას მმართველი კოალიციის წარმომადგენელიც აკეთებს.** ნაწყვეტი ლევან ბერძენიშვილის ინტერვიუდან „ყველა სიახლეს“: **„ხელისუფლებამ და საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტონ, საქართველო უფრო მნიშვნელოვანია თუ მიხეილ სააკაშვილი? თუ სააკაშვილი უფრო მნიშვნელოვანია, მაშინ უნდა დავიჭიროთ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მსოფლიო ამას არ მოიწონებს. სამწუხაროდ, დღეს სააკაშვილის რეიტინგი საქართველოს რეიტინგზე მაღალია. ეჭვიც არ მეპარება, რომ, თუ გამოძიება დაიწყება, სააკაშვილის დანაშაული აუცილებლად გამოიკვეთება და ის დასაპატიმრებელი აღმოჩნდება, მაგრამ ულირს კი ეს ქვეყანას, რომელიც ასეთი არჩევანის წინაშეა: ევროკავშირი თუ მიხეილ სააკაშვილზე შურისძიება?“.**

აქ განსახილველი, პრინციპში, არაფერია; XXI საუკუნის პოლიტიკოსი, რომელიც ასე ღიად უარყოფს კანონის უზენაესობის პრინციპს, დაახლოებით იგივეა, რაც ფილოლოგი, რომელიც ანბანს უარყოფს. თუ მან არ იცის, რომ მოქალაქის დაპატიმრება ხდება კანონის მოთხოვნებიდან და არა წარმოსახვითი რეიტინგიდან და (აგრეთვე, წარმოსახვითი) პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან ან (არარსებული) დილემებიდან გამომდინარე, ეს მისი პრობლემაა. ამასთანავე, ეს მმართველი კოალიციის პრობლემაცაა — ის უნდა გაემიჯნოს მსგავს განცხადებებს ან დაადასტუროს, რომ ამ (არსებითად ანტიკონსტიტუციურ) მიდგომას იზიარებს. მაგრამ წამით დავუშვათ, რომ ჩვენ არა მეტნაკლებად ნორმალურ სახელმწიფოში, არამედ სადღაც ურდოში ვცხოვრობთ და ადამიანებს პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ვიჭერთ ან არ ვიჭერთ, როგორც ლევან ბერძენიშვილი გვთავაზობს. ამ შემთხვევაში, ხელისუფლება, ალბათ, გამოიყენებს ყველა საშუალებას იმ საფრთხის გასანეიტრალებლად, რომელიც ყოფილ დიქტატორსა და მის გეგმებს უკავშირდება (მისი მეუღლის ინტერვიუს თანახმად, რომელიც ჰოლანდიურ პრესას მისცა, სააკაშვილი საქართველოს პრემიერმინისტრის პოსტის დაკავებაზე ფიქრობს).

**საინტერესოა, აცნობიერებს თუ არა ბერძენიშვილი, რაოდენ დრამატულად შეიძლება დასრულდეს სააკაშვილისთვის თამაში კანონის ჩარჩოებს მიღმა, თუ ახალი ხელისუფლება და ყოფილი ბელადის რადიკალური ოპონენტები მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით იხელმძღვანელებენ?** ცნობილი სცენა „მიმინოდან“ — „დაეწია და უნიტაზში თავი რამდენიმეჯერ ჩააყოფინა“ — განხილულ კონტექსტში ყველაზე მსუბუქი ვარიანტია. ამ ჰიპოთეტურ სიტუაციაში, „მიზანშეწონილობიდან გამომდინარე“, ყოფილ მაღალჩინოსნებს, სავარაუდოდ, ელექტროხელსაწყოების გამოყენებით და არა ადვოკატების თანდასწრებით დაკითხავენ. **მოეწონება თუ არა ლევან ბერძენიშვილს ისეთი საქართველო, რომელშიც ტაქტიკური პოლიტიკური გათვლები დომინანტური გახდება (და არა კანონი)? იმედია, არ მოეწონება.** ასე რომ, ალბათ, უკეთესი იქნება, თავი დავანებოთ უაზრო და უპასუხისმგებლო თამაშს კანონის უზენაესობის პრინციპთან და ვიცხოვროთ არა ურდოში, არამედ სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც, სხვა ყველაფერთან ერთად, უკლებლივ ყველა დამნაშავე ისჯება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთდროული დაპირისპირება რუსეთთან და ჩინეთთან ამერიკელების ინტერესებში ნამდვილად არ შედის და სწორედ ეს პოსტულატი ახდენს განმსაზღვრელ ზეგავლენას აშშ-ის ევრაზიული პოლიტიკის ფორმირებაზე. უხეშად რომ ვთქვათ, ეს ნებისმიერი „გადატვირთვის“ ქვაკუთხედია.**

# «დათო და ნატო» (2014-ე სერია)

**კვირას კიევში მასობრივი არეულობა დაიწყო. უკრაინა კიდევ ერთხელ მიუახლოვდა სახიფათო ზღვარს, რომლის მიღმა სისხლისღვრა და სამოქალაქო ომი იწყება. ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნებისმიერმა ხელისუფლებამ, რომელიც მწვავე გეოპოლიტიკური კონკურენციის ზონაში მდებარე ქვეყანას მართავს, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირების დროს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოავლინოს, რათა საკუთარი სამშობლო, უკრაინა იქნება თუ საქართველო, კოლიზეუმის სისხლით მორწყულ არენას არ დაემსგავსოს. ბრძოლა პოსტსაბჭოთა სივრცისთვის გრძელდება, ფსონები იზრდება და უკრაინის, ისევე როგორც საქართველოს, თავზე შავი ღრუბლები გროვდება.**

## ზედმეტი მოგვივიდაო

ამერიკული მედია აქვეყნებს ნაწყვეტებს აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მდივნის — რობერტ გეიტსის სკანდალური მემუარებიდან, რომელიც ამერიკული ისტებლიშმენტის მთელი რიგი წარმომადგენლების არცთუ სასიამოვნო დახასიათებას შეიცავს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პოსტსაბჭოთა ქვეყნების აუდიტორიისთვის, ალბათ, გეიტსის შემდეგი შეფასებაა: **„ამერიკელი ჩინოვნიკების, აკადემიკოსების, ბიზნესმენების ქედმაღლობამ, რომელნიც მიუთითებდნენ რუსებს, როგორ წარემართათ თავიანთი საშინაო და საგარეო საქმეები, ღრმა და გრძელვადიანი უარყოფა და გამწარება მოიტანა. ჩემი აზრით, ურთიერთობა რუსეთთან დაზარალდა წარუმატებელი მართვისგან, მას შემდეგ, რაც 1993 წელს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) პოსტი დატოვა“.** გეიტსი მიიჩნევს, რომ **„ყოფილი საბჭოთა სატელიტების — ბალტიის ქვეყნების, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის დაჩქარებული გაწევრიანება ნატოში შეცდომა იყო“. „ეს პროცესი უფრო ნელა უნდა წარმართულიყო. აშშ-ის შეთანხმება რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობებთან მათი ბაზების გამოყენებით ჯარისკაცების როტაციის შესახებ უაზრო პროვოკაცია იყო. ნატოში საქართველოსა და უკრაინის მოწვევის მცდელობა გადაჭარბება იყო. რუსეთის იმპერიის ფესვები კიევიდან მოდის. ასე რომ, ეს კოლოსალური პროვოკაცია იყო. მზად იყვნენ თუ არა ევროპელები, ამერიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ, გაეგზავნათ თავიანთი შვილები საქართველოს ან უკრაინის დასაცავად? — ნაკლებად სავარაუდოა. ასე რომ, ნატოს გაფართოება ზედმიწევნით ზუსტად გააზრებული სამხედრო ვალდებულება კი არ იყო, არამედ პოლიტიკური აქტი, რომელიც ძირს უთხრიდა ალიანსის მიზნებს და უპასუხისმგებლოდ ახდენდა იმის იგნორირებას, რასაც რუსები თავიანთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესებად განიხილავდნენ“,** — წერს აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მდივანი.

**რობერტ გეიტსი ვლადიმერ პუტინის მეგობრების რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნება. მისი დამოკიდებულება კრემლის მიმართ ჯერ კიდევ „ცივი ომის“ წლებში ჩამოყალიბდა, იმ 27 წლის განმავლობაში, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჭერქვეშ გაატარა.** ის, როგორც წესი, ხელიდან არ უშვებს შანსს, მწვავედ გააკრიტიკოს რუსეთის ხელისუფლება და საკმაოდ მკვეთრ ტერმინებს იყენებს, მაგალითად, მის დამოკიდებულებას ირანის პრობლემის მიმართ „შიზოფრენიულს“ უწოდებს. **უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთთან მიმართებაში გეიტსი „ქორია“ და არა „მტრედი“, მაგრამ ამავე დროს ის რეალისტია, რაც მის მოსაზრებას ნატოს გაფართოებაზე, შესაძლოა, უფრო ღირებულს ხდის.**

რობერტ გეიტსმა პოსტი 2006 წელს დაიკავა, მას შემდეგ, რაც კონგრესის შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელებმა მძიმე მარცხი იწვნიეს. ზოგიერთი კომენტატორი მაშინ განხილავდა უმცროსი ბუშის ამ ნაბიჯს, როგორც ერთ-ერთ დადასტურებას იმისა, რომ ადმინისტრაცია ზურგს აქცევს ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის და მისი თანამოაზრეების იდეებს და ასპარეზს ე. წ. „ძველი სკოლის” რეალისტებს, უფროსი ბუშის გარემოცვის წარმომადგენლებს უთმობს. მაშინდელი ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ კი ევრაზიის საკითხებში, საბოლოო ჯამში, დაიყვანებოდა ერთ ფუნდამენტურ სტრატეგიულ აქსიომამდე — „ნებისმიერი წინსვლა სრულდება თავდაცვაზე გადასვლით“. **2006 წლის შემოდგომისთვის, „ფერადი რევოლუციების“ სერიის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ შემდგომი წინსვლა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გააფთრებულ წინააღმდეგობას და უმწვავეს კონფრონტაციას გამოიწვევდა, ამიტომ ბუშის ადმინისტრაციამ თანდათან „დამუხრუჭება“ დაიწყო. ეს ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია, ერთგვარი პაუზა „ფერადი რევოლუციების“ პერიოდსა და ობამას „გადატვირთვას“ შორის, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა უბრალოდ ვერ აღიქვა, რაც 2008 წლის ომში უმძიმესი მარცხისა და ამერიკელების დახმარებასთან დაკავშირებით უსაფუძვლო მოლოდინების, ცრუ ილუზიების გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.**



**არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ დეკემბერში, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში, უკრაინას სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შეექმნებოდა. ევროკავშირმა არ შესთავაზა მას საკმარისი რაოდენობის დახმარება იმისთვის, რომ სირთულეები დაეძლია**

რობერტ გეიტსი სულაც არ არის წინააღმდეგი იმისა, რომ აშშ-ის პოზიციები ევრაზიაში და სრულიად მსოფლიოში გაძლიერდეს, ხოლო რუსეთის ან თუნდაც იმავე ჩინეთის — დასუსტდეს. მაგრამ **მას, როგორც რეალისტს, ესმის, რომ ნებისმიერ ქმედებას პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის რეაქცია მოჰყვება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მეტისმეტად მკვეთრი აღმოჩნდეს. ხოლო ერთდროული დაპირისპირება რუსეთთან და ჩინეთთან ამერიკელების ინტერესებში ნამდვილად არ შედის და სწორედ ეს პოსტულატი ახდენს განმსაზღვრელ ზეგავლენას აშშ-ის ევრაზიული პოლიტიკის ფორმირებაზე. უხეშად რომ ვთქვათ, ეს ნებისმიერი „გადატვირთვის“ ქვაკუთხედია, მნიშვნელობა არ აქვს, მოსკოვთან თუ პეკინთან ურთიერთობაში მოხდება ის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.**

დღეს ვაშინგტონი კონცენტრირებას აზია-წყნარი ოკეანის ზონაზე ახდენს და თანდათან ამცირებს უშუალო ჩართულობას პოსტსაბჭოთა სივრცისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეებში. ამის გამო იქმნება გარკვეული ვაკუუმი, რომელსაც ავსებენ (ან ვერ ავსებენ) ევროკავშირი, რუსეთი ან ძლიერი რეგიონული სახელმწიფოები, მაგალითად, თურქეთი (თუ ეს უკანასკნელი პოლიტიკური კრიზისიდან საგრძნობი დანაკარგების გარეშე გამოვა).

## რა ღირს უკრაინული რევოლუცია?

დღეს სიტუაცია კიევში მეტად დაძაბულია, მაგრამ, ალბათ, საინტერესო იქნება დეკემბრის დასაწყისში განვითარებული მოვლენების გახსენებაც. იმ დემონსტრანტებს (ძირითადად, „ნაციონალებს“), რომელნიც დეკემბერში რუსთაველზე უკრაინის დროშებითა და ლამის სტეპან ბანდერას პორტრეტებით დარბოდნენ და მხარს უჭერდნენ უკრაინულ ოპოზიციას, შესაძლოა, დღემდე არ ასვენებს კითხვა: **რატომ არ გადავიდა ტოტალურ იერიშზე „ევრომაიდანი“ იმ მომენტში, როდესაც იანუკოვიჩის მთავრობა მართლაც ბეწვზე ეკიდა და რატომ გაჩნდა სწორედ იმ დროს განცდა, რომ დასავლეთის დამოკიდებულება კრიზისის მიმართ თითქოს „გაორებული“ გახდა?**

შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ შეერთებულმა შტატებმა გადამწყვეტ მომენტში „შესაძლებლობების მთელი სპექტრი“ არ გამოიყენა. **ერთის მხრივ, ვაშინგტონი აგზავნიდა ემისარებს კიევში და ოპოზიციას ეხმარებოდა, მაგრამ ამავე დროს მან არ მოახდინა უკრაინელი მაღალჩინოსნების ანგარიშების დაპატიმრება, არ შექმნა „მაგნიცკის სიის“ უკრაინული ვარიანტი (ეს მაშინ გაცილებით სერიოზული დარტყმა იქნებოდა, ვიდრე დღეს) და, რაც მთავარია, არ აამოქმედა ყველა ბერკეტი (რომელიც ნამდილად აქვს), რათა უკრაინის ხელისუფლებაში მასშტაბური რღვევა გამოეწვია, რომლის გარეშე ნებისმიერი „ფერადი რევოლუცია“ განწირულია.** კამპანია მედიაში, ერთი შეხედვით, ძალზე ხმაურიანი იყო, მაგრამ კრიტიკულ მომენტში „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი (ეს პუბლიკაციები ადმინისტრაციის პოზიციასთან ყველაზე ახლოს დგას) სათაურით „უკრაინას ახალი რევოლუცია არ სჭირდება“. **მთელი რიგი ვაშინგტონზე ორიენტირებული ჯგუფებისთვის ეს უკანდახევის აშკარა და მკაფიო სიგნალი იყო. ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო შორს წავიდეთ და განვიხილოთ ერთი ეპიზოდი, რომელსაც ყურადღება მხოლოდ რამდენიმე კომენტატორმა თუ მიაქცია.**

ივნისში უმსხვილესმა საინვესტიციო ფონდმა (უფრო ზუსტად — კონგლომერატმა) „ფრანკლინ ტემპლტონმა“ უკრაინის ევროობლიგაციების შეძენა დაიწყო და ჯამში ამაში 6 მილიარდზე მეტი დოლარი ჩადო. „ფრანკლინ ტემპლოტონი“ „ტემპლტონ, გელბრაიტ და ჰასბერგერის“ მემკვიდრეა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯონ გელბრაიტი რუზველტის, კენედისა და ჯონსონის ადმინისტრაციის ერთ-ერთი საკვანძო თანამშრომელი იყო. ფონდი ძალიან მჭიდროდ დაკავშირებულია აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ზედა ეშელონებთან იმ 800 მილიარდ დოლარში, რომლითაც ის ოპერირებს, დემოკრატების ელიტის კუთვნილ თანხებს არცთუ უმნიშვნელო ადგილი უკავია. ეს ძალზე სოლიდური ორგანიზაციაა, რომელიც ნამდვილად არაა გატაცებული საეჭვო სპეკულაციებითა და ავანტურისტული ინვესტიციებით.

უკრაინული ობლიგაციების შეძენის გადაწყვეტილებას ამ ფონდის საკვანძო ფიგურებს, მაიკლ ჰეიზენსტაბს და მარკ მებიუსს, უკავშირებენ. ისინი ძალიან გამოცდილი და გავლენიანი ადამიანები არიან, რომელთა გამოცდილებას პატივს სცემს ყველა გლობალური საფინანსო ჯგუფი თუ დინასტია. ისინი, აგრეთვე, ძალზე ინფორმირებული ადამიანები არიან და საკვანძო გარემოება განხილულ სიტუაციაში, ალბათ, სწორედ ესაა.

**არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ დეკემბერში, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში, უკრაინას სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შეექმნებოდა. ევროკავშირმა არ შესთავაზა მას საკმარისი რაოდენობის დახმარება იმისთვის, რომ სირთულეები დაეძლია, ხოლო მოსკოვი კიევს (ხელმოწერის შემთხვევაში) ნამდვილ ეკონომიკურ ომს გამოუცხადებდა. დეფოლტის საფრთხე სავსებით რეალური იყო.** ამ რთული ეტაპის გარდაუვალ დადგომას არავინ უარყოფდა, ყველაზე „პროდასავლური“ გამოცემების ჩათვლით. უბრალოდ, ევროოპტიმისტები ამბობენ, რომ ამ სირთულეებს უკრაინის ეკონომიკის გაბრწყინება მოჰყვებოდა, ხოლო ევროსკეპტიკოსები პასუხობდნენ, რომ ეს ქვეყანას დააქცევდა. ამ სტრატეგიულ პერსპექტივას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ წინასადეფოლტო მომენტში უკრაინის ევროობლიგაციების მსხვილი მფლობელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, მათი ფული, მარტივად რომ ვთქვათ, „დაიწვებოდა“ და უკრაინული შენაძენი ზარალისა და თავის ტკივილის გარდა არაფერს მოუტანდა. მიუხედავად ამისა, „ფრანკლინ ტემპლტონმა“ დაიწყო უკრაინული ევროობლიგაციების შეძენა ისე, თითქოს ჯერ კიდევ ივნისში იცოდა, რომ არანაირ ევროასოცირებას იანუკოვიჩი ხელს არ მოაწერს. მეტიც, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ საჭირო მომენტში გაჩნდებოდა უკრაინის ეკონომიკის დროებითი სტაბილიზაციისთვის აუცილებელი თანხები მოსკოვიდან ან (როგორც სათადარიგო ვარიანტი) პეკინიდან.

მებიუსისა და ჰეიზენსტაბის შრომით ბიოგრაფიაში უკვე იყო ერთი ასეთი ეპიზოდი, როდესაც ირლანდია დეფოლტის პირას იდგა, მათ ირლანდიური ობლიგაციების შეძენა დაიწყეს. ეს ზედმეტად სარისკო ნაბიჯად ჩაუთვალეს, ხოლო მას შემდეგ, რაც, მთელი რიგი გარემოებების თანხვედრის გამო, დეფოლტი არ მოხდა და დიდი მოგება ▶

## „ყველაზე მძიმე სამუშაოს ქართველებს გვავალებენ, ყველაზე მძიმე უბანზე ჩვენ გვიშვებენ, თუ მიწაა ამოსათხრელი, ტრაქტორს არ ამუშავებენ, საწვავი დაგვეხარჯებაო და ხელით გვათხრევინებენ ასეულ მეტრობით მიწას. არც პურის ფული მაქვს და არც სადმე წასასვლელი, თორემ ქვეყნიდან წავიდოდი. საქართველოში თურქების მონა ვარ...“

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნახეს, გენიოსებად შერაცხეს. აგრეთვე, იყო ასეთივე, ერთი შეხედვით, მოულოდნელი წარმატება უნგრეთში. უკრაინული კაპიტალდაბანდება კიდევ უფრო სარისკო ჩანდა, მაგრამ „ფრანკლინ ტემპლტონი“ მოქმედებდა ისე თავდაჯერებულად, თითქოს ვილაცამ ვაშინგტონიდან მიაწოდა ინსაიდი „ევროასოციაცია არ იქნება. იანუკოვიჩი კიდევ გარკვეულ დროს გაძლებს“. სხვათა შორის, „ფრანკლინ ტემპლტონის“ მსგავს გაერთიანებებს, იმ ფიგურებს, რომელნიც მათ უკან დგანან, იმის რესურსიც აქვთ, რომ არათუ მიიღონ მსგავსი ინსაიდი, არამედ შესაბამისი „დღის წესრიგის“ ფორმირებაც მოახდინონ. კიდევ ერთხელ — „ფრანკლინ ტემპლტონი“ მჭიდროდ დაკავშირებულია დემოკრატიული პარტიის ელიტასთან (შესაბამისად — მოქმედ ადმინისტრაციასთან) და მისი წარმომადგენლები სასიცოცხლოდ დაინტერესებულები არიან იმაში, რომ ფონდის საქმიანობა წარმატებული იყოს.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიმსჯელოთ ფაქტებზე და არა ვარაუდებზე დაყრდნობით, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ჯერ კიდევ ზაფხულში, ანუ გაცილებით ადრე, ვიდრე „ევრომაიდანელები“ კიევის გაყინულ ქუჩებში გავიდოდნენ, ზოგიერთმა გავლენიანმა ადამიანმა წინასწარ იცოდა, რომ იანუკოვიჩი ვილნიუსში ხელს არაფერს მოაწერდა, თეთრი სახლი დეკემბრის კრიტიკულ მომენტში „უკრაინას ახალი რევოლუცია არ სჭირდება“ სტილში ალაპარაკდებოდა, ხოლო პუტინი მეზობელ ქვეყანას 15 მილიარდს გამოუყოფდა (ეს უკანასკნელი ფაქტორი, პრინციპში, არც ისე ძნელი გამოსათვლელი იყო). საბოლოო ჯამში, ყველა კმაყოფილი დარჩა, იმ დემონსტრანტებისა და მილიციელების გარდა, რომელნიც მაიდანზე ერთმანეთს ცემით კლავდნენ. **ახლა კიევში დაპირისპირების ახალი ეტაპი დაიწყო, დამატებითი ფსონებიც გაკეთდა როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშეების, ისე ხსენებული საფინანსო ჯგუფის და მისი არანაკლებ გავლენიანი კონკურენტების მიერ. საერთოდ კი, მსხვილი ფსონები დიდ თამაშში არა გრუშევსკის ქუჩაზე ან რუსთაველის გამზირზე კეთდება, არამედ ცოტა სხვა ადგილას და გაცილებით ადრე.**

### მაპზე უარესი

ალბათ, დროა, ფინანსური ლაბირინთებიდან პროვინციულ და საოცრად მყუდრო ტალინში გადავინაცვლოთ, სადაც გასულ კვირას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საინტერესო და ერთობ მელოდრამატულ განცხადებებს აკეთებდა: **„წევრობის სამოქმედო გეგმა — ეს ჯადოსნური სიტყვა „მაპი“ ბევრი ქართველისთვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ის რეალურად არის, რადგანაც ის გახდა სიმბოლო პასუხისა კითხვაზე: „სჭირდება თუ არა თავისუფალ სამყაროს საქართველო? ასრულებს თუ არა თავისუფალი სამყარო თავის დაპირებას, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი? თუ პასუხი არის „არა“ და ახლა სიტუაცია შეიცვალა და უფრო მნიშვნელოვანი რაღაცები ხდება უფრო ფართო რეგიონში... ეს ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობას შეარყევს და ძირს გამოუთხრის“**. უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის მაპის არმიცემა „უბიძგებს ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას, წამოსწიონ მოსაზრება: **„ნატოში მისწრაფება რომ არა, საქართველო თავის ტერიტორიულ პრობლემებს მოაგვარებდა“.** მისი თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი განცხადებები პოპულარული გახდება, მაგრამ ეს, შესაძლოა, იქცეს **„ერთადერთ დარჩენილ არჩევნად, თუ ხალხი იგრძნობს, რომ სხვა ვარიანტი აღარ არსებობს“.**

პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იმ ფონზე, როდესაც მთავარი პოლიტიკური ძალები საქართველოში — მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“ და ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — პროდასავლურ კურსს ემხრობიან, 2014 წელი შესაფერისი დროა, რათა დასავლეთი დაეხმაროს საქართველოს ბოლო დროს მიღწეული პროგრესის კონსოლიდაციაში, ერთის მხრივ, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით და მეორე მხრივ, მაპის მინიჭებით.

თუ 2014 წლის სექტემბრის ნატოს სამიტი „ძალიან მცირე პროგრესით“ დასრულდება, ეს არასაკმარისი იქნება. „ძალიან ძნელი იქნება ამის გასაღება ხალხისთვის დიდ წარმატებად“, — განაცხადა უსუფაშვილმა და დასძინა, რომ წინა ხელისუფლება შეეცადა ამას 2008 წელს, როდესაც ბუქარესტის სამიტის შედეგები წარმოაჩინა, როგორც უკეთესი, ვიდრე მაპის მიღება. „ეს უბრალოდ არ მუშაობს“, — განაცხადა მან (სივილ.ჯე).

ერთი შეხედვით, **ყოველივე ამას საბავშვო ბაღთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობებთან. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ნამდვილად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებებს იმის საფუძველზე, რომ დავით უსუფაშვილს შეიძლება შეექმნას პრობლემები საქართველოს მოსახლეობასთან იმის გამო, რომ ნატოში გაწევრიანების ან თუნდაც მასთან რეალური დაახლოების არარეალური დაპირებები არ სრულდება.** ასეთ სიტუაციაში უსუფაშვილმა, ალბათ, კეთილი უნდა ინებოს, მიბრძანდეს ტელესტუდიაში და ოპონენტებთან დისკუსიით შეეცადოს, აუხსნას ელექტორატს, თუ რატომ არ მოგვცეს მაპი და რატომ არ გვიღებენ ნატოში. ეს ჩვეულებრივი დიალოგია და არა „პოლიტიკური სტაბილურობის შერყევა“. საიდან მოდის ეს პანიკური განწყობა, ძნელი სათქმელია. **შესაძლოა, უსუფაშვილმა იგრძნო, რომ სკეპტიკური განწყობა ნატოს მიმართ საქართველოში მკვეთრად გაიზარდა ან კიდევ ასეთი უცნაური ფორმით ცდილობს, „მიაშანტაჟოს“ დასავლელი პარტნიორები ან ვის აშინებს, ან რით და რა სიტუაციაში?** ან რა გავლენის მოხდენა შეუძლია ამ მონოლოგებს გადაწყვეტილებების რეალურ მიმღებებზე, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მათი განწყობა დიდად არ განსხვავდება იმ მოსაზრებისგან, რომელიც რობერტ გეიტსის მემუარებში დაფიქსირდა (ის მომავალში შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ხელშესახებ პერსპექტივაში, სავარაუდოდ, ასეთად დარჩება).

თუმცა აქ გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა გარემოებაა — **პარლამენტის თავმჯდომარე ცდილობს, ერთ კალათში მოათავსოს ევროკავშირთან ასოცირების და ნატოში გაწევრიანების საკითხები. ეს მაშინ, როდესაც რუსეთს დიდად არ აღელვებს საქართველოს ევროასოცირება, რადგან მისი ეკონომიკური წონა უკრაინასთან შედარებით თითქმის ნულოვანია, მაგრამ წავა ყველაფერზე და, შესაძლოა, ახალ ომზეც, თუ საქართველო ნატოსკენ თუნდაც ერთ რეალისტურ ნაბიჯს გადადგამს**. იმ სიტუაციაში, როდესაც ამერიკელები პოსტსაბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში ფაქტობრივად თავდაცვაზე არიან გადასულები, რუსეთის ამბიცია იზრდება და არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ „ძველი ევროპა“ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას დაუჭერს, ამ ორი საკითხის ერთმანეთზე მიბმა, ალბათ, მაინც შეცდომაა. შესაძლოა, ეს ის მომენტია, როდესაც სწრაფვა ევროკავშირისკენ და სწრაფვა ნატოსკენ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს და სხვადასხვა ჭრილში განიხილებოდეს. იქნებ, ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებისთვის უფრო მომგებიანია, „ითამაშოს ფინეთი“ (ან ავსტრია), გამიჯნოს ერთმანეთისგან ევროინტეგრაცია და ნატოში გაწევრიანების (ან თუნდაც მაპის მინიჭების) მოთხოვნა, რომელსაც დღესდღეობით რუსეთის და, სხვათა შორის, დასავლელი პარტნიორების (რადგან მათ არარეალისტურ მოთხოვნებს უყენებენ) გაღიზიანების გარდა სხვა შედეგი ვერ მოჰყვება.

შესაძლოა, გაცილებით უფრო ახლოს მოქნილ პოზიციასთან ირაკლი ღარიბაშვილის 17 იანვრის კომენტარი დგას: **თუ მაპი არ იქნება ახლა, იქნება მოგვიანებით. ეს არ არის პრინციპული. მაგრამ თუ შეკითხვა ისმის იმაზე, გვინდა თუ არ გვინდა (მაპი), რა თქმა უნდა, გვინდა, მაგრამ თუ არ იქნება, ეს (ქვეყანას) საფრთხეს არ შეუქმნის და არ შეცვლის ჩვენს ევროინტეგრაციას“.** ირაკლი ღარიბაშვილი, სავარაუდოდ, აცნობიერებს, რომ ნატოსთან დაკავშირებით ფუჭი ილუზიების შემდგომი გაღვივება ხელისუფლებას კარგს არაფერს მოუტანს.

რაც შეეხება, ნატოს საწინააღმდეგო განწყობების ზრდას, აქ დავით უსუფაშვილი სავსებით მართალია. უხერხულ კითხვებს ხელისუფლებას სულ უფრო ხშირად დაუსვამენ. **ხალხს რეალისტური და ნაყოფიერი საგარეო პოლიტიკა სჭირდება და არა ილუზიებში ცხოვრება, რის გამოც მას ნამდვილად ვერ გავამტყუნებთ. ასე რომ, დავით უსუფაშვილსა და მის მეგობრებს „მთავარი პოლიტიკური ძალებიდან“ განხილულ თემებზე სერიოზული დისკუსიისთვის მომზადება მოუწევთ.**

**დიმიტრი მონიავა**

# «თურქეთში ხომ ჰყავთ მონებად ქართველები, ახლა საქართველოშიც იმონებენ»



# «ღარიბაშვილს არავინ უთხრა, რომ გარდაბანში თურქები ქართველთა უფლებებს თელავენ»

**17 იანვარს საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრებთან — კახა კალაძესა და გიორგი კვირიკაშვილთან ერთად გარდაბნის რაიონში იმყოფებოდა. მათ გარდაბანში ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობას ჩაუყარეს საფუძველი და საძირკველში ე. წ. კაფსულაც საზეიმო ვითარებაში ჩადეს. პრემიერმინისტრმა საზეიმო სიტყვაც წარმოთქვა და აღნიშნა, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგური, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, სერიოზული დასაყრდენი იქნება და ამ პროექტზე 600-ზე მეტი ადამიანი დასაქმდებაო. ძაღლის თავიც აქ არის დამარხული — ღარიბაშვილს არავინ უთხრა, რა ხდება გარდაბანში რეალურად. ადგილობრივი მოსახლეობა ტერიტორიას არ გააკარეს და გარდაბნელთა უმრავლესობამ მხოლოდ ტელეეკრანიდან შეიტყო, რომ მათ ქალაქში მთავრობის წევრები იმყოფებოდნენ.**

თბოელექტროსადგურს ყველაზე დიდი თურქული მშენებელი კომპანია „ჩალიკ ენერჯი“ აშენებს. შესაბამისად, მენეჯმენტი მთლიანად თურქებით არის დაკომპლექტებული და სწორედ ისინი წყვეტენ, ვინ დასაქმდება ამ თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე. ჰოდა, თურქთა გადაწყვეტილებით, დასაქმებულთა 98% აზერბაიჯანელია. ახლა არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვლენ და იტყვიან, საქართველოს ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლება აქვსო და ამაში ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ იმაშიც დაგვეთანხმეთ, რომ **სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ხარჯზე საქართველოში ქართველთა ინტერესები არ უნდა დაზარალდეს.** როგორც თურქი მმართველები ამბობენ, მათ აზერბაიჯანელებთან მუშაობა იმიტომ ურჩევნიათ, რომ ენობრივი ბარიერი არ აქვთ, თუმცა სამუშაოდ აზერბაიჯანულად ან ინგლისურად მოსაუბრე ქართველებს არ იღებენ და ისე ჩანს, მიზეზი სხვა რამ უნდა იყოს.

**„საქართველო და მსოფლიო“ თბოელექტროსადგურზე დასაქმებულ რამდენიმე ქართველს ესაუბრა, ისეთებიც ვნახეთ, რომლებიც მუშაობდნენ, მაგრამ შემდეგ მუშაობაზე უარი საკუთარი ნებით თქვეს.**

**რეზო კ.:** — დღეში 20 ლარს გვიხდიან, მაგრამ ეს არის მონური შრომა. **ყველაზე მძიმე სამუშაოს ქართველებს გვავალებენ, ყველაზე მძიმე უბანზე ჩვენ გვიშვებენ, თუ მიწაა ამოსათხრელი, ტრაქტორს არ ამუშავებენ, საწვავი დაგვეხარჯებაო და ხელით გვათხრევინებენ ასეულ მეტრობით მიწას.** არც პურის ფული მაქვს და არც სადმე წასასვლელი, თორემ ქვეყნიდან წავიდოდი. საქართველოში თურქების მონა ვარ...

**გიორგი ქ.:** — ზუსტად ორი კვირა ვიმუშავე, მერე თურქ მენეჯერთან მომივიდა უსიამოვნება და გამომიშვეს. **თურქმა მითხრა, ორმო ამოთხარეო. ამოვთხარე დაახლოებით ორი მეტრის სიღრმის ორმო, მაგრამ ამას არ დასჯერდა და მითხრა, ამოთხრილი მიწა ზურგით წაიღე და გადაყარეო.**

უარი ვთქვი და შემაგინა. სამსახური კი მჭირდებოდა, მაგრამ დედას ვერავის ვაგინებინებ და ხელი დავარტყი. მიჩივლეს კიდეც, — ხულიგანიაო, საბედნიეროდ, სამსახურიდან ჩემი დათხოვნით დაკმაყოფილდნენ და ციხეს გადავრჩი. ეს სამსახური კი არა, პლანტაციაა მონებისთვის... **გამოითხოვეთ დოკუმენტაცია, რამდენი ადამიანი წავიდა უკვე სამსახურიდან და ნახავთ, რომ ყველა მათგანი ქართველია. ვიმეორებ: ერთი აზერბაიჯანელიც არ წასულა, ყველა ქართველია. ახლა ღარიბაშვილი ჩამოვიდა, მაგრამ იქამდე არავინ მიგვიშვა.**

თურქეთში ხომ ჰყავთ მონებად ქართველები და ახლა საქართველოშიც იმონებენ...

**ცნობისთვის: ირაკლი ღარიბაშვილსა და კახა კალაძეს არ უთქვამთ, რომ ეს თბოელექტროსადგური ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ 20 წლის განმავლობაში თურქთა მფლობელობაში იქნება, ანუ ელექტროენერგიას მათგან ვიყიდით (თუ მოგვყიდეს) და მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ გადაეცემა საქართველოს. ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია და გავარკვიეთ, რომ ამ ტიპის თბოელექტროსადგურს კაპიტალური რემონტი 20 წელიწადში ერთხელ სჭირდება; 20 წლის შემდეგ კი პრაქტიკულად ყველა დანადგარი შესაცვლელი იქნება. რა გამოდის? — თურქები აშენებენ, გამოიყენებენ, მერე კი, როცა აღარ ივარგებს, საქართველოს დაუტოვებენ.**

**იმედია, როცა ანალოგიური პროექტების წარდგენა მოხდება, ვიდრე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებენ, ხელისუფლების წარმომადგენლები სიტუაციაში ბოლომდე გაერკვევიან.**

**დავით მინდიაშვილი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუკი ჩვენი დასავლეთთან ინტეგრაციის პოლიტიკური ფასი იქნება სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმა, ნებისმიერმა ხელისუფლებამ შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და არანაირი კარლ ბილტის რეკომენდაციებით არ უნდა იმოქმედოს, რომელიც მგონია, რომ სააკაშვილის ლობისტია. კარლ ბილტს არ აურჩევია საქართველოს არც პარლამენტი და არც მთავრობა, ის აირჩია ქართველმა ხალხმა“.**

# «თუ ესენი ასე სწრაფად რეაგირებენ ადამიანის უფლებების დარღვევაზე, სად იყვნენ 26 მაისს, 7 ნოემბერს, როცა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა გაუგონარი სისასტიკე ჩაიდინა?!»

**რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზების საკითხებზე, მიმდინარე მოლაპარაკებებსა და მის სამომავლო შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ლევან მეტრეველი.**





ლევან მეტრეველი:

# სააკაშვილი არც ფორმით, არც შინაარსითა და არც აღზრდით ქართველი არ არის

**— ბატონო ლევან, ის, რომ ხელისუფლებას აქვს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გაცხადებული ნება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ კოალიცია ჭრელია, მასში არიან გარკვეული სუბიექტები, რომელთაც კრემლის მესვეურები არასოდეს დაუჯდებიან მოლაპარაკებათა მაგიდასთან.**

— აქ მთავარი არის ის, რაც ქართველი ხალხისთვისაა მისაღები. აი, ეს რიტორიკა და პოლიტიკა უნდა არსებობდეს, თორემ სხვა დანარჩენი, რა მიდგომითაც არ უნდა იხელმძღვანელონ პოლიტიკოსებმა, რეალურ შედეგს ვერ მოიტანს. საერთოდ, მე მგონია, რომ ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად აპელირებენ საზოგადოების სახელით, ამ დროს ხშირად არც კი ითვალისწინებენ, რა განწყობაა საზოგადოებაში.

ავიღოთ თუნდაც იმ რეფერენდუმის შედეგები, რომელიც ჩაატარა სააკაშვილის რეჟიმმა და შედეგი იყო ასეთი: 78 პროცენტი მხარს უჭერდა ნატოში შესვლას. ახლა, ალბათ, მკითხავთ, რატომ არ ვენდობი შედეგს. პასუხი მარტივია: **თუ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ის არჩევნები, რომლის პარალელურადაც გამოკითხვა ჩატარდა, გაყალბდა, რა ნდობა შეიძლება არსებობდეს რეფერენდუმის მიმართ?! გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს რეფერენდუმი იყო მაშინ, როცა მასირებული შეტევა მიდიოდა საზოგადოების ცნობიერებაზე. მხედველობაში მაქვს პროპაგანდისტული ნიაღვარი რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოედინებოდა სააკაშვილის ტელევიზიებიდან.**

**— არსებობს სხვა კვლევის შედეგი, რომელიც საპირისპიროს დაამტკიცებს?**

— არსებობს, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ჩატარდა ერთ-ერთი კვლევა, რომლის მონაწილე მეც ვიყავი და შეკითხვის ფორმულირება იყო ასეთი: რომ დადგეს არჩევანი, ტერიტორიული მთლიანობა თუ ნატო, რას დაუჭერდით მხარს? მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის „ნაცმოძრაობის“ მომხრეებმაც, უპირატესობა მიანიჭეს ტერიტორიულ მთლიანობას. ამით რის თქმა მინდა: ერთია ის, რასაც სააკაშვილის რეჟიმი იძახდა 9 წლის მანძილზე, ევროპა და ნატო ჩვენი ისტორიული არჩევანიაო, და მეორეა, რას ფიქრობს საზოგადოება, ანუ, თუ ხალხს ექნება რეალური სურათი, რას გვაძლევს ჩვენ ეს ე. წ. დასავლური ინტეგრაცია, მაშინ გავიგებთ, სინამდვილეში რა აზრისაა ამაზე მოსახლეობა. სხვანაირად შეუძლებელია განსაზღვრო, რომელია შენი ისტორიული არჩევანი და რომელი — არა, საით ჯობია წახვიდე და რაზე თქვა უარი ან თავი შეიკავო...

**— მიუხედავად იმისა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ყველას ეგონა, „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური აღსასრული დადგებოდა, ფაქტობრივად, პირიქით მოხდა — დღეს ისინი ხელისუფლებას სერიოზულ ოპონირებას უწევენ. თავის მხრივ სააკაშვილი ამერიკაში შეხვედრებს შეხვედრებზე მართავს და სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნებიდან ისევ აცხადებს, რომ რუსეთი საქართველოს მტერია. როგორ ფიქრობთ, რეალურად არის თუ არა ეს ყველაფერი ხელისშემშლელი ფაქტორი ორი ქვეყნის ურთიერთობაში?**

— ბუნებრივია, არის. საერთოდ, მე ვერ მოვძებნი საქმიანობის ისეთ სფეროს, რომელთანაც სააკაშვილს შეხება ჰქონდა ან ახლაც აქვს და ეს საქართველოსთვის სასიკეთო იყოს. მისი ყველა გამოსვლა ერთმნიშვნელოვნად ემსახურება იმას, რომ ამ ქვეყანას, შიგნით თუ გარეთ, ურთიერთობები დაეძაბოს. ისე, კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირი არც არაფერია, ვინაიდან **ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ ადამიანს არანაირი პატრიოტული გრძნობები არ შეიძლება ამოძრავებდეს. იგი, უბრალოდ, არც ფორმით, არც შინაარსითა და აღზრდით არ არის ქართველი და არაა ორიენტირებული ქართველი ერის ინტერესებზე.** მარტივად რომ ვთქვათ, მას ახლა მხოლოდ ერთადერთი სურვილი ამოძრავებს, — როგორმე თავის მეგობრებს, მფარველებს საზღვარგარეთ დაანახოს რომ ისევ საჭიროა, რომ მისი შემცვლელი არ არსებობს.

**— ახერხებს ამის დამტკიცებას?**

— მე არ ვიცი, ის რას ახერხებს, მაგრამ ფაქტია, დღეს ბევრად უფრო კრიტიკულად გვესაუბრება დასავლეთი, ვიდრე წინა ხელისუფლების პერიოდში. ამ დროს, ყველამ კარგად ვიცით, იმ 9 წლის მანძილზე რა უბედურებაც ტრიალებდა. სხვათა შორის, ჩვენ კიდევ ერთი კვლევა ჩავატარეთ, ციხის ცნობილი კადრები როცა გავრცელდა და შეკითხვა იყო ასეთი: როგორ ფიქრობთ, ჰქონდათ თუ არა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერ დასავლელ პოლიტიკოსებს ინფორმაცია, რა ხდებოდა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით? გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა თქვა, რომ ჰქონდათ; დარწმუნებული ვარ, ასეც იქნებოდა, იმიტომ, რომ სააკაშვილი არ მოქმედებდა დამოუკიდებლად. **არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი სვლა წინა ხელისუფლების მიერ არ კეთდებოდა დასავლეთიდან გარკვეული პოლიტიკური ძალების რეკომენდაციების გარეშე. ასე რომ, რა თქმა უნდა, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რას უკეთებდა სინამდვილეში დემოკრატიის შუქურად გამოცხადებული სააკაშვილი თავის ხალხს...**

**— გინდათ, თქვათ, რომ დასავლეთმა წაახალისა აქ ადამიანის უფლებების დარღვევა?**

— არ მინდა, უსაფუძვლოდ ვინმეს რამე დავაბრალო, მაგრამ ნახეთ, დღეს რა ხდება უკრაინაში. მე მგონი, პოლიტიკოსი არ დარჩა არც ამერიკაში, არც ევროპაში, რომ კიევში არ ჩასულიყო, როცა მაიდანზე მიტინგი დაშალეს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: **თუ ესენი ასე სწრაფად რეაგირებენ ადამიანის უფლებების დარღვევაზე, სად იყვნენ 26 მაისს, 7 ნოემბერს, როცა სააკაშვილის რეჟიმმა გაუგონარი სისასტიკე ჩაიდინა?! გაკეთდა მაშინ თუნდაც ერთი განცხადება, რომელიც იმ საშინელების ადექვატური იქნებოდა?!**

**— რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, — სააკაშვილის რეიტინგი საქართველოს რეიტინგზე მაღალიაო. რას ფიქრობთ ამაზე?**

— რას ნიშნავს, სააკაშვილის რეიტინგი უფრო მაღალია?! ჩემთვის გაუგებარია, რას გულისხმობს ბატონი ბერძენიშვილი. მან უფრო მკაფიოდ უნდა განმარტოს, რისი თქმა უნდოდა.

**— ალბათ ის, რომ, თუკი სააკაშვილის მიმართ რაიმე ფორმით სამართლებრივი დევნა დაიწყება, რაზეც თავის დროზე არაერთხელ მიანიშნა არჩილ კბილაშვილმა, ამით ჩვენს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას საფრთხე დაემუქრება. საგულისხმოა ისიც, რომ ვილნიუსის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე აქ იმყოფებოდნენ შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებმაც პირდაპირ განაცხადეს, — უკრაინის შეცდომა არ უნდა გაიმეოროთო.**

— ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ერთადერთი სწორი პოზიცია შეიძლება არსებობდეს: თუკი ჩვენი დასავლეთთან ინტეგრაციის პოლიტიკური ფასი იქნება სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმა, ნებისმიერმა ხელისუფლებამ შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და არანაირი კარლ ბილტის რეკომენდაციებით არ უნდა იმოქმედოს, რომელიც მგონია, რომ სააკაშვილის ლობისტია. კარლ ბილტს არ აურჩევია საქართველოს არც პარლამენტი და არც მთავრობა, ის აირჩია ქართველმა ხალხმა.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ დასავლეთის რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა ხელისუფლებას, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს. უკრაინაში ხომ მათ უკვე გამოიწვიეს გარკვეული პოლიტიკური კრიზისი?**

— ეს მათი პრობლემაა და უკრაინის ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს, აქვთ თუ არა უფლება დასავლელ პოლიტიკოსებს, ჩადიოდნენ მომიტინგეებთან და რევოლუციისკენ მოუწოდებდნენ. ისე, მაინტერესებს, ლავროვი რომ აკეთებდეს ამას რომელიმე ევროპულ სახელმწიფოში, თუნდაც, ვთქვათ, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ, რა რეაქცია ექნებოდა დასავლეთს?! ხომ იტყოდნენ, რომ რუსეთი უხეშად არღვევს უცხო ქვეყნის სუვერენულ უფლებას?!

**— დავუბრუნდეთ ისევ რუსეთ-საქართველოს საკითხს. ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს მართლა აღდგა კეთილმეზობლური ურთიერთობა, დავუბრუნდით იმ მდგომარეობას, რაც ჩვენ ისტორიულად გვქონდა, რას მისცემს ეს საქართველოს და რა სახელმწიფოს მივიღებთ?**

— **რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება ჩემთვის, ისევე, როგორც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გაგვიჩნდება შანსი, ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ.** ეს გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც შეეხება საშუალო და მოკლევადიანს, აქ უკვე შედეგი სახეზეა — 46 პროცენტით გაიზარდა ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი და გაიყიდა 50 ათასი ტონა მანდარინი. პოზიტიური ძვრებია ეკონომიკის სხვა სფეროებშიც.

**— ხელისუფლების შეცვლიდან თითქმის წელიწადნახევარი გავიდა და ჯერჯერობით კარასინი-აბაშიძის შეხვედრებს ვერ გავცდით. როგორ ფიქრობთ, ამ ხნის მანძილზე უნდა ყოფილიყო თუ არა პირველი პირების დონეზე მოლაპარაკებები?**

— რასაკვირველია, ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ ეტყობა, ჯერ კიდევ არის სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორები. იმედია, ამის გადალახვა მოხერხდება, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის კეთილგანწყობა, რომელიც არსებობს ქართველების მიმართ რუს ხალხში. სააკაშვილისგან განსხვავებით, არ ვთვლი, რომ რუსეთი ავტორიტარული ქვეყანაა და მასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია; ეს არის თანამედროვე, ცივილიზებული სახელმწიფო, რომელიც ნორმალური, ადექვატური პოლიტიკის პირობებში, იმედია, მზად იქნება ნებისმიერი სახის თანამშრომლობისთვის.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# «დასავლეთის გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რას უკეთებდა სინამდვილეში დემოკრატიის შუქურად გამოცხადებული სააკაშვილი თავის ხალხს...»

„საინტერესოა, რა ჯიშის ხალხი იყო, ქართველები არ იყვნენ აშკარად, ეს ხალხი ჩამოყვანილი ჰყავდათ სააკაშვილსა და მერაბიშვილს სხვადასხვა ქვეყნიდან, ფული ჰქონდათ გადახდილი, ალბათ. ვიმეორებ, ქართველები არ იყვნენ, მკვდარსაც კი სცემდნენ!“

ნაცტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჩემ გვერდით გოგო იდგა, კოჭში გადაუმტვრიეს «დუბინკით» ფეხი, ძვალი ხორცში ჰქონდა გამოჩრილი და «სპეცნაზელმა» კიდევ რამდენიმეჯერ ჩასცხო თავში ხელკეტი»

**26 მაისის აქციის მონაწილეები — ჯემალ კაშია და შოთა ოჩიგავა „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისას სპეცრაზმელთა მიერ ჩადენილ სისასტიკეზე ესაუბრებიან.**



ჯემალ კაშია:

## ასეთი ჭრილობების მიყენება მხოლოდ ბასრი საგნებით შეიძლებოდა

**ჯემალ კაშია:** — სპეცრაზმელებმა და პოლიციელებმა დარბევა რომ დაიწყეს, წინა რიგებში ვიდექი ლუკა კურტანიძესთან ერთად. ბევრნი ვიყავით იქ — ჩემი მეგობარი შოთა ოჩიგავა, რამდენიმე ყოფილი მოჭიდავე... სპეცრაზმელები, ძირითადად, ამ წინა რიგს დაერივნენ — გვცემდნენ, თან გვაგინებდნენ— რატომ ხართ აქციაზე მოსული, რა გინდათ აქ, წაეთრიეთ სახლში, თქვენი დედა, თქვენი მკვდარი და ცოცხალიო... გაქცევა დავაპირეთ, მაგრამ სად გაიქცეოდი?! გარშემო მანქანები ეყენა, ალბათ, იმისთვის, რომ არავინ გასხლტომოდათ ხელიდან. ხაზს ვუსვამ — **აქციის მონაწილეთა დაშლა კი არა, დასჯა ჰქონდათ დავალებული.**

შეგვყარეს „მერსედესის“ მარკის მიკროავტობუსში და გაურკვეველი მიმართულებით წაგვიყვანეს. შავი მუნდირები ეცვათ, ნიღბები ეკეთათ. ჩვენ ექვსნი ვიყავით. მანქანაში დაგვაბეს, მთელი გზა გვირტყამდნენ და გვაგინებდნენ. მიგვიყვანეს ბარათაშვილის ხიდთან, მტკვართან ჩაგვიყვანეს. და ახლა მდინარეში უნდა გადაგყაროთო. ვუთხარი, რას გვერჩით, რატომ უნდა გადაგვყაროთ-მეთქი? შენ კიდევ ხმას იღებო და უარესად დაგვიწყეს ცემა. **საქმის ცოდნით, დასასახიჩრებლად გვირტყამდნენ. ნეკნი მქონდა გატეხილი, თავიც. მუშტით, „დუბინკით“, წიხლებით გვცემდნენ. რამდენიმე ისეთი ჭრილობაც მქონდა, რომლის მიყენებაც მხოლოდ ბასრი საგნით შეიძლება. მქონდა ასევე დამწვარი ადგილები, დენით იყო თუ ცეცხლით, არ ვიცი.**

ამის შემდეგ ისევ ჩაგვყარეს მანქანაში და წაგვიყვანეს მუხათგვერდის სასაფლაოზე. დაგვყარეს იქ ეს ნაცემ-ნაბეგვი ხალხი და ისევ გვცემეს. ახლაც არ მჯერა, რომ ყველა ცოცხალი ვართ... **დასისხლიანებულები, თავგატეხილები და ძვალგამოლეულები პერიოდულად გონებას ვკარგავდით. ფეხზე ვერ ვდგებოდით ისეთი დაბეგვილ-დალეწილები ვიყავით — დასისხლიანებულები, ტანსაცმელშემოხეულები.**

გამთენიისას, როგორც იქნა, გამოგვიშვეს იქიდან, უფრო სწორად, წავიდნენ და დაგვტოვეს. ვიდრე წავიდოდნენ, თავზე დაგვღრიალებდნენ, გვაგინებდნენ, გვაფურთხებდნენ,— აქციაზე აღარ დაგინახოთ, თქვე რუსეთის აგენტებოო. ჩემმა ერთმა მეგობარმა უთხრა: სიკვდილი თუ გინდათ ჩვენი, მოგვკალით ბარემ, რაღას გვაწვალებთო! თქვენი სიკვდილი თუ გვინდა, გვეტყვიან და მოგკლავთ, თუ არადა, წაეთრევით აქედანო.

დილის 10 საათი იქნებოდა, მუხათგერდის სასაფლაოდან რომ წავიდნენ, ჩვენც მალევე წამოვედით. გზამდე რომ მივაღწიეთ, 12 საათი იქნებოდა. ტრასაზე მანქანა არ გვიჩერებდა, ისეთ მდგომარეობაში ვიყავით. ბოლოს, როგორც იქნა, გაგვიჩერა კამაზმა და წამოგვიყვანა. „სახალხო კრების“ ოფისში რომ მივედით, ვერავინ ვნახეთ, დასავლეთში უნდა წავსულიყავით, ქუთაისში, ჩვენი აქ დარჩენა არ იქნებოდა.

ქუთაისში ჩასვლისთანავე მივედი მეგობართან. „სახალხო კრების“ წარმომადგენლები მეძებდნენ, არ იცოდნენ, მკვდარი ვიყავი თუ ცოცხალი, არადა, საშიში იყო ჩემთან სახლში მისვლა — პოლიციის კონტროლზე იყო აყვანილი. **დასდევდნენ აქციის მონაწილეებს, სახლებში აკითხავდნენ „ნაცმოძრაობის“ წევრები, ჩასვამდნენ მანქანაში, მიჰყავდათ და 3- 4 საათის განმავლობაში აჩერებდნენ პოლიციაში — ფსიქოლოგიურად ამუშავებდნენ.**

მას შემდეგ, რაც მთავრობა შეიცვალა, არანაირი მუქარა არ ყოფილა. იმედია, დამთავრდა მათი ბოგინი. ველოდებით სამართლიანობის აღდგენას, ისე, 10-მდე კაცი ვიცი, ვინც ისე აწამეს, რომ დღემდე ფსიქიკურად შეშლილია და ექიმების მეთვალყურეობა სჭირდებათ. არც არის იმისი იმედი, რომ ოდესმე გამოჯანმრთელდებიან. ძალიან ბევრი ადამიანია ასეთი. **სინდისი არ აწუხებდათ იმ ჯალათებს. საინტერესოა, რა ჯიშის ხალხი იყვნენ, ქართველები არ იყვნენ აშკარად, ეს ხალხი ჩამოყვანილი ჰყავდათ სააკაშვილსა და მერაბიშვილს სხვადასხვა ქვეყნიდან, ფული ჰქონდათ გადახდილი, ალბათ. ვიმეორებ, ქართველები არ იყვნენ, მკვდარსაც კი სცემდნენ.**

**— ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე რას იტყვით?**

— მე არც ევროპას ვუყურებ, არც ამერიკას, მე მხოლოდ სამართლიანობა მაინტერესებს. **ვანომ პასუხი უნდა აგოს ნაცემნაბეგვი და დასახიჩრებული ხალხის წინაშე. შს მინისტრი იყო და უნდა ეთქვა თავისი ხელქვეითებისთვის, რომ აქციის მონაწილეთათვის დერეფანი მაინც დაეტოვებინათ, მაგრამ ამათ ხალხის დახოცვა სურდათ.** მირბოდა ხალხი, მაგრამ სპეცრაზმმა ალყაში მოაქცია და სასტიკად გაუსწორდა... ვანო მერაბიშვილი კი გამოდის და არა მხოლოდ თავს იმართლებს, აქეთ გვემუქრება.

რაც მე დამმართეს, ამას არავის ვაპატიებ! ვნატრობ, გავიგო, ვინ იყვნენ ეს ჯალათები. ჩემი მეგობარი ზაზა ზესტაფონიდაა, ფსიქიკურად შეიშალა, რა უქნეს, დღემდე არ ვიცი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ საქართველოში ასეთი რამ მოხდებოდა. ჩემ გვერდით გოგო იდგა, კოჭში გადაუმტვრიეს „დუბინკით“ ფეხი, ძვალი ხორცში ჰქონდა გამოჩრილი და „სპეცნაზელმა“ კიდევ რამდენიმეჯერ ჩასცხო თავში ხელკეტი. ამ გოგოს რა ბედი ეწია, არ ვიცი... **ჩემი მეგობარი სულიკო ასათიანი მოკლეს. დიახ, ცემით მოკლეს კაცი და სახურავზე შეაგდეს. ჩვენ რომ წაგვიყვანეს სულიკო უკვე მიწაზე ეგდო, მკვდარი. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ნაცემი კაცი არ ინძრეოდა, უგონოდ იყო.**

შოთა ოჩიგავა:

## სადაც ჩემი დაკითხვა მიმდინარეობდა, 4 კაცი სისხლის გუბეში ცურავდა

**შოთა ოჩიგავა:** —ქალაქის პოლიციის სამმართველოში წამიყვანეს კინოთეატრ “რუსთაველიდან”, მეც ისევე მაწამეს, როგორც ყველა, ვგულისხმობ ცემა-ტყეპას. **გვცემდნენ ფეხით, ხელით, ხელკეტით, ყველა ნივთით, რაც ხელში მოხვდებოდათ. ვისაც იცნობდნენ, გაჰყავდათ ცალკე, სამმართველოს ერთ-ერთ ოთახში და გონების დაკარგვამდე სცემდნენ.** მე დაახლოებით 5-6 საათი გამაჩერეს სამმართველოში, სისხლისგან ვიცლებოდი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ამიტომ ე.წ. გასაუბრება-დაკითხვაზე ურიგოდ შემიშვეს. მკითხეს, რატომ იყავი აქციაზე, რა გამოძრავებდაო და ა.შ. სამწუხაროდ, არ ვთქვი, რომ „სახალხო კრების“ ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე ვიყავი, ეს რომ მეთქვა, ალბათ, ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. პროკურორი წყვეტდა იქ ყველაფერს, ანუ პატიმრობას შეგვიფარდებდნენ თუ საჯარიმო სანქციას.

**იმ ოთახში, სადაც ჩემი დაკითხვა მიმდინარეობდა, 4 კაცი იატაკზე ეგდო, სისხლის გუბეში ცურავდა, გული ლამის გამიჩერდა ამის შემყურეს.** მერე სასამართლოში წამიყვანეს. სხვათა შორის, ქალაქის სამმართველოში შეყვანამდე წვიმაში გაგვრეცხეს სისხლისგან, მოკლედ, იქ შესვლამდე ჯოჯოხეთი გამოვიარეთ. **პოლიციის სამმართველოს ეზო დასისხლიანებული ადამიანებით იყო სავსე და ეს მხეცები, „სპეცნაზელები“ ზედ აბიჯებდნენ მათ. ფაშისტებივით იქცეოდნენ.** სასამართლოში გადაყვანამდე ცალკე ჯოჯოხეთი გამოვიარე, მოსაცდელ ოთახებში გვცემდნენ. შემდეგ მოსამართლემ 400-ლარიანი ჯარიმა გამომიწერა და გამომიშვეს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**



## მედიკამენტის ურეცეპტოდ გაცემისთვის — ჯარიმა 6000 ლარი

**„იმ მედიკამენტის ურეცეპტოდ გაცემა, რომელიც ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით უნდა გაიყიდოს, პირველ შემთხვევაში 6000 ლარით ჯარიმდება, განმეორების შემთხვევაში კი პირი, შესაძლოა, ლიცენზიის ჩამორთმევით დაისაჯოს“,** — განაცხადა ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ. მისი თქმით, საზოგადოება რეცეპტის მოხმარებას გადაჩვეულია, ამიტომ ახალი წესების დანერგვა ეტაპობრივად მოხდება. „შესაძლოა, მეორე ჯგუფის მედიკამენტებზე რეგულაციების დაწესებამ ტექნიკური პრობლემები გამოიწვიოს, რის გამოც ის ორ ეტაპად გავწერეთ. 2014 წლის 1 სექტემბრამდე რეცეპტს მეორე ჯგუფის მედიკამენტები დაექვემდებარება“.

## რუსეთის კერძო საკუთრება ვაჩნაძიანში

**გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანის მკვიდრმა არჩილ ნაპირელმა საკუთარი სახლის სახურავზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა აღმართა.** მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებას ვაჩნაძიანის მცხოვრებთა არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, ნაპირელი დროშის ჩამოხსნას არ აპირებს და ამბობს, რომ ეს „რუსეთის ფედერაციის კერძო საკუთრებაა“.

## გამოხმაურება

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (№1, 2014წ) დაიბეჭდა მასალა სათაურით „ქართველი ძიუდოისტი აიძულეს, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ეთქვა“. მასში მოთხრობილი იყო ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანის შესახებ, რომელმაც აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღო და იმ ქვეყნის სახელით აპირებს ასპარეზობას. ამ საკითხზე ძიუდოს ფედერაციის დირექტორმა ზურაბ უსუფაშვილმა საპასუხო კომენტარი გააკეთა. გაზეთის გამოსვლისთანავე კი რედაქციაში დაგვიკავშირდა და გვითხრა:**

— ჩემი ნათქვამი ბეთქილ შუკვანის შესახებ, რომ ის აზერბაიჯანის სახელით ვერ იასპარაზებს, რადგან ძიუდოს ფედერაციას ამის ნებართვა არ მიუცია-მეთქი, მცდარია. უბრალოდ, გადაუმოწმებელი ინფორმაცია მოგაწოდეთ.

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლება თვითდაჯერებული და უცოდინარია. ამან კი გამოიწვია ის, რომ საქართველოს მოსახლეობა ისევ კითხულობს „ნაცების“ მიერ „დადგენილ დღის წესრიგს“.**



*ირაკლი ჭყოიძე:*

# დღეს ქვეყანას პრეზიდენტი არ ჰყავს!

უკვე მეორე წელიწადი დაიწყო, რაც “ქართული ოცნება” ხელისუფლების სათავეშია, მაგრამ ხალხმა, გარდა იმისა, რომ საუბრისას მობილურ ტელეფონებს არ მალავს, სხვა სიკეთე ვერ იგრძნო. არ შეცვლილან ის სახეები, რომელთა დანახვაც „ნაცების“ მმართველობის პერიოდში აღფრთოვანებას არ იწვევდა. გვიჭირს ეკონომიკურად, სოციალურად და ახლა გაუფასურებული ვალუტაც შეგვრჩა ხელთ. ხალხს კი მოთმინების ფიალა ევსება, რადგან ახალი ხელისუფლების ბევრი ქმედება ძალიან ჰგავს წინამორბედისას. რატომ არ დასრულდა კოჰაბიტაცია? რატომ აღიზიანებს ახალი მთავრობა მოსახლეობას იმ ადამიანების ჭკუა-დარიგებებით, რომელთა მოსმენაც დიდი ხანია აღარ სურთ? რატომ ალაპარაკდნენ “ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლები ასეთი ჰონორით? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრს — **ირაკლი ჭყოიძეს** ვესაუბრეთ.

**— ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია დასრულდებოდა, დასრულდა?**

— წარმოუდგენელია, კოჰაბიტაცია დაასრულოს იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელმაც ეს თავისი კეთილი ნებით დაიწყო. ამ წამოწყებას „ნაცების“ რეაბილიტაცია და „გათეთრება“ უფრო ჰქვია, ვიდრე კოჰაბიტაცია. **საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სულაც არ ელოდა, რომ „ნაცებისა“ და „ოცნების“ თანაცხოვრება დასრულდებოდა, პირიქით — გვჯერა, ეს პროცესი გაღრმავდება და უფრო მჭიდრო თანამშრომლობაში გადაიზრდება. რაც შეეხება თავად დაპირების ავტორს, მარგველაშვილს, დღეს აღარც კი ვიცით, ქვეყანას პრეზიდენტი ჰყავს თუ არა. იმ გეგმას, რომელიც ახალ ხელისუფლებას ჰქონდა — ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას, თავი წარმატებით გაართვეს. დღეს ქვეყანას პრეზიდენტი არ ჰყავს.**

იმის თქმის საშუალებას, რომ წინა და ახალი ხელისუფლების თანამშრომლობა მჭიდრო კავშირში გადაიზრდება, მაძლევს ის გარემოება, რომელიც დღეს ქვეყანაშია. თუ კოჰაბიტაცია დასრულდა, თუ აღიარებენ, რომ სისტემა დანაშაულებრივი იყო, მაშინ რატომ არ ისჯებიან ამ სისტემის შემქმნელები?

**— როგორ ფიქრობთ, ახალ ხელისუფლებას აძლევს ხელს ამ ყველაფრის ასე დატოვება თუ, უბრალოდ, პროფესიონალიზმი და კომპეტენცია არ ჰყოფნით?**

— ორი ვარიანტია: ერთი ის, რომ ხელისუფლებისთვის „ნაცები“ კომფორტულები არიან...

**— ასე ველარ ვიტყვით. ეს თავიდან ჩანდა ასე, დღეს კი „ნაცები“ კომფორტულები აღარ არიან, მათ მთავარი პროკურორი აიძულეს, თანამდებობა დაეტოვებინა...**

— საქმეც ეს არის, „ოცნებამ“ შეცდომაც მანდ დაუშვა, რომ „ნაცებთან“ დავა ადვილი ეგონა, „ნაციონალების“ რეაბილიტაცია ყველაზე მეტად „ოცნებას“ დაარტყამდა და ასეც მოხდა. აქ უკვე არაკომპეტენტურობა და არაპროფესიონალიზმი იკვეთება. **ხელისუფლება თვითდაჯერებული და უცოდინარია. ამან კი ის გამოიწვია, რომ საქართველოს მოსახლეობა ისევ კითხულობს „ნაცების“ მიერ „დადგენილ დღის წესრიგს“.**

ხელისუფლებას არ ეყო ვაჟკაცობა, „ნაცები“ ჯეროვნად შეეფასებინა, რისი მოლოდინიც ხალხს ჰქონდა. მათ არ ეყოთ კომპეტენცია, დანაპირები შეესრულებინათ. ისევ ხალხია დაზარალებული, მაგრამ ვფიქრობ, ამ უმსგავსობის ყურებას დიდხანს ვერ შეძლებენ და არც ერთ მხარეს ასეთი უტიფარი ტყუილი არ შერჩება.

**— მართალი ხართ, ხალხი ძალიან გაბრაზებულია. თავშეყრის ადგილებში ხშირად მოისმენთ ასეთ ფრაზებს: “ჟურნალისტები, რომლებიც „ნაცებს“ საქმეებს „უპრავებდნენ“, ისევ პირველი ჟურნალისტები არიან;” იმას, რასაც „ნაცები“ ჩუმად აკეთებდნენ, ესენი აშკარად აკეთებენ; ეკლესიას და იმ სიწმინდეებს, რომლებიც ქართველისთვის ძვირფასია, თავს ისევ ესხმიან” და ა. შ.**

— **ეკლესიაზე დემოკრატიის სახელით იერიშის მიტანას „ქართულმა ოცნებამ“ ხელი რომ შეუწყო, ეს ჯერ კიდევ 17 მაისის გეიაღლუმზე დავინახეთ. სასულიერო პირების გასამართლებამ, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო ლიბერალურ ძალებს, რომლებიც პატრიარქისა და ეკლესიის დისკრედიტაციას ცდილობენ. ეს პროცესები კიდევ უფრო შორს წავა.**

**— როგორ ფიქრობთ, გამოვა ხალხი ქუჩაში?**

— გაზაფხულზე პოლიტიკური სივრცე გადატვირთული იქნება თვითმმართველობის არჩევნებით, რაც პროცესებს გაამძაფრებს. **თუ ხელისუფლება გონს არ მოეგება და სამართლიანი საარჩევნო გარემო არ შეიქმნა, ვითარება დაიძაბება, ამას მოჰყვება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, რაც უმტკივნეულოდ არ ჩაივლის, ამას დავუმატოთ ეკონომიკური პრობლემები და თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოდგომაზე ქაოსია მოსალოდნელი, ხალხის ძირითადი მოთხოვნა კი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება,** რადგან „ოცნება“ ისევე დაშორდა თავის ხალხსა და ამომრჩეველს, როგორც თავის დროზე „ნაცები“. მათ აღარ აინტერესებთ ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ისინი მხოლოდ რეიტინგის შენარჩუნებასა და სკამებზე ზრუნავენ.

**ხალხმა იცის, რომ პარლამენტის ლეგიტიმაციის საკითხი ეჭვქ-** ▶

# «თემურ ალასანია და მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ არიან დაკავშირებულნი იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმესთან»

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რამდენიმე გენერალს, პოლკოვნიკსა და ვიცეპოლკოვნიკს ომის დროს შეძენილი, გაფუჭებული და მწყობრიდან გამოსული ტექნიკის გამო ეჭვი იარაღით უკანონო ვაჭრობაზე გაუჩნდათ და საქმის ძიებაც დაიწყეს. იარაღით ვაჭრობის თემით დაინტერესებულ ადამიანებს ხელთ აქვთ ძალიან ბევრი დოკუმენტი, რომლებიც პირადი ურთიერთობების საშუალებით მოიპოვეს სხვადასხვა ქვეყანაში. ძიებამ პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც უკრაინაში შეძენილი ძვირადღირებული ტექნიკისა და ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიების ანგარიშების ნუსხას მიაგნეს.



ტრისტან წითელაშვილი

ცნობილი გახდა იმ ფირმების დასახელებაც, რომლებთანაც ქართული მხარე თანამშრომლობდა, სამხედროებმა შეძლეს, დაედგინათ ფოთის პორტში შემოსული გემების დასახელებები, შემოსვლის დრო და ისიც, რა იარაღი შემოდიოდა. ეს იყო ძალიან ძვირადღირებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი — C-200, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას დაიცავდა, მაგრამ საქართველოს დღეს ასეთი რამ არ გააჩნია, თუმცა თავის დროზე შეძენილი აქვს. გენერლებმა ასევე მოიპოვეს თავდაცვის სამინისტროს 2007-08 წლების ხარჯების ნუსხა, რომელშიც კოლოსალური თანხებია აღრიცხული; იმდენი, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაჯერება ძალიან გაუჭირდათ, ხოლო თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა: **„დოკუმენტების არსებობა ვიცი, ვნახე კიდეც და სამხედროებსაც ვუთხარი, რომ ,რაც მანდ წერია, სისულელეა. ამბობენ, სპეციალისტები ვართო, მაგრამ რა სპეციალისტები არიან, აბრევიატურები გაშიფრონ და ნახავენ, მაგ დოკუმენტებში რაც წერია. გაარკვიეთ, რა ღირს C-200. ძალიან სულელური დოკუმენტია და კომენტარის გაკეთებაც არ ღირს. ყველაფერი ავუხსენი მაგ დოკუმენტების მფლობელებს და მაინც ჟურნალისტების ხელში ჩააგდეს“.**

**რამდენიმე დღეა, როგორც იქნა, ხელისუფლებამ დაიჯერა, რომ დავით კეზერაშვილი დამნაშავე იყო. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული საკითხით თვით აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონი, გახლდათ დაინტერესებული, როგორც ჩანს, ხელისუფლება იძულებული გახდა, ეს ყველაფერი დაეჯერებინა.**

**ურწმუნო თომების რიგში თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიაც შედის, რადგან ის დღემდე ვერ დაარწმუნეს, რომ სამინისტროში არ გააჩეროს ის თანამშრომლები, რომლებიც კეზერაშვილსა და ახალაიას იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმეში გვერდით ედგნენ. ეს ადამიანები თავდაცვის სამინისტროში დღემდე იკავებენ მაღალ თანამდებობებს. მათ გვარებს გენერალი ტრისტან წითელაშვილი დაასახელებს, მანამდე კი ირაკლი სესიაშვილს ვესაუბრებით:**

**— ბატონო ირაკლი, თქვენ სკეპტიკურად იყავით განწყობილი კეზერაშვილის იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმის მიმართ, ახლა რა კომენტარს გააკეთებთ?**

— ამ საკითხზე ძიება მიმდინარეობს, ძალიან სერიოზული ეჭვია. საკითხს რამდენიმე ქვეყანა იკვლევს. ბუნებრივია, კეზერაშვილთან ჩვენს პროკურატურასაც ბევრი შეკითხვა აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი ექსტრადიცია მოხდეს.

**— შესაძლებელია, რომ ძიების შედეგად საბრალდებო სკამზე სააკაშვილიც დაჯდეს? კეზერაშვილი ამას პრეზიდენტის გარეშე ხომ ვერ გააკეთებდა? თანაც, საქმეში თემურ ალასანიაც ფიგურირებს.**

— არ მინდა, უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო, მაგრამ ის ხელისუფლება, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყანას მართავდა, ყველაფერთან ერთად, დაკავებული იყო საერთაშორისო დონის კრიმინალითაც, სწორედ ამის ხარჯზე და ამ ფულით იმტკიცებდნენ ძალაუფლებას. მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი დეტალურად გაიშიფროს და ყველა კითხვას პასუხი გაეცეს.

**ტრისტან წითელაშვილი, გენერალი:**

**— ბატონო ტრისტან, როგორც ჩანს, თქვენმა ბრძოლამ უკვალოდ არ ჩაიარა, კეზერაშვილი იარაღით უკანონო ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი. თქვენ თუ დაგიბარეს დაკითხვაზე და რაიმე ახალი გარემოებები ხომ არ არის?**

— კი, საქმე დაიძრა. მეც მიკავშირდებიან. ახალი დოკუმენტებიც წარვადგინეთ. ამერიკის ყოფილი ელჩი ტეფტი საქმის კურსში გვყავდა, მან ამერიკის დეპარტამენს შეატყობინა და ახლა **ხელთ გვაქვს საბუთები, რომელთა მიხედვით ჰილარი კლინტონი არა მხოლოდ საქართველოს მიმართავს საქმის ვითარების გასარკვევად, არამედ ყველა იმ ქვეყანას, რომლებსაც იარაღით ვაჭრობასთან რაიმე შეხება ჰქონდათ. ის ასევე ინტერესდება ფირმა „ბელტრეიდინგით“.**

**— ბატონო ტრისტან, ირაკლი სესიაშვილი ვერ იჯერებდა ამ ამბავს. მე მას დღეს ვესაუბრე და სულ სხვანაირად ლაპარაკობს. გქონდათ მასთან შეხვედრა?**

— არა, მასთან შეხვედრის სურვილი არ მქონია მას შემდეგ, რაც თქვენ გითხრათ. განსაკუთრებით ამ თემაზე არ მინდა მასთან ლაპარაკი, რა უნდა მითხრას სესიაშვილმა ისეთი, რაც ჩემთვის მისაღები იქნება?

**— რატომ, მას პროფესიონალად არ თვლით?**

— ჩვენთვის მთავარია, ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ამის შემდეგ კი ყველას, ვინც ერთად ვიბრძოდით, გვსურს, სესიაშვილს ვკითხოთ, — რაში სჭირდებოდა ასეთი უაზრო და არაპროფესიონალური კომენტარი. სიმართლე ხომ გამოაშკარავდა? ჩვენ ის ხალხი არ ვართ, რომელიც ვინმეს ცილს დასწამებს. ▶

## „ოცნების“ რიგებში „ნაცების“ შემოსვლას დიდწილად ზვიად ძიძიგურმაც შეუწყო ხელი. იმ ბანდის სიის პირველი ნომერი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ზვიად ძიძიგურია“

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ამ ადამიანების მიზანი ხელისუფლებაში «ნაციონალების» დაბრუნებაა!»

**„წავკისელი ფეოდალების“ თემა ძალიან გახმაურდა და ამ საკითხით პრემიერიც კი დაინტერესდა — ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აუცილებლად გამოიძიებდა გარდაბანში არსებულ ვითარებას. ვინ მფარველობს გარდაბნელ „ფეოდალებს“ და ვინ შეიყვანა „ოცნების“ რიგებში „ნაციონალები“? — ამ საკითხებზე გარდაბნელი ქალბატონები: ია მახათაძე, ლელა გოგოლაური და დოდო ბერაია გვესაუბრებიან.**

**ლელა გოგოლაური:**

— გარდაბნის ამბები თითქოს არავისთვისაა უცხო, მაგრამ გარდაბნელებს ხელისუფლების სათავეში ისევ „ნაციონალები“ რომ ჰგონიათ, ვფიქრობ, ეს საკითხი ყველას დააინტერესებს და შესაბამისი რეაგირებაც უნდა მოჰყვეს.

დღეს ჩვენი თქვენთან მოსვლის მიზეზი მხოლოდ ერთია: დავეხმაროთ პრემიერს, რომ შეცდომაში არ შეიყვანონ და მისმა დაინტერესებამ გარდაბნის საქმით ამაოდ არ ჩაიაროს.

**ჯანო დადეშქელიანი, ფეიქრიშვილი, ლილუაშვილი — ესენი არიან ადამიანები, რომელთა დევიზიც არის „ჩვენ დავბრუნდებით!“. ისინი მიზნის მისაღწევად ყველაფერს აკეთებენ და დღეს, როცა ხელისუფლება უკვე შეცვლილია, „ოცნების“ სახელით ისეთ საქმეებს სჩადიან, ლაპარაკიც კი მოგერიდება.**

**— რა ხდება ასეთი?**

— საჯარო სამსახურებში დასაქმებულ ადამიანთა გარკვეულმა ნაწილმა დღემდე არ იცის, ოფიციალურად არიან თუ არა გაფორმებული; უმუშევართაგან თუ ვინმეს გაუმართლა და სადმე დასაქმდა, გამუდმებით იმის შიშშია, როდის მოხსნიან. ამ ადამიანებს რამდენიმეთვიან ხელშეკრულებებს უფორმებენ და მერე უწევთ ხვეწნა-მუდარა, ვადა გაუგრძელონ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ რამდენიმე ადამიანის სურვილზეა დამოკიდებული, არავინ უყურებს შრომის კოდექსს ან შესრულებულ სამუშაოს.

გვქონდა ინფორმაცია, რომ გამგებელი ნუგზარ ჩადუნელი შესაბამის სამსახურებს აძლევდა დავალებას, მოეხსნათ ესა თუ ის ადამიანი, ან სულაც წარუდგენდა სიას — ამა და ამ სამსახურდან ამდენი კაცი უნდა გაუშვათო. ეს დღემდე გრძელდება. სამსახურებიდან, ძირითადად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ხსნიან. ჰქონდათ პირდაპირი დავალება, რომ გაეშვათ ხუთი რწმუნებული. ეს პროცესი დაიწყეს სოფელ კრწანისიდან და ყველგან გავრცელდება.

**— „ქართულ ოცნებას“ თავისი კადრები არ ჰყავს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მაინტერესებს, ხელისუფლებასთან ამბის მიმტანი ადამიანი თუ გყავთ.**

— „ოცნებას“ კადრები, რა თქმა უნდა, ჰყავდა. ეს ადამიანები ჩვენ ვიყავით. „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში მათ ოპოზიციაში ვიდექით, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისთანავე კი მის გუნდში გადავედით. თავდაპირველად ყველაფერი კარგად იყო, რადგან მამუკა არეშიძე გვხელმძღვანელობდა, მერე უკვე, **როდესაც არეშიძის ნაცვლად გელა ხვედელიძე დანიშნეს, ჩვენი „დაბლოკვა“ დაიწყო და „ნაცებით“ ჩაგვანაცვლეს. ხვედელიძის გარდა, მათ ერთი „საოცარი“ პიროვნება ჰყავთ — მალხაზ მჭედლიშვილი, რომელიც ირაკლი მელაშვილის ხელდასმულია. ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებენ, რათა გარდაბანში ვერავინ იგრძნოს ახალი ხელისუფლების არსებობა. ჩვენს რაიონში ზუსტად ისეთი ვითარებაა, როგორიც „ნაცების“ დროს იყო, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმხანად მტერსა და მოყვარეს ვარჩევდით.** აქამდე ხმასაც ვერ ვიღებდით, ახალ ხელისუფლებას ხელი არ შევუშალოთ-თქო. არადა, პირველივე დღიდან პროტესტის განცდა გაგვიჩნდა.

**1 ოქტომბრის შემდეგ გარდაბანში „ნაციონალების“ ადრინდელი პაიკები ლაზიერები გახდნენ. ჩვენი ინიციატივების, შეხედულებების, კანდიდატების შერჩევის შესახებ დავით საგანელიძემ ყველაფერი მაშინაც იცოდა და ახლაც იცის, მაგრამ მაინც ხვედელიძე წყვეტს ყველაფერს.** სწორედ გელა ხვედელიძისა და თემურ ფეიქრიშვილის ინიციატივით დაინიშნა გამგებლად გელა ხუციშვილი, რომლის გათავისუფლების შემდეგ ამ ადგილზე მისი მოადგილე ჩადუნელი დასვეს. ასე რომ, ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა.

**— კი მაგრამ, ასეთი ვინ მფარველობს ამ ადამიანებს?**

— ფაქტია, რომ პატრონი ჰყავთ. ხუციშვილის მოხსნის მიზეზი გახდა, როგორც თვითონ ამბობს, მისი დაინტერესება მიწის ნაკვეთების მეპატრონეებით. ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რადგან მეპატრონეთა სხვადასხვა სახელს ამოფარებულნი არიან რეალური მფლობელები — ლილუაშვილი და ფეიქრიშვილი. ვფიქრობთ, რომ ლილუაშვილს ბევრი კომპრომატი აქვს ყველაზე და ამიტომ მის წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან.

ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები **ამბობენ, რომ უშიშროების წარმომადგენლები არიან. არ ვიცით, ვის აძლევს ხელს ასეთი ხალხის რაონის ხელმძღვანელებად დანიშვნა.** გარდაბნის ყველა მცხოვრებმა იცის, ვინ არის უშიშროების წარმომადგენელი და ვინ — აგენტი, ყველანი გაშიფრულნი არიან.

**ია მახათაძე:**

**— ჯანო დადეშქელიანზე ამბობენ, თეა წულუკიანის ნათესავიაო.**

— წულუკიანმა სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ მას ასეთი ნათესავი არ ჰყავს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დადეშქელიანები წულუკიანის ნათესავები არიან. ჯანო დადეშქელიანი მას ფარად იყენებს.

**— როგორ ჩაიარა საპრეზიდენტო არჩევნებმა? პროცესს ეს ადამიანები ხელმძღვანელობდნენ თუ „ოცნებამ“ სხვა ხალხი ჩარია?**

— შარშან, აგვისტოში, გამგებლის მოადგილედ დაგვინიშნეს თენგიზ მიროტაძე — დმანისის ყოფილი გამგებელი. ამ ადამიანმა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები ხმების 80%-ით მოიგო. წარმოიდგინეთ, რა დაგვემართებოდა, მაგრამ ხმაურის ატეხვას ვერიდებოდით.

ადამიანი კი, რომელმაც გარისკა და 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ თავისი სახლი ოფისად მიაქირავა, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

**— ვინ არის ეს ადამიანი?**

— ტელმან გასანოვი.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ღარიბაშვილი გარდაბანში არსებულ ვითარებას გამოიძიებს და შედეგიც გვექნება. **მთავარია, ისეთი ადამიანი გამოუშვას, რომლის გადაბირებასაც ფეიქრიშვილი ვერ შეძლებს. არ შეიძლება, სპეცსამსახურების თანამშრომლები მართავდნენ რაიონებში სიტუაციას.** მათ არ შეუძლიათ ადამიანებთან ურთიერთობა, ისინი სამეურნეო საქმეს ვერ გააკეთებენ.

**ამ ადამიანების მიზანი „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნებაა.**

ახლა სოფელ კრწანისის რწმუნებულად დანიშნეს ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც არავითარი დამსახურება, განათლება, ცოდნა არ აქვს. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ის დადეშქელიანის მანქანიდან არ გადმოსულა, **მომკალით და არც ერთი „ნაციონალის“ „გაოცნებების“ არ მჯერა. ისინი მხოლოდ თანამდებობებს იცვლიან და „ოცნების“ სახელით მოქმედებენ.**

**ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება, ამ არჩევნებში „ნაცები“ შეეცდებიან, რომ უკან დასაბრუნებელი გზა გაისუფთაონ, ამიტომ ცოტა მაგრად უნდა დავდგეთ.** ბოლოსდაბოლოს, საშველი ხომ უნდა დაგვადგეს?! დაფარული არაფერია, ყველამ ყველაფერი იცის. ნუთუ ძნელი გასარკვევია, ვინ დგას ამ ადამიანის უკან? თვითონ მჭედლიშვილს იმდენი ტვინი არ აქვს, რომ გადაწყვეტილება მიიღოს.

გარდაბანში დღემდე ეჭვობენ, რომ უსმენენ, დააბეზღებენ, სამსახურიდან დაითხოვენ და ა. შ.

ერთხელ ირაკლი მელაშვილს ვუთხარი, შეხვედრა და საუბარი მინდა-მეთქი. მიპასუხა: შენ ბურჯანაძის პარტიის წევრი ყოფილხარო. გადავირიე, ვინც არ უნდა ვიყო, კანცელარიის თანამშრომელია და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეს არ უნდა მოუსმინოს? თუმცა, ძალიან კარგად იცოდა, რომ მე „ქართული ოცნების“ წევრი ვიყავი და არა ბურჯანაძის პარტიის.

ახლა ინფორმაცია გვაქვს, რომ გამგებლად დადეშქელიანს ნიშნავენ. ან რისთვის ხსნიან ამ ადამიანებს, ან რისთვის ნიშნავენ, არავინ იცის, ამ ყველაფერში მთავარი არის ის, რომ არც ერთი მათგანი „ქართული ოცნების“ ნამდვილი და ერთგული წევრი არ არის.

**„ოცნების“ რიგებში „ნაცების“ შემოსვლას ხელი დიდწილად ზვიად ძიძიგურმაც შეუწყო. იმ ბანდის სიის პირველი ნომერი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ზვიად ძიძიგურია.**

**დოდო ბერაია, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი:**

— ასეთი ამბავი, როგორც ჩანს, მარტო გარდაბანში არ ხდება, მგონი, მთელ ქვეყანაში ასეთი ვითარებაა. **ჩვენ, ზოოვეტის თანამშრომლები, ვეტერინალური კლინიკის დაბრუნებას ვითხოვდით, კლინიკას მაინც რომ ემუშავა. იცით, ამ საქმეში წინააღმდეგობა ვინ გაგვიწია? — ჯანო დადეშქელიანის მეგობარმა მღვდელმა — მამა მოსემ (ჭელიძე). მან გამომიცხადა, კლინიკა მე უნდა გადმომცენ და იქ მოხუცთა და უმწეოთა თავშესაფარი უნდა გავაკეთოო.** სამების საკათედრო ტაძარში მივედი და შევეცადე, გამერკვია, რა ხდებოდა. იქ მითხრეს, ძალიან კარგი საქმის წამოწყება გდომებიათ და მამა მოსე რატომ გიშლით ხელსო? მამაოს გარდაბნის გამგეობა უფინანსებს ამ წამოწყებას, მამაოსაც და მის დამფინანსებლებსაც ავუხსენი, რომ კლინიკის ტერიტორიაზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი თავშესაფარის გაკეთება, რადგან იქ უამრავი მიკრობია, იქ არის ე. წ. ჩეხური ორმო, სადაც დამარხულია ავადმყოფობით მკვდარი ცხოველები. ასეთ ტერიტორიაზე 150 წლის განმავლობაში არ შეიძლება ადამიანის საცხოვრებელის აშენება, კანონით იკრძალება.

**ამას წინათ მამაოს საცხოვრებელთან წყლის მილი გასკდა და „ნაციონალებმა“ შეაკეთეს. ნეტავ, გენახათ, რა სიამაყით განაცხადა: „ხომ გეუბნებოდით, ისევ „ნაციონალები“ მოვლენ!“.**

ამ ვითარებას დიდხანს ვერ მოვითმენთ, რასაც დაგვპირდნენ, უნდა შეასრულონ, თუ არ შეასრულებენ, ველარ გაგვაჩერებენ!

---

**ვეშ დგას, ეს არის ერთი ადამიანის ხათრით არჩეული პარლამენტი.**

**— რას ფიქრობთ მერების არჩევისთვის საჭირო 40%-იან ბარიერზე? როგორც მახსოვს, „ნაცების“ დროს რვიანის ფორმატში მომუშავე პარტიები ბარიერის 30-დან 50%-მდე გაზრდას ითხოვდნენ.**

—კი, ეს ძალიან აქტუალური თემაა. ყველას გვახსოვს, რა იყო მაშინ “რვიანის” მოთხოვნა. იმხანად „ნაცებზე“ დარტყმის პირველი მიმართულება სწორედ ეს საკითხი იყო; ყველანი ამბობდნენ ერთ რამეს: „ნაცებს“ 30%-იანი ბარიერი იმიტომ სჭირდებათ, რომ დაბალრეიტინგიანი კანდიდატები ნერვების აუშლელად გაიყვანონო. 40%-იანი ბარიერის შემთხვევაში, კანდიდატი არალეგიტიმური იქნება, რადგან ის მისაღებია არა უმრავლესობისთვის, არამედ უმცირესობისთვის.

**ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ხელისუფლებას ეშინია ადგილობრივი არჩევნების, რადგან მათი რეიტინგი დღითიდღე კატასტროფულად ეცემა. სწორედ ამიტომ ცდილობენ, მინიმალური შესაძლებლობებით გაიყვანონ თავიანთი ხალხი მომავალ არჩევნებში.** ხელისუფლებამ წულუკიანის ხელით სამართლიანობის აღდგენის შეჩერების პროცესს ხელი უკვე მოაწერა. ეს ფაქტია, მაგრამ მათ შეეძლოთ თავიდან დაეწყოთ სამართლიანი ქვეყნის მშენებლობა, თუმცა არც ეს ისურვეს.

---

**— სამართალდამცავ ორგანოებს თუ მიაწოდეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადამიანები, რომლებიც კეზერაშვილს და შემდეგ უკვე ახალაიას იარაღით უკანონო ვაჭრობაში ხელს უწყობდნენ, დღემდე თავდაცვის სამინისტროში მუშაობენ?**

— **სამართალდამცავებმა ყველაფერი იციან ურიდიას, ფიჩხუას, ასლამაზიშვილის საქმიანობის შესახებ.** ჩვენი ერთდაერთი მიზანი, როგორც გითხარით, დამნაშავეების დასჯაა. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა, ეს საერთაშორისო დონის დანაშაულია, რომელზეც ყველამ პასუხი უნდა აგოს.

**— რა ბედი ელის სააკაშვილს?**

— რა ბედი ელის სააკაშვილს, ამაზე დაფიქრებაც კი სირცხვილია, რადგან თემურ ალასანია და მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ არიან დაკავშირებული იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმესთან. მათ საქართველო ბაზად გამოიყენეს.

**— კეზერაშვილის ადვოკატები ბოდვას უწოდებენ იარაღით ვაჭრობაში მის დადანაშაულებას.**

— კეზერაშვილის ადვოკატებს ვურჩევ, რომ ჩვენ მიერ წარდგენილ დოკუმენტებს გაეცნონ და მერე ილაპარაკონ. კლინტონმა წერილი აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელს მისწერა, რომელიც საქართველოში ამერიკის საელჩოში ზის.

---

## «ოცნების» რიგებში «ნაცების» შემოსვლას ხელი დიდწილად ზვიად ძიძიგურმაც შეუწყო. იმ ბანდის სიის პირველი ნომერი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ზვიად ძიძიგურია»

გვერდები მოამზადა **ეკა ნასყიდაშვილმა**

## ინტერვიუ

**„როდესაც ამ საქმის გამოძიება დასრულდება, უამრავი ადამიანი, მათ შორის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი და დღეს ციხეში გამომწყვდეული შს ყოფილი მინისტრი მერაბიშვილი, აუცილებლად აგებენ ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე პასუხს... ეს არის ჯგუფური, პოლიტიკური, სახელმწიფოს მიერ ჩადენილი მკვლელობა, რის გამოც უამრავ ნაცლიდერს მოხვდება მათრახი.“**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხათუნა ხოფერია:**

# ზურაბ ჟვანია მოკლულია და ამის გამო, სულ ცოტა, 15 მაღალჩინოსანი დაისჯება!

**2014 წლის 3 თებერვალს 9 წელი შესრულდება საქართველოს პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან. ეს სკანდალური საქმე, რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს, დღემდე არ არის გახსნილი. ახალი ხელისუფლების პირობებში ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ ჟვანიას საქმეს სწრაფად გამოიძიებდნენ, მაგრამ... გარდაცვლილი პრემიერის ახლო მეგობარი და თანაგუნდელი ხათუნა ხოფერია ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმის გარემოებებზე გვესაუბრება...**

— 7-8 წლის განმავლობაში ზურაბ ჟვანიას საქმე „ნაციონალური მოძრაობის“ კონტროლქვეშ იყო და იმჟამინდელ პრეზიდენტ სააკაშვილს პირად კონტროლზე ჰყავდა აყვანილი. **ამ ხნის განმავლობაში უამრავი რამ შეცვალეს — სამხილები გააქრეს და სურთ, საზოგადოებამ ის აბსურდული ვერსია დაიჯეროს, ზურას გარდაცვალებიდან 15 წუთში, დილის 8 საათზე ტელევიზიით ივანე მერაბიშვილმა რომ გაავრცელა.**

ყველაფერი ხელახლა იქნებოდა დასაწყები და, ალბათ, ამიტომაც გაგრძელდა ამდენ ხანს ჟვანიას საქმის გამოძიება. გამქრალი სამხილების მოძიებას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდებოდა. თანაც, ზურას ოჯახის წევრებისგანაც ვიცი, რომ არ აძალებენ პროკურატურას, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიეთ ეს საქმეო; მოთმინებით ელიან დღეს, როდესაც, ერთხელ და სამუდამოდ, საქართველოს პრემიერმინისტრის მკვლელობა გახსნილად გამოცხადდება.

მესმის, რომ ამ საქმეს საზოგადოების მხრიდან დიდი ვნებათაღელვა ახლავს თან. ათას რამეს ამბობენ და წერენ. ითქვა, ჟვანიას საქმე გახსნილია და ბიძინა ივანიშვილის მაგიდაზე დევსო, რაც აბსურდია. რა უნდა ზურაბ ჟვანიას საქმეს ბიძინა ივანიშვილის მაგიდაზე? ისიც კი თქვეს, ზურაბ ჟვანიას მეუღლე და ძმა წინააღმდეგი არიან, პროკურატურამ უკვე გახსნილი საქმე გამოამზეუროსო. ეს ყველაფერი არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაყრილი ხმები, რადგან ისინი დღესაც ზუსტად ისე მოქმედებენ, როგორც ზურას გარდაცვალების დღიდან მოქმედებდნენ. გახსოვთ, ალბათ, რა სიბინძურეებსაც ავრცელებდნენ, ამიტომ ნუ ავყვებით მოარულ ხმებს. ბოლოსდაბოლოს, ზურას ახლობლებსაც გვაქვს უამრავი ინფორმაცია, საკმაოდ მყარ არგუმენტებზე დამყარებული ვერსიები და ზუსტად ვიცით, **როდესაც ამ საქმის გამოძიება დასრულდება, უამრავი ადამიანი, მათ შორის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი და დღეს ციხეში გამომწყვდეული შს ყოფილი მინისტრი მერაბიშვილი, აუცილებლად აგებენ ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე პასუხს. დიახ, ზურაბ ჟვანია მოკლულია და ამის გამო არა მხოლოდ ეს ადამიანები, სულ ცოტა, 15 კაცი მაინც დაისჯება!**

**ეს არის ჯგუფური, პოლიტიკური, სახელმწიფოს მიერ ჩადენილი მკვლელობა, რის გამოც უამრავ ნაცლიდერს მოხვდება მათრახი.** საუბარი იმაზე, რომ მათ შემთხვევით შემოაკვდათ ზურა, აბსურდია. მგონია, რომ **მოხდა ინციდენტი, რის შემდეგაც საჭირო შეიქნა ზურას მკვლელობა. რაულ იუსუპოვი კი საჭირო გახდა იმ ბინძური სურათის შესაქმნელად, რომელიც „ნაცმოძრაბამ“ შეთხზა.**

— **საზოგადოებას გია ბარამიძესთანაც აქვს კითხვები, თუმცა ის რამე კავშირსაც კი უარყოფს ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმესთან...**

— გია ბარამიძემ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იცის, მაგრამ ამ მკვლელობაში მისი დადანაშაულება წარმოუდგენელია. **ბარამიძემ, სხვების მსგავსად, დუმილის სანაცვლოდ გარანტიები მიიღო და ამიტომაც არის ჩუმად, თუმცა, მგონია, რომ, ადრე თუ გვიან, დადგება დრო და გია ბარამიძე სიმართლეს იტყვის.**

რას არ დავთმობდი, ოღონდაც ზურა ცოცხლი ყოფილიყო, რადგან ზუსტად ვიცი, რომ ქვეყანაში სულ სხვა ვითარება იქნებოდა. ისიც ვიცი, „ნაცმოძრაობა“ ვერ შეძლებდა 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნას. მათ მიერ დამყარებულ დიქტატურასა და ბაკქანალიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— **თქვენი აზრით, რატომ მოიშორეს ზურაბ ჟვანია?**

— იმიტომ, რომ **სააკაშვილს ზურაბ ჟვანიასი ეშინოდა, რადგან იგი ვერც ინტელექტით, ვერც ურთიერთობებით, ვერც პოლიტიკური ალღოთი თუ პროგნოზირების ნიჭით ვერ უტოლდებოდა ზურაბს.** სააკაშვილისგან განსხვავებით, ზურა იყო კაცი, ვაჟკაცი, მეგობარი და თანამოაზრე. სააკაშვილის ასევე ეშინოდა ზურას გუნდის, რომელიც საკმაოდ ძლიერი და ერთგული იყო. სააკაშვილის გარშემო კი არსებობდნენ ზურა ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც არც ინტელექტით და არც განათლებით არ გამოირჩეოდნენ და არც პოლიტიკაში ბრწყინავდნენ. სააკაშვილი ხვდებოდა, რომ ზურა მასზე წონიანი პოლიტიკოსი იყო და ხელს არ აძლევდა ასეთი კაცის არსებობა. დიახ, **იმთავითვე ფსიქიკურად გაუწონასწორებელ სააკაშვილში ზურასნაირი ადამიანები შიშს ბადებდნენ. უნდა გენახათ, როგორი არარაობა იყო სააკაშვილი ზურას გვერდით, უნდა გენახათ სააკაშვილის სახე, როდესაც ზურა მის პოზიციას არაფრად აგდებდა — შეგეცოდებოდათ.**

ერთ ამბავს გიამბობთ: ზურა მინისტრთა კაბინეტის სხდომას ატარებდა. ამასობაში მე მისი თანაშემწე გოგოების ოთახში ვიჯექი. ეს სხდომა რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როდესაც ტელევიზიით გამოაცხადეს სოფლის მეურნეობის მინისტრის, გია შერვაშიძის, დაპატიმრების ამბავი. იმხანად სააკაშვილმა სატელევიზიო დაპატიმრებები მოდური გახადა. როცა ეს ინფორმაცია მყისიერად აცნობეს ზურას, მან შეაჩერა მთავრობის სხდომა, დაურეკა სააკაშვილს და უთხრა, რომ მინისტრთა კაბინეტის სხდომას არ ესწრებოდა ერთ-ერთი მინისტრი და, ვიდრე ეს მინისტრი არ მივიდოდა, მთავრობის სხდომას არ გააგრძელებდა. მახსოვს, დაახლოებით 20 წუთში გია შერვაშიძე მოვიდა და ზურამ გააგრძელა მთავრობის სხდომა. ამით ჟვანიამ სააკაშვილი დააყენა ფაქტის წინაშე, რომ ასე ვეღარასდროს მოიქცეოდა.

იმხანად სატელევიზიო დაჭერები მეხის გავარდნასავით იყო, ზურას გარდაცვალების შემდგომ კი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. გახსოვთ, ალბათ, 2004 წელს როგორ დაფრინავდა მთვრალი სააკაშვილი პარიზიდან მილანში ან პირიქით, თან ვიღაცებს დააწანწალებთა. ხან ციგით სრიალებდა და ხანაც საბავშო ბაღებში ჭამდა. მახსოვს, თვითმფრინავის ტრაპთან საკმაოდ შეზარხოშებული სააკაშვილი როგორ იძლეოდა იდიოტურ კომენტარებს. დიახ, **2004 წელს, ვიდრე სააკაშვილი აქეთ-იქით დაბოდიალობდა, ქვეყანას ზურაბ ჟვანია მართავდა, სააკაშვილის მიერ გაფუჭებულ საქმეებს აგვარებდა და ქვეყანა კრიზისიდან გამოჰყავდა. მაგრამ სააკაშვილსა და მის გუნდს ზურასნაირი პრემიერი და ნორმალური საქართველო არ სჭირდებოდათ.**



როგორი ქვეყანა და პრემიერიც უნდოდათ, ბოლო 9 წლის განმავლობაში ვიხილეთ. ზოგს პანღურს ურტყამდა, ზოგსაც — ალიყურს და ასე მართვდა სააკაშვილი საქართველოს ჟვანიას თავიდან მოცილების შემდეგ.

ზურას დაღუპვა ჩემთვის შოკი იყო. დილაადრიან ჩემმა ძმამ შემატყობინა და ვერც კი გავაცნობიერე, რა მოხდა. მაშინვე ზურას სახლში მივვარდი... **გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას მაკიაჟი მე გავუკეთე და საკუთარი თვალით ვნახე, რომ კეფაზე, თხემის ძვალთან ჰქონდა მოგრძო და ღრმა ჭრილობა, რომელსაც მარჯვენა მხარეს სილურჯე ემჩნეოდა. მაშინვე ვანახე ეს ჭრილობა ხათუნა გოგორიშვილს და ვკითხე, ზურას ტრეპანაცია თუ გაუკეთეს-მეთქი. მიპასუხა, მგონი, არაო.**

> **«გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას მაკიაჟი მე გავუკეთე და საკუთარი თვალით ვნახე, რომ კეფაზე, თხემის ძვალთან ჰქონდა მოგრძო და ღრმა ჭრილობა, რომელსაც მარჯვენა მხარეს სილურჯე ემჩნეოდა. მაშინვე ვაჩვენე ეს ჭრილობა ხათუნა გოგორიშვილს და ვკითხე, ზურას ტრეპანაცია თუ გაუკეთეს-მეთქი. მიპასუხა, მგონი, არაო»**

— **პრემიერის გარდაცვალების შესახებ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნაზე როგორი რეაქცია გქონდათ?**

— ამ დასკვნაზე მე კი არა, თავის დროზე ხათუნა გოგორიშვილსა და გია ბარამიძესაც უამრავი კითხვა ჰქონდათ. იმხანად ჩემთვის ეს დასკვნა არ იყო ხელმისაწვდომი და ყველა ინფორმაციას ხათუნასა და გიასგან ვიღებდი და სამივე ერთ პოზიციაზე ვიყავით. მათგან გავიგე, რომ 5 პარამეტრი უნდა ყოფილიყო შენობაში დაცული, ადამიანი გაზით რომ მოწამლულიყო. ფანჯრები ჰერმეტულად უნდა ყოფილიყო დახურული, ფარდები სქელი ქსოვილისა უნდა ყოფილიყო, ქარის მიმართულებაც კი იყო მითითებული და ა. შ. გია და ხათუნა ამბობდნენ, რომ იმ ბინაში ხის ძველი კარ-ფანჯარა იყო და არც სქელი ფარდები ეკიდაო, მაგრამ ცოტა ხანში ამ ადამიანებს რაღაც დაემართათ და მთლიანად შეიცვალეს პოზიცია. იმასაც მივხვდი, რომ ამ ადამიანებთან არათუ ურთიერთობა, არამედ მათთვის კითხვის დასმაც წყლის ნაყვა იყო. ასე რომ, აღარ მაინტერესებდა, რა დაასკვნა ეფბიაი-მ და რა — საქართველოს პროკურატურამ. **სიმართლე იყო ის, რომ პრემიერი მოკლეს და ძიება არ მიმდინარეობდა.**

— **„ნაცმოძაობის“ წევრებმა პრემიერის გარდაცვალებიდან მალევე, მის ოჯახთან კონტაქტი შეწყვიტეს...**

— არ მითხრათ, რომ სინდისმა შეაწუხათ და იმიტომო. მათ სურდათ, ზურას ოჯახის წევრებიც დაეყოლიებინათ იმ ვერსიაზე, რომელიც თვითონ გაავრცელეს. ზურას ოჯახი კი არ ჩუმდებოდა, არც თვალი დახუჭეს მომხდარზე და არც ფინანსურ შეთავაზებას დათანხმდნენ. **მეტი რა ექნათ, ჟვანიას ოჯახსაც ხომ არ მოუწყობდნენ ლიკვიდაციას? თუმცა, საშუალება რომ ჰქონოდათ, ამასაც სიამოვნებით გააკეთებდნენ.** ამიტომ ერთადერთი დარჩათ ის, რომ სრული იგნორირება გამოეცხადებინათ ზურაბ ჟვანიას ოჯახისთვის. სააკაშვილმა დაამკვიდრა ტენდენცია, თუ ჟვანიას ოჯახთან გაქვს ურთიერთობა, ე. ი. ჩვენი მტერი ხარ. აი, ამის გამო შეწყვიტეს ურთიერთობა.

— **მაინც რატომ მოკლეს ზურაბ ჟვანია?**

— 2004-2005 წლები საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების პერიოდი იყო. იმხანად არა მხოლოდ პოლიტიკის, ბიზნესის გადანაწილებაც ხდებოდა. ასპარეზზე გამოვიდნენ ფინანსურად დაინტერესებული პირები, როგორიც იყო, მაგალითად, სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია, ირაკლი ოქრუაშვილი და კეზერაშვილი, ახალაიების ოჯახი, ვანო მერაბიშვილი... ამ ადამიანებს შორის დაიწყო ბრძოლა. ისინი „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ ცდილობდნენ გავლენის ბერკეტების მოპოვებას. **თემურ ალასანია კი ცდილობდა, თვითონ გაეკონტროლებინა საქართველოში ეკონომიკური ბერკეტები. თემაზე, რატომ შეეშინდა თემურ ალასანიას ზურაბ ჟვანიასი, ძალიან საინტერესოდ საუბრობს ირაკლი კაკაბაძე. ის ამბობს, რომ ჟვანიას მკვლელობა უკავშირდება იარაღით ვაჭრობას, რომელსაც უშუალოდ თემურ ალასანია განაგებდა.** დარწმუნებულ ვარ, ზურა ნამდვილად არავის მისცემდა უფლებას, ასეთი შავი ბიზნესი ეკეთებინა თავის ქვეყანაში.

— **სხვათა შორის, ირაკლი კაკაბაძემ თავის ნაწარმოებ „მარგინალურ ბოდვებში“ აღწერა სიტუაცია, როგორ დაიგეგმა ამერიკაში, თემურ ალასანიას ბინაში, ჟვანიას მკვლელობა, რომელსაც შემთხვევით შეესწრო და მოითხოვდა კიდეც, რომ ამ საკითხზე პროკურატურას დაეკითხა.**

— ირაკლი ზურას მეგობარი იყო და მისი ნათქვამი დამაფიქრებელი და სანდოა.

— **თქვენ არ დაგკითხათ პროკურატურამ?**

— წესით, ზურას კეფაზე ნანახი ჭრილობის თაობაზე უნდა დაინტერესებულიყვნენ და დავეკითხეთ, მაგრამ ეს ჯერ არ მომხდარა.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„საქართველოში შრომის ნაყოფიერებისა და პროფესიონალიზმის უზარმაზარი დეფიციტია ყველა სფეროში. ერთ ადამიანს ვერ იპოვით, ბიზნესგეგმის დაწერა რომ შეძლოს, იშვიათად ესმის ბოლომდე ვინმეს, რაზეა ლაპარაკი და რას მოითხოვენ მისგან“.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ემზარ ჯგერენაია: ვიდრე დასაქმების პრობლემა არ მოგვარდება, წინსვლა არ გვიწერია!

**„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებში ერთ-ერთი მთავარი საკითხი დასაქმების პრობლემა იყო. ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში დიდი ზარ-ზეიმითა და იმ იმედით მოიყვანა, რომ სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად ქვეყანა სიღატაკეს დაძლევდა, სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა და ადამიანები დასაქმდებოდნენ, მაგრამ ამ მხრივ ვითარება არათუ გაუმჯობესდა, არამედ უარესობისკენ შეიცვალა... მოქალაქეთა დასაქმების პრობლემაზე ეკონომიკის ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის პროფესორი, ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი ემზარ ჯგერენაია გვესაუბრება:**

— ჩვენ, ქართველებს, გვგონია, რომ საუკეთესოდ ვიცით ორი რამ — ფეხბურთი და ეკონომიკა, მაგრამ ეს ორივე სფერო ჭაობშია ჩაფლული. რეალურად არავინ იცის, რა არის დასაქმების პროგრამა. საქართველოში 2,2 მილიონი ზრდასრული შრომისუნარიანი მოსახლეა, 15-16 წლის ახალგაზრდების ჩათვლით კი მათი რაოდენობა 2,8 მილიონს შეადგენს. მათგან 700 ათასამდე ადამიანი, პირობითად — მყარად, კონტრაქტით არის დასაქმებული სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კერძო ბიზნესში. დასაქმებულთა მეორე კატეგორიაში შედის 1,2 მილიონი ადამიანი, რომელთაც აქვთ მიწის ნაკვეთი, საკუთარი ტაქსი, ზრდის გოჭს, არის რეპეტიტორი და ა. შ. ეს ადამიანები მსოფლიოში მიღებული მეთოდიკით თვითდასაქმებულებად ითვლებიან, მაგრამ რეალურად, დაუსაქმებლები არიან, რადგან არასტაბილური და ძალიან მწირი შემოსავალი აქვთ. მათი რიცხვი კი ყოველთვის არის სპეკულაციის საგანი. საქართველოს მოსახლეობის მესამე კატეგორია — 400 ათასამდე ადამიანი, სრულიად უმუშევარია, მაგრამ მათ აღრიცხვა-კონტროლიც პრობლემურია და ეს ციფრები მხოლოდ ემპირიული დაკვირვების შედეგია. **მოქალაქეთა დასაქმების პრობლემა სამგანზომილებიანი კატეგორიაა, ამასთანავე, ყველაზე წარუმატებელი და გაუმჭვირვალე. ამ პრობლემის თავიდათავი და პირველი კატეგორია არის ჩვენი მენტალობა და არა სახელმწიფოს უუნარობა, მეორე — უმუშევრობა — ეკონომიკური პრობლემაა, რადგან, რაც მეტი ადამიანია დასაქმებული, მით უფრო მეტი შიგა პროდუქტი იქმნება, მეტი ფული შედის ბიუჯეტში და ქვეყანაც უფრო მდიდარია და მესამე — დასაქმება პოლიტიკური პრობლემაც არის, რადგან მეტი დასაქმებული ადამიანი მეტ ელექტორატს ნიშნავს, მეტ ხმას მიიღებ არჩევნებში და კიდევ კარგა ხანს იპარპაშებ ხელისუფლებაში.**

**— კერძო ბიზნესში უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული თუ სახელმწიფო სექტორში?**

— პროცენტულად, სახელმწიფო ორგანიზაციებში უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე კერძო ბიზნესში.

**— ხელისუფლებაში მოსვლამდე, ამჟამინდელი მმართველი გუნდის ერთ-ერთი დაპირება უახლოეს პერიოდში ასი ქარხნის შექმნა და უმუშევრობის პრობლემის დაძლევა იყო. დაპირება დაპირებად დარჩა...**

— შეცდომაა, როცა მთავრობის მეთაური ამბობს, რომ 90, 100 ან 120 საწარმოს შექმნის. უნდა შეიქმნას იმდენი საწარმო, რამდენსაც ბაზარი მოითხოვს, **მთავარია, ბიზნესმენს ჰქონდეს თავისუფალი ასპარეზი, გაიზარდოს კონკურენტუნარიანი ორგანიზაციების რიცხვი, ნეპოტიზმმა და პარტიული ნიშნით შერჩევამ არ წალეკოს ქვეყანა და თქვენ, თუ ღირსეული კადრი ხართ, თანაბარ პირობებში, ღირსეულად შეძლოთ თქვენი უპირატესობის წარმოჩენა იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ნათესავ-მეგობრობით შეარჩიეს. აი, ეს არის მთავარი პრობლემა საქართველოში.** მეორე პრობლემა კი ინვესტიციების მოზიდვაა ინვესტორის დაინტერესების საფუძველზე და არა — დირექტივებით, რადგან ყოველი დირექტივა მარცხისთვის არის განწირული. პრობლემის მესამე მიმართულება მთავრობის მხრიდან მიგრაციის კანონის მიღებასა და ვიზების რეჟიმის გამარტივებას მოითხოვს, რათა ქართველმა უცხოეთში ლეგალურად იშოვოს სამსახური, რაც, გარკვეულწილად, ჩვენს ქვეყანას წაადგება. უცხოეთიდან გამოცდილი სპეციალისტებიც დაგვიბრუნდებიან და ფულიც, რაც წმინდა ექსპორტის ტოლფასია. თუ ამ სამ ძირითად პრობლემას წარმატებით გავართმევთ თავს, ასი საწარმოც შეიქმნება და ორასიც. **ცოტანი ვართ ქართველები და ძალიან მარტივია ჩვენი დასაქმება,** თუმცა არსებობს მეოთხე პრობლემაც, მასში რამდენიმე საკითხს გავაერთიანებდი: **ეს არის მენტალობა, განათლება და შრომის ნაყოფიერება.**

**«მთელი ქვეყანა ეძებს კარგ თანამშრომელს, მაშინ, როცა მთელი ქვეყანა უმუშევარია»**

**— მენტალობის პრობლემაში რას გულისხმობთ, ბატონო ემზარ?**

**— ჩვენ არ ვიცით, რა არის დისციპლინა; არ ვიცით, რომ ცხრა სამუშაო საათი ნიშნავს ცხრა სამუშაო საათს და, თუ ბავშვს ახველებს ან შეყვარებული გველოდება ვაკის პარკში, სამსახურს ვერ მივატოვებთ და ვერც ერთი წუთით ადრე ვერ წავალთ.** არა ვართ კონცენტრირებული იმაზე, რა სარგებლობას მოვუტანთ ამა თუ იმ კომპანიას, იმაზე ვფიქრობთ მხოლოდ, — რას მოგვიტანს იგი ჩვენ, მაგრამ ასეთი მიდგომით კომპანია რომ დაიხურება და ქუჩაში დავრჩებით, ამაზე არ ვფიქრობთ.

**— სააკაშვილის ხელისუფლებამ 35 წელს გადაცილებული ყველა შრომისუნარიანი ადამიანი „ჩარეცხა“ და ჩამოწერა. თუ დასაქმების ვებგვერდებს თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ დღესაც ბევრია „იუმორისტული“ განცხადება. მაგალითად, კომპანია ეძებს 35 წლამდე ჭურჭლის მრეცხავს და 40 წლამდე დამლაგებელს...**

— ეს იყო წინა ხელისუფლების უდიდესი შეცდომა და დანაშაულიც, რადგან ამ ადამიანების „ჩარეცხვით“ ქვეყანამ უზარმაზარი ეკონომიკური რესურსი დაკარგა. **30-დან 60 წლამდე ადამიანი მოსახლეობის ყველაზე დიდი ფენაა, ეს ისეთი რესურსია, როგორც ნავთობი, და, თუ მათ არ გამოვიყენებთ, ქვეყანას დავღუპავთ. შეუძლებელია, ის შეგნება და მოტივაცია ჰქონდეს 20-22 წლის ადამიანს, როგორიც მოწიფული ასაკის ადამიანებს აქვთ.** საბედნიეროდ, ბოლო ხანს შეიცვალა მათდამი დამოკიდებულება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდები არ უნდა დავასაქმოთ. 22 წლის საუკეთესო თანამშრომელიც მინახავს და 45 წლის თანამშრომელიც, რომელიც სრულიად უუნაროა.

**— გარდა ზემოხსენებული დაუძლეველი სენისა, რასაც ნეპოტიზმი ჰქვია, ხშირად თანამშრომლებს ფეხების სიგრძისა და გარეგნობის მიხედვით ირჩევენ. თქვენ რა კრიტერიუმით ასაქმებთ ადამიანებს?**

**«30-დან 60 წლამდე ადამიანი მოსახლეობის ყველაზე დიდი ფენაა, ეს ისეთი რესურსია, როგორც ნავთობი და თუ მათ არ გამოვიყენებთ, ქვეყანას დავღუპავთ. შეუძლებელია, ის შეგნება და მოტივაცია ჰქონდეს 20-22 წლის ადამიანს, რომელიც მოწიფული ასაკის ადამიანებს აქვთ»**

— გარეგნობის მიხედვით თანამშრომელთა შერჩევა მხოლოდ ფასადურია და ამ ნიშნით ადამიანების დასაქმება ბანკებში, ოფის-მენეჯერებად, მდივნებად, დღემდე წარმატებით ხორციელდება. **ერთხანს, საერთოდ, მოდელებით ჰყავდათ „სადაგასახადო“ დაკომპლექტებული. მოდელის გარეგნობის ახალგაზრდები ჰყავთ წამყვანებად ტელევიზიებშიც, რომლებსაც გამართული მეტყველება უჭირთ.** მსგავს ვითარებას ვერც ერთ უცხოურ ტელეარხზე ვერ ნახავთ. მერწმუნეთ, **ლამაზი ფეხებისა და ძუძუების გამო ტოპმენეჯმენტში თანამშრომელს არავინ ირჩევს. ასაკით, გარეგნობითა და ნათესავ-მეგობრობით თანამშრომელთა შერჩევა მახინჯი ფორმაა და უნდა აღმოიფხვრას.**

ჩემთვის და **ყველა დამსაქმებლისთვის, რომელთაც საკუთარი კომპანიის წარმატება უნდათ, თანამშრომლის ბეგრაუნდი, გამოცდილება, პროფესიონალიზმი და შრომის ნაყოფიერებაა უმნიშვნელოვანესი.** საქმე თუ არ იცის, შეიძლება ასწავლო ადამიანს, მაგრამ ამისთვის მას განათლება უნდა ჰქონდეს, ტვინის უჯრედები უნდა ჰქონდეს დანაოჭებული, რომ შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება შეძლოს. **უპირატესობას მოწიფული ასაკის თანამშრომლებს ვანიჭებ და ვფიქრობ, 40-50-60 წლის ადამიანებისთვის სპეციალური გადამზადების კურსები უნდა არსებობდეს, რომ სრულყოფილად შევძლოთ მათი რესურსის გამოყენება.** თანხა უნდა გამოიყოს იმისთვის, რომ ადამიანებს ფსიქოლოგიური დახმარება გავუწიოთ, სამსახურის მოძიებაში დავეხმაროთ ან თუნდაც აპლიკაციის შევსება ვასწავლოთ. მენტალური ცვლილებები უნდა მოხდეს ერში, თორემ სულ კურიოზულ სიტუაციაში ვიქნებით — მთელი ქვეყანა ეძებს კარგ თანამშრომელს, მაშინ, როცა მთელი ქვეყანა უმუშევარია — აი, პარადოქსი ქართული რეალობისა.

**— თვლით, რომ ქვეყანაში პროფესიონალი კადრების ნაკლებობაა?**

— **საქართველოში შრომის ნაყოფიერებისა და პროფესიონალიზმის უზარმაზარი დეფიციტია ყველა სფეროში. ერთ ადამიანს ვერ იპოვით, ბიზნეს-გეგმის დაწერა რომ შეძლოს, იშვიათად ესმის ბოლომდე ვინმეს, რაზეა ლაპარაკი და რას მოითხოვენ მისგან. ინტრიგა და ომი ყველგან არის, მაგრამ ვერ წარმომიდგენია კერძო ბიზნესის მფლობელი, რომელიც კარგ თანამშრომელს ჩაგრავს, რადგან, თქვენ, კარგ თანამშრომელს, მოგაქვთ ჩემთვის ფული და გიჟი უნდა ვიყო, რომ ოქროს კვერცხის მადებარი დედალი გავუშვა.**

22 წელია, უნივერსიტეტის პროფესორი ვარ და შემიძლია გითხრათ, რომ **მხოლოდ 10% გვყავს კარგი სტუდენტი, რომლებიც ფიქრობენ და აზროვნებენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.** ის პარადიგმა, რომელიც ეკონომიკურ მართვაში გაგვაჩნია, თავისუფალ ბაზარს მოითხოვს, მაგრამ თავისუფალი ბაზარი ქაოსს არ ნიშნავს. აქაც ოქროს შუალედია მოსაძებნი. **თანამედროვე საბაზრო კანონებით მოქმედებას რეგულირება სჭირდება და, თუ ამას არ გავაკეთებთ, მოვა ვინმე უცხოელი, ბიზნესს ხელში ჩაიგდებს და ბაზარს დახურავს.** ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად აუცილებელი პირობაა თავისუფალი შრომის ბაზარი, რომელიც ოპტიმალურად რეგულირებული უნდა იყოს. მსოფლიოს ყველა ნორმალურ ქვეყანაში მოქალაქეთა დამსაქმებელი, ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესია. მსხვილი ბიზნესი კი წარმმართველია, მაგრამ ის მხოლოდ 20-25 %-ით არის ბაზარზე წარმოდგენილი. ჩვენთან ეს პროპორცია დარღვეულია, ბაზარი კი — ჩაკეტილი, რადგან პოლიტიკური ელიტა ყოველთვის ცდილობს, ბიზნესი ხელში ეჭიროს.

**— იზიარებდა თუ არა ბიძინა ივანიშვილი ეკონომიკის ექსპერტთა რჩევებს და ითვალისწინებს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება თქვენს წინადადებებს?**

— ყველა მთავრობა ხვდება ექსპერტთა მუშა ჯგუფებს, მაგრამ ჯერ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრა არ გვქონია და მის დამოკიდებულებაზე ამა თუ იმ საკითხის მიმართ ვერაფერს მოგახსენებთ. **ბატონ ბიძინას კი შევხვდით თავის დროზე, ვესაუბრეთ, განვიხილეთ მთელი რიგი საკითხებისა და დავსახეთ გეგმები, მაგრამ შემდეგ, ვერ გეტყვით, რა მოხდა, რაღაც შეიცვალა და ჩვენს მცდელობას განვითარება არ მოჰყოლია.**

იმედია, ამ საკითხებით ხელისუფლებაც დაინტერესდება, გაითვალისწინებს რჩევებს და განიხილავს შეთავაზებებს, რადგან, ვიდრე დასაქმების პრობლემა არ მოგვარდება ქვეყანაში, წინსვლა არ გვიწერია, ყველა სხვა მცდელობა ამაო იქნება.

ესაუბრა
**ნონა ქარქაშაძე**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე ვამბობდი, რომ ბიძინა ივანიშვილი არ იყო კარგი ადამიანი, რაზეც ბევრს ეცინებოდა, დღეს კი ყველა მიხვდა, რომ მატყუარაა. ახლა რასაც ვიტყვი, კარგად დაიმახსოვრეთ: ბატონო ბიძინა, თქვენ ხართ მატყუარა! ამბობთ, საქართველოში არაფერი მიყიდიაო, მაგრამ ჩამოგითვლით, რაც იყიდეთ: ჩემი სამკერვალო ფაბრიკა იყიდეთ და გააკოტრეთ, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაც თქვენ შეიძინეთ და ასევე გააკოტრეთ, ფეხსაცმელის ფაბრიკა „ისანი“ იყიდეთ და გააკოტრეთ, მიწებიც ბევრს წაართვით და ა. შ.“

# ღალატის შუქ-ჩრდილები

**ბიძინა ივანიშვილმა პირველი, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისთანავე გააკეთა, იყო ის, რომ „ქართუ ჯგუფს“ გიორგი ჩრდილელი ჩამოაშორა. აი, რას წერს ყოფილი პრემიერი თავის პირველ ღია წერილში, რომელიც 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოაქვეყნა:**

**„მთელი მთავრობა, მთელი სახელისუფლო გუნდი გაოგნებული ხართ, თუ რატომ გაიგეთ ასე დაგვიანებით ინფორმაცია ჩემი პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების შესახებ. საქმე ის არის, მე ვისარგებლე ჩემს ორგანიზაციაში თქვენ მიერ დავერბოვკებული თქვენი აგენტის უფასო „მომსახურებით“, რომელსაც პერიოდულად ვარწმუნებდი, რომ პოლიტიკაში არასოდეს მოვიდოდი, რომ ეს სფერო საერთოდ არ მაინტერესებდა და მალე საქართველოსაც დავტოვებდი. თქვენი აგენტიც იჯერებდა ჩემს ნათქვამს და მერე თქვენც გარწმუნებდათ, რომ ჩემი მხრიდან პოლიტიკაში მოსვლა გამორიცხულია. თქვენც მშვიდად და არხეინად ბრძანდებოდით, ამიტომაც იყო შოკისმომგვრელი და თავზარდამცემი ჩემი განცხადება თქვენთვის“.**

**ეს აგენტი კი, ბიძინა ივანიშვილისვე თქმით, გიორგი ჩრდილელი იყო.**

**2013 წლის 26 თებერვლიდან სახელმწიფოს კუთვნილ შპს „თბილავიამშენის“ აღმასრულებელ დირექტორად „ქართუ ჯგუფის“ ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ჩრდილელი დაინიშნა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ამ საკითხზე საუბრისას იმხანად ჯერ კიდევ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, შემეცოდა და ამიტომ ვერ გავწირე ბოლომდეო...**

**ვინ არიან ძმები გიორგი და ლევან ჩრდილელები? მათ შესახებ ისაუბრებენ დაზარალებული ბიზნესმენები — ავთანდილ კვარაცხელია და გულიკო ერისთავი.**


ლევან ჩრდილელი


გიორგი ჩრდილელი

**«გიორგი ჩრდილელი თაღლითი და კრიმინალი, გამდიდრებისა და განდიდების მანიით შეპყრობილი ავანტიურიტია. არც ივანიშვილის მესმის — ადამიანს, რომელმაც ერთხელ უღალატა, გვერდით როგორ იყენებს? გული მწყდება, რომ ასეთ ადამიანებს აპარპაშებენ და წესიერ ადამიანებს ნიხლს ჰკრავენ»**



**ავთანდილ კვარაცხელია, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ ყოფილი დირექტორი:**

— მრავალი წელი ვიმუშავე რუსეთში, სარატოვის სამკერვალო ფაბრიკა „ვოლჟანკას“ მთავარ ინჟინრად. 1982 წელს გადმომიყვანეს თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის 5-მილიონიანი ვალი ჰქონდა. ორ წელიწადში ფაბრიკა ფეხზე დავაყენე. 6 წლის შემდეგ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში გადავედი სამუშაოდ. 1988 წელს ფაბრიკა „ამირანში“ გაიმართა დირექტორის არჩევნები, მივიღე მონაწილეობა და ხმების 96 პროცენტი მივაგროვე. მე და მერაბ კოსტავა ალალი ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვიყავით და სამკერვალო ფაბრიკის სახურავზე ეროვნული დროშა ავაფრიალეთ... მოგვიანებით ფაბრიკა ლესელიძის ქუჩიდან გმირთა მოედანზე მდებარე აბრეშუმის ფაბრიკის შენობაში გადავიტანეთ და ნულიდან დავიწყეთ მუშაობა. წელიწად-ნახევარში ფაბრიკა ფეხზე დავაყენე. უამრავი ტენდერი მოვიგე და თავდაცვის სამინისტროდან დაწყებული, შინაგანი ჯარებით დამთავრებული, ყველას ჩვენ ვუკერავდით სპეცსამოსს. მალე გავედით მსოფლიო ბაზარზე და ამერიკიდან, ბელგიიდან და გერმანიიდან მივიღეთ შეკვეთები. **ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე 1998 წლის შემოდგომაზე ბანკ „ქართუს“ ორი წარმომადგენელი არ მესტუმრა ფაბრიკაში. ერთ-ერთი იყო ვინმე გოგოლაძე, რომელმაც პირდაპირ განმიცხადა, ჩვენ ვართ ბანკ „ქართუს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის — გიგა ჩრდილელის ხალხი, დაინტერესებული ვართ გმირთა მოედნის, მათ შორის, თქვენი ფაბრიკის ტერიტორიითაცო. ვუპასუხე, ამ ფაბრიკის აშენებაში სისხლი ჩავაქციე და არ დავთმობ-მეთქი. დამემუქრნენ, — შენ და შენი ოჯახის წევრებს პრობლემებს შეგიქმნითო. ისეთი ტონით მელაპარაკნენ, თითქოს სამყაროს გამგებლები იყვნენ.** მართლაც, ერთი კვირის შემდეგ ფაბრიკაში შემოვიდა შსს-ს მე-6 განყოფილება.

**— მიზეზი რა იყო?**

— ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ დირექტორ თამაზ სიგუას, რომელიც 1983 წელს დაპატიმრებას გადავარჩინე, ჩემ წინააღმდეგ განცხადება შეუტანია, — ფაბრიკა „ამირანს“ ჩემი საწარმოს 5 ათასი ლარის ვალი აქვსო. ჩემს თანამშრომელს მართლაც ჰქონია წამოღებული „ნარიყალადან“ 5 ათასი ლარის ღირებულების ფეხსაცმელი. სწორედ ამის გამო ჩემ წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე და გამათავისუფლეს დირექტორის თანამდებობიდან. მართალია, ეს საქმე შეწყდა, მაგრამ მე-6 განყოფილება ფაბრიკიდან აღარ გავიდა. მოგვიჩინეს აუდიტორი, ვინმე გურამ ბექაური, მან აღმოაჩინა, რომ ფაბრიკას 2865 ლარი ჰქონდა დავალიანება და დაასკვნა, ეს თანხა 175 ათას დოლარს უდრისო. მოკლედ, რა შეკრიბა, რა გამოაკლო, რა პროცენტები დაარიცხა, კაცმა არ იცის. ეს შეთითხნილი სისულელე ბექაურმა პროკურატურაში გაგზავნა და 2010 წლის 10 თებერვალს დამაპატიმრეს. უამრავი ადამიანი, გურამ შარაძიდან დაწყებული მოხუცებულთა თავშესაფრით დამთავრებული, რომელსაც მე ვპატრონობდი, თავდებში დამიდგა და 6 თვეში გამოვედი ციხიდან. მომისაჯეს შინაპატიმრობა 7 წლით. ეს ყველაფერი უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრე და გამიმართლა, რადგან წესიერი მოსამართლე მერაბ ტურავა შემხვდა. ის საქმის გაცნობისთანავე მიხვდა, რომ მართალი ვიყავი და დაიწყო ხელახალი გამოძიება, მაგრამ **პროკურატურიდან დაწყებული, ბანკ „ქართუთი“ დამთავრებული, ყველა დაინტერესებული იყო ჩემი დაპატიმრებით, რადგან სხვანაირად ფაბრიკას ვერ წამართმევდნენ.**

**— ფაბრიკას რა ბედი ეწია?**

— ფაბრიკა მაშინვე გაანადგურეს. დანადგარები თურქეთში გაყიდეს. ჩემი საქმე კი ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ გამამართლებელი განაჩენი გამომიტანეს, სადაც ეწერა, რომ უდანაშაულოდ მცნობდნენ სამართალდამცავი ორგანოების უკანონო მოქმედების გამო, მაგრამ ძმები ლევან და გიორგი ჩრდილელები არ ისვენებდნენ. ლევანი ფინანსთა მინიტრის მოადგილე გახლდათ, გიორგი კი — ბანკ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე. მათ კვლავ ჰქონდათ სურვილი, ფაბრიკა ხელში ჩაეგდოთ და სწორედ ამის გამო ლევან ჩრდილელმა შემოიყვანა რევიზია. დაწერეს უამრავი სისულელე, მათ შორის ის, რომ თითქოს 157 ათასი დოლარი მივითვისე, 46 ათასი ლარი ვითომ ბიუჯეტს დავუმალე და ა. შ. კვლავ აღიძრა ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ სასამართლომ კვლავ გამამართლა, რადგან უპატიოსნესი გამომძიებელი რომეო ზარქუა შემხვდა, რომელიც ჩემს საქმეს გადააყოლეს — სამსახურიდან დაითხოვეს იმიტომ, რომ გამამართლა. გარდა ამისა, რევიზორებმა აღიარეს, რომ 46 ათასი ლარი არასწორად დავარიცხეთ კვარაცხელიასო. მიუხედავად ამისა, ეს ვალი ჩემთვის არავის ჩამოუჭრია, პირიქით, დაუმატეს საურავები და ვალი 671 ათას ლარამდე აიყვანეს, რის გამოც ფაბრიკა აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად. **შემფასებლად ისევ გურამ ბექაური მოიყვანეს, რომელმაც გმირთა მოედანზე ერთი ჰექტარი მიწა, 9 ათასი კვადრატული მეტრი შენობა თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით 6999 ლარად შეაფასა და ბანკმა „ქართუმ“ იყიდა, ანუ ძმები ჩრდილელებიდან ერთმა გაყიდა, მეორემ კი იყიდა. ამასთან, ძმებმა თქვეს, 7 ათასი ლარი ძალიან ცოტაა ამხელა ქონებაშიო და საგადასახადოს 300 ათასი ლარი შესთავაზეს. აი, ამ ფასად გაიყიდა ამხელა ქონება.**

**— თქვენ არაფერი ილონეთ?**

**— 2004 წელს მივადექი ბანკ „ქართუს“ ჩემს აქციონერებთან ერთად და ამ ბანკის წარმომადგენლებს ვუთხარი, სასამართლომ გამამართლა და ჩემი ფაბრიკა, გაყალბებული დოკუმენტებით რომ გაქვთ ნაყიდი, უკან დამიბრუნეთ-მეთქი. დამამშვიდეს და გაჩუმების სანაცვლოდ 215 ათასი დოლარი შემომთავაზეს.**

ფაბრიკა უკვე გაპარტახებული იყო. ვიფიქრე, ჯანდაბას, ავიღებ ამ ფულს და ისევ რუსეთში წავალ-მეთქი. მითხრეს, 2 კვირა გვადროვე და დაგირეკავთო. ორი კვირის შემდეგ „ქართუდან“ კი არა, პროკურატურიდან დამირეკეს, — თქვენი გამამართლებელი განაჩენი გაუქმებულიაო. **2 წელიწად-ნახევარი დამჭირდა საბრძოლველად, რომ ისევ ამეღო გამამართლებელი განაჩენი. შემდეგ სასამართლოში შევიტანე სარჩელი მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე და მხოლოდ 6 ათასი ლარი მომიგდეს. შემდეგ სტრასბურგში გავაგზავნე ჩემი საქმე და მოხვდა თეა წულუკიანთან, მაგრამ ჩემი საქმის განხილვაზე უარი მომივიდა, — სტრასბურგის სასამართლო მხოლოდ მძიმე დანაშაულებს იხილავსო.** მოსამართლეს ერთი მოსმენით განუხილია ჩემი საქმე, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში 5 წლის განმავლობაში იდო. **ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი თეა წულუკიანის გადაწყვეტილებით მოხდა.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ სახელმწიფო არ დააზარალა.

**— ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვდით...**

— ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ვერ მოვახერხე, თუმცა მის ძმებს შევხვდი. **ბიძინას ძმას, ალეკო ივანიშვილს, 2004 წლის მაისში შევხვდი, 2012 წელს კი ურეკში მის მეორე ძმას — ადიკოს. მასაც დავუტოვე წერილი ბიძინასთვის გადასაცემად. წერილში ვითხოვდი, წართმეული ქონების 10 პროცენტი მაინც დაებრუნებინათ ჩემთვის, მაგრამ პასუხი არ მაღირსა. 2005 წელს ჩემი ფაბრიკის თანამშრომლებთან ერთად ჩავედი ჭორვილაში, ვიცოდი, რომ იმხანად ბიძინა იქ იმყოფებოდა, მაგრამ დედამისმა ძაღლები მოგვისია.** ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე ვამბობდი, რომ ბიძინა ივანიშვილი არ იყო კარგი ადამიანი, რაზეც ბევრს ეცინებოდა. დღეს კი ყველა მიხვდა, რომ მატყუარაა. ახლა რასაც ვიტყვი, კარგად დაიმახსოვრეთ: ბატონო ბიძინა, თქვენ ხართ მატყუარა! ამბობთ, საქართველოში არაფერი მიყიდიაო, მაგრამ ჩამოგითვლით, რაც იყიდეთ: ჩემი სამკერვალო ფაბრიკა იყიდეთ და გააკოტრეთ, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაც თქვენ შეიძინეთ და ასევე გააკოტრეთ, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ იყიდეთ და გააკოტრეთ, მიწებიც ბევრს წაართვით და ა. შ.

იმ ქალბატონს შევხვდი, რომლის მიწაზეც ის მახინჯი ბიზნესცენტრი ▶

**«პროკურატურიდან დაწყებული, ბანკ «ქართუთი» დამთავრებული, ყველა დაინტერესებული იყო ჩემი დაპატიმრებით, რადგან სხვანაირად ფაბრიკას ვერ წამართმევდნენ»**

**„ჭორვილაში ივანიშვილის ღობესთან მთელი ღამე რომ ვიყურყუტე, ნუთუ ეს ამბავი მის ყურამდე არ მისულა? ფარისევლები გყავთ, ბატონო ბიძინა, გარშემო! მე არ შემხვდით, მეც სხვა ბიზნესმენებივით ფეხზე დამიკიდეთ და აწი მეც აღარ მაქვს სურვილი თქვენთან შეხვედრისა. გყავდეთ ის ფარისევლები, ალბათ, მათთან თავს კომფორტულად გრძნობთ. თუ ასეთი ღრმადმორწმუნე და კაცთმოყვარე ხართ, აწი თვითონ მოისურვეთ ჩემთან შეხვედრა!“**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ბანკ «ქართუსთან» ახლოს ივანიშვილს მოეწონა მიწა და მელაძეების სახლს ისე გადაუარეს ბულდოზერებით, რომ ტანსაცმლის გამოტანაც ვერ მოასწრეს»



მელაძეების ნასახლარი „ქართუ ბანკის“ ოფისთან

...ააშენა. ამ ქალის ქმარი მიწას არ თმობდა, რის გამოც ამდენ დავიდარაბაში გული გაუსკდა. 2011 წელს ასევე გაამწარა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის — მელაძეების ოჯახი. **ბანკ „ქართუსთან“ ახლოს ივანიშვილს მოეწონა მიწა და მელაძეების სახლს ისე გადაუარეს ბულდოზერებით, რომ ტანსაცმლის გამოტანაც ვერ მოასწრეს. მათ მეორეკლასელი ბავშვი ნერვიულობის გამო დაუყრუვდათ. ეს ყველაფერი ტელევიზიით გაშუქდა და კარგად მახსოვს, თინა ხიდაშელი და ჯონდი ბაღათურიაც იქ იდგნენ ტრანსპარანტებით და ხიდაშელი ნიშნის მოგებით ამბობდა: ივანიშვილო, შენ ხარ მეცენატიო?** სირაძეების საქმეც სტრასბურგშია გაგზავნილი. ჩემი ბიზნესი, კარიერა და ცხოვრება ძმებმა ჩრდილელებმა შეიწირეს. მათ ცხოვრება დამინგრიეს. ძმებმა ჩრდილელებმა ჯოჯოხეთად მიქციეს ცხოვრება. 13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფაბრიკა წამართვეს. არადა, ამ ხნის განმავლობაში შემეძლო ქვეყნისთვის სიკეთე მომეტანა. იმხანად 500 ადამიანი მყავდა დასაქმებული და წლების განმავლობაში მათი რიცხვი კიდევ გაიზრდებოდა. **ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილმა გიგა ჩრდილელი მოღალატედ, „ნაციონალების“ შპიონად და დამსმენად გამოაცხადა, სამსახურიდანაც გააგდო, მაგრამ მალევე ბანკ „ქართუში“ დააბრუნა და იქიდან „თბილავიამშენში“ გადაიყვანა.**

**— თქვენი აზრით, რატომ მოიქცა ასე?**

— იმიტომ, რომ ჩრდილელმა ივანიშვილის „კაიკაცობაზე“ უამრავი რამ იცის და ივანიშვილსაც შეეშინდა, ამიტომ ვერ გაწირა ბოლომდე, რადგან თვითონაც ზედ მიჰყვებოდა. ივანიშვლი ყველაფერს ძმები ჩრდილელების ხელით აკეთებდა. ლევან ჩრდილელი, წლებია, თავისი კრიმინალური საქმიანობის გამო საქართველოდან გაქცეულია — ფინანსთა მინისტრის მოადგილეობისას დიდძალი თანხა მიითვისა, რისი დამამტკიცებელი დოუმენტიც მაქვს. გარდა ამისა, ისიც **ვიცი, რომ ივანიშვლს თავის ძმებთან არ აქვს კარგი ურთიერობა. მისმა ძმამ, ალეკომ, საკუთარი თავის გატაცების ინსცენირება მოაწყო და გამოსასყიდის სახით ბიძინას ფული გამოსძალა.**

ეს ყველაფერი მთელმა საქართველომ იცის. ამიტომ ბიძინამ თავის ძმას, ალეკოს, ღვინის ქარხანა უყიდა და უთხრა, აღარ გამეკაროო. არც მიკვირს, ასეთი რამ რომ ხდება ივანიშვილების ოჯახში... აღარ მაქვს სამართლიანობის აღდგენის იმედი. პროკურორი ლაზარე სეხნიაშილი, რომელმაც ორჯერ დამაპატიმრა და სასამართლომ კი ორივეჯერ გამამართლა, დღეს ისევ პროკურორია. ჩემნაირი რამდენი ეყოლება გამწარებული, პასუხი არ უნდა აგოს? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ნერვიულობის გამო დედა გარდამეცვალა, რომლის ფასიც ქვეყანაზე არავინ მყავდა. დედაჩემი, პოეტი ლილი ნუცუბიძე, რომლის ლექსებზეც უამრავი ქართული სიმღერაა შექმნილი, ქვეყანას მერჩივნა.

**— დღეს რა მდგომარეობაშია თქვენი საქმე?**

— ჩემი საქმე უწესიერეს პროკურორ გოგი მოსაშვილს აბარია, მაგრამ აღარაფრის იმედი აღარ მაქვს. არადა, **ხელისუფებაში მოსვლამდე შევხვდი ეკა ბესელიას, ის გაეცნო ჩემს საქმეს და მითხრა, აუცილებლად გავაცნობ ივანიშვილსო, მაგრამ ამაოდ. შემდეგ შევხვდი ზაქარია ქუცნაშვილს, რომელიც მამაძაღლი პიროვნებაა, და ფეხებზე დამიკიდა. შემდეგ შევხვდი თინა ხიდაშელს, ისიც დამპირდა, რომ საქმეს გადასცემდა ივანიშვილის, მაგრამ... ნოდარ ჯავახიშვილმა და გოგი თოფაძემ, რომელთანაც წლების განმავლობაში ვმეგობრობდი, უარი მითხრეს, ამ საკითხზე ივანიშვილს ვერ დაველაპარაკებითო.** ბიძინას მხოლოდ უსუფაშვილი დალაპარაკებია, რომელმაც მითხრა, რომ ამ საქმის მოსმენაზე უარი განაცხადა ივანიშვილმაო. რთულია ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რადგან „უნახავმა რა ნახაო“ სჭირთ. ივანიშვილი კალოშებიანი სიმონაა, რომელმაც რა გზითაც იშოვა ფული, ჩემზე კარგად სხვებმა იციან. მას ჰგონია, რომ ფული წყვეტს ყველაფერს. დედაჩემის ერთი ლექსი მირჩევნია მთელ მის ქონებას, ერთი ლექსი, რომელსაც სრულიად საქართველო მღერის. **როდესაც დღეს საუბრობენ სამართლიანობის აღგენაზე, მინდა, რომ ივანიშვილმა სამართლიანობის აღდგენა საკუთარი თავიდან დაიწყოს.**



**გვესაუბრება ბიზნესმენი გულიკო ერისთავი, რომელმაც გიორგი ჩრდილელის მიმართ პროტესტის ნიშნად ბანკ „ქართუს“ შენობის წინ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა:**

— 1993 წელს ქონების მართვის სამინისტრომ მცხეთის კერამიკის ქარხნის პრივატიზაცია გამოაცხადა და აუქციონზე გაიტანა. რაც გამაჩნდა, ყველაფერი გავყიდე, დავაარსე შპს „ბარაკონი“ და ეს ქარხანა შევისყიდე. საწარმოს ამუშავებიდან ერთი წლის თავზე, 1994 წელს, ჩემი პროდუქციით ევროპის ბაზარზე გავედი, ოდნავ მოგვიანებით კი ნიუ იორკიდან ოქროს მედალი ჩამოგვივიდა, როგორც მაღალი ხარისხის კერამიკის მწარმოებლებს, მაგრამ 1997 წლიდან საქმე უკუღმა დატრიალდა, როდესაც **გადავწყვიტე, ჩემი ქარხანა თანამედროვე და ეკონომიკური დანადგარებით აღმეჭურვა, რისთვისაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს კრედიტი ვთხოვე. ამ საქმეში დახმარების სურვილი კორპორაცია „საველიჩის“ პრეზიდენტმა ივანე შენგელიამ გამოთქვა და დამარწმუნა, რომ თანხისთვის საქართველო-ამერიკის ერთობლივ ბანკ „აბსოლუტისთვის“ მიმემართა.**

საველიჩმა ქარხანაში მოიყვანა „აბსოლუტბანკის“ საკრედიტო განყოფილების უფროსი გიორგი ანთაძე და იმავე ბანკის თანამშრომელი მერაბ კოკაია. მალევე ანთაძემ ჩემსავე ქარხანაში შემახვედრა „აბსოლუტბანკის“ პრეზიდენტი ლი დიურლანდი, რომელიც დამპირდა, რომ რეკომენდაციას გამიწევდა „ევრობანკთან“. შევადგინეთ ბიზნესგეგმა, რომელიც ლონდონში, ამავე ბანკის ცენტრალურ ოფისში გავგზავნეთ. იქ გადაწყდა, რომ ჩემი ქარხნისთვის გამოეყოთ მიზნობრივი კრედიტი — 300 ათასი დოლარი. ამასობაში ანთაძემ შემომთავაზა, დროის მოგების მიზნით ჩვენ, ანუ „აბსოლუტბანკი“ მოგცემთ 300 ათას დოლარს იმავე პროცენტში და, როგორც კი თანხას „ევრობანკიდან“ მიიღებთ, დაგვიბრუნეო. დავთანხმდი და ხელშეკრულება 1997 წლის 13 ნოემბერს ნოტარიუს ციური ბერიძესთან გავაფორმეთ. 1998 წლის იანვარში კი ანთაძემ მომილოცა, ანგარიშზე 300 ათასი დოლარი ჩაგირიცხეთ, მაგრამ 250 ათასი დოლარი „საველიჩის“ პრეზიდენტმა ივანე შენგელიამ გაიტანა ნავთობპროდუქტების შესაძენადო. გავოგნდი, ანთაძე ცალკე „გადაირია“, — ეს ამბავი თქვენ არ იცოდითო. იმხანად ბერლინში, კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე მიწევდა წასვლა და ანთაძემ მითხრა, თქვენ გაემგზავრეთ გერმანიაში, ამასობაში შენგელია საწვავს განაბაჟებს და თანხას დაგახვედრებთო. ბერლინიდან რომ დავბრუნდი, ანთაძემ განმიცხადა, 180 ათასი დოლარი დაგისვით ანგარიშზე და დანარჩენ 70 ათას დოლარსაც უმოკლეს ვადაში გადმოგირიცხავთო, მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ ანთაძე დამემალა. მივედი დიურლანდთან და სიტუაცია ავუხსენი. მან კაბინეტში დაიბარა ანთაძე და ჰკითხა, სად არის ერისთავის კუთვნილი თანხაო? ანთაძემ უპასუხა, ნეიტრალურ ანგარიშზეო... მაგრამ ჩემთვის აღარავის ეცალა, რადგან „აბსოლუტბანკში“ საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფი შევიდა და საქმე აღძრა ამ ბანკის საქმიანობასა და თანხების გადარიცხვის კანონიერებაზე.

**ცოტა ხანში „აბსოლუტბანკი“ გაკოტრებულად გამოცხადდა და ის ბანკმა „ქართუმ“ ჩაანაცვლა. ამიტომ 2001 წლის 8 მაისს მივედი ბანკ „ქართუს“ დირექტორ გიორგი ჩრდილელთან და ვითარება ავუხსენი. მან ანთაძესთან დამაპირისპირა. ანთაძემ აღიარა, რომ ჩემს სახელზე გაკეთებული კრედიტი უცხო პირზე გასცეს, მაგრამ ვისზე, არ დააკონკრეტა. როგორც კი ანთაძემ ბრალი აღიარა, ჩრდილელს მოვთხოვე, ეს ყველაფერი დოკუმენტად ექცია. მან დამამშვიდა, ჩემზე კარგ დაკუმენტს ვერ იშოვით, ჩემს სიტყვას მეტი ფასი აქვს, ვიდრე ფარატინა ქაღალდსო. შემდეგ მითხრა, მოიტანე ბიზნესგეგმა და ახალი ურთიერთობა დავიწყოთო. მაგრამ შემდეგ არაფერი ილონა.**

„აბსოლუტბანკსა“ და „ქართუს“ შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც შპს „ბარაკონი“ მოიხსენიეს, როგორც თანხის მსესხებელი, არადა, ეს ფული თვალითაც არ მინახავს. ამის შემდეგ ჩრდილელი დამემალა, ჩემს სატელეფონო ზარებსაც აღარ პასუხობდა. **2003 წელს შუაკაცის დახმარებით მოვახერხე, ბიძინა ივანიშვილისთვის ხმა მიმეწვდინა, რომ მასთან მსურდა შეხვედრა. უთქვამს, სიამოვნებით შევხვდებიო და ჭორვილაში გავემგზავრე, მაგრამ ეს ამბავი გიორგი ჩრდილელს შეუტყვია და იმ საღამოს, როდესაც ბიძინა ივანიშვილს უნდა შევხვედროდი, დაცვის ჯგუფი შეაცვლევინა. ბიჭებს კი დაავალა, ივანიშვილთან არ შეუშვათო.** დავბრუნდი თბილისში და მესამე დღეს ბანკ „ქართუს“ წინ ბენზინი გადავისხი და ცეცხლი წავიკიდე, მაგრამ იქ მყოფმა ადამიანებმა გადამარჩინეს. **მახსოვს, ჩრდილელმა ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა, ვიცით, რომ გულიკო ერისთავს ბანკიდან ფული არ გაუტანია, მაგრამ ჩვენგან რას ითხოვსო.**

2003 წლის 27 მარტს ბანკ „ქართუს“ ოფისთან დავჯექი და შიმშილობა გამოვაცხადე. ამასობაში მოვიდა ამ ბანკის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი ამირან არჩვაძე და შენობაში შემიყვანა, სადაც გადმომცა ჩემთვის უცნობი, 2000 წლის 18 თებერვალს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, ჩემი ქარხნის გასაყიდად აუქციონის დანიშვნის შესახებ. 2005 წელს ძლივს მივაღწიე, რომ ეს უკანონო განაჩენი გაეუქმებინათ. ბანკმა „ქართუმ“ ჩემი საქმიანი აქტივები და პასივები თავის თავზე აიღო. მანამდე, 2004 წელს, გენპროკურატურიდან მაცნობეს, რომ ჩემი განცხადების საფუძველზე განახლდა ქარხნის საქმის გამოძიება, თუმცა სასამართლოზე გადაწყდა, რომ ვიდრე ბრალდებულ ივანე შენგელიას არ მოძებნიდნენ, რომელიც საზღვარგარეთ იმალებოდა, საქმე შეჩერებულიყო. მართლაც, **2005 წლის 19 აგვისტოს, შენგელია ინტერპოლის მიერ ექსტრადირებული იქნა საქართველოში. მას ბრალად ედებოდა „აბსოლუტბანკისთვის“ ყალბი ცნობების მიწოდება კრედიტის მიღების მიზნით, ყალბი დოკუმენტების დამზადება და კიდევ უამრავი რამ. ამ ყველაფრის მიუხედავად, პროკურორ რევაზ კაპანაძესა და ივანე შენგელიას შორის გაფორმდა ოქმი საპროცესო შეთანხმებაზე საქმის არსებითი განხილის გარეშე და 17 ათასი ლარით დააჯარიმეს კაცი, რომელსაც ხალხისთვის მილიონობით დოლარი ჰქონდა მოპარული. 2005 წლის 30 აპრილს გენერალურმა პროკურატურამ დაზარალებულად მცნო, მაგრამ 14 წელია, ჩემი საქმე ადგილიდან არ დაძრულა.**

**— დღეს ვის ეკუთვნის კერამიკის ქარხანა?**

— არ ვიცი. აღარც ჩემია და აღარც სახელმწიფოსი. შენობა გაძარცვულია. **მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, როგორც „ქართუ ბანკის“ დამფუძნებელსა და „აბსოლუტბანკის“ სამართალმემკვიდრეს, — დაიბაროს გიორგი ჩრდილელი და სიმართლე აღიარებინოს.** რაც მთავარია, დაიწყონ ჩემი საქმის გამოძიება.

ჩრდილელმა ყველანარად ხელი შემიშალა. იფიქრა, ერისთავი უპატრონო ქალია, ჩვენ წინაშე ვერაფერს გახდება და ამიტომაც შეიტყაპუნა ის თანხა, რაც, წესით, მე მეკუთვნოდა. გიორგი ჩრდილელი თაღლითი და კრიმინალი, გამდიდრებისა და განდიდების მანიით შეპყრობილი ავანტიურიტია. არც ივანიშვილის მესმის — ადამიანს, რომელმაც ერთხელ უღალატა, გვერდით როგორ იყენებს?! გული მწყდება, რომ ასეთ ადამიანებს აპარპაშებენ და წესიერ ადამიანებს წიხლს კრავენ. **ჭორვილაში ივანიშვილის ღობესთან მთელი ღამე რომ ვიყურყუტე, ნუთუ ეს ამბავი მის ყურამდე არ მისულა? ფარისევლები გყავთ, ბატონო ბიძინა, გარშემო! მე არ შემხვდით, მეც სხვა ბიზნესმენებივით ფეხზე დამიკიდეთ და აწი მეც აღარ მაქვს სურვილი თქვენთან შეხვედრისა. გყავდეთ ის ფარისევლები, ალბათ, მათთან თავს კომფორტულად გრძნობთ. თუ ასეთი ღრმადმორწმუნე და კაცთმოყვარე ხართ, აწი თვითონ მოისურვეთ ჩემთან შეხვედრა!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილმა გიგა ჩრდილელი მოღალატედ, «ნაციონალების» შპიონად და დამსმენად გამოაცხადა, სამსახურიდანაც გააგდო, მაგრამ მალევე ბანკ «ქართუში» დააბრუნა და იქიდან «თბილავიამშენში» გადაიყვანა»**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სასაცილოა, კალანდაძეზე რომ მესმის, გმირიაო. სიტყვა „გმირი“ ყურში უკვე ცუდად მხვდება. კაცმა თავი დაიჭრა და ბრძოლიდან გამოიქცა, რომელ გმირზე მელაპარაკები, სინდისი ხომ უნდა გქონდეს, ამას რომ ამბობ?!“

# «ორდენოსანთა მთელი არმია და გენერლების ბატალიონი გვყავს, ამ დროს ყველა ომი წაგებული გვაქვს»

**საზოგადოების დიდ ნაწილს, ალბათ, ახსოვს თავდაცვის მინისტრად ახალდანიშნული ირაკლი ალასანიას განცხადება: ჩვენი პრიორიტეტი ჯარი და ჯარისკაცი იქნებაო. მას შემდეგ თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა და, „ოცნების“ სხვა დაპირებების მსგავსად, თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესებიც უამრავ კითხვას აჩენს. მართალია, ახალმა ხელისუფლებამ ძალოვანი სტრუქტურები წინამორბედის ავტორიტარული წნეხისგან გაათავისუფლა, მაგრამ უწყებაში მანამდე არსებული ფინანსური პრობლემები კვლავ გადაუჭრელი დარჩა. რიგითი სამხედრო მოსამსახურის მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. რაც შეეხება ვეტერანებს, ალასანიას განცხადება, რომ მათი ინტერესების გათვალისწინება სამინისტროს პრიორიტეტი იქნებოდა, ასევე ცრუ დაპირება აღმოჩნდა.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ დაუკავშირდა აფხაზეთის ომის ვეტერანი გია ხიზანიშვილი და იმ პრობლემებზე გვესაუბრა, რომლებიც დღეს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელთა უმოქმედობის გამოა შექმნილი.**



## «ღარიბაშვილი დღემდე მფარველობს გარეწარ ზონდერ პოლიციელებს!»

**— ბატონო გია, როგორც ვიცი, თავდაცვის სამინისტროში ბოლო ხანს რამდენიმე რეფორმა განხორციელდა და ბევრი რამ შეიცვალა. თქვენ, როგორც ომის ვეტერანი, გრძნობთ ამას საკუთარ თავზე?**

— პრობლემა, ისევე, როგორც სახელმწიფოში, თავდაცვის სამინისტროშიც, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ ეს ხელისუფლება, უკვე წელიწადზე მეტია, მოსულია. ახალი ხარ სამი თვის განმავლობაში, ვიდრე დაიწყებ სტრუქტურების ჩამოყალიბებას და, თუ წელიწად-ნახევარში ამ სტრუქტურებს ვერ აყალიბებ, მაშინ არ ყოფილხარ პროფესიონალი...

მოსვლის დღიდან გვესმის დაპირებები, ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთო, მაგრამ მკურნალობის ელემენტარული კურსის გავლას ვერ მივაღწიე. დღეს არც გვაქვს ქვეყანაში დაწესებულება, სადაც შეიძლება ვეტერანი მივიდეს და იმკურნალოს. მხოლოდ დიდუბეშია ძველი კლინიკა და იქ ისეთი პირობებია, ენით ვერ აღვწერ.

**— ვეტერანთა კლინიკას გულისხმობთ?**

— დიახ. ისეთი გაუმართავი და მოძველებული ტექნიკა აქვთ, რომ იქ მისვლას, ფაქტობრივად, აზრი არც აქვს. **ერთხელ ექიმის კონსულტაცია დამჭირდა და აღმოჩნდა, რომ ის ექიმი იქ კვირაში მხოლოდ ერთ დღეს დადის. ისიც კეთილ ნებაზე მუშაობენ, თორემ 120 ლარად რომელი ნორმალური ექიმი ივლის სამსახურში?**



**— სადაზღვევო პაკეტი თუ გაქვთ?**

— ეს დაზღვევა არის ნული, ვერანაირი მომსახურება ვერ მივიღე. თავის ტკივილის დროს ანალგინი რომ უნდა დავლიო, ამისთვის პოლიკლინიკა რად მინდა, მე სერიოზული გამოკვლევა და მკურნალობა მჭირდება...

**— სულ რამდენი ვეტერანია დღეს საქართველოში?**

— ლაპარაკი იყო დაახლოებით სამი ათას კაცზე, რომელთა მხრებზეც გადაიარა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა. მათგან ბევრი დღეს ცოცხალი აღარ არის, ბევრი ინვალიდია და სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს. ჩვენ არ ვითხოვთ, ხელის გულზე გვატარონ, მაგრამ ელემენტარული ყურადღების ღირსი ხომ ვართ სახელმწიფოსგან? ამასაც ვერ მივაღწიეთ.

**— მიმართეთ შესაბამის უწყებებს?**

— პირადად შევხვდი თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონი იყო, სახელი არ მახსოვს და როგორც და-ძმამ, ისე ვილაპარაკეთ. დამპირდა, ყველანაირად დაგეხმარებითო, მაგრამ იმის შემდეგ რამდენი ხანი გავიდა და ყურადღება არ მოუქცევიათ.

**ბოლოს ვეტერანთა დეპარტამენტში გამგზავნეს და იმათმა, რაც მჭირდებოდა, იმის ნაცვლად, ბალნეოლოგიურში სამკურნალო 250-ლარიანი პაკეტი მომცეს. ამ დროს, სულ ცოტა, 3 ათას ლარამდე მჭირდებოდა, ის პაკეტი კი გამოკვლევებისთვისაც არ მეყო.**

**— ე. ი. პირველ რიგში, მკურნალობის დაფინანსებას ითხოვთ თავდაცვის სამინისტროსგან?**

— იმიტომ ვითხოვ, რომ მჭირდება, წარმოიდგინეთ, წამლის ფულსაც ვერ ვშოულობ, 22 ლარია მთელი ჩემი შემოსავალი. არც სამსახური მაქვს, არც სხვა საარსებო წყარო. რომც მამუშაონ, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურადაც მზად არ ვარ ამისთვის. ისე გამირთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ექიმმა ნებისმიერი სახის ფიზიკური დატვირთვა ამიკრძალა.

**— რატომ იჩენს თავდაცვის სამინისტრო ასეთ გულგრილობას ვეტერანების მიმართ?**

— არ ვიცი, მათ ტვინსა და გულში რა ხდება, არც მაინტერესებს. არც რამე ჩინს ვითხოვ და არც ორდენებს. პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ მიშასგან და ედიკასგან არანაირი მადლობის სიგელი არ მიმიღია. ერთადერთი მადლობა მივიღე დათო თევზაძისგან, რომელიც დღემდე მახსოვს. **ორდენოსანთა მთელი არმია და გენერლების ბატალიონი გვყავს, ამ დროს ყველაფერი წაგებული გვაქვს. ეს ხომ დაცინვაა?!**

**— სააკაშვილმა აგვისტოს ომის შემდეგაც ბევრი დააჯილდოვა ორდენით.**

— სწორედ ამიტომაა სასაცილო, კალანდაძეზე რომ მესმის, გმირიაო. სიტყვა გმირი ყურში უკვე ცუდად მხვდება. **კაცმა თავი დაიჭრა და ბრძოლიდან გამოიქცა, რომელ გმირზე მელაპარაკები? სინდისი ხომ უნდა გქონდეს, ამას რომ ამბობ?!**

**— პირადად თავდაცვის მინისტრთან თუ სცადეთ შეხვედრა?**

— ყველაფერი ვცადე და მოვსინჯე, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ამათგან ყურადღება ვერ ვიგრძენი: 22 ლარი მქონდა, 22 ლარი მაქვს ისევ; ვერ ვმკურნალობდი, ვერ ვმკურნალობ დღესაც, ვიყავი და დღესაც ვარ სოციალურად დაუცველი, ძმასთან ვცხოვრობ... მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო, პრობლემა იმდენი მაქვს, აღარ ვიცი, რომელზე ვილაპარაკო. ახლა ერთადერთი, რასაც ვითხოვ, მინდა, ვიმკურნალო, რომ ფეხზე დავდგე და წავალ აქედან; მანამდე კი მოვითხოვ, მივიღო მონაწილეობა საბრძოლო მოკვლევებში, მათ ძალიან კარგად იციან ჩემი საბრძოლო ისტორია; ან დამიდასტურონ ან მითხრან, რომ ვიტყუები.

**— რას აპირებთ?**

— არაფერსაც არ ვაპირებ, რა ვქნა?! ვერაფერს გავაკეთებ, ღვთის ანაბარა ვარ. ამ პოლიციაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც არ არის. ზოგჯერ ველარ ვითმენ და ვიგინები...

**— რის გამო?**

— რის გამო და **ამ ე.წ. სამართალდამცავებმა იმდენი პრობლემა შემიქმნეს, რომ მიშასგან შექმნილი პრობლემები დამავიწყდა; და ამ ყველაფერს აკეთებენ ისევ ის პოლიციელები, სააკაშვილის დროს ზონდერები რომ იყვნენ, მფარველობდნენ პროსტიტუციას და დღესაც იმავეს აკეთებენ...** ყველა ინსტანცია რომ მოვიარე, ბოლოს პირადად ღარიბაშვილს მივმართე, თვითონ რომ გაეკონტროლებინა ჩემი საქმე, რომელიც, წელიწად-ნახევარია, თაროზე დევს; მან კი ჭიკაიძეს გაუგზავნა განცხადება რეაგირებისთვის, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიმიღია. შემიძლია ვთქვა, რომ **ბატონი ღარიბაშვილი დღემდე მფარველობს გარეწარ ზონდერ პოლიციელებს, რომლებიც, ვიმეორებ, დღესაც ძველებურად მოქმედებენ...**

**— თქვენი აზრით, რა აფერხებს ხელისუფლებას?**

— მე მარტო შედეგზე შემიძლია ვილაპარაკო; შედეგი კი არის ის, რომ ხელისუფლება სრულიად უმოქმედოა. ვეტერანების წელიწადად გამოაცხადეს 2013 წელი, ამ დროს თვითონ 80 და 100-ათასიანი ჯიპებით დადიან, ვეტერანები კი ექიმთან ვერ მისულან. **ეს არის სამართლიანი ქვეყანა? რა მაგალითზე უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა?! სახელმწიფო ასე არ ჩამოყალიბდება და განვითარდება. ეს გულგრილობა, ნებით თუ უნებლიეთ, ეროვნული იდეოლოგიის წინააღმდეგ არის მიმართული და ძირს უთხრის და აზიანებს ქვეყანას.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. დასასრულ, ირაკლი ალასანიას კიდევ ერთ განცხადებას გავიხსენებ: „ვეტერანთა დეპარტამენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს პოლიტიკას ჩვენი ვეტერანების მიმართ, მათ შორის სოციალურ პოლიტიკასაც. ბოლო ხანს ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს მეომრებს და დიდი რესურსია გამოყოფილი დაჭრილთა სამკურნალოდ, ასევე ვეტერანებზე... საბოლოოდ ეს პროცესი აუცილებლად მიგვიყვანს იქამდე, რომ ვეტერანებს ექნებათ სახელმწიფოს მიერ დაცული და გარანტირებული განსაზღვრული უფლებები“.**

**ამ განცხადებას კომენტარი არც სჭირდება. ფაქტია, თავდაცვის მინისტრი ან ჯერ კიდევ „ოცნებებში“ დაფრინავს და ძირს არ დაშვებულა, ან, უბრალოდ, შუბლის ძარღვის ტრავმა აქვს მიღებული.**

მოკლედ

## ბიზნესმენმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა

**მარჯანიშვილზე, „თიბისი ბანკის“ სათაო ოფისთან ბიზნესმენმა ზაზა ზაქარეიშვილმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა.** მას ბანკიდან 10-წლიანი ვადით ჰქონდა გამოტანილი სესხი — 430 000 დოლარი. როგორც მისი ადვოკატი განმარტავს, მას სესხის გადახდის ვადა შეუმცირეს და აიძულებენ, სესხი 5 წელიწადში დაფაროს. აღებული სესხიდან ბიზნესმენს გადასახდელი დარჩა 260 000 დოლარი. ზაზა ზაქარეიშვილი ასევე ითხოვს, რომ დაახლოებით მილიონ-ნახევრის ქონება, რომელიც მას ჩადებული აქვს ბანკში, გამოუთავისუფლდეს. მომხდარზე განცხადება გაავრცელა „თიბისი ბანკმა“, რომ აქციის დაწყების პირველივე წუთიდან ბანკმა მზადყოფნა გამოხატა, დეტალურად განეხილა მსესხებლის პრობლემა, მაგრამ იგი ქუჩაში დგომას ამჯობინებდა, საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით.



„სტალინის ძეგლები და მემორიალური დაფები ევროპის ყველა დედაქალაქშია! შარშან ამერიკაში, ბედფორდში, სამხედრო-მემორიალურ კომპლექსის ტერიტორიაზე გახსნეს სტალინის შესანიშნავი ბიუსტი! ჩინეთში კი, დაფიქსირებულია 72 (სამოცდათორმეტი!) ათასი ძეგლი; და, აი, ამ დროს სტალინის სამშობლოში, მის მშობლიურ გორში ვიღაც მედროვე ღარიბაშვილის ბრძანებით, ძეგლი არ იდგმება!“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თამაზ ჯაფოშვილი: გორში სტალინის ძეგლის აღდგენას ეწინააღმდეგება პრემიერი ღარიბაშვილი

**თავის დროზე სააკაშვილის პარლამენტმა ყოვლად უაზრო კანონის მიღებით „გააბედნიერა“ ჩვენი ქვეყნის გაძვალტყავებული მოსახლეობა. ამ საკანონმდებლო მარაზმის კლასიკას ცინიკურად „თავისუფლების ქარტია“ უწოდეს და მისი მიზანია თურმე: „...ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა (რა სიტყვაა! — ავტ.), ასევე საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა“.**



როგორც მიხვდით, **„საკულტო ნაგებობებში“ იგულისხმება დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალები. ამით ბატონმა დეპუტატებმა მიაფურთხეს იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც თავი შესწირეს მომავალი თაობების, ანუ ჩვენი თავისუფლებისთვის...** ამ ე. წ. კანონში გაურკვეველია, რომელი ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრაზეა საუბარი. ეს ბარელიეფები, წარწერები და ა.შ. დიდი ხანია, წარმატებით აღმოფხვრა გამსახურდიასა და შევარდნაძის ხელისუფლებებმა; აღარაფერს ვამბობ სააკაშვილზე და მისი ხროვის საქმიანობაზე ამ „აღმოფხვრების“ სფეროში; მარტო ქუთაისში მემორიალის აფეთქება რად ღირს. ამ ბარბაროსობამ დედა-შვილი შეიწირა...

ისე, ეს „თავისუფლების ქარტია“ ღირსია ცალკე საუბრისა მისი აბსურდულობის გამო. **ᲗᲣ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲖᲔ ᲠᲐ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ? ᲡᲐᲓᲐᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲡ „ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲙᲐ“?! ᲔᲒᲔᲑ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ „ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ „ᲑᲐᲘᲠᲐᲦᲘᲪᲐᲐ“.**

ამ წინასაახალწლოდ კი, საქართველოს პარლამენტმა მესამე და ბოლო მოსმენით, 87 ხმით სამის წინააღმდეგ, მიიღო ცვლილებები „თავისუფლების ქარტიაში“, რომელიც მიზნად ისახავს **„კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის აღმოფხვრის მექანიზმის შექმნას“**. ეს ცვლილებები ძალაში შევა მისი გამოქვეყნებისთანავე და ორი თვის განმავლობაში, მისი ძალაში შესვლის დღიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომლებშიც შევლენ საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლები. ხსენებული კომისია მიიღებს გადაწყვეტილებებს კომუნისტური და ფაშისტური სიმბოლიკების აღმოფხვრაზე. კომისიის მითითებების შეუსრულებლობას მოჰყვება ჯერ გაფრთხილება, ხოლო შემდგომ — ადმინისტრაციული ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ამ **„ᲥᲐᲠᲢᲘᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ, ᲣᲬᲘᲜ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲛᲐ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲡᲐᲤᲘᲠᲛᲝ“ ᲑᲠᲘᲧᲕᲣᲚᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲤᲐᲥᲢᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ...**

და, აი, თელავში, ბოკერიას მეუღლის თაოსნობით, ჩატარდა მორიგი „შავი მესა“ — დაინგრა სტალინის ძეგლი. ჩადენილის განმარტებისთვის მივმართე **ი. ბ. სტალინის ფონდის თავმჯდომარეს, საქართველოს მემარცხენე-სოციალისტური ძალების პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარეს — ᲗᲐᲛᲐᲖ ᲯᲐᲤᲝᲨᲕᲘᲚᲡ.**

**— ბატონო თამაზ, როდის შეიქმნა თქვენი ფონდი და რა მიზნებს ემსახურება ის?**

— „ი. ბ. სტალინის ფონდი“ შეიქმნა 2013 წლის 1 თებერვალს. მისი მიზანია, საქართველოს მასშტაბით, ომში დაღუპულთა მემორიალების და სტალინის ძეგლების აღდგენა იქ, სადაც ისინი დაანგრიეს. **ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲒᲕᲔᲓᲒᲘᲜᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲒᲝᲠᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2010 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲘ "ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ", ᲓᲐᲐᲛᲮᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲣᲫᲘᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲛᲢᲠᲔᲑᲛᲐ — „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲛᲐ“.**

ამჯერად, ჩვენს ფონდში შემოსულია 7 ათასი ლარი. აქედან, 6.500 ლარი გადავრიცხეთ გორში სტალინის ძეგლის აღსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ გორის მოსახლეობის 90% თანახმაა, აგრეთვე, არსებობს გორის საკრებულოს გადაწყვეტილება სტალინის ძეგლის აღდგენის შესახებ და ამის შესრულება, სულ რაღაც, ორი საათის საქმეა, მაინც, წინააღმდეგობას ვაწყდებით.

**— სანამ მოწინააღმდეგეებზე ვისაუბრებთ, მაინტერესებს, თქვენს ფონდში საიდან გაჩნდა ეს თანხა — 7 ათასი ლარი?**

— ეს უბრალო მშრომელმა ხალხმა შემოსწირა ფონდს, ვის რამდენი შეეძლო: ზოგმა ხუთი ლარი ჩარიცხა, ზოგმა — 20 და ზოგმაც — 500 ლარი. მერწმუნეთ, სუფთა ფულია! ეს არაა ბინძური ევრო-ამერიკული გრანტი!

**— და კიდევ ერთი კითხვა: რამდენი ხელმოწერა შეაგროვეთ გორში?**

— გორში და მის ახლოს მდებარე სოფლებში შევაგროვეთ 20 ათასზე მეტი ხელმოწერა, რაც საკმარისზე მეტია!

**— ახლა დავუბრუნდეთ მოწინააღმდეგეებს. ვინ ეწინააღმდეგება სტალინის ძეგლის დაბრუნებას?**

— რესპუბლიკელები და „ნაციონალები“, რომლებიც, უეჭველად, ერთი ბანდაა, ანუ ერთი ბატონის — მამონას მონებია!

**— ბატონო თამაზ, ამიხსენით: თუ გორის საკრებულომ მიიღო დადგენილება ძეგლის აღდგენაზე, ამ გადაწყვეტილებას ხომ კანონით წინ ვერავინ აღუდგება, მაგრამ ძეგლი აღდგენილი არაა. რას ელოდება საკრებულო?**

— მართალი ბრძანდებით, საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო, რომ სტალინის ძეგლი დაიდგას მუზეუმის ტერიტორიაზე, ხელმოწერებიც არის, ფულიც, ენთუზიაზმიც, პირად საუბრებში საკრებულოს თავმჯდომარეც თანახმაა, მაგრამ...

**— რა „მაგრამ“?**

— ჯერ გვეუბნებოდნენ, ვილნიუსის სამიტი ჩატარდესო, თავი შევიკავოთო, რადგან სტალინის ძეგლის დადგმითო ჩვენს დელეგაციას ხელი არ შევუშალოთო. ჩვენ თავი შევიკავეთ და მოვიტყუვდით. სამიტმაც ჩაიარა... **15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲖᲐᲓ, ᲨᲔᲕᲘᲙᲠᲘᲑᲔᲗ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲥ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲝ; ᲛᲐᲜ ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐᲝ.**

**— მართლა განაცხადა?**

— სამწუხაროდ, მართლა ასეა... და, აქედან გამომდინარე, გორის საკრებულო ძეგლის აღდგენაზე თავს იკავებს.

**— ბატონო თამაზ, აქვს თუ არა პრემიერს იმის კანონიერი უფლება, რომ საკრებულოს დადგენილებას ე. წ. ვეტო დაადოს?**

— პრემიერს ამის უფლება არ აქვს. საკრებულოს დადგენილების გაუქმება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია!

**— გამოდის, პრემიერიც და საკრებულოც კანონს არღვევენ?**

— არღვევენ! დიდად არაფერი შეცვლილა. პირველი პირის ახირებაც კი საკრებულოსთვის კანონია!

**— რას იტყვით, კანონზე — „თავისუფლების ქარტიაზე“?**

— ესაა მაგალითი ხალხის უგულვებელყოფისა და ხალხზე მიფურთხებისა! ესაა იმ 300 ათასზე მეტი დაღუპული ქართველის ხსოვნის შეურაცხყოფა და იმ ვეტერანებისა, რომლებიც სამამულო ომში იბრძოდნენ და დღესდღეობით ცოცხლები არიან. ამ ხალხმა ჩვენ მშვიდობა მოგვიტანა და ფაშისტური მონობისგან გვიხსნა. რომ არა ეს ვეტერანები, ჩვენ, შესაძლოა, აღარ გვეარსება, როგორც ერს!

**ᲔᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜᲐᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ Ე. Წ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲣᲤᲠᲝ ᲣᲞᲠᲘᲐᲜᲘᲐ, ᲕᲣᲬᲝᲓᲝᲗ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲐᲛᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ!**

**— ამ კანონით სტალინის მუზეუმის არსებობაც ეჭვის ქვეშაა!**

— 2008 წელს, როცა „ჩვენი“ ლაჩარი „მთავარსარდალი“ გორიდან გარბოდა, მასთან ერთად იმყოფებოდა საფრანგეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი. სააკაშვილმა შესთავაზა მას, ერთად გაქცეულიყვნენ, რაზეც მინისტრმა ცივად უპასუხა: როგორც იქნა, გორში აღმოვჩნდი — და თავს ვერ ვაპატიებ, რომ სტალინის მუზეუმი არ დავათვალიეროო!

**— მახსოვს ეს ამბავი და გეტყვით, რომ სააკაშვილისგან განსხვავებით, ეს არაფრით გამორჩეული პიროვნება მითოლოგიურ გმირად მოგვეჩვენა!**

**— ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘᲐ! ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲑᲔᲓᲤᲝᲠᲓᲨᲘ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲑᲘᲣᲡᲢᲘ! ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲙᲘ, ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 72 (ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ!) ᲐᲗᲐᲡᲘ ᲫᲔᲒᲚᲘ; ᲓᲐ, ᲐᲘ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ, ᲛᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲒᲝᲠᲨᲘ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲫᲔᲒᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐ!**

**— ბატონო თამაზ, იმ დღეს, როდესაც ამ სამარცხვინო „თავისუფლების ქარტიაში“ ცვლილებებს ამტკიცებდნენ, პარლამენტში ვიღაცამ (თუ არ ვცდები, ვოლსკიმ) განაცხადა, რომ ეს კანონი არაა მიმართული იმ მოხუცებულთა ძალზე პატარა ჯგუფის მიმართ, რომლებსაც აქვთ სიმპათიები სტალინისადმიო. თქვენს ორგანიზაციაში ახალგაზრდები თუ გყავთ?**

— მე შემიძლია იმის თქმა, რომ ეს დეპუტატი საერთოდ მოწყვეტილია ცხოვრებას და არ იცის, რომ სტალინს საქართველოში მომხრეთა მილიონიანი არმია ჰყავს. ადრე გაცილებით ნაკლები იყო სტალინის მომხრე, მაგრამ ამ „ეროვნული“ ხელისუფლების შემხედვარეებმა, სტალინისკენ გადაიხარეს! ჩვენი ორგანიზაციის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ ახალგაზრდები 20-40 წლამდე, აღარაფერს ვამბობ იმ ჯან-ღონით სავსე ადამიანებზე, რომლებმაც 50 წლის ზღვარს გადააბიჯეს. ისე, ეს ვოლსკი მართალია! სამწუხაროდ, უხუცესები ჩვენთან მცირე ჯგუფს შეადგენენ...

**— საინტერესოა, როგორ შეაფასებთ თელავში მომხდარ ბარბაროსობას...**

— თელავში სტალინის ძეგლის ალებასთან დაკავშირებით, თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა არასამთავრობო, არაკომერციულმა იურიდიულმა პირმა **„სამოქალაქო განათლების ფონდმა“**, რომლის დამფუძნებლები არიან თამარ ჩერგოლეიშვილი, კახა ბენდუქიძე, გია ნოდია და მათნაირი არარაობები. ძეგლის დემონტაჟისთვის 1150 ლარი გამოყო თელავის მუნიციპალიტეტმა, ამათ კი თელაველებს 650-ლარიანი მომსახურება შესთავაზეს. აღსანიშნავია, რომ ამ ე. წ. ფონდის გარდა, ტენდერში მონაწილეობა არავინ იკადრა და, ფაქტობრივად, ტენდერი ერთპიროვნული იყო და, ბუნებრივია, ჩერგოლეიშვილ-ბენდუქიძე-ნოდიას „ფონდმა“ უკონკურსოდ გაიმარჯვა.

საინტერესოა, რომ **„ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ“, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲛᲐᲨ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲐᲛ „ᲤᲝᲜᲓᲛᲐ“? ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛ „ᲤᲝᲜᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ; ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲝᲜᲝᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡ, ᲠᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ? ᲓᲐ ᲠᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ „ᲤᲝᲜᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ? ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲐᲠᲙᲕᲔᲕᲗ!**

მანამდე კი, ჩვენი ორგანიზაცია მთელ ძალას იხმარს, რომ ეს სამარცხვინო (უპირველეს ყოვლისა, მისი ავტორებისთვის) „თავისუფლების ქარტია“, გაუქმდეს. საჩივარს პარლამენტშივე შევიტანთ, რითაც პარლამენტარებს ავუხსნით, რომ ეს ე.წ. კანონი არღვევს ადამიანის უფლებებს! მართლაც, **ᲕᲘᲡᲘ ᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲛᲔ ᲩᲔᲛᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ — ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ — ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ?!** მერე, თუ დააკვირდით, ამ „კანონით“ ისევ ხდება პოლიციის ჩათრევა პოლიტიკაში, აკი შინაგან საქმეთა სამინისტროში კომისია უნდა შეიქმნასო, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას სიმბოლიკებთან დაკავშირებითო! როგორც ჩანს, **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲔᲑᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲪ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ, ᲝᲦᲝᲜᲓ, ᲘᲛ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲐᲛ ᲡᲘᲡᲐᲫᲐᲒᲚᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲖᲐᲙᲕᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ.** ბოლოს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პარლამენტარებს: გოგი ქავთარაძეს, სოსო ჯაჭვლიანს და გელა გელაშვილს, რომლებიც წინ აღუდგნენ ამ დისკრიმინაციულ კანონს, რითაც ჩვენს უზნეობაში და აპათიაში მყოფ საზოგადოებას მაღალი მოქალაქეობრივი მაგალითი მისცეს!

ესაუბრა
**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲠᲫᲐᲫᲔ**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით რომ შეერჩია არაეროვნული, „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და სოროსის ფონდში დაფრთიანებული პარტიები, მაშინ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარის, თავდაცვის მინისტრისა და სხვა საკვანძო პოსტებს კი არ ჩამოურიგებდა მათ ცენტრში თუ პერიფერიებში, არამედ ნელ-ნელა, ტექნიკურად ჩააჩოჩებდა და თავადაც ერთ წელიწადში მითიურ სამოქალაქო სექტორში არ გადაინაცვლებდა.**

# ხელისუფლება ხალხზე კი არა, ამერიკის დირექტივებზე ფიქრობს

**საიდან და ვისგან დავიწყოთ ხელისუფლებაზე საუბარი? — უდავოდ 2011 წლის 7 ოქტომბრიდან და ბიძინა ივანიშვილისგან, როცა ათი წლის მანძილზე განდეგილად მცხოვრებმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — ჩართულიყო პოლიტიკაში ერთადერთი მიზნით: სააკაშვილის ჩამოგდების მიზნით, თანაც არჩევნების გზით! სააკაშვილის დასამხობად მოდიოდა ქველმოქმედი მილიარდერი, რომელიც არ აპირებდა ფულის საკეთებლად სხვებივით ხელისუფლებაში ყოფნას, რომელმაც მოსვლისთანავე განაცხადა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, რომ მისი მოთმინების ფიალა 2011 წლის 26 მაისის ღამის უსასტიკესმა სისხლიანმა დარბევამ აავსო.**



სააკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირება სიცოცხლის ფასად შეიძლებოდა დასჯდომოდა ნებისმიერს. შეიძლებოდა თუ არა, ივანიშვილსაც გაეზიარებინა მასავით მილიარდერი პატარკაციშვილის ბედი? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა! რატომ შეიკავა სააკაშვილმა ამჯერად თავი? ხალხის რისხვის შეეშინდა? მაგრამ რომელი ხალხის, რომელსაც შიშველი ხელების მეტი არაფერი გააჩნდა?! თუკი დასჭირდებოდა, ხალხს ხომ იმაშიც ადვილად დაარწმუნებდა (ცრუმოწმეებითა და ტვინის ტელეგამორეცხვებით), რომ ივანიშვილი მოღალატე და რუსეთის აგენტი იყო; და, თუ ვერ დაარწმუნებდა, არც ამისთვის მოიკლავდა თავს!

მაშ, რა მოხდა სინამდვილეში? ივანიშვილმა, ქართველი ხალხის მხარდაჭერის იმედით გადაწყვიტა, არჩევნების გზით სააკაშვილის დამარცხება, სააკაშვილმა კი ეს გამოწვევა ვაჟკაცურად, მისი მომხრეების იმედზე მიიღო?! იმ სააკაშვილმა, რომელმაც 2008-ში არნახული გაყალბებებით ძლივს გადალახა 50%-იანი ბარიერი?! **ასეთი უჭკუო ჰგონია ვინმეს მთავარი, ყველაზე მაღალი „ნაცი“?! მან შესანიშნავად იცოდა, რომ მსგავს რეჟიმებს იარაღის გარეშე, პატიოსანი არჩევნებით არსად ამხობენ (ვერ ამხობენ) მსოფლიოში! რეჟიმის თავში მდგომი ძალაუფლებას არასოდეს თმობს ნებით; ასე იყო ისტორიულად და ასე იქნება მომავალშიც!**

მოკლედ, მოხდა ისე, როგორც მოხდა — **ზედმეტი გართულებებისა და მოსალოდნელი ანტიამერიკული გამოსვლების თავიდან ასაცილებლად ამერიკამ მოთოკა მაღალი „ნაცი“ და „ქართულმა ოცნებამაც“ გაიმარჯვა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: ამერიკამ პრაგმატულად გადაწყვიტა, ეს გამარჯვება ელიარებინა, იგი მოერიდა არნახულად დარაზმულ ხალხთან დაპირისპირებას.**

მოერიდა, ოღონდ სააკაშვილი თავის „ნაცებიანად“ არ გაუწირავს — „ქართულ ოცნებას“, ფაქტობრივად, ქართველ ხალხს თავისი პირობები მოგვახვია: **„ნაცების“ მიერ გაყალბების გზით მოპოვებული (რეალურზე ორჯერ მეტი) დეპუტატობის მანდატების აღიარება; პრეზიდენტისთვის, მთავარი „ნაცებისთვის“ ხელის არხლება; ნაცდეპუტატებთან კოჰაბიტაცია და კიდევ ბევრი სხვა (აგვისტოს ომის, ლაფანყურის ოპერაციის, გახმაურებული საქმეების ფიქტიური გამოძიების ჩათვლით).**

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლება არ წასულა ამერიკის ნების წინააღმდეგ, და იმის მიუხედავადაც, რომ მან მოსვლისთანავე ხელი აუკრა საქართველოს მოსახლეობას პეტიციაზე, რომელსაც მილიონზე(!) მეტი ადამიანი აწერდა ხელს (სააკაშვილის კონსტიტუციურ ვადებში(!) გადადგომის თაობაზე), მაშინ, არჩევნების შემდგომ პერიოდში დაშვებითაც არავინ უშვებდა (თითქმის!), რომ „ქართული ოცნებაც“ ამერიკული პროექტი იყო, ყოველ შემთხვევაში, ამის დაჯერება არავის სურდა. **მაგრამ იქნებ დღესაც ვინმე ფიქრობს, რომ ივანიშვილმა ამერიკის უკითხავად შემოაბიჯა პოლიტიკაში, რომ მისი გადაწყვეტილება ამერიკის ელჩისთვისაც**

## ახალ, უკვე გვარიანად მოძველებულ ხელისუფლებას თავისი სამართლებრივი პოლიტიკის ახსნა (ნორმალური ადამიანისთვის მისაღები) არ გააჩნია!

**ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ჩვენთვის?! რომ იგი ისე დაემუქრა ამერიკის ნალოლიავებ პროექტს (სახელად „სააკაშვილი და ვარდების რევოლუცია“), რომ თავად მას და მის ოჯახს უსაფრთხოების გარანტიები არ ჰქონდათ მიღებული ამერიკისგან?!**

ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯის გადამდგმელი ჰგონია ვინმეს ივანიშვილი?! ბევრი ხომ იმასაც ფიქრობდა დიდხანს, რომ მან თავისი ნებით (ვითომ ამერიკის თვალის ასახვევად!) ამოიყენა უსუფაშვილ-ალასანიას ურეიტინგო პარტიები მხარში და რომ მისი ზედმეტად შინაურული ურთიერთობა, ამერიკის ელჩთან პირადი სიმპათიებიდან და ერთი ასაკიდან გამომდინარე (როგორც თავად განაცხადა), იშვა?! იმათთვის, ვინც დღესაც, არჩევნებიდან 15(!) თვის თავზე ასე ფიქრობს, მინდა ვთქვა, რომ ეს დიდი მიამიტობაა და ამის მიხვედრას სულაც არ სჭირდება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ნიუანსების ცოდნა. სავსებით საკმარისია ამერიკა-ნატოს მონაწილეობით მსოფლიოში მიმდინარე

## რაც უფრო დიდხანს მოვიტყუებთ თავს «დემოკრატიული არჩევნებით», მით უფრო დიდხანს ვივლით მანკიერ წრეზე!

პროცესების გაანალიზება და არა — სიენენ-ბიბისის ინფორმაციების თუთიყუშივით გამეორება!

**ივანიშვილს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით რომ შეერჩია არაეროვნული, „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და სოროსის ფონდში დაფრთიანებული პარტიები, მაშინ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარის, თავდაცვის მინისტრისა და სხვა საკვანძო პოსტებს კი არ ჩამოურიგებდა მათ ცენტრში თუ პერიფერიებში, არამედ ნელ-ნელა, ტექნიკურად ჩააჩოჩებდა და თავადაც ერთ წელიწადში მითიურ სამოქალაქო სექტორში არ გადაინაცვლებდა.**

პოლიტიკაში, უფრო ზუსტად, ხელისუფლებაში ერთწლიანი მოსვლა-წასვლა ივანიშვილის მოფიქრებული რომ არ არის, ესეც ადვილი მისახვედრია. მილიარდების მშოვნელმა ბიზნესმენმა, შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ ერთ წელიწადში ბიზნესს ვერ ააწყობ ხეირიანად, ორი ათეული წლის მანძილზე დაქცეული ქვეყნის ფეხზე დადგომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მით უფრო, ისეთი სამართლისა და დემოკრატიის დამყარება, როგორითაც, დაპირებისამებრ, „ევროპასაც გავაკვირვებდით“!

პრაქტიკულად განუხორციელებელი ეს დაპირება მაინც ირწმუნა გულუბრყვილო ამომრჩეველმა, რომელსაც ივანიშვილის პატიოსნებასთან ერთად მისი მილიარდების დიდი იმედიც ჰქონდა, ამიტომაც გვესმოდა: „ასი დღე ვაცალოთ“, „ცოტა კიდევ ვაცალოთ“ და სხვ. **თუმცა უნდა ითქვას, რომ საზოგადოება ამჯერად გაცილებით მალე მოეგო გონს, ვიდრე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ; მიხვდა, რომ მსგავსი არაფერი იგეგმება! არც ამის მიხვედრა იყო ძნელი — როგორ უნდა აღადგინოს (გნებავთ, დაამკვიდროს) ხელისუფლებამ სამართალი ქვეყანაში, დიდი სურვილის შემთხვევაშიც, თუკი იგი წინა, დამნაშავე ხელისუფლების (მმართველი პარტიის) გასამართლების ნაცვლად მის პოლიტიკურ და ფიზიკურ გადარჩენაზე იზრუნებს, სახელმწიფოს მართვას სანახევროდ (თუ მეტად არა!) და სამართლის აღსრულებას თითქმის მთლიანად ძველ კადრებს მიანდობს, რომლებიც თავად იყვნენ დანაშაულის ჩამდენნი და რომლებზეც ათასობით საჩივარი იყო შესული პროკურატურასა თუ პარლამენტში!**

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მიერ სამართლიანობისკენ სავალ გზაზე გადადგმული მთავარი „ჰუმანური“ ნაბიჯები: სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის ვადის გახანგრძლივება 316(!) დღით — 2012 წლის 5 იანვრიდან 2012 წლის 17 ნოემბრამდე (პრეზიდენტობის კონსტიტუციური ვადის დასრულებიდან ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღემდე); დედაქალაქის (ლამის ნახევარი მოსახლეობის!) მერად „ნაცი“ უგულავას დატოვება; უკანონობის აღმსრულებელი პროკურორ-მოსამართლეებისთვის ხელის არხლება (პროკურატურაში მხოლოდ 30%-ით გადახალისდა შემადგენლობა, მაშინ, როცა, თავად მთავარი პროკურორის — კბილაშვილის განცხადებით, 333 პროკურორიდან 332-ზე(!) საჩივარი იყო შესული და თანაც თითოეულზე არა ერთი და ორი; მოსამართლეებს კი საერთოდ არ შეხებია ახალი ხელისუფლება არც ერთ დონეზე!); აღარაფერს ვამბობ გუბერნატორ-გამგებლებად და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მომუშავე „ნაცმოძრაობის“ კადრებზე.

სამწუხაროდ, ახალ, უკვე გვარიანად მოძველებულ ხელისუფლებას თავისი სამართლებრივი პოლიტიკის ახსნა (ნორმალური ადამიანისთვის მისაღები) არ გააჩნია! **თავიანთი უუნარობის ახსნას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები (დაწყებული 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე) დასავლეთის „ვერგაგებით“ ცდილობენ და ამას ისე წარმოაჩენენ, თითქოს არ მოელოდნენ ასეთ „მეგობრულ“ რჩევებს, ანუ ზეწოლას ამერიკისგან. ვინ დაიჯერებს, რომ პოლიტიკაში ჭიპმოჭრილ ადამიანებს და თუნდაც პოლიტიკაში ახალფეხშემოდგმულ კაცს ამერიკის პოზიციაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ?!**

როგორც დასავლეთ საქართველოში იტყვიან, ერთი იმის ტურა გამხადა და გამაგებინა, თუკი დამნაშავე პრეზიდენტს იმპიჩმენტს ვერ ვუწყობთ და ვერც ძალაუფლებას ვაგდებინებთ ხელიდან საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგაც კი, თუ სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავე „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის განსასჯელის სკამზე დასმას ვერ ვახერხებთ, თუ საგარეო კურსს ვერ ვცვლით ჩვენს ჭკუაზე ერთი გრადუსითაც და თუ სამაგიეროდ დასავლური გარყვნილებისა და პედერასტობის ხელშეწყობაში შეგვიძლია თავის გამოჩენა მხოლოდ, თუ საქართველოს 1700-წლოვან მართლმადიდებლობას (რომელმაც დღემდე შემოგვინახა, როგორც ქართველი ერი!) ყველა სხვა რელიგიასთან და ათასი ჯურის სექტებთან ვათანაბრებთ, თუ ბავშვებს დედა ენასთან ერთად ორგაზმისა და მასტურბაციის ანა-ბანაც და ჰომოსექსუალობის სიყვარულის სავალდებულო გაკვეთილებიც უნდა ჩავუტაროთ პირველივე კლასებიდან, ხოლო 6 წლის ბიჭს თანაკლასელი გოგოსთვის ლოყაზე კოცნა სექსუალურ ძალადობად უნდა ჩავუთვალოთ (და ბიჭი რამდენიმე დღით სკოლაში არდაშვებით დავსაჯოთ), თუ ცელქი ბავშვები აუცილებლად ფსიქოტროპული პრეპარატებით უნდა გავჭყიპოთ (ჰომოსექსუალების მკურნალობა კი ავკრძალოთ!) და ქაღალდის ჩიტების გაშვებისთვის ხელბორკილდადებული 6-7(!) წლის ბავშვები პოლიციაში გავაქანოთ და ამის შემდეგ თუ თავს იმით გავიმართლებთ, რომ ასეა მიღებული მთელ ევროპა-ამერიკაში და, ევროპელობა თუ გვინდა, ჩვენც უნდა ავყვეთ მათ ფეხის ხმასო, თუ ყველაფერ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ უნდა დავივიწყოთ სიტყვები „ეროვნება“, „პატრიოტიზმი“, „დედ-მამა“, სანაცვლოდ კი №1 და №2 მშობელი შემოვიღოთ და, როგორც ევროსაბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი მოითხოვს, „სამშობლო“, „ხალხი“ და, საერთოდ, ეროვნული იდენტურობის დამადასტურებელი სხვა ცნებები „სანაგვეზე მოვისროლოთ“, მაშინ ასეთი უზნეო „ღირებულებების“ მქონე, ადამიანის უფლებების უცერემონიოდ შემზღუდავ ევროკავშირში (და ნატოშიც), იქნებ აგვიხსნას ვინმემ, რა ჯანდაბა გვინდა?! ის ხომ არა, უფრო სწრაფად რომ ავითვისოთ ეს და სხვა თანამედროვე ევროპული „ღირებულებები“?! **რომელი მორალური კრიტერიუმებიდან გამომდინარე გვექაჩებიან იქ, სადაც ერთ თაობაში გავირყვნებით და გადავგვარდებით ყველაფრის(!) უფლების მქონენი?! დავიჯერო, ვერ ხვდებიან ბნელ, სატანურ ძალებს რომ ემსახურებიან?! ძალიან კარგადაც ხვდებიან! მათ, უბრალოდ, არ ეთმობათ სავარძლები, ჯერ არ უშოვიათ ფული საკმარისად, თუმცა იქნებ მეშლება — სულ ხალხზე ფიქრში ათენ-აღამებენ და თეთრად გათენებული ღამეების საკომპენსაციოდ იზრდიან და იზრდიან ხელფასებს?!**

არ შეიძლება გვერდი ▶

## ზედმეტი გართულებებისა და მოსალოდნელი ანტიამერიკული გამოსვლების თავიდან ასაცილებლად ამერიკამ მოთოკა მაღალი «ნაცი» და «ქართულმა ოცნებამაც» გაიმარჯვა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: ამერიკამ პრაგმატულად გადაწყვიტა, ეს გამარჯვება ელიარებინა, იგი მოერიდა არნახულად დარაზმულ ხალხთან დაპირისპირებას

# ივანიშვილისგან ბევრ რამეს მოველოდით, მაგრამ ნამდვილად არ გვეგონა, თუ მილიარდერი კაცი სააკაშვილის მიერ მისთვის წართმეულ 80 მილიონს, ანუ მთლიანი ქონების 1.25%-ს (2012 წლის მონაცემებით, ივანიშვილის ქონება 6.4 მილიარდი იყო) არჩევნებში გამარჯვებიდან პირველივე დღეებში დაიბრუნებდა, ხოლო 10 ათას ქონებაწართმეულ ადამიანს, რომელთა უმეტესობას ქონების 100%(!) წაართვეს „ნაცებმა“, არც ერთი თეთრი არ დაუბრუნდებოდა არჩევნებიდან 15 თვის შემდეგაც კი!

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ცოტა უცნაური «კეთილშობილებაა» — მილიარდერისგან შემოთავაზებულ გასამრჯელოზე კაცმა უარი თქვა და გაჭირვებული ხალხისგან, ანუ ბიუჯეტიდან კი ისე გაიორმაგა ხელფასი მოსვლისთანავე, ვითომც ეს მატება რამდენიმე ათასი კი არ ყოფილიყოს, არამედ ათიოდე ლარი, პენსიების მატების ანალოგიური!

◀ ავუარო პრეზიდენტის ერთობ „საინტერესო“ კომენტარს ხელფასებთან დაკავშირებით. თურმე იმ მოტივით კი არ უთქვამს მარგველაშვილს უარი 9000-იან ჯამაგირზე, რომ გუშინ პრეზიდენტად არჩეულს ჯერ თითი თითზე არ დაუკარებია, არაფერი გაუკეთებია თავისი ხალხისთვის და სააკაშვილზე(!) 2-ჯერ(!) მეტი ხელფასის დანიშვნა ცოტა(!) უხერხული იქნებოდა მისი მხრიდან; იმიტომ კი არა, რომ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ხალხისთვის თვალებში შეხედვა გაუჭირდებოდა, პენსიონერზე (ანუ დღეისთვის მიღებულ საარსებო მინიმუმზე) 60-ჯერ დიდ ხელფასს თუ დაინიშნავდა; არა, ბატონებო, შემაფერხებელი მიზეზი (მისივე პირით გაცხადებული) ყოფილა ის, რომ **„ინფორმაცია მიუღიათ იმის თაობაზე, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ქვეყნის პრეზიდენტებზე უფრო მაღალი ხელფასი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონიათ“!** ჰოდა, აბა, რას იტყვის დემოკრატიული დასავლეთი, უზენაეს მოსამართლეზე მეტი ხელფასი თუ გამომივაო და ამიტომაც(!) **„დავეთანხმეთ, საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი სასამართლო ხელისუფლების მესვეურებზე ნაკლები ყოფილიყოო“! და მარგველაშვილიც მხოლოდ(!) 6900 ლარამდე გაზრდას დათანხმდა, ანუ 100 ლარით ნაკლებს, ვიდრე უზენაესი მოსამართლის ხელფასია (რამხელა დიდსულოვნებაა!), რაც ზუსტად 46-ჯერ დიდია ყველასთვის ერთნაირად დადგენილ პენსიაზე — 150 ლარზე! ისე, კუბლაშვილს 9100 რომ ჰქონოდა ხელფასი, მაშინ 9000-ის დანიშვნაც არავითარი პრობლემა არ იქნებოდა, მთავარი ყოფილა გარკვეული ბალანსის დაცვა უზენაეს მოსამართლესა და პრეზიდენტს შორის და არა — პენსიონერსა და პრეზიდენტს შორის!**

მახსენდება ივანიშვილის მიერ მარგველაშვილის დახასიათება, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატად წარუდგინა იგი საზოგადოებას — აქაოდა, იმდენად კეთილშობილია მარგველაშვილი, რომ, როდესაც მრჩეველთა გუნდი შევკრიბე საპარლამენტო არჩევნების წინ, მან ერთადერთმა განაცხადა უარი ანაზღაურებაზეო. არა, ვინაც უარი არ თქვა, იმათზე ცუდს კი არ ვამბობ, მაგრამ მარგველაშვილის ეს საქციელი მის ღირსებაზე მეტყველებსო, — რაღაც ამის მსგავსი ითქვა. **ცოტა უცნაური „კეთილშობილებაა“ — მილიარდერისგან შემოთავაზებულ გასამრჯელოზე კაცმა უარი თქვა და გაჭირვებული ხალხისგან, ანუ ბიუჯეტიდან კი ისე გაიორმაგა ხელფასი მოსვლისთანავე, ვითომც ეს მატება რამდენიმე ათასი კი არ ყოფილიყოს, არამედ ათიოდე ლარი, პენსიების მატების ანალოგიური!** და ამ ნაბიჯის გამართლებასაც შეეცადო — ხელისუფლებაში ყველას ეზრდება ხელფასებიო! ვის უფრო მეტი კეთილშობილება მოეთხოვება ამ კუთხით (და, საერთოდაც!) — რიგით ფილოსოფოსს მილიარდერის ჯიბის წინაშე თუ პრეზიდენტად არჩეულ ამ ფილოსოფოსს ხალხის ფულის, სახელმწიფოს ბიუჯეტის წინაშე?!

ნამდვილად დიდი სიხარული მოგვიტანა ივანიშვილის მოსვლამ და შემდეგ მისი წინამძღოლობით არჩევნებში გამარჯვებამ, მაგრამ გავიხსენოთ 2003 წლის 23 ნოემბერიც, როცა არანაკლებ, ვიდრე 2012 წლის 1 ოქტომბერს, ვზეიმობდით გამარჯვებას, ზუსტად ასე გვიხაროდა: **ეს რა ჭირი მოვიცილეთ, ვინ იფიქრებდა, რომ შევარდნაძეს უსისხლოდ გადავაგდებდითო! რაც მოჰყვა ამ აღფრთოვანებას, ყველას მოგვეხსენება და კარგად მოგვეხსენება ამის მიზეზიც — შევარდნაძისთვის ხელის არხლება, თითქოს, თეთრი მელა კი არა, თეთრი ანგელოზი ყოფილიყოს!**

მართალია, ჭირი კი მოვიცილეთ ერთხელაც და მეორედაც, მაგრამ, როცა ჭირის ვირუსების მატარებელი პარტია თავის ლიდერიანად არ ისჯება და როდესაც მაღალი ტრიბუნიდან გვესმის, რომ, მათი გასამართლება კი არა, მათთვის მაშველი რგოლის გადაგდებაა საჭირო და, როდესაც სახელმწიფოს მართვა მათ გადააბარა ივანიშვილმა, ვისაც ეს მაშველი რგოლი აქვს „ნაცებისთვის“ გამზადებული, სად არის გარანტია, რომ პერმანენტული დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულები (ძალაუფლება რყვნისო, ხომ ამბობენ!) მხოლოდ ხელფასების მომატებით დაკმაყოფილდებიან და შევარდნაძე-სააკაშვილს არ გადააჭარბებენ ხვალ! **არც 2003 წელს ეგონა ვინმეს (ერთეულების გარდა), დასავლეთში განათლებამიღებული სააკაშვილი შევარდნაძეს თუ ჩამოიტოვებდა უკან განუკითხაობაში, თანაც საგრძნობლად! მსგავსი რამ რომ არ განმეორდება, ამის გარანტია არ არსებობს!** შეიძლება ფიზიკურ ანგარიშსწორებას აღარ ჰქონდეს ძველებურად ადგილი, მაგრამ შესაძლოა, სამაგიეროდ ისე დაგვაკნინონ სულიერად, რომ ფიზიკური განადგურების ტოლფასი იყოს! მხედველობაში მაქვს ერის გახრწნა-გალიბერასტება-გაპედერასტებისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა თავისი 17 მაისებით, ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონებით, პედოფილიის სქესობრივ ორიენტაციად მიჩნევით, განათლების დონის დაცემით (ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდა ხომ დიჯეებსა და რეპერებში ეძებს ვაჟა-ფშაველას!), ქართული ენის დაკნინებით და ინგლისურის აღზევებით, ყოველივე ქართულის უკანა პლანზე გადაწევით (ტელეკონცერტებზე, კონკურსებსა და საახალწლო გადაცემებშიც 20 სიმღერიდან 2-3 თუ სრულდება ქართულად)!

## არც 2003 წელს ეგონა ვინმეს (ერთეულების გარდა), დასავლეთში განათლებამიღებული სააკაშვილი შევარდნაძეს თუ ჩამოიტოვებდა უკან განუკითხაობაში, თანაც საგრძნობლად! მსგავსი რამ რომ არ განმეორდება, ამის გარანტია არ არსებობს!

ყოველივე ამის შემხედვარემ (გუშინ და დღესაც!) **როგორ დავიჯეროთ, რომ ხვალ უკეთესობა იქნება, რომ ქართველ ერზე, როგორც ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელ ხალხზე, ვინმე იზრუნებს?! სიხარულით დავიჯერებდი, მაგრამ 15 თვის მანძილზე ამის ნიშნები მაინც ხომ უნდა დაგვენახა!** ერთი სიტყვით, იმედები დიდი იყო, ოცნებები — კიდევ უფრო დიდი, მაგრამ რამდენიმე თვე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კარგად გავრკვეულიყავით (თუმცა არა ბოლომდე!), თუ ვინ ვინ არის — ხელისუფალი, პოლიტიკოსი, ექსპერტი, ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ ტელევიზია, მართლა ხალხმა გავიმარჯვეთ არჩევნებში თუ მისი სცენარიც, „ვარდების რევოლუციის“ მსგავსად, ერთი „პოჩერკით“ იყო დაწერილი.

**ხელისუფლებაზე სალაპარაკოს რა გამოლევს, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: ივანიშვილისგან ბევრ რამეს მოველოდით, მაგრამ ნამდვილად არ გვეგონა, თუ მილიარდერი კაცი სააკაშვილის მიერ მისთვის წართმეულ 80 მილიონს, ანუ მთლიანი ქონების 1.25%-ს (2012 წლის მონაცემებით, ივანიშვილის ქონება 6.4 მილიარდი იყო) არჩევნებში გამარჯვებიდან პირველივე დღეებში დაიბრუნებდა, ხოლო 10 ათას ქონებაწართმეულ ადამიანს, რომელთა უმეტესობას ქონების 100%(!) წაართვეს „ნაცებმა“, არც ერთი თეთრი არ დაუბრუნდებოდა არჩევნებიდან 15 თვის შემდეგაც კი!**

მეტად გულსატკენია ასეთი ქმედება იმ კაცისგან, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა ქართველ ხალხს სულ ცოტა ხნის წინ, და შეურაცხმყოფელიც, რადგანაც ივანიშვილი ამ დაზარალებული ხალხის (და, საერთოდ, მთელი მოსახლეობის) იმაში დარწმუნებას ცდილობდა, რომ ქონების დაბრუნება პრაქტიკულად თითქოს შეუძლებელია, ხოლო კომპენსაციას ბიუჯეტი ვერ გასწვდება! ბევრჯერ ითქვა, მაგრამ კვლავ გავიმეორებ უკვე ივანიშვილის გარეშე დარჩენილი ხელისუფლების საყურადღებოდ: **ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბიდან ქონებაწართმეულთათვის ზარალის ანაზღაურება ახალი უსამართლობა იქნება, ვინაიდან ამ ქონების წამრთმევის თუ შუამავლის ვინაობა ზუსტადაა ცნობილი! რა უნდა მათ დაჭერას და მათი ქონების კონფისკაციას! და თუ ისინი არაფერ შუაში არ არიან და ზემდგომი პირების დავალებას ასრულებდნენ მხოლოდ** (რაშიც არავის ეპარება ეჭვი!), **მაშინ ამ ზემდგომი პირების დაპატიმრებას და მათი ქონების** (სახლ-კარის, აგარაკების, ბიზნესისა და ანგარიშების) **კონფისკაციას რა უდგას წინ?** ცხვირიდან ძმარი უნდა ადინო და ყველაფერს დაფქვავენო, — თქვა ერთმა ჭკვიანმა კაცმა, მაგრამ არც ეს გახდება საჭირო, ისედაც დაფქვავენ, როგორც კი გაიგებენ, რომ თავისუფლებასთან ერთად დაკარგავენ, რაც რამ უშოვიათ, რომ ცოლშვილი ცარიელ-ტარიელი დარჩებათ ულუკმაპუროდ! ეს ძნელი მისახვედრია? რა თქმა უნდა, არა! იგი ძნელია შესასრულებლად, რადგან **ხელისუფლება ხალხზე კი არა, ამერიკაზე ფიქრობს, მის მიერ მოცემული დირექტივების პირნათლად შესრულებაზე! ისე, ხელისუფლებას შევახსენებ, რომ ჩილეს დიქტატორმა პინოჩეტმა, პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ წართმეული ქონება დაუბრუნა პატრონებს, აბსოლუტურად ყველას და „ბიუჯეტს დააწვება ტვირთადო“, არ უთქვამს!** სწორედ ამ ნაბიჯით და ბიზნესისთვის მაქსიმალური ხელშეწყობის გზით (და არა, წილში ჩაჯდომით!) შეძლო პინოჩეტმა ეკონომიკის აყვავება, და 17-წლიანი დიქტატურის შემდეგ ჩილე აქცია ერთადერთ სახელმწიფოდ დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელსაც საგარეო ვალი აღარ ჰქონდა! ჩვენ კი, 20 წელზე მეტია, დემოკრატია გვაქვს, თანაც ბოლო 10 წელია — თითით საჩვენებელი, სანიმუშო, საგარეო ვალი კი ხუთჯერ გაგვეზარდა!

**დემოკრატიას და, შესაბამისად, დემოკრატიულ არჩევნებს დიდი ხანია სახელი აქვს გატეხილი ყველგან, განსაკუთრებით — ჩვენთან. ამდენი მამაძაღლობა და უსამართლობა, რაც დემოკრატიის სახელით ხდება მსოფლიოში, ისტორიას არ ახსოვს. 20 წელი დასავლური დემოკრატიისკენ სწრაფვამ და 10 წლის წინ, ამერიკა-ევროპის უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით „სანიმუშო დემოკრატიის“ დამყარებამ რა ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ ზნეობრივ აღმავლობამდე მიგვიყვანა, ამის მოწმენი ყველანი ვართ დღეს!** ფაქტია, არანაირმა არჩევნებმა ჩვენ არ გვიშველა — სახელმწიფო ჩანაგდება, ხალხი ღატაკდება, ნაძირლები კეთდებიან, სამართალმა ჭირი მოგვჭამა, მორალი გაქრა, პატიოსნება გარყვნილებამ ჩაანაცვლა, განათლება ჩაკვდა, მეცნიერება დასამარდა, ემიგრაცია არ იკლებს, დემოგრაფიულ კატასტროფას გვიწინასწარმეტყველებენ, „დედ-მამას“ ორი დედით ან ორი მამით გვიცვლიან, „სამშობლო“ და „ეროვნება“ კი სანაგვეზე მოიკითხეთო, გვირჩევენ!

კი ამბობენ, იმედი ყველაზე ბოლოს კვდებაო, ეს მეც მითქვამს ადრე და, სწორედ ამ ოპტიმისტური პრინციპიდან გამომდინარე, ვწერდი წერილებს წლების მანძილზე შემართულად, არ მინდოდა იმედის ჩამკლავი ბევრი ფაქტის დაჯერება, მით უფრო, არ მინდოდა ჩემში შემოპარული პესიმისტური განწყობის საჯაროდ გაცხადება, სხვებისთვის გულის გატეხვა, მაგრამ საქართველოს უახლესი 20-წლიანი წარსულის გათვალისწინებით და, რაც მთავარია, დღევანდელობის(!) მწარე რეალობიდან გამომდინარე, იმედი გადამეწურა (სასწაულად დარჩენილ ერთ პატარა ნაპერწკალს რა გააღვივებს, არ ვიცი!). ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და მართლა ველირსოთ არჩევნების გზით სასურველ ხელისუფლებას, მაგრამ, **როცა სახელმწიფოს განვითარების სცენარი წინასწარაა დაწერილი და არჩევნებიც შესაბამისად იმართება, როცა საარჩევნო კოდექსი, კომისიები, ამომრჩეველთა სიები, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები ერთი ძალის ხელშია, როცა სამთავრობო კადრების შერჩევა ერთი წყაროდან ხორციელდება** („თავისუფლების ინსტიტუტი“, სოროსის ფონდი, საია, „ენდიაი“ და მისთანანი), **როცა ტელევიზიები 24 საათის განმავლობაში ტვინს გვიბურღავენ მიზანმიმართულად, როცა პრემიერმინისტრი ახალ საარჩევნო წესს — თვითმმართველობის და მერების 40 %-იანი პრინციპით არჩევას, სამართლიანობის აღდგენად გვასაღებს და ჩვენც გაბითურებულები ლაპარაკის მეტს რომ ვერაფერს ვახერხებთ, რის იმედზე უნდა ვიყოთ, ცოტა ძნელი გასაგებია! რაც უფრო დიდხანს მოვიტყუებთ „დემოკრატიული არჩევნებით“ თავს, მით უფრო დიდხანს ვივლით მანკიერ წრეზე!**

ვფიქრობ, ერთი ეროვნული „დიქტატორი“, რომელიც პინოჩეტ-კადაფივით თუ არა, ლუკაშენკოსავით მაინც მოგვხედავდა – არც მიწებს და სტრატეგიულ ობიექტებს გაგვიყიდდა უცხოელებზე, არც სვანეთს და სხვა კუთხეებს გაანადგურებდა გიგანტური ჰესებით, „ნაცებისთანა“ გამყიდველ ხალხს თავის ადგილს მიუჩენდა და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენით აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების იმედსაც ჩაგვისახავდა, დღეს ნამდვილად სანატრელია!

## როგორ დავიჯეროთ, რომ ხვალ უკეთესობა იქნება, რომ ქართველ ერზე, როგორც ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელ ხალხზე, ვინმე იზრუნებს?! სიხარულით დავიჯერებდი, მაგრამ 15 თვის მანძილზე ამის ნიშნები მაინც ხომ უნდა დაგვენახა!

**იაკობ ლეჟავა**

ბუმერანგის ეფექტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სეპარატიზმის მხრივ საფრანგეთს პრობლემა აქვს კორსიკასთან, ბასკებთან, რუმინეთს — ტრანსილვანიასთან, იტალიას — ჩრდილოეთ პროვინციებთან, სლოვაკეთს — უნგრელ უმცირესობასთან, ჩინეთს — ტაივანსა და ტიბეტთან, აშშ-ს — ტეხასის შტატთან, კანადას — ფრანგულენოვან კვებეკთან და ა. შ. მაგრამ ყველაზე მწვავე მაინც ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში შექმნილი ვითარებაა.**

# კატალონია — ევროკავშირის რღვევის კატალიზატორი




**16 იანვარს ესპანეთის ავტონომიური ოლქის — კატალონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა 2014 წლის 9 ნოემბერს რეფერენდუმის ჩატარებას ესპანეთისგან გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების თაობაზე. შესაბამისი პეტიციის ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაგზავნის შესახებ ხმა მისცა 87-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი წავიდა — 43, თავი კი მხოლოდ 3-მა დეპუტატმა შეიკავა. ოფიციალური ბარსელონა ესპანეთის პარლამენტს მალე გაუგზავნის დოკუმენტს რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, თუმცა, დიდი ალბათობით, კატალონიელები უარს მიიღებენ, მაგრამ შეაჩერებს კი ეს უარი სეპარატიზმის პროცესს, რომელიც უკვე დაწყებულია ესპანეთში და არა მხოლოდ ესპანეთში?**

1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე პოსტდამში (გერმანია), ცეცილიენჰოფის სასახლეში გაიმართა ანტიჰიტლერული კოალიციის სამი სახელმწიფოს — სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის, ლიდერების შეხვედრა, რომელზეც მსოფლიოს ახალი წესრიგის, კონკრეტულად კი ევროპის ახალი მოწყობის საკითხები განიხილეს, ანუ პოსტდამის კონფერენციაზე გეოპოლიტიკური თამაშის ახალი წესები შეიმუშავეს, რომლებიც პირველად „ცივი ომის“ (1950 წლიდან 1990 წლამდე) დაწყებისთანავე დაირღვა აშშ-ის ძალისხმევით.

ევროპის თანამედროვე საზღვრები კარლოს დიდის (742/747-814) — ფრანკების მეფისა და ბავარიის ჰერცოგის იმპერიის ნამსხვრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის მრავალსაუკუნოვანი ომების შედეგად აღმოცენდა, თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, **კეთილდღეობით სავსე ევროკავშირის ქვეყნებში დაძაბულობის კერა უამრავია. უფრო მეტიც, ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად დაძაბულობის კერების რიცხვიც იმატებს.** აღსანიშნავია, რომ 4 წლის წინათ გამართული არჩევნების შედეგად რადიკალურად განწყობილმა ნაციონალისტებმა ევროპარლამენტში ფრაქციის ჩამოყალიბება შეძლეს.

**სეპარატიზმის მხრივ საფრანგეთს პრობლემა აქვს კორსიკასთან, ბასკებთან, რუმინეთს — ტრანსილვანიასთან, იტალიას — ჩრდილოეთ პროვინციებთან, სლოვაკეთს — უნგრელ უმცირესობასთან, ჩინეთს — ტაივანსა და ტიბეტთან, აშშ-ს — ტეხასის შტატთან, კანადას — ფრანგულენოვან კვებეკთან და ა.შ. მაგრამ ყველაზე მწვავე მაინც ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში შექმნილი ვითარებაა.**

საერთოდ კი, მსოფლიოში 300-მდე ხალხი ცხოვრობს (150 მილიონზე მეტი მოსახლეობით), რომელიც უკვე რეალურად აცხადებს პრეტენზიას ან ფორმალურად აქვს უფლება, განაცხადოს პრეტენზია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე, აღარაფერს ვამბობთ იმ ერებზე, რომლებმაც უკვე თავიანთი ეთნიკური სტატუსი აიმაღლეს.

## სეპარატიზმი ესპანეთში

**ვითარება ყველაზე დაძაბულია კატალონიასა და ბასკების ქვეყნებში. ფრანკოს (1892-1975) რეჟიმმა ამ პროვინციებს ავტონომია წაართვა, აკრძალა ადგილობრივი პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წიგნებისა და გაზეთების გამოცემა კატალონიურ და ბასკურ ენებზე, დროშების გამოფენა.** დემოკრატიული რეფორმების შემდეგ, 1970-ია-

1. შოტლანდია (დიდი ბრიტანეთი);
2. ჩრდ. ირლანდია (დიდი ბრიტანეთი);
3. უელსი (დიდი ბრიტანეთი);
4. კორნუოლი (დიდი ბრიტანეთი);
5. კუნძული მენი (დიდი ბრიტანეთი);
6. ფარერის კუნძულები (დანია);
7. სკანია (შვედეთი);
8. ალანდის კუნძულები (ფინეთი);
9. ფრისლანდია (გერმანია, ჰოლანდია);
10. ფლანდრია (ბელგია);
11. ვალონია (ბელგია);
12. ბრიუსელი — თავისუფალი ქალაქი (ბელგია);
13. ეიპენ-მალმედი (ბელგია);
14. ბავარია (გერმანია);
15. ალემანები — შვაბები (გერმანია);
16. ელზასი (საფრანგეთი);
17. რომანდია (შვეიცარია);
18. სავოია (საფრანგეთი);
19. ნიცის რაიონი (საფრანგეთი);
20. ოქსიტანია (საფრანგეთი);
21. ბრეტანი (საფრანგეთი);
22. კორსიკა (საფრანგეთი);
23. ბასკების ქვეყანა (ესპანეთი, საფრანგეთი);
24. ასტურია (ესპანეთი);
25. გალისია (ესპანეთი);
26. ანდალუზია (ესპანეთი);
27. არაგონი (ესპანეთი);
28. კატალონია (ესპანეთი);
29. ვალენსია (ესპანეთი);
30. სარდინია (იტალია);
31. სიცილია (იტალია);
32. პადანია (იტალია);
33. ლიგურია (იტალია);
24. ვენეტო (იტალია);
35. სამხრეთი ტიროლი (იტალია);
36. ვალ დ’აოსტა (იტალია);
37. ისტრია (ხორვატია);
38. ბოსნია (ბოსნია და ჰერცოგოვინა);
39. სერბეთის რესპუბლიკა (ბოსნია და ჰერცოგოვინა);
40. აღმოსავლეთი სლავონია (ხორვატია);
41. ვოევოდინა (სერბეთი);
42. უნგრელებით დასახლებული რაიონი ვოევოდინაში (სერბეთი);
43. სანჯაკი (სერბეთი);
44. კოსოვო (სერბეთი);
45. მიტროვიცას სერბული რაიონი (კოსოვო);
46. პრეშევო-ბუიანოვაცი-მედვედჟას რაიონი (კოსოვო);
47. ულცინი (ჩერნოგორია);
48. დასავლეთი მაკედონია (საბერძნეთი);
49. ჩრდილოეთი ეპირი, ჩამერია (ალბანეთი, საბერძნეთი);
50. ბერძნული მაკედონია (საბერძნეთი);
51. ტრანსილვანია (რუმინეთი);
52. ვალახია (რუმინეთი);
53. რუმინეთის მოლდოვა (რუმინეთი);
54. ბუკოვინა (რუმინეთი, უკრაინა);
55. ბესარაბია (უკრაინა, მოლდოვა);
56. დნესტრისპირეთი (მოლდოვა);
57. გაგაუზია (მოლდოვა);
58. ბუჯაკი (მოლდოვა, უკრაინა);
59. პოდკარპატსკაია რუს (უკრაინა);
60. უნგრელებით დასახლებული რაიონი სლოვაკეთში;
61. პრიაშევშჩინა (სლოვაკეთი);
62. ლემკოვშჩინა (პოლონეთი, სლოვაკეთი);
63. მორავია (ჩეხეთი);
64. სილეზია (პოლონეთი, ჩეხეთი, გერმანია);
65. ლუჟიცა (გერმანია, პოლონეთი);
66. კაშუბი (პოლონეთი);
67. ნადსიანიე (პოლონეთი);
68. ხოლმშჩინა (პოლონეთი);
69. პოდლიაშიე (პოლონეთი);
70. ვილენშჩინა (ლიტვა);
71. ჟემაიტია (ლიტვა);
72. ლატგალია (ლატვია);
73. იდა-ვირუმაა (ესტონეთი).

* რუკაზე მუქად არის დაშტრიხული რეგიონები, რომლებშიც სეპარატისტული მოძრაობა ძლიერია და რომელთაც მიზნად აქვთ დასახული დამოუკიდებლობის მოპოვება. მაგალითად, შოტლანდია;

* საშუალოდ დაშტრიხულია რეგიონები, რომლებსაც უფლებების გაფართოება სურთ. მაგალითად, ანდალუსია;

* მსუბუქად დაშტრიხულია ევროპის ისტორიული რეგიონები, რომელთაც გაძლიერებული აქვთ განსაკუთრებულობის განცდა. მაგალითად, ოქსიტანია;

* დაუშტრიხავია „მძინარე“ რეგიონები, რომელთა მოსახლეობაც ქმნის ეროვნულ სახელმწიფოს.

## ვლადიმერ პუტინი:
## „აი, წერენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპა სტალინის რეჟიმის ბნელეთში მოექცა. ფაშიზმს რომ გაემარჯვა? ზოგიერთი ხალხი საერთოდ ვერ გადარჩებოდა, მათ, უბრალოდ, გაჟუჟავდნენ!“

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნი წლების დამლევიდან, რეგიონული ორგანოების უფლებამოსილებები არა მხოლოდ აღდგა, არამედ შესამჩნევად გაფართოვდა. ამჟამად კატალონიასა და ბასკეთში ადგილობრივი ხელისუფლება აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საკითხებს, გადასახადებს, ჰყავთ თავიანთი სამართალდამცავი ორგანოები, პარლამენტი. **კატალონიასა და ბასკეთში ცხოვრების დონე უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად ესპანეთში. ამის მიუხედავად, ადგილობრივი ელიტა ამით არ კმაყოფილდება და ესპანეთისგან სრულ დამოუკიდებლობას ითხოვს.**

### გაერთიანებული სამეფოს პერსპექტივა – დაშლა ოთხ ნაწილად

**დიდი ბრიტანეთის, გაერთიანებული სამეფოს, მოსახლეობის 90 პროცენტს ინგლისელები შეადგენენ. მიუხედავად ამისა, უელსელებმა, ირლანდიელებმა და შოტლანდიელებმა შეინარჩუნეს ნაციონალური იდენტობა.**

თუკი შოტლანდია, გარკვეულწილად, კატალონიის ანალოგია, ბასკების ქვეყნის ანალოგი, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ ირლანდიაა, სადაც 1960-1990 წლებში ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ წარმოებულ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 4 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიამ თავისი საკანონმდებლო ორგანო მიიღო, მაგრამ რეგიონში მშვიდობამ მაინც ვერ დაისადგურა — მოსახლეობის უმეტესობა დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფასა და სრულ დამოუკიდებლობას ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ **გაერთიანებულ სამეფოში დამოუკიდებლობისკენ ლტოლვის ტენდენცია არის თვით ინგლისშიც, სადაც, მეზობლებისგან განსხვავებით, პარლამენტი არ არსებობს.** შედეგად, ექსპერტთა ვარაუდით, გაერთიანებულ სამეფოს 4 ქვეყნად დაშლა ელის. საკითხავი მხოლოდ ის არის, როდის მოხდება ეს.

### როგორ უნდა „მოეწყოს“ ქალაქი ბრიუსელი?

**მშვიდობიან ბელგიაში, სადაც სეპარატიზმით გამოწვეული ექსცესები არ აღნიშნულა, ქვეყნის დაშლის პრობლემა უკვე მწვავედ დგას.**

გასული საუკუნის ბოლოს ჩატარებული საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ უნიტარული სახელმწიფო — ბელგია გარდაიქმნა ფედერაციად, რომელშიც შედის: ფრანგულენოვანი ვალონია, ჰოლანდიურენოვანი ფლანდრია და დედაქალაქი ბრიუსელი, რომელიც ფლანდრიის ტერიტორიაზეა, მაგრამ მისი მოსახლეობის 80 პროცენტს ფრანკოფონები შეადგენენ. ამჟამად ფლანდრია ცხოვრების დონით გაცილებით აღემატება ვალონიას და სწორედ ეს არის დაპირისპირების მიზეზი, თუმცა გაურკვეველია, რა ბედი ელის ბრიუსელს ქვეყნის დაშლის შემთხვევაში.

### კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო

**2 ათეული წლის წინათ ექსპერტები სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებასა და ევროპის დაშლას ვარაუდობდნენ. პროცესი ასეთი რადიკალური გზით არ წარიმართა, მაგრამ პრობლემა ისევ რჩება.** ბუნებრივია, მრავალრიცხოვანი განსხვავების გამო, ამ პრობლემის უნივერსალური მოდელი არ არსებობს, მაგრამ საერთო მიდგომა ნათელია — რეგიონებისა და ავტონომიების სტატუსის ამაღლება, ოღონდ არა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ხარჯზე. ევროპისთვის კი უმნიშვნელოვანესია, რომ ეს პროცესი მშვიდობიანად მიმდინარეობდეს.

**სსრკ-ის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლისა და რუსეთის გავლენის შემცირების შემდეგ, აშშ-ის ძალისხმევით, 1991-2006 წლებში იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა 6 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა: სლოვენიად, ხორვატიად, ბოსნია-ჰერცოგოვინად, მაკედონიად, ჩერნოგორიად (მონტენეგრო), სერბეთად. იმავე პერიოდში კოსოვოს ავტონომიურ ოლქში შევიდნენ გაეროს სამშვიდობო ძალები. თუმცა 1999 წელს აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა, სამხედრო ძალის გამოყენებით კოსოვოს ოკუპაცია მოახდინეს და ეს ტერიტორია 2008 წელს სერბეთისგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს.**

ამას ეწინააღმდეგებოდა რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის რუსეთიც, რომელსაც, იუგოსლავიის დაშლით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპაში უკანასკნელი ბასტიონი წაართვა. **ბევრს, ალბათ, ახსოვს 2008 წლის იანვრის ბოლოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება-გაფრთხილება, რომ კოსოვოს აღიარება მსოფლიოში პრეცედენტს შექმნის.** დასავლელი მეგობრების არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, იმავე 2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ უგუნური ნაბიჯები გადადგა, რასაც შედეგად ცხინვალის რეგიონის დაკარგვა მოჰყვა. მანამდე კი აფხაზეთში განხორციელდა ეთნიკური წმენდა და ახლა ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია აღარ ვრცელდება. **დღეს ბევრი დასავლელი ექსპერტი მანიპულირებს „ხალხის თვითგამორკვევის“ უფლებით, მაგრამ არავინ ლაპარაკობს, რომ ეს „თვითგამორკვევა“ რეალიზებული უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ტერიტორიულ ფარგლებში. ამისთვის კი თითოეულმა სახელმწიფომ უნდა შექმნას თავისი „საშინაო თვითგამორკვევის“ სტანდარტები, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმებით იქნება უზრუნველყოფილი.**

**ქვემოთ გთავაზობთ რუკას ევროპის იმ რეგიონებისა, რომლებშიც მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესები თვითგამორკვევის, უფლებების გაფართოების, ავტონომიურობისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით** *(იხ. რუკა).*

# ისტორიის სახელმძღვანელოები იდეოლოგიური ნაგვისგან უნდა გაიწმინდოს

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კრემლში რუსეთის ისტორიის ახალ სასწავლო-მეთოდურ კომპლექსზე მომუშავე ჯგუფის წევრებს შეხვდა და მათთან საკამათო საკითხებზე იმსჯელა. სახელმწიფოს მეთაურმა სპეციალისტებს დაავალა, მომავალი სასწავლო წლისთვის მოამზადონ ახალი საკითხები ისტორიაში ერთიანი სახელმწიფო გამოცდისთვის.**



ახალი მეთოდიკის შესახებ დისკუსია შეხვედრის დაწყებამდე არ შეწყვეტილა — ისტორიკოსები ვერ თანხმდებოდნენ, 2000 წლით უნდა დასრულებულიყო სახელმძღვანელო თუ დღევანდელობით. უმრავლესობა მეორე ვარიანტს ემხრობოდა.

**— ისტორიის სწავლების ერთიანი მიდგომები არ ნიშნავს ერთიან იდეოლოგიზებულ სახელმწიფო აზროვნებას. ყველაზე დრამატული მოვლენები ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მშობლიური ქვეყნის ისტორია ჩვენი ნაციონალური იდენტობის საფუძველი, ნაციონალური კულტურის კოდია. სასკოლო კურსის ამოცანა — ეს არის, გადმოსცეს ისტორიის საკვანძო ფაქტები ჩვენი თანამემამულეების საქმეების შესახებ. ჩვენ თვითონ, ნებსით თუ უნებლიეთ, ვაკნინებთ მას, რაც ჩვენს წინაპრებს გაუკეთებიათ. რატომ ვიქცევით ასე, გაუგებარია. საკუთარი წარსულისა და სამშობლოსადმი პატივისცემა უნდა გამოვავლინოთ,** — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.**

კონფერენციაზე მუშაობისას წარმოქმნილ ძირითად საკამათო მომენტებზე ისაუბრა **სამამულო ისტორიის სასწავლო-მეთოდური კომპლექსის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საყოველთაო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრე ჩუბარიანმა.**

მან აღნიშნა, რომ ისტორიის სახელმძღვანელოების რეგიონულ დამატებებში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა, რომლებიც ფედერალურ კონცეფციას არ შეესაბამება. სპეციალისტები რუსული იდენტობისა და ძველი რუსული სახელმწიფოს წარმოშობის განსაზღვრის პრობლემებსაც შეეჯახნენ. ამ საკითხებზე პოზიცია კი უკრაინელ კოლეგებთან შეათანხმეს. ძირითადი სირთულეები წარმოიშვა მე-20 საუკუნის ისტორიის საკითხებში.

**— დიდხანს ვმსჯელობდით რევოლუციის პრობლემებზე და საბოლოოდ შემოვიტანეთ 1917 წლის მოვლენების ახალი განსაზღვრება — რუსეთის დიდი რევოლუცია, რომელიც აერთიანებს თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების ეტაპებს, აგრეთვე, სამოქალაქო ომს. ვმსჯელობდით, როგორ შეგვეფასებინა საბჭოური საზოგადოება. მოვძებნეთ ფორმულა 30-იანი წლებისთვის — ეს არის მოდერნიზაციის საბჭოური ვარიანტი,** — განაცხადა **ალექსანდრე ჩუბარინმა.**

**დსთ-ს ქვეყნების კოლეგებთან მსჯელობისას წარმოიშვა უთანხმოება მრავალეროვანი სახელმწიფოს ფორმირებისა და რუსეთთან შუა აზიისა და კავკასიის მიერთების საკითხებზე. ზოგიერთ ქვეყანაში ამ პერიოდს კოლონიზაციის პერიოდად აფასებენ. რუსეთი ასეთ პოზიციას არ ეთანხმება და ყველას მოუწოდებს, არ დაივიწყონ ამ მიერთების ეკონომიკური შედეგების პოზიტიური ხასიათიც.**

ისტორიული შეფასებების შესახებ თავისი თვალსაზრისი გამოთქვა პრეზიდენტმაც. ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ზოგიერთ საკითხზე კამათი შეიძლება საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდეს, მაგრამ **სწავლების პროცესის იდეოლოგიზაცია დაუშვებელია.**

— წარსულში, ყოფილ სისტემაში ზოგჯერ გაიპარებოდა ხოლმე ისეთი რაღაცები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ სახეში შეფურთხება. იდეოლოგიური ნაგავი უნდა მოვიშოროთ. არის რთული თემები: პეტრესეული რეფორმების ფასი, დიდი სამამულო ომი, მაგრამ უნდა ვისაუბროთ შედეგებზე. აი, წერენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპა სტალინის რეჟიმის ბნელეთში მოექცა. ფაშიზმს რომ გაემარჯვა? ზოგიერთი ხალხი საერთოდ ვერ გადარჩებოდა, მათ, უბრალოდ, გაჟუჟავდნენ, — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.**

შეხვედრის დახურულ ნაწილზე, როგორც მონაწილეებმა თქვეს, ისტორიის სწავლების პრინციპებზე იმსჯელეს და მაგალითები დიდი სამამულო ომიდან მოიყვანეს.

**— წინ წამოვწიეთ ზოგიერთი ფაქტი. ამჟამად გენერალ ვლასოვს** (ანდრეი ვლასოვი — საბჭოთა გენერალი, რომელიც ტყვედ დანებდა გერმანელებს და რომელიც მათთან თანამშრომლობდა, კოლაბორაციონისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი) **ახალგაზრდობა უფრო კარგად იცნობს, ვიდრე გენერალ კარბიშევს** (დიმიტრი კარბიშევი — საბჭოთა გენერალი, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, მაგრამ მათთან არ ითანამშრომლა, რის გამოც საკონცენტრაციო ბანაკში აწამეს)**, თუმცა ორივე პიროვნების ისტორია უნდა ვიცოდეთ,** — თქვა **ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის ასოციაციის მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარემ პავლე პანკინმა.**

### არ შეიძლება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში გერმანელი ფაშისტი ჯარისკაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიონს იყო მომდგარი და საქართველოს პირისაგან მიწისა აღგვით ემუქრებოდა, გაიგივდეს რუს ჯარისკაცთან, რომელმაც მსოფლიო «ყავისფერი ჭირისგან» იხსნა

მოსკოვის №1741-ე სკოლის მასწავლებელმა პავლე პანკინმა სწავლების საკუთარ მეთოდებზეც ისაუბრა.

**— ამჟამინდელ სახელმძღვანელოებს არ შეიძლება ანტიმეცნიერული ვუწოდოთ. აი, 90-იანი წლების ისტორიის სახელმძღვანელოებში კი იყო ორი პოლარული თვალსაზრისი: კონსერვატიული და ლიბერალური პოზიციები, მაგრამ 2000-იანი წლებიდან ურთიერთგამომრიცხავი განსხვავებები აღარ არის,** — აღნიშნა პანკინმა.

**რუსეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის — დიმიტრი ლივანოვის** შეფასებით, ახალი სახელმძღვანელოების შექმნას 2-3 წელიწადი დასჭირდება. ჯერჯერობით კი საშუალო სკოლას გარდამავალი პერიოდი ელოდება: ისტორიის, სამართლისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; ისტორიის სწავლება ორიენტირებული იქნება ახალ კონცეფციაზე, თუმცა უკვე ამ სასწავლო წელს ისტორიის გამოცდებში მხოლოდ ის დავალებები შევა, რომლებიც სამამულო ისტორიის ახალი კონცეფციით არის გათვალისწინებული.

**ზემოაღწერილში მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოშიც, ისტორიის სწავლების თვალსაზრისით, როგორც საშუალო სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიის გავლენას ვერ ავცდით. არ შეიძლება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში გერმანელი ფაშისტი ჯარისკაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიონს იყო მომდგარი და საქართველოს პირისაგან მიწისა აღგვით ემუქრებოდა, გაიგივდეს რუს ჯარისკაცთან, რომელმაც მსოფლიო „ყავისფერი ჭირისგან“ იხსნა. არ შეიძლება, გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელსაც 1783 წლის 24 ივლისს (4 აგვისტოს) ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ მოაწერა ხელი, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად განვიხილოთ და ახალგაზრდა თაობასაც ასე გადავცეთ, რადგან ამ ტრაქტატის წყალობით ქართველი ხალხი გადაურჩა სპარსეთისა და ოსმალეთის გარდაუვალ აგრესიას და სრულ გადაშენებას. აღსანიშნავია, რომ იმხანად, ანუ მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოში სულ 300 ათასი კაცი ცხოვრობდა, მათ შორის 250 ათასი — ქართველი... არც სსრკ-ის შემადგენლობაში 70-წლიანი ყოფნა იყო მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური, რადგან ეს ხანა ქართველისთვის, სოციალურ-ეკონომიკური პირობების მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩვენს ისტორიაში. ისტორიის სახელმძღვანელოებიდან ამ ფაქტების ამოღება, სიმართლის დამალვა და მხოლოდ უარყოფითი მხარეების აღწერა კარგს არაფერს მოუტანს მომავალ თაობას, რადგან სწორედ წარსულის ისტორიული ფაქტების გააანალიზებით არის შესაძლებელი წინსვლა, მომავლის შენება...**

**P.S. დიდი ილიას თქმით: „დავიწყება ისტორიისა, მომასწავებელია ერის სულით ხორცით მოშლისა და წარწყმედისა“.**
**და კიდევ: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა!“**

საქართველო და მსოფლიო
ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მასშტაბური ბრძოლა, ანუ ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც გლობალიზაციის იდეების რეალიზაციისთვის წამოიწყო დასავლეთმა და მის მიერვეა დაფინანსებული, მიზნად ისახავს სუფთა „დასავლური“ რელიგიების პლანეტარულ დანერგვას, ქრისტიანული მართლმადიდებლობის ყველა არსებული კერის დასუსტებასა და განადგურებას.**

# ვინ ებრძვის მართლმადიდებლობას?

**მართლმადიდებლური ეკლესიების წინამძღვარნი ფრიად შეშფოთებულნი არიან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ აგორებული ახალი პროპაგანდისტული ტალღით, უფრო მეტიც — ბრძოლის ფრონტის გაფართოებითა და გაძლიერებით, რაც სულ უფრო ორგანიზებულ და მართულ ხასიათს იღებს დასავლეთის მხრიდან, იჭრება ტრადიციული ქრისტიანული ქვეყნების სახელმწიფო ქსოვილში და ხრწნის მას, უწინარეს ყოვლისა, ადამიანების სულიერი განიარაღების მეშვეობით.**

ახალი არაფერია: სტრატეგიაც ძველია და მიზანიც ტრადიციული — მსოფლიო ბატონობის მიღწევა, პლანეტარული ჰეგემონიის დამყარება. დასამორჩილებელი ქვეყნების სულიერი გამოფიტვა და მათი ხალხების დემორალიზაცია მათი სრული დამონების წანამძღვარია.

ტაქტიკაც ჩვეული: უნივერსალიზაციის იდეაზე დაფუძნებული, რაც, უწინარეს ყოვლისა, ყველა ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი ე. წ. დასავლეთის ცივილიზაციის ფასეულობების აღიარებასა და ერთიანი მოდელის მიღებას გულისხმობს.

ამასთან (მიაქციეთ ამ დებულებას განსაკუთრებული ყურადღება!) — **წმინდა „დასავლური“ რელიგიების დანერგვა და განვითარება. პარალელურად, დასუსტება, აღმოფხვრაც კი იმ რელიგიური სისტემების, რომლებიც კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის ოპონენტებად გვევლინება, უწინარეს ყოვლისა, — მართლმადიდებლობის, როგორც ასეთის.**

საკმაოდ მოყირჭებული დებულებაა „გეოპოლიტიკოსი მოჭადრაკის“ — **ზბიგნევ ბჟეზინსკის** „ფრთიანი ფრაზა“ — **„კომუნიზმის დანგრევის შემდეგ დასავლეთის სამყაროს ნომერ პირველი მტერია მართლმადიდებლობა“.**

შემოტევა გრძელდება.

მართლმადიდებელ პატრიარქთა შეშფოთებაც (ზემოთაც ვთქვი) ამითაა გამოწვეული. **მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა** ქრისტეშობის წინ ტელეარხ „როსია-1“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დღეს დასავლეთში, რომელიც ილვწის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, ირღვევა ადამიანის უფლება, ირწმუნოს ქრისტიანობა: **„ქრისტიანული ფასეულობები ევროპაში, ხალხში, რა თქმა უნდა, შენახულია... მაგრამ საერთო პოლიტიკური ტენდენცია, ელიტების მოქმედების საერთო მიმართულება, ეჭვგარეშეა, ანტიქრისტიანული და ანტირელიგიური ხასიათისაა“,** — დაასკვნა მან.

**„ყველა დროში ქრისტიანობას თავისი გამოწვევები ჰქონდა, მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამორჩეულია მეგაგამოწვევებით“,** — ეს უკვე **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის** საშობაო ეპისტოლედანაა.

**„პოსტმოდერნიზმის მთავარი არსი ისაა,** — აზუსტებს უწმინდესი, — **რომ სინამდვილის ხედვა, რომელიც ამა თუ იმ რელიგიურ მიმდინარეობას ეყრდნობა, არასწორადაა მიჩნეული, რადგან, მათი გაგებით, ცდება ყველა, ვინც აცხადებს, რომ ჭეშმარიტება იცის... მართალია მხოლოდ ის, ვინც არავის განსჯის“.**

ამ გაგებას ეყრდნობა სისტემა, **„რომლისთვისაც მნიშვნელოვანი ის კი არ არის, მართალია თუ არა ესა თუ ის პრინციპი, არამედ ის, თუ რამდენად მუშაობს და რამდენად სარგებლიანია იგი დღეს“.**

სისტემის ამოსავალი წერტილია ადამიანის სუბიექტური მიდგომა — მისი კერძო თვალსაზრისი, თუნდაც მცდარი და აშკარად უსაფუძვლო, „ამიტომაც... საჭიროა მისი (ადამიანის) აზროვნების შეცვლა“.

ამ გზით მიდიოდა საქართველოს ყოფილი ხელისუფლება, რომელიც დაუფარავად ებრძოდა ადამიანში ყოველივე ტრადიციულს, ქართულს, ეროვნულს.

**გლობალიზაციის პროცესები მოითხოვს ყველასა და ყველაფრის უნიფიკაციას. მაგრამ სწორედ ეს მოდელი თრგუნავს ადამიანის თავისუფლებას.**

ეს უმწვავესი პრობლემა განიხილა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა ერისადმი თავის მიმართვაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ევროპული თვითშეგნების ნგრევის პროცესს, რომელიც ე. წ. ლიბერალური რევოლუციის სახით 2013 წელს რადიკალურად დამანგრეველ ფაზაში შევიდა, მოჰყვა ისეთი ტრადიციული და ჭეშმარიტი მცნებების უარყოფის მცდელობა, როგორიცაა ეროვნული სახელმწიფო, ხალხი და სამშობლო, რომელთაც ადგილი ისტორიის სანაგვეზე მიუჩინეს. სწორედ ეს განაცხადა ამასწინათ ევროკავშირის პრეზიდენტმა ვან რომპეიმ.**



**„ფსევდოლიბერალური „არჩევანის თავისუფლება“,** — განმარტავს უწმინდესი და უნეტარესი ილია II, — **ასარჩევ მოცემულობათა თანაბარ ღირებულებებს გულისხმობს და ყველაფერს თანაბრად კარგად მიიჩნევს“,** რაც აშკარა სიბეცეა, ან, უარეს შემთხვევაში, წინასწარ გათვლილი ბოროტება, რომელიც გამიზნულია ადამიანის სწორი გზიდან ასაცდენად.

ყველაფერი კარგია — ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ანარქისტების ყველაფერი ცუდია, უვარგისი და ამიტომ ყველაფერი უნდა დაინგრეს და განადგურდეს.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II:**
**ყველა დროში ქრისტიანობას თავისი გამოწვევები ჰქონდა, მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამორჩეულია მეგაგამოწვევებით**

ხმარებისგან გაცვეთილი პალტოს მეორე პირია, გადაბრუნებული, — მხოლოდ მოჩვენებითი სიახლე, სინამდვილეში კი სიღატაკის (ამ შემთხვევაში სულიერი სიღარიბის) დაფარვის მცდელობა, სხვა არაფერი.

ერთიცა და მეორეც მიუღებელია ქრისტიანული მორალისთვის, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ცოდვასა და მადლს, სასურველსა და მიუღებელს. მოციქული პავლე გვასწავლის: **„ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია; ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი აშენებს“** *(I კორ. 10, 23).*

აუჯანყდნენ ცრუევროპელი „ქვეყნის მშენებლები“ პატრიარქს, მაგრამ თავიანთი ლგბტ პრინციპების გამოფენა ბოლომდე ვერ გაბედეს და შეუტიეს საშობაო ეპისტოლეში გამოთქმულ უარყოფით დამოკიდებულებას ბავშვთა ჩასახვის სუროგატიზაციისადმი, აბორტებისადმი.



**„თუ ჩვენ არ მოგვიტანია სიცოცხლე ამ წუთისოფელში, რა უფლება გვაქვს, მოვინდომოთ ბატონობა მასზე?“** — ეს შეგონება ამ პროვინციელი ნეოლიბერალების ყურადღების მიღმა დარჩა.

წაუყრუეს.

თუმცა სხვას რას უნდა ველოდოთ სეკულარული იდეოლოგიის „მართლმორწმუნეთაგან“, რომელთაც მათმა სათაყვანებელმა „რევოლუციურმა სიახლემ“ — **სეკულარიზმმა — „პიროვნება ღმერთისგან დამოუკიდებელ არსებად წარმოაჩინა, კვარცხლბეკზე ცოდვით დამძიმებული ადამიანი დააყენა და ყველაფერი მის ინსტიქტებს დაუქვემდებარა, რითაც დაბალი ვნებითი მიდრეკილებების ლეგიტიმაცია მოინდომა, მორალური და სულიერი ორიენტირები დაუკარგა და ეს ინდივიდუალიზმის საბაბით გაამართლა“** *(ილია II, საშობაო ეპისტოლე).*

**მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი:**
**ქრისტიანული ფასეულობები ევროპაში, რა თქმა უნდა, ხალხში შენახულია... მაგრამ საერთო პოლიტიკური ტენდენცია, ელიტების მოქმედების საერთო მიმართულება, ეჭვგარეშეა, ანტიქრისტიანული და ანტირელიგიური ხასიათისაა**

სეკულარულ იდეოლოგიაზე ყურადღება გაამახვილა რუსეთის პატრიარქმაც, წარმოაჩინა მისი მოვლენითი ხასიათი თანამედროვე მსოფლიოში. იდეა, გვეუბნებიან ანალიტიკოსები, ძველთაძველია, წარმართული ხანიდან მოდის — ანტიკურ მოაზროვნეთა ნაშობია, მაგრამ ლეგიტიმაცია XXI საუკუნეში მოიპოვა, როცა გლობალიზაციის პროცესებმა ყველას და ყველაფრის უნიფიცირება მოითხოვა. ასეთად წარმოგვიდგენენ იდეალურ მოდელს თანამედროვე მსოფლიოსთვის, რომელშიც ერთმანეთშია გადახლართული განსხვავებული კულტურები.

ამ იდეოლოგიაზე დამყარებულ მსოფლიოში არ იქმნება სახელმწიფოები, საზღვრები, ზნეობრივი ნორმები, ცივილიზაციის საფუძვლები. **შეიქმნება, როგორც გვარწმუნებენ, რაღაც საერთო ეკონომიკური სივრცე, მსოფლიო მთავრობის მიერ გაკონტროლებული, რომელშიც იბორიალებენ ვითომ თავისუფალი, ეროვნებაგამოცლილი, იოლად სამართავი ინდივიდები, რომლებიც „დამძიმებულნი არ არიან“ თავიანთი მიწის სიყვარულით, საკუთარი ქვეყნის ისტორიით, სარწმუნოებითა და ოჯახით.**

ექსპერტების აზრით, ევროპელთა დიდი უმრავლესობა უარს ამბობს ამგვარ „რევოლუციაში“ მონაწილეობაზე, მაგრამ დაინტერესებული ძალები გასაოცარი დაჟინებით ცდილობენ ამ ახალი იდეოლოგიის დანერგვას.

ასეთი სამუმის საკმაოდ ძლიერი ნაკადი საქართველოშიც ქრის, სათანადოდ დაფინანსებულ-მხარდაჭერილი არასამთავრობო ჯგუფების გავლენის აგენტების ძალისხმევითა და ადგილობრივი ხელისუფლების უნიათობის ფონზე...

ამ მონარნარე პროპაგანდის მიხედვით, ოჯახი შეიძლება ერთსქესიანთა „შეუღლებით“ წარმოიქმნას, რადგან **სექსუალური უმცირესობების აქტიური მხარდამჭერები — ქვეყნის ელიტური ფენების წარმომადგენლები — არნახული მონდომებით ცდილობენ ქალისა და მამაკაცის ქორწინებასთან ლგბტ — მამათმავალთა და ჰეტეროსექსუალთა დაწყვილების გათანაბრებას, მათთვის ბავშვის შვილად აყვანის ნებართვის დაკანონებას.**

ეს ფრიად აშფოთებს მართლმადიდებლურ საზოგადოებას, რაც გამოხატა საშობაო ეპისტოლეში ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა: **„დიდად სამწუხაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოირჩევიან, ჰუმანიზმის აღიარებულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რეკლამა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; მათი მიზნების განხორციელებისთვის ხდება კანონმდებლობის შეცვლაც და სხვ.; ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით, ეკლესია, დისკრედიტირების ნიაღვარში ექცევა...“**

თავისუფლად მოაზროვნეთა ზღვარგადასულობა იქამდეც კი მიდის, რომ უწმინდესის საშობაო ეპისტოლეს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი2“-ის პროგრამა „პოსტ სკრიპტუმმა“ თავის რეკლამაში სკანდალურიც კი უწოდა.

ეკლესია იბრძვის.

ეკლესიას ებრძვიან: მსოფლიო ანალიტიკური სააგენტოების, წამყვანი სოციოლოგებისა და თეოლოგების მიერ გავრცელებული მონაცემებით, **100 მილიონამდე** ▶

„ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ ჩაპელ ჰილის უნივერსიტეტში არის პროფესორი-ფემინისტი ქალბატონი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქალებს შეუძლიათ ბედნიერად იცხოვრონ კაცების გარეშე. აქ ახალი არაფერია, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ, მისი აზრით, ქალებს პარტნიორობა შეუძლიათ შეიქმნან ძაღლებთან ურთიერთობით, და რომ ეს ურთიერთობა შეიძლება ჩაენაცვლოს მამაკაცებთან საქორწინო ურთიერთობას. ეს არის რეალური ისტორია და არა ლგბტ ფანტაზია.“

ცნობისათვის

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ქრისტიანი დევნას განიცდის, ასობით ქრისტიანი შეეწირა გახშირებულ ტერაქტებს დასავლეთ აფრიკაში უკანასკნელი დღეების განმავლობაში, 90 ათასამდე მორწმუნე მართლმადიდებელი ლტოლვილად იქცა. რელიგიურ კონფლიქტებში ყოველწლიურად 105 ათასი ქრისტიანი იღუპება. ყოველ 5 წუთში მსოფლიოს ამ არეულობას ერთი ქრისტიანი ეწირება.**

და მიუხედავად ამ ყველაფრის, ქრისტეს მოძღვრების მიმდევართა რიცხვი მსოფლიოში მეოცე საუკუნის განმავლობაში 600 მილიონიდან 2,2 მილიარდამდე გაიზარდა (2010 წლის ჩათვლით).

მაგრამ უკიდურესად უარყოფითი ტენდენცია დაფიქსირდა ქრისტიანობის აკვნად მიჩნეულ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში. ქრისტიანთა რაოდენობა აქ დაახლოებით 13 მილიონია, რაც მსოფლიოში მათი (ქრისტიანთა) რაოდენობის 1 პროცენტზე ნაკლებია და ამ რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენს.

სამაგიეროდ იტალიაში, რომელიც კათოლიციზმის ბურჯია, XXI საუკუნის დასაწყისისთვის მართლმადიდებელთა რაოდენობამ ერთ მილიონს გადააჭარბა.

**მასშტაბური ბრძოლა, ანუ ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც გლობალიზაციის იდეების რეალიზაციისთვის წამოიწყო დასავლეთმა და მის მიერვეა დაფინანსებული, მიზნად ისახავს სუფთა „დასავლური“ რელიგიების პლანეტარულ დანერგვას, ქრისტიანული მართლმადიდებლობის ყველა არსებული კერის დასუსტებასა და განადგურებას.**

ერთ-ერთი მათ შორის უკრაინაა, რომელსაც ისედაც არყევს პოლიტიკური პროვოკაციების მიწისძვრა ეპიცენტრით ზალეჟნის (ევროპის) მოედანზე.

ეს ბრძოლა ახალი არ არის. ჯერ კიდევ 2005 წელს **ბოსტონის უნივერსიტეტის კულტურის, რელიგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორმა, სოციოლოგიისა და თეოლოგიის პროფესორმა პიტერ ბერგერმა** გაზეთ „დენის“ 17 მაისის ნომერში დაწერა, რომ „აღიარებულმა რელიგიებმა არ შეიძლება კვლავაც ჩათვალონ თავისთავად ნაგულისხმევად, რომ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი აღიარებს მათ ავტორიტეტს. საჭიროა, საფუძველი ჩაეყაროს თავისებურ რელიგიურ ბაზარს“.

ე. ი. რელიგიის, ადამიანის რწმენის გათანაბრება საბაზრო ურთიერთობებთანო.

„იყიდე, გაყიდე, ქარვასლაა?!“

რისთვისაა ეს საჭირო? ვის სჭირდება? ბერგერი ამაზე დაუფარავად გიპასუხებთ, რომ მხოლოდ პროტესტანტიზმი და კათოლიციზმი არის ის რელიგიები, რომლებიც ყველაზე უკეთ უპასუხებს ლიბერალური დემოკრატიის მოთხოვნებსა და რელიგიური ბაზრის პირობებს. ხოლო აღმოსავლური ქრისტიანობა ნამდვილი პრობლემაა ლიბერალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის გავრცელებისთვის: **„მართლმადიდებლობა,** — მიიჩნევს იგი, — **მართლმადიდებლური სიმფონიის იდეა — საზოგადოების, სახელმწიფოსა და რელიგიის ჰარმონიული ერთიანობისა აშკარა პრობლემაა ლიბერალური დემოკრატიის მისაღწევად. საზოგადოებრივი სოლიდარობის მართლმადიდებლური იდეა ართულებს კაპიტალიზმის მიღებას, რადგან კონკურენცია და ინდივიდუალური მეწარმეობა სისასტიკისა და სიხარბის მორალურად მიუღებელ გამოვლენადაა მიჩნეული“.**

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უკრაინა, ანალიტიკოსების მტკიცებით, სულიერი ინტერვენციის ობიექტი გახდა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების მხრიდან: საიენტოლოგებისა და მორმონების, იეღოველთა და ორმოცდაათიანელთა, კრიშნაიტებისა და ქარიზმატთა სამიზნედ იქცა, თუმცა მთავარი „დამრტყმელი ძალა“ კათოლიციზმია.

**ვატიკანის ბრძოლა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა იოანე-პავლე II-ის რომის პაპად არჩევის შემდეგ, რომელიც სათავეში ჩაუდგა მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას რომის კათოლიკური ეკლესიის მოწინავე რაზმის უნიატების მეშვეობით.**

ამ ბრძოლის დეტალური განხილვა ცალკე პუბლიკაციის საგანია, და თუ ამ წერილში მაინც შევეხეთ ამ თემას, მხოლოდ იმისთვის, რომ გამორიცხული არ არის ასეთივე დაპირისპირება საქართველოში, რაც საბოლოო ჯამში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განხეთქილებით შეიძლება დასრულდეს.

ღმერთმა არ ქნას, რა თქმა უნდა, მაგრამ ელემენტები ასეთი დაპირისპირებულობის უკვე ჟონავს ეკლესიის მყარი (მადლობა ღმერთს!) გალავნიდან და მათი უყურადღებოდ დატოვება მიზანშეუწონელი ჩანს. თუმცა ეს თავად ეკლესიის საქმეა და წმინდა სინოდის მოსაგვარებელია.

უკრაინის მაგალითი კარგი სახელმძღვანელოა.

დაბოლოს: ვერწმუნოთ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელს, რომელმაც გვითხრა:

**„მე იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად ჩვენ წინაშე არსებული დიდი პრობლემისა, საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას და ყოვლათწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ღვთის მადიდებელი სული მუდამ იზეიმებს ჩვენს ქვეყანაში“.**

**არმაზ სანებლიძე**

**იტალიაში, რომელიც კათოლიციზმის ბურჯია, XXI საუკუნის დასაწყისისთვის მართლმადიდებელთა რაოდენობამ ერთ მილიონს გადააჭარბა**

# აშშ-ის უნივერსიტეტებში მეძავებსა და პორნომსახიობებს სემინარების ჩასატარებლად იწვევენ

**აშშ-ის ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის პროფესორმა მაიკ ადამსმა სტუდენტისგან მიიღო წერილი, რომელშიც იგი წოდებულია, როგორც „უდიდესი სირცხვილი, რომელიც კი ოდესმე უნახავს ამერიკის უმაღლეს განათლებას“. ახალგაზრდამ დაკავებული თანამდებობიდან მასწავლებლის გათავისუფლებაც მოითხოვა. ადამსზე თავდასხმა გამოიწვია მისმა მკვეთრმა პოზიციამ ტრადიციულ ფასეულობათა დასაცავად. ამერიკელი ბლოგერები წერენ, რომ პროფესორი უნივერსიტეტიდან კი გააძევეს, მაგრამ მისი საპასუხო წერილი აშშ-ის ინტერნეტ სივრცის ჰიტად უმალვე იქცა. ტექსტი Clashdaily-მ გამოაქვეყნა.**




მაიკ ადამსი

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გითხრათ წერილისთვის, — **მიმართავს პროფესორი თავის ოპონენტს,** — თქვენ წერთ, რომ მე გასათავისუფლებელი ვარ ჩემი თანამდებობიდან, რადგან ვარ „ყველაზე დიდი კონფუზი ამერიკის უმაღლესი განათლებისთვის“. გმადლობთ ჩემს შეკითხვაზე გაცემული პასუხისთვისაც, თუ რატომ მიხვედით ამ დასკვნამდე. თქვენი პასუხი „იმიტომ, რომ თქვენ თვლით, თითქოს დაქორწინებისთვის საჭიროა ერთი მამაკაცი და ერთი ქალი“, აღმოჩნდა სასარგებლოც და ლაკონურიც.

მიუხედავად იმისა, რომ პატივს ვცემ თქვენს უფლებას, მიწოდოთ ამერიკის უმაღლესი განათლების ყველაზე დიდი კონფუზი, ვფიქრობ, არ ხართ მართალი. უფრო მეტიც, არ ვფიქრობ, რომ მე ყველაზე დიდი კონფუზი ვარ ჩრდილოეთ კაროლინის უმაღლესი განათლებისთვისაც კი. მაგრამ რადგან თქვენ, ვითარცა ლიბერალი, აღიარებთ „არჩევის“ უფლებას, შემოგთავაზებთ რამდენიმე ვარიანტს. ვაპირებ, აღვწერო ათი პროფესორის, ოფიციალური სტუდენტური ჯგუფების და, აგრეთვე, მოწვეული ლექტორების — ყველანი ჩრდილოეთ კაროლინიდან არიან — გამოხდომები. ჰოდა, გადაწყვიტეთ, რა არის ყველაზე დიდი კონფუზი უმაღლესი განათლებისთვის:

**1. 2013 წლის საგაზაფხულო სესიის დასაწყისში დასავლეთ კაროლინის უნივერსიტეტის სპეციალისტი ქალთა ფსიქოლოგიაში მოგვევლინა სადომაზოხიზმის ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ ორგანიზატორად.** დისკუსიის მიზანი იყო, ესწავლებინა კოლეჯის სტუდენტებისთვის, როგორ მიეყენებინათ ტკივილი საკუთარი თავისა და სხვებისთვის.

როცა მიწოდეთ ყველაზე დიდი სირცხვილი უმაღლეს განათლებაში, ალბათ, არაფერი იცოდით ამ ჯგუფის შესახებ;

**2. ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ ჩაპელ ჰილის უნივერსიტეტში არის პროფესორი-ფემინისტი ქალბატონი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქალებს შეუძლიათ ბედნიერად იცხოვრონ კაცების გარეშე.** აქ ახალი არაფერია, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ, მისი აზრით, ქალებს პარტნიორობა შეუძლიათ შეიქმნან ძაღლებთან ურთიერთობით, და რომ ეს ურთიერთობა შეიძლება ჩაენაცვლოს მამაკაცებთან საქორწინო ურთიერთობას. ეს არის რეალური ისტორია და არა ლგბტ ფანტაზია;

**3. დიუკის უნივერსიტეტში ფემინისტებმა დაიქირავეს მეძავი იმისთვის, რომ იგი სექსინდუსტრიის თანამშრომელთა შოუში გამოსულიყო.** ამის შემდეგ მამაკაცმა-მეძავმა ჩაიხადა შარვალი, ოთხზე დადგა და უკანალში ანთებული ბენგალური ცეცხლი (შუშხუნა) გაირჭო. ამ დროს ის მღეროდა კუპლეტს აშშ ჰიმნიდან „ვარსკვლავური დროშა“;

**4. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში, გრინსბოროში მიიწვიეს პორნომსახიობი ქალი, რომელსაც გადაუხადეს ჰონორარი გამოსვლისთვის თემაზე „უსაფრთხო სოდომია“.** სიტყვით გამოსვლის შემდეგ პორნოვარსკვლავმა-ფემინისტმა ღონისძიებაზე დამსწრეთ მიჰყიდა ანალური საცობები საკუთარი ავტოგრაფით. არ ვიცი, მელანი გამოიწვევს თუ არა სწორი ნაწლავის კიბოს, მედიცინაში ვერ ვერკვევი, მაგრამ ეს ისტორია დიდი სირცხვილის მიზეზი გახდა მასმედიაში გამოქვეყნების შემდეგ;

**5. რამდენიმე წლის წინათ ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში, ჩაპელ ჰილში ფემინისტი ქალების ჯგუფმა სტუდქალაქის ცენტრში გახსნა ვიბრატორების დიდი მუზეუმი.** ეს აქცია „ორგაზმის კვირეულის“ ნაწილი გახდა. უსირცხვილოებმა ექსპონატად გამოფინეს ჯერ კიდევ 20-იან წლებში ხისგან დამზადებული ვიბრატორი;

**6. ფემინისტმა ქალმა, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში, ვილმინგტონში ადმინისტრატორად მუშაობდა, მოაწყო აბორტების მხარდამჭერი ღონისძიება.** ამ ღონისძიების მიმდინარეობისას ჰყიდდნენ მაისურებს წარწერით: „მე გავიკეთე აბორტი“. ამ მაისურებს მიჰყიდნენ სტუდენტ გოგონებს, რომლებსაც გაკეთებული ჰქონდათ აბორტი. დიახ, გოგონებს მოუწოდებდნენ, ეტრაბახათ იმით, რომ მათ საკუთარი შვილები მოკლეს. აი, როგორ იღვწის ჩრდილოეთ კაროლინის საუნივერსიტეტო სისტემა ჩვენი დიადი შტატის მომავლისთვის;

**7. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის (ვილმინგტონში) ადმინისტრატორმა ქალმა მოაწყო სემინარი, რომელზეც სტუდენტებს საკუთარი ორგაზმის შეფასებას ასწავლიდნენ.** მე ვსწავლობდი კოლეჯში, სადაც ხელოვნების შეფასებას ვეუფლებოდი. ამჟამად ბავშვებს კოლეჯში ასწავლიან, როგორ შეაფასონ ორგაზმი. გადაწყვიტეთ, ედ, არცხვენს თუ არა ეს უმაღლეს განათლებას;

**8. რამდენიმე წლის წინათ ინგლისური ენის პროფესორმა ქალმა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში (ვილმინგტონში) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოწყობილ „ხელოვნების გამოფენაზე“ წარმოადგინა არასრულწლოვანი შიშველი გოგონების ფოტოსურათები.** რექტორმა გასცა ბრძანება, მოეშორებინათ ბიბლიოთეკიდან შიშველი გოგონების ფოტოები და უნივერსიტეტის პროფკავშირის ყურადღება ამ ფაქტზე გაამახვილა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაიჭირეს რამდენიმე პედოფილი, რომლებიც ინტერნეტიდან იწერდნენ ბავშვთა პორნოებს „გამოფენიდან“ სულ რამდენიმე მეტრში.

მაგრამ ინგლისური ენის აღშფოთებულმა პროფესორმა მოითხოვა, რომ ფაკულტეტის სენატს საყვედური გამოეცხადებინა რექტორისთვის „აკადემიური თავისუფლების“ დარღვევის მიზეზით. ამ შემთხვევის შემდეგ რექტორი წავიდა უნივერსიტეტიდან მასზე განხორციელებული წნეხის გამო;

**9. კიდევ ერთმა პროფესორმა, ფემინისტმა ქალმა იმავე უნივერსიტეტიდან ბრალი დასდო პროფესორ მამაკაცს იმაში, რომ მან მის (ქალბატონის) კაბინეტში ცრემლსადენი გაზი შეუშვა. მოგვიანებით მას წაუსწრეს მაშინ, როცა იგი თავისი ფოსტის დამუშავებას მიკროტალღურ ღუმელში ცდილობდა.** ასე იქცეოდა იმიტომ, რომ ეჭვიანობდა, თითქოს მის მოწამვლას ციმბირის წყლულის სპორებით აპირებდნენ, მიკროტალღურ ღუმელში დამუშავება კი ანეიტრალებს სპორებს. იგი არ გაუთავისუფლებიათ ფსიქიატრიული მიზეზების გამო. პირიქით, იგი დანიშნეს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უნივერსიტეტის ოფიციალურ ექსპერტად“;

**10. და კიდევ არის მაიკ ადამსი. მას მიაჩნია, რომ უნდა დაქორწინდნენ მამაკაცი და ქალი.**

აი, ასეთია ასარჩევი ვარიანტები, ედ. თქვენ შეგიძლიათ მომწეროთ პასუხი და მითხრათ, პროფესორებიდან, ჯგუფებიდან ან მოწვეული ლექტორებიდან ვინ არის „ყველაზე დიდი სირცხვილი, რომელიც კი ოდესმე უნახავს უმაღლეს განათლებას“ ჩრდილოეთ კაროლინასა თუ მთელს ამერიკაში, ან, ეგებ, დაგებადოთ აზრი, რომ უმაღლესი განათლების ჩვენი სისტემა თვითონ არის სამარცხვინო, რადგან იგი დაპყრობილია რადიკალური ფემინიზმით“.

**ცნობისთვის:**

მაიკ ადამსი აშშ-ში ცნობილია, როგორც ტრადიციულ ფასეულობათა მომხრე. 2006 წელს არ მიანიჭეს სრული პროფესორის წოდება მისი კონსერვატორული შეხედულებებისა და ფემინისტების მისამართით გამოთქმული შხამიანი გამონათქვამების გამო. საქმე სასამართლო განხილვამდე მივიდა, რომელიც დღემდე არ დამთავრებულა.

odivizion.ru

**კრიმინალისტმა პროფესორმა მაიკ ადამსმა სამუშაო ტრადიციული ფასეულობების ერთგულების გამო დაკარგა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის მოსახლეობის 70% სვამს ექიმის მიერ გამოწერილ ერთ წამალს მაინც, მოსახლეობის ნახევარი — ორ პრეპარატს, ყოველი მეხუთე ამერიკელი კი — ხუთს და მეტს. 2018 წლისთვის ეს მაჩვენებლები კიდევ 30%-ით გაიზრდება. ყოველწლიურად ქვეყანაში ფიქსირდება დოზის გადაჭარბების ან წამლების გვერდითი მოვლენების შედეგად გამოწვეული 1,7 მილიონი ტრამვა.**

# ბრიტანულმა მედიამ სკოტლანდ-იარდის დამპალი არსი გამოამზეურა

**ლონდონის პოლიციის შტაბ-ბინის სკოტლანდ-იარდის თანამშრომლებმა ქრთამის სანაცვლოდ კრიმინალურ ელემენტებს მიმდინარე გამოძიებებისა და საიდუმლო აღჭურვილობის შესახებ კონსულტაციების მონაცემებთან წვდომის საშუალება მისცეს.
ამის შესახებ ბრიტანულმა მედიამ პოლიციის მდგომარეობის შესახებ 12 წლის წინანდელი ანგარიშის მიხედვით განაცხადა.**

Independent-ში გამოქვეყნებული ანგარიში მომზადდა 2002 წლის შიდა შემოწმების მიხედვით და მასში ირწმუნებიან, რომ იმ პერიოდში **სკოტლანდ იარდი ჩაფლული იყო არნახულ კორუფციაში.**

ათობით დეტექტივი, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ მუშაობდა პოლიციაში, ზოგი კი უკვე აღარ, რეგულარულად იღებდა ფულს დამნაშავეობრივი სინდიკატებისგან და სანაცვლოდ მათ საიდუმლო მონაცემთა ბაზასთან წვდომას აძლევდა.

**უფრო მეტიც, წესრიგის ზოგიერთი მცველი თავად მონაწილეობდა დანაშაულებების ჩადენაში, განსაკუთრებით ისეთ დანაშაულებებში, როგორიცაა ნარკოტიკების კონტრაბანდა ან დიდი ფულის გათეთრება.**

„უმაღლესი ხელმძღვანელობის“ ინიციატივით წამოწყებულმა შიდა გამოძიებამ აჩვენა, რომ დამნაშავეები გამოძიების საიდუმლო მასალებთან წვდომას იღებდნენ ყველაზე მძიმე დანაშაულების, მათ შორის მკვლელობების, შემთხვევაშიც კი და ამ გზით ახერხებდნენ სასჯელის თავიდან აცილებას.

მედიის განკარგულებაში მოხვედრილი ანგარიშის ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს კიდევ ერთ პრობლემას — სკოტლანდ-იარდს არ შესწევს უნარი, ამოძირკვოს ეს პრობლემა. უფრო მეტიც, ის ეჭვქვეშ აყენებს პოლიციის მისწრაფებასაც კი, გაწმინდოს საკუთარი რიგები კორუფციონერებისგან.

**„პრობლემისადმი მიმდინარე მიდგომაა, უბრალოდ დაიცადო, თუ როდის ამოტივტივდება ზედაპირზე ინფორმაცია კორუფციის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინო ფაქტზე რეაგირება“,** — ნათქვამია დოკუმენტში.

საერთო ჯამში ოპერაციამ 80 სამხრეებიანი ავსული გამოავლინა, მათ შორის იყო იმ ხანად ჯერ კიდევ მომუშავე 42 ოფიცერი და 19 ყოფილი დეტექტივი.

Independent-ის რედაქციის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ აჩვენა, რომ ზემოხსენებულ ანგარიშში მოხსენიებული კორუფციონერებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მიიღო სასჯელი ამისთვის.

ამასთან, თუ ანგარიშს დავუჯერებთ, **კორუფციონერების კავშირები დანაშაულებრივ სამყაროსთან იმდენად მჭიდრო იყო, რომ ერთ-ერთ ოფიცერს სახელგანთქმულ განგსტერთან საერთო ქონებაც კი ჰქონდა: ისინი უძრავი ქონების და ცხენების თანამფლობელები იყვნენ.**

ერთ-ერთი შემთხვევის დროს პოლიციის საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე საკვანძო მოწმის ჩვენებებს შეიცავდა, აღმოაჩინეს ღამის კლუბის სეიფში, ამ ღამის კლუბს კი სახელგანთქმული დანაშაულებრივი დაჯგუფება „ადამსის კლანი“ აკონტროლებდა.

vz.ru




**წესრიგის ზოგიერთი მცველი თავად მონაწილეობდა დანაშაულების ჩადენაში, განსაკუთრებით ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა ნარკოტიკების კონტრაბანდა ან დიდი ფულის გათეთრება**

# სასიკვდილო დიაგნოზი

**ჯუდი გარლანდი, მერლინ მონრო, ბრიუს ლი, მაიკლ ჯექსონი, ხით ლაჯერი, ბრიტანი მერფი — ესენი მედიკამენტების ყველაზე ცნობილი მსხვერპლნი არიან. ყოველწლიურად აშშ-ში ექიმების მიერ გამოწერილი აბების გამო 100-დან 200 ათასამდე ადამიანი კვდება. ეს უფრო მეტია, ვიდრე ავტოავარიებში დაღუპულთა რაოდენობა, მაგრამ ამერიკელებს ეს ციფრები სულაც არ აშფოთებთ — ისინი ყოველწლიურად სულ უფრო მეტ წამალს სვამენ.**



## მთელი ამერიკა ლეგალურ ნარკოტიკებზე ზის



„აშშ-ში ნებისმიერ შემთხვევაში აბებს უნიშნავენ ადამიანებს, — აღშფოთებული ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დუგლას ბრემნერი. — **გვერდში რაღაც გჩხვლეტთ? ექიმი აბებს გამოგიწერთ; გამოცდების წინ ღელავთ? ექიმი აბებს გამოგიწერთ; სამსახურში იღლებით? ექიმი აბებს გამოგიწერთ; არაფერი გაწუხებთ? ეს უკვე საეჭვოა და ერთი სახის აბები ვერ გიშველით, ამიტომ ექიმი ერთდროულად რამდენიმეს გამოგიწერთ“.**

2013 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევების თანახმად, **აშშ-ის მოსახლეობის 70% სვამს ექიმის მიერ გამოწერილ ერთ წამალს მაინც, მოსახლეობის ნახევარი — ორ პრეპარატს, ყოველი მეხუთე ამერიკელი კი — ხუთს და მეტს.** 2018 წლისთვის ეს მაჩვენებლები კიდევ 30%-ით გაიზრდება.

უკვე ახლა ამერიკა წამლების შეძენაზე მთელი მსოფლიო დანახარჯების მესამედს ხარჯავს — აბების საყიდლად ამერიკელები წელიწადში 300 მილიარდ დოლარს ხარჯავენ და მუჭით ყლაპავენ ყველაფერს, რაც ექიმებმა გამოუწერეს. ამის ფონზე სულაც არ არის გასაკვირი, რომ **ყოველწლიურად ქვეყანაში ფიქსირდება დოზის გადაჭარბების ან წამლების გვერდითი მოვლენების შედეგად გამოწვეული 1,7 მილიონი ტრამვა.**

და, რაც ყველაზე მთავარია, **აშშ-ში ექიმები ყველაზე ხშირად წერენ შეჩვევის გამომწვევი ანტიდეპრესანტებისა და ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლების რეცეპტებს,** ანუ, უფრო მარტივად გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, **მთელი ამერიკა ლეგალურ ნარკოტიკებზე ზის.**

დეპრესია აშშ-ში თვითმკვლელობების მთავარი მიზეზია, თვითმკვლელობა კი მე-11 ადგილზეა სიკვდილის ყველაზე გავრცელებულ მიზეზთა შორის, მკვლელობა მხოლოდ მე-15 ადგილს იკავებს. ამ სტატისტიკით ფარმაკოლოგიური კომპანიები და პრაქტიკოსი ექიმები ხსნიან იმ შოკისმომგვრელ ფაქტს, რომ **ანტიდეპრესანტები ყველაზე გავრცელებული რეცეპტით გასაცემი პრეპარატებია, რომელთაც ზრდასრული ამერიკელები იყენებენ.**

კვლევების თანახმად, **320-მილიონიანი მოსახლეობის პირობებში აშშ-ში ყოველწლიურად ანტიდეპრესანტების 250 მილიონ რეცეპტს გასცემენ.** შემთხვევათა 75%-ის დროს თერაპევტები ამ რეცეპტებს ფსიქიატრის კონსულტაციის გარეშე არიგებენ. უკანასკნელ 20 წელიწადში აშშ-ში ანტიდეპრესანტების გაყიდვები 400%-ით გაიზარდა.

მაგრამ ხალხს არც ეს აჩერებს — ათეულწლობით მასირებულმა რეკლამამ ამერიკელთა ტვინებში ჩაბეჭდა იოლი წესი: დალიე წამალი და იყავი ბედნიერი. საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ ანტიდეპრესანტები, შესაძლოა, ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზადაც კი იქცეს. აშშ-ის ზოგიერთ წყალსაცავში აღმოჩენილია მედიკამენტების, კერძოდ აშშ-ში ამჟამად ყველაზე პოპულარული ანტიდეპრესანტ „პროზაკის“ კვალი. და ეს არ არის ავარიის, დაუდევრობის ან რაიმე ტექნოგენური კატასტროფის შედეგი. წამალი მდინარეებში საკანალიზაციო მილებიდან ჩაედინება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ზოგიერთი ამერიკელის ორგანიზმში წამლის კონცენტრაცია უკვე იმდენად მაღალია, ახალი დოზის ათვისება ველარ ხდება.** წყალსაცავების ფილტრები და ბიოლოგიური წმენდის კომპლექსები არ არის გათვლილი ამ სახის „დაბინძურების“ შესაჩერებლად.

„პროზაკის“ მინიმალური რაოდენობის დაფიქსირების შემთხვევაში მდინარის წვრილი თევზის მამრები სრულ იგნორირებას უკეთებდნენ დედლებს, საკვების მოპოვებაზე კი მნიშვნელოვნად მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ანტიდეპრესანტების „მიღებამდე“. წამლის მომატებული კონცენტრაციისას, რაც ასევე დაფიქსირდა ბუნებაში, თევზები აგრესიულები ხდებოდნენ, ხანდახან ხოცავდნენ კიდეც ერთმანეთს.

ამერიკელ ექიმებს საკმაო დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ კოლეგების ამგვარი დასკვნები გადაემოწმებინათ, გადაამოწმეს და ყველაფერი აბსოლუტურად პირიქით გააკეთეს!

**ახლახან აშშ-სა და ბრიტანეთში გრანდიოზულმა სკანდალმა იქუხა: გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 1982 წელს მეცნიერები ამბობდნენ, რომ ტრანკვილიზატორების, მარტივად რომ ვთქვათ, დამამშვიდებელი საშუალებების გამოყენება ტვინში ისეთსავე ცვლილებებს იწვევს, როგორსაც ქრონიკული ალკოჰოლიზმი.**

უფრო მეტიც, **ბენზოდიაზეპინებისა და სხვა გავრცელებული კლასების დამამშვიდებლების მიღება ოთხ კვირაზე მეტი დროის მანძილზე ფიზიოლოგიურ დონეზე ზუსტად ისეთსავე მიჩვევას იწვევს, როგორსაც ჰეროინი. გვერდითი მოვლენებიც შესაბამისია — ჰალუცინაციები, თავის ტკივილები, კანკალი და სიკვდილიანობა.**

**ბენზოდიაზეპინებს ჰეროინთან კიდევ ერთი რამ ანათესავებს — მათთვის თავის დანებებება თითქმის შეუძლებელია. თავის დანებების მცდელობისას ადამიანებს ისეთი დეპრესია ემართებათ, რომ ხშირად თვითმკვლელობასაც ცდილობენ,** რომელიც გადარჩენილებს შემდგომ აღარ ახსოვთ.

ამ წამლებზე ერთბაშად უარის თქმის შემთხვევაში მაღალია ეპილეპტიკური შეტევების, ინსულტების, ინფარქტებისა და ჰალუცინაციების რისკი.

ტრანკვილიზატორების მთელი ირონია ისაა, რომ ექიმები მათ ნიშნავენ ნერვების დასამშვიდებლად და უძილობასთან გასამკლავებლად, მაგრამ, რაც უფრო მეტ ხანს სვამთ ამ წამლებს, მით უფრო მეტს ნერვიულობთ და მით უფრო ცუდად გძინავთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუდმივად საჭიროა დოზის გაზრდა. **ბენზოდიაზეპინზე დამოკიდებულების ფინალურ სტადიას ექიმები დეპერსონალიზაციას უწოდებენ. ეს კი თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვა, რაც ხშირად თვითმკვლელობით სრულდება.**

ხუთი წლის წინ საფრანგეთში გამოიკვლიეს ბენზოდიაზეპინის მრავალი წლის მანძილზე მომხმარებელი 4,5 ათასი ადამიანი. მათგან 75% „ნათლად ავადმყოფი“ და „უკიდურესად ავადმყოფი“ აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, **ამერიკაში ყველაზე ხშირად გამოწერილი ტკივილგამაყუჩებლების უმეტესობა ნარკოტიკებს არ ჰგავს, ისინი თავად არიან ნარკოტიკები. ყოველწლიურად ამერიკაში იმდენი ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებელი იყიდება, რომ ერთი თვის განმავლობაში ამერიკის მთელ ზრდასრულ მოსახლეობას ეყოფოდა ყოველდღიურად სასიკვდილო დოზის მისაღებად.** ნახევრადსინთეტიკური ოპიოიდების მსოფლიო გაყიდვების 99% სწორედ აშშ-ზე მოდის, ამი- ▶

**320-მილიონიანი მოსახლეობის პირობებში აშშ-ში ყოველწლიურად ანტიდეპრესანტების 250 მილიონ რეცეპტს გასცემენ**



**ამერიკაში წამლების მწარმოებელთა გავლენა იმდენად დიდია, რომ თვით ბარაკ ობამას სასახლის კარის ფარმაკონგრესმენებთან შეთანხმება დასჭირდა ჯანდაცვის რეფორმის პირობებთან დაკავშირებით.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# ბოლო დროს ამერიკაში მოდაშია მოზარდების ფარმაწვეულებები

ტომაც სულაც არაა გასაკვირი, რომ **ყოველწლიურად ტკივილგამაყუჩებლების დოზის გადაჭარბებით 15 ათასი ამერიკელი კვდება — უფრო მეტი, ვიდრე ჰეროინითა და კოკაინით ერთად.**

სადაც ნარკოტიკებია, იქ დამნაშავეობა ყვავის. ორიოდე წლის წინ საქმეში ნარკოპოლიციის ჩართვა გახდა საჭირო — ფლორიდის შტატში ე.წ. ერთდღიანი კლინიკების ქსელის შემოწმებამ აჩვენა ლეგალური ნარკოტიკების არალეგალური ბაზრის სრული მასშტაბები. ქსელი უკიდურესად მარტივად იყო აწყობილი: მთელი შტატის მასშტაბით სულ რამდენიმე დღით იხსნებოდა ეგრეთ წოდებული ტკივილთან ბრძოლის ცენტრები, რომელთა ერთადერთი ფუნქცია ტკივილგამაყუჩებლების რეცეპტების გაყიდვა იყო.

**ამჟამად აშშ-ში 12 მილიონი მოქალაქე იყენებს ტკივილგამაყუჩებლებს არასამედიცინო მიზნებისთვის, ახალი საუკუნის პირველ 10 წელიწადში ლეგალური ოპიოიდების გაყიდვები გაოთხმაგდა და ამდენივეჯერ მოიმატა მათი დოზის გადამეტებით სიკვდილიანობამ.**

მაგრამ მალე ეს ციფრები სანატრელი გაუხდებათ ამერიკელებს. სპეციალისტები აცხადებენ, რომ **ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლების ხანგრძლივად მიღება მძიმე შედეგებს განაპირობებს და ლეგალური ნარკოტიკებით განპირობებული სიკვდილიანობა მომავალში განუხრელად გაიზრდება.**

**უფროსების მიერ ტკივილგამაყუჩებლების დაუფიქრებელ გამოყენებას ბავშვებიც შეუერთდნენ. მოსწავლეები გამუდმებით ყლაპავენ აბებს რალაც ერთგვარი ამერიკული ფეტიშის — ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დასაძლევად და ვითომდა სასკოლო შედეგების გასაუმჯობესებლად.**

ეს დიაგნოზი ყველაზე მოსახერხებელი ახსნაა იმისა, თუ რატომ სწავლობენ ბავშვები ცუდად. უკანასკნელ ათ წელიწადში ამ დიაგნოზს ორჯერ უფრო ხშირად სვამენ ამერიკელი ექიმები, მაგრამ, რაც კიდევ უფრო უარესია, ამერიკელი მშობლების მესამედი მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული სინდრომის წინააღმდეგ წამლების წყალობით მათი შვილები უკეთ ისწავლიან და აღარავის აინტერესებს ის ფაქტი, რომ ბავშვი აბსოლუტურად ნორმალურია და ტვინში რაიმე პრობლემები არ აქვს. ყოველი მეოთხე ამერიკელი ბავშვი ვიღაც სხვისთვის გამოწერილ წამალს სვამს.

**ფსიქოაქტიური მედიკამენტები ბავშვების არამდგრად ფსიქიკაზე ყველაზე გაურკვეველ ზემოქმედებას ახდენს. ზუსტად არავინ იცის, რა ზეგავლენას მოახდენს ამ ბავშვების ტვინის ჩამოყალიბებაზე ზემოხსენებული წამლების გრძელვადიანი მოხმარება.**

არსებული მონაცემების მიხედვით, **სასკოლო ძალადობების აფეთქებათა უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეები ფსიქოაქტიურ პრეპარატებს იღებდნენ.** ალაბამის სკოლაში 2011 წლის 7 ნოემბრის სროლა — დამნაშავე სვამდა წამლებს დეპრესიისა და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დასაძლევად. მძევლების აყვანა ნიუ იორკის სკოლაში 2010 წლის 9 ნოემბერს — დამნაშავე ანტიდეპრესანტებს სვამდა; 2010 წლის 28 აპრილს მასაჩუსეტსის სკოლაში განხორციელებული მკვლელობა — კვლავ დეპრესიისა და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის „სამკურნალო" წამლები; მასობრივ ხოცვაში „კოლუმბაინის" სკოლაში ორი დამნაშავიდან ერთ-ერთი ანტიდეპრესანტებს სვამდა.

ახლა ამერიკის მოზარდების მესამედი თვლის, რომ სხვისთვის გამოწერილი წამლების ყლაპვაში საშიში არაფერია. **ბოლო დროს ამერიკაში მოდაშია მოზარდების ფარმაწვეულებები.**

ამ წვეულებებზე ნებისმიერი სტუმარი მიდის და დიდ ჯამში ყრის მიტანილ აბებს. შემდეგ მთელი წვეულების განმავლობაში ისინი პერიოდულად მიდიან ფარმა-ბართან და მედიკამენტებს წყლის ნაცვლად ალკოჰოლს აყოლებენ. ამგვარ შეკრებებზე სასიკვდილო შემთხვევები შემაშფოთებლად ხშირია. ამის გამო ბოლო დროს ამერიკელებს ურჩიეს, წამლები ისე ჩაკეტონ, რომ მათმა შვილებმა ვერ მიაგნონ.

ამ ყველაფრის შემდეგ ამერიკელი ექიმები განაგრძობენ უფრო და უფრო მეტი წამლის გამოწერას. საქმე ისაა, რომ **ფარმაცევტული კომპანიების მთელი ბიზნესმოდელი აწყობილია არა ჯანმრთელობაზე, არამედ ავადმყოფობაზე. თუ ამერიკელები საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დაიწყებენ, ფარმაკოლოგიური გიგანტების შემოსავლები ყველაზე დრამატული სცენარით შემცირდება.**

პროგნოზების თანახმად, მიმდინარე წელს წამლების გაყიდვები ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს და აშშ ამ არაჯანსაღ რბოლაში დიდი უპირატესობით ლიდერობს. გასაკვირი არაა, რომ **მხოლოდ ამერიკულ ტელევიზიებში რეკლამებისთვის ფარმაკომპანიები წელიწადში ხუთ მილიარდ დოლარს ხარჯავენ. სულ საკუთარი საქონლის გასაღებაზე ფარმაკომპანიები წელიწადში 60 მილიარდ დოლარს, ანუ იმაზე ორჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე ამავე საქონლის კვლევებზე.**

იმისათვის, რომ რაიმე ინციდენტმა მოსახლეობაში აბების მიმართ უკიდეგანო ნდობას არ ავნოს, **კიდევ ერთ მილიარდს ფარმაცევტული კომპანიები უშუალოდ ამერიკელ ექიმებს ურიგებენ. ხოლო 34 მილიარდს ისინი უფასო გასინჯვას ახმარენ — ქუჩის ნარკომოვაჭრეების მთავარი წესის სრული დაცვით პირველი დოზა უფასოა.** ამრიგად, ფარმაკომპანიების მიერ კარგად ნაკვები ექიმები თავიანთ პაციენტებს ახალახალ წამლებზე „სვამენ", თანაც სავსებით კანონიერად — ამაზე ფარმაცევტულმა ლობმა იზრუნა.

**ამერიკაში წამლების მწარმოებელთა გავლენა იმდენად დიდია, რომ თვით ბარაკ ობამას სასახლის კარის ფარმაკონგრესმენებთან შეთანხმება დასჭირდა ჯანდაცვის რეფორმის პირობებთან დაკავშირებით.**

ახლა ამერიკაში მილიონობით პაციენტს ექიმები გამოგონილ დიაგნოზებს უსვამენ და მილიარდობით აბის რეცეპტს უწერენ. არადა, უკვე დროა, ვინმემ დიაგნოზი დაუსვას თავად ამერიკული ხელისუფლების სისტემას, თუმცა მისი გაჯანსაღებისთვის წამალი ჯერ არც ერთ ფარმაკომპანიას არ გამოუგონია.

fbii.org

## სასკოლო ძალადობების აფეთქებათა უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეები ფსიქოაქტიურ პრეპარატებს იღებდნენ



## ყოველწლიურად ტკივილგამაყუჩებლების დოზის გადაჭარბებით 15 ათასი ამერიკელი კვდება — უფრო მეტი, ვიდრე ჰეროინითა და კოკაინით ერთად

# სნოუდენის ეფექტი: აშშ-ში საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის იერარქიას გადახედავენ

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა მოიპარა არა მხოლოდ ამერიკული სპეცსამსახურების მუშაობის შესახებ მონაცემები, მის განკარგულებაში აღმოჩნდა დაახლოებით 1,7 მილიონი ფაილი, რომლებიც დაკავშირებულია აშშ-ის შეიარაღებული ძალების სადაზვერვო ოპერაციებთან.**

პენტაგონმა პირველად აღნიშნა იმ დოკუმენტებისა და ფაილების კონკრეტული რაოდენობა, რომლებიც ედუარდ სნოუდენმა ხელისუფლების სერვერებიდან გადაქაჩა. ადრე საუბარი იყო ასიათასობით ფაილზე, ახლა კი პირველად დაასახელეს 1,7 მილიონი ფაილი. ასეთი მონაცემებია აღნიშნული პენტაგონის დახურულ ანგარიშში, რომლის ნაწილიც მედიას ჩაუვარდა ხელთ.

ანგარიში წარდგენილ იქნა კონგრესის წევრების მოთხოვნით. მათ მოითხოვეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დოკუმენტები მოხვდა სნოუდენის განკარგულებაში.

**თუ ადრე ყველა გამოაშკარავება, რომელთა ავტორიც ედვარდ სნოუდენი იყო, ძირითადად ამერიკული სპეცსამსახურების მუშაობას შეეხებოდა და ამერიკელებისა და უცხოელი ლიდერების მიმართ თვალთვალისა და მოსმენების გამოყენებას ეხებოდა, ახლა ნელ-ნელა გასაგები ხდება, რომ ამ ადამიანმა გაცილებით მეტი იცის, მათ შორის ამერიკის არმიის, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების მიმდინარე ოპერაციების შესახებაც.**

უკვე გაისმა კომენტარები ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, მაგალითად, თავდაცვის სამინისტროდან: ანგარიში, როგორც ჩინოვნიკები ამბობენ, ხაზს უსვამს, რომ **ედუარდ სნოუდენი აშშ-ის მოღალატეა. ასეთი განცხადება გააკეთა წარმომადგენელთა პალატის წევრმა, მიჩიგანის შტატის წარმომადგენელმა, რესპუბლიკელმა მაიკ როჯერსმა.**

როგორც ვარაუდობენ, მალე ობამა განცხადებით მიმართავს კონგრესსა და მთელ ნაციას. საქმე ისაა, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც 1,7 მილიონი მოპარული დოკუმენტის შესახებ გახდა ცნობილი, ობამა კანონმდებლებს ხვდებოდა და ამ შეხვედრებზე სათვალთვალო პროგრამის რეფორმირების საკითხები განიხილებოდა.

უკვე ცნობილია, რომ **დაწესდება გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის ინფორმაციის შენახვის ვადებზეც.** წყაროების ცნობით, რეფორმების ფარგლებში გათვალისწინებული და დაგეგმილია თვალთვალის არსებულ პროგრამებთან და ინფორმაციასთან წვდომის იერარქიის მნიშვნელოვანი ცვლილებები. გადაიხედება რაიმე სახის დოკუმენტების სერვერებიდან გადაწერის უფლება და გარდა ამისა, **გადაიხედება შიდა პროტოკოლები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმართავენ ინფორმაციის მსგავსი მამხილებლები ზემდგომ ხელმძღვანელებსა და კანონმდებლებს.**

ruvr.ru



## ედუარდ სნოუდენმა ხელისუფლების სერვერებიდან 1,7 მილიონი ფაილი გადაქაჩა

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„300-თა კომიტეტმა“ უკვე დიდი ხანია, დაადგინა, რომ მომავალში მსოფლიო უნდა გახდეს უფრო უკეთესი და უფრო პატარა – ბევრად პატარა, ვიდრე ახლაა. აი, რაშია უკეთესი მსოფლიოს მათეული იდეა. მუქთამჭამელთა მილიარდები – შეზღუდული ბუნებრივი რესურსების მომხმარებლები – წუნდებული და განადგურებული უნდა იყოს. ინდუსტრიალური პროგრესი კი ხელს უწყობს მოსახლეობის რიცხვის ზრდას, აქედან გამომდინარე, ძველი აღთქმის მცნება გამრავლებისა და მიწის დამუშავების შესახებ უნდა გადაისინჯოს.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1 (136)

**უმაღლესი დონის პარალელური საიდუმლო ხელისუფლება ბნელი სარდაფებიდან და საიდუმლო იატაკქვეშეთიდან არ მოქმედებს. ისინი ყველას დასანახად თეთრ სახლში, კონგრესში, დაუნინგის ქუჩის 10-ში და ბრიტანულ პარლამენტში განთავსდნენ. ისინი მონსტრების შესახებ იმ საშინელი და ძარღვებში სისხლის გამყინავი ფილმების მსგავსნი არიან, რომლებშიც მახინჯი იერის, გრძელთმიანი და კიდევ უფრო გრძელკბილებიანი ურჩხული ჩნდება, ღრიალებს და გარშემო დუყს აფრქვევს. ამ ფილმებს უბრალოდ ყურადღება გადააქვთ სხვა რამეზე, ნამდვილი ურჩხულები კი საქმიან კოსტიუმებს ატარებენ და სამუშაოდ კაპიტოლიუმის ბორცვზე ლიმუზინებით მიდიან.**



ეს ხალხი თვალთახედვის არეშია. ეს ხალხი მსოფლიო მთავრობისა და ახალი მსოფლიო წესრიგის მსახურები არიან; მოძალადის მსგავსად, რომელიც აჩერებს მანქანას და საკუთარ მსხვერპლს სახლამდე მიყვანას სთავაზობს, ის გარეგნულად სულაც არ ჰგავს ურჩხულს, რომელსაც სინამდვილეში წარმოადგენს. ის რომ ასე გამოიყურებოდეს, მისი მიზანში ამოღებული მსხვერპლი შიშისგან აკივლებული გაიქცეოდა. ეს შეფასება სამართლიანია ყველა მთავრობისთვის ნებისმიერ დონეზე. **პრეზიდენტი ბუში არ გამოიყურებოდა უმაღლესი დონის პარალელური მთავრობის გულმოდგინე მოსამსახურესავით; მაგრამ ნუ შეეცდებით — იგი ისეთივე ურჩხულია, როგორც საშინელებათა ფილმის მონსტრი.**

წამით შევჩერდეთ და დავაკვირდეთ, თუ როგორ გასცა პრეზიდენტმა ბუშმა 150 ათასი ერაყელი ჯარისკაცის მხეცურად დახვრეტის ბრძანება, როცა თეთრდროშიანი სამხედრო მანქანების კოლონა, რომლებიც ჟენევის კონვენციის თანახმად ერაყში ბრუნდებოდა ჯარების გაყოფისა და ბრძოლიდან გაყვანის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. **წარმოიდგინეთ, რა საშინელებას განიცდიდნენ თეთრდროშიანი ერაყელი ჯარისკაცები, როდესაც მათ მიბრჯნით ხვრეტდნენ ამერიკული თვითმფრინავები. ფრონტის სხვა მონაკვეთზე 12 ათასი ერაყელი ჯარისკაცი ცოცხლად ჩამარხეს ტრანშეებში, რომლებშიც ისხდნენ.** განა ეს შემზარავი არაა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით? საიდან მიიღო პრეზიდენტმა ბუშმა ბრძანებები, ემოქმედა ასე შემზარავად? მან ისინი საგარეო საქმეების სამეფო ინსტიტუტიდან მიიღო, რომელსაც მანდატი „300-თა კომიტეტისგან“ ჰქონდა მიღებული, ორგანიზაციისგან, რომელიც ასევე „ოლიმპიელების“ სახელით არის ცნობილი.

როგორც ჩვენ დავინახავთ, **„ოლიმპიელებიც“ კი არ მალავენ თავიანთ სახეებს. ისინი ხშირად სპექტაკლს მართავენ, რომელიც უკვე ნახსენებ პარიზის საავიაციო გამოფენას თუ შეედრება, იმ დროს, როდესაც შეთქმულებების ნიადაგზე გაგიჟებული უცნაური ხალხი ამ შეთქმულებების ძებნაში დროს არასწორ ადგილზე და არასწორი მიმართულებით ხარჯავს.**

**მიგიქცევიათ ყურადღება იმისთვის, თუ როგორ ასრულებს დედოფალი ელისაბედ მეორე ბრიტანული პარლამენტის გახსნის ცერემონიალს? იქ, ყველას დასანახად „300-თა კომიტეტის“ მეთაური იმყოფება. ყოფილხართ ოდესმე შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალის მოწმე? იქ ყველას დასანახად „300-თა კომიტეტის“ სხვა წევრი იმყოფება. მთელი პრობლემა მხოლოდ ადამიანურ აღქმაშია.**

ვინ არიან ეს შეთქმულები, რომლებიც ყოვლისშემძლე „300-თა კომიტეტს“ ესახურებიან? ჩვენი საზოგადოების

პრეზიდენტი ბუში არ გამოიყურებოდა უმაღლესი დონის პარალელური მთავრობის გულმოდგინე მოსამსახურესავით; მაგრამ ნუ შეცდებით – იგი ისეთივე ურჩხულია, როგორც საშინელებათა ფილმის მონსტრი

ყველაზე ინფორმირებული ნაწილი აცნობიერებს, რომ **შეთქმულება არსებობს და ეს შეთქმულება სხვადასხვა სახელს არის ამოფარებული, მათ შორის ისეთების, როგორებიცაა „ილუმინატები“, „მრგვალი მაგიდა“, მასონობა, „მილნერის ჯგუფი“**. მათთვის **„საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო“** და **„სამმხრივი კომისია“** ასოცირდება იმ ყველაფერთან, რაც მათ შიდა და საგარეო პოლიტიკაში არ მოსწონთ. ზოგიერთმა ისიც იცის, რომ „მრგვალმა მაგიდამ“ ვაშინგტონში ბრიტანეთის ელჩის მეშვეობით დიდი წვლილი შეიტანა შეერთებული შტატების საქმეებში. პრობლემა ისაა, რომ უხილავი მთავრობის წევრების მოღალატური საქმიანობის შესახებ რეალური ინფორმაციის მოპოვება ძალიან რთულია.



დედოფალ ელისაბედ მეორეს მიერ ბრიტანული პარლამენტის გახსნის ცერემონიალზე ყველას დასანახად იმყოფება «300-თა კომიტეტის» მეთაური, შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალს კი ყველას დასანახად ესწრება «300-თა კომიტეტის» წევრი

ვციტირებ წინასწარმეტყველ ესაიას მტკიცებას, რომელიც ქრისტიანულ ბიბლიაშია მოცემული: **„მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო, რადგან შენ უარყავი ღვთის შემეცნება, და მეც გადაგაყენებ ჩემი მღვდლობიდან“ (4.6.).** ზოგიერთ მკითხველს, ალბათ, უკვე სმენია ჩემ მიერ უცხო ქვეყნების დახმარების შესახებ სკანდალის გამოაშკარავების ამბავი; ამ პუბლიკაციაში მე დავასახელე შეთქმულთა რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთა რიცხვიც ლეგიონია. **მათი საბოლოო მიზანი იყო აშშ-ის კონსტიტუციის გაუქმება და ამ ქვეყნის, როგორც ღვთის რჩეული ქვეყნის, ჩართვა მსოფლიო მთავრობის მიერ მართულ უღმერთო ახალ მსოფლიო წესრიგში, რომელიც კაცობრიობას დააბრუნებს ბევრად უარეს პირობებში, ვიდრე ბნელი საუკუნეების დროს იყო.**

გადავიდეთ კონკრეტულ ისტორიულ მაგალითებზე, თუნდაც იტალიის კომუნიზაციისა და დეინდუსტრიალიზაციის მცდელობაზე. **„300-თა კომიტეტმა“ უკვე დიდი ხანია, დაადგინა, რომ მომავალში მსოფლიო უნდა გახდეს უფრო უკეთესი და უფრო პატარა – ბევრად პატარა, ვიდრე ახლაა.** აი, რაშია უკეთესი მსოფლიოს მათეული იდეა. **მუქთამჭამელთა მილიარდები – შეზღუდული ბუნებრივი რესურსების მომხმარებლები – წუნდებული და განადგურებული უნდა იყოს.** ინდუსტრიალური პროგრესი კი ხელს უწყობს მოსახლეობის რიცხვის ზრდას, აქედან გამომდინარე, ძველი აღთქმის მცნება გამრავლებისა და მიწის დამუშავების შესახებ უნდა გადაისინჯოს.

ამის გარდაუვალ შედეგად გვევლინება ქრისტიანობის საფუძვლის გამოთხრა; ინდუსტრიალური ეროვნული სახელმწიფოების ნელი, მაგრამ განუხრელი ნგრევა; ასეულობით მილიონი ადამიანის განადგურება, რომელთაც „300-თა კომიტეტი“ „ჭარბ მოსახლეობად“ განიხილავს; **ასევე ყველა იმ ლიდერის თავიდან მოცილება, რომლებიც გაბედავდნენ და წინ აღუდგებოდნენ „300-თა კომიტეტის“ მიერ გლობალურ დაგეგმარებას ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად.**

კომიტეტის პირველი დარტყმები იტალიამ და პაკისტანმა მიიღეს. იტალიის აწ განსვენებული პრემიერმინისტრი ალდო მორო იყო ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც მისი ქვეყნისთვის გაწერილი „ნულოვანი ზრდის“ პოლიტიკისა და მოსახლეობის შემცირების წინააღმდეგ გამოვიდა. ამით მან „რომის კლუბის“ რისხვა დაიმსახურა, რომელსაც „ოლიმპიელებმა“ ამ პოლიტიკის განხორციელება დაავალეს. **1982 წლის 10 ნოემბერს რომში სასამართლოზე მოროს ახლო მეგობარი აძლევდა ჩვენებას, რომ ყოფილ პრემიერმინისტრს ემუქრებოდა საგარეო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის აგენტი, რომელიც ასევე „300-თა კომიტეტია“ წევრი იყო და ამავე დროს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტს იკავებდა. ადამიანი, რომელიც მოწმემ დაასახელა, ჰენრი კისინჯერი იყო და მის თავბრუდამხვევ აღმასვლას ჩვენ დეტალურად განვიხილავთ.**

შეგახსენებთ, რომ პრემიერმინისტრი მორო 1978 წელს „წითელი ბრიგადების“ ტერორისტებმა გაიტაცეს და შემდგომში მხეცურად მოკლეს. „წითელი ბრიგადების“ წევრების სასამართლოს დროს ზოგიერთი მათგანი აძლევდა ჩვენებას იმის შესახებ, რომ მათ იცოდნენ მოროს მხეცური მკვლელობის შეთქმულებაში აშშ-ის მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირთა მონაწილეობის შესახებ. **როდესაც მოროს ემუქრებოდა, კისინჯერი, რა თქმა უნდა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა, მაგრამ უფრო „რომის კლუბის“ ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებდა, რომელიც 300-თა კომიტეტის საგარეოპოლიტიკურ ქვედანაყოფს წარმოადგენდა.**

მოწმე, რომლის ჩვენებამაც ღია სასამართლო პროცესზე აფეთქებული ბომბის ეფექტი გამოიწვია, გორადო გერცონი, მოროს ახლო თანამებრძოლი გახლდათ. მისი გამაოგნებელი ჩვენებები იტალიური ტელევიზიისა და რადიოს ეთერში 1982 წლის 10 ნოემბერს გადაიცა და ასევე რამდენიმე იტალიურ გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ აშშ-ში ეს უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია უბრალოდ მიჩუმათდა. **ყოველთვის ყველაფრის მცოდნე თავისუფლების ისეთმა ცნობილმა ბასტიონებმა, როგორებიცაა „ვაშინგტონ პოსტი“ და „ნიუ იორკ ტაიმსი“, არ მიანიჭეს ამას არანაირი მნიშვნელობა და გერცონის ჩვენებებიდან არც ერთი სიტყვა არ გამოაქვეყნეს.**

1982 წელს გამოქვეყნებულ ამ შემზარავი დანაშაულის მხილებაში მე ვაჩვენე, რომ **ალდო მორო, ქრიატიანდემოკრატიული პარტიის ლოიალური წევრი, მასონურ ლოჟა პ-2-თან დაკავშირებულმა დაქირავებულებმა მოკლეს.** მკვლელობის მიზანი იყო, აეძულებინათ იტალია, დამორჩილებოდა „რომის კლუბის“ ინსტრუქციებს ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციისა და მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. **მოროს გეგმები იტალიის სტაბილიზაციის შესახებ სრული დასაქმების უზრუნველყოფის გზით, პოლიტიკასა და ეკონომიკაში დაძაბულობის მოხსნის შესახებ გააძლიერებდა კათოლიკურ ოპოზიციას კომუნისტების საპირისპიროდ და საკმაოდ გაართულებდა ახლო აღმოსავლეთში დესტაბილიზაციას, რაც „300-თა კომიტეტის“ მთავარი მიზანი იყო.**

ზემოაღნიშნულიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად შორს მიდის შეთქმულთა გეგმები. ისინი მხოლოდ ხუთწლიანი გეგმების მასშტაბებით როდი აზროვნებენ. ღირს კათოლიკური ეკლესიის შესახებ ვეისგაუპტის განცხადებების გახსენება, რათა მივხვდეთ, თუ რა ძალები იყვნენ ჩართული მოროს მკვლელობაში. მოროს სიკვდილმა იტალიის დესტაბილიზაციის გეგმებს დაბრკოლებები მოუხსნა და, როგორც ჩვენ ახლა ვიცით, შეთქმულებს საშუალება მისცა, ახლოაღმოსავლური გეგმები განეხორციელებინათ 14 წლის შემდეგ, სპარსეთის ყურეში ომის დროს.

**„300-თა კომიტეტმა“ იტალია საცდელ პოლიგონად აირჩია, იტალია შე-** ▶

გეოპოლიტიკური ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „300-თა კომიტეტის“ ბრძანების თანახმად მოქმედმა „რომის კლუბმა“ სინდისის ქენჯნის გარეშე გაწირა აშშ-ის სამხედროების სიცოცხლე, რომლებიც თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ, მათ შორის „თავდაცვის სადაზვერვო სააგენტოს“ (US DEFENSE INTELLIGENCE AGENCY) ჯგუფიც, რომელსაც მეთაურობდა ბრიგადის გენერალი ჰერბერ ვასომი.

**იტალიის პრემიერმინისტრი ალდო მორო მასონურ ლოჟა პ-2-თან დაკავშირებულმა დაქირავებულებმა მოკლეს. ალდო მოროს სიკვდილის უკან კისინჯერი იდგა. კისინჯერი კი «საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის» მნიშვნელოვანი აგენტი, «რომის კლუბისა» და «საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს» წევრია**



ალდო მოროს ცხედარი მანქანის საბარგულში აღმოაჩინეს

**ამერიკულმა «არისტოკრატიამაც» შეიტანა იტალიური რესპუბლიკის ნგრევაში თავისი წვლილი. ამ საქმეში განსაკუთრებით გაისარჯა რიჩარდ გარდნერი, რომელიც პრეზიდენტ კარტერის ოფიციალური ელჩი იყო რომში**



ალდო მორო



ჰენრი კისინჯერი

თქმულთა გეგმებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ევროპულ ქვეყნებს შორის ახლო აღმოსავლეთთან ყველაზე ახლოსაა. იგი უკავშირდება ახლო აღმოსავლეთს როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურადაც. იტალია — ესაა კათოლიკური ეკლესიის საყრდენი, რომლის განადგურების ბრძანებაც ვეუსგაუპტმა გასცა, ასევე ზოგიერთი ყველაზე გავლენიანი ევროპული ოლიგარქიული ოჯახის სამშობლო, რომლებიც ძველ „შავ არისტოკრატიას“ ეკუთვნიან. იტალია რომ დასუსტებულიყო მოროს სიკვდილით, ამას ექნებოდა შედეგი ახლო აღმოსავლეთში, რაც შეასუსტებდა ამ რეგიონში აშშ-ის გავლენას. იტალია მნიშვნელოვანია სხვა მიზეზითაც: იგი ირანიდან და ლიბანიდან ნარკოტიკების ტრასპორტირებისას ევროპაში შესასვლელი კარიბჭეა. შემდეგში ჩვენ დავუბრუნდებით ამ თემას.

მას შემდეგ, რაც 1968 წელს „რომის კლუბი“ შეიქმნა, სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფება სოციალიზმის დროშის ქვეშ ერთიანდებოდა რამდენიმე იტალიური ხელისუფლების დამხობის მიზნით. მათ შორის იყვნენ **ვენეციისა და გენუის „შავი არისტოკრატია“, მასონური ლოჟა პ-2 და „წითელი ბრიგადები“,** ამასთან, ყველა ერთ მიზანს ემსახურებოდა. პოლიციის გამომძიებლები რომში, რომლებიც „წითელი ბრიგადების“ მიერ მოროს მკვლელობის საქმეს იძიებდნენ, გავიდნენ რამდენიმე საკმაოდ ცნობილ იტალიურ ოჯახზე, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ამ ტერორისტულ ჯგუფთან. პოლიციამ ასევე შეისწავლა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ, **სულ ცოტა, 12 შემთხვევაში ეს ცნობილი გავლენიანი ოჯახები თავიანთ სახლებსა და სხვა უძრავ ქონებას „წითელი ბრიგადების“ უჯრედებს საყრდენ პუნქტებად სთავაზობდნენ.**

**ამერიკულმა „არისტოკრატიამაც“ შეიტანა იტალიური რესპუბლიკის ნგრევაში თავისი წვლილი. ამ საქმეში განსაკუთრებით გაისარჯა რიჩარდ გარდნერი, რომელიც პრეზიდენტ კარტერის ოფიციალური ელჩი იყო რომში.** იმ დროს გარდნერი ბეტინო კრაკსის, „რომის კლუბის“ მნიშვნელოვანი წევრისა და ნატოს საკვანძო ფიგურის, უშუალო კონტროლით მოქმედებდა. კრაკსი საკვანძო ფიგურა იყო შეთქმულთა მცდელობებში, დაენგრიათ იტალიის რესპუბლიკა. როგორც დავინახავთ, კრაკსიმ თითქმის მიაღწია წარმატებას იტალიის დესტაბილიზაციაში და, როგორც შეთქმულთა იერარქიაში ერთ-ერთმა მთავარმა მოქმედმა პირმა, შეძლო იტალიის პარლამენტში გაეტარია განქორწინებისა და აბორტების ნებადამრთველი კანონები, რამაც შორს მიმავალი დამანგრეველ სოციალური და რელიგიური შედეგები მოიტანა: ისტორიაში ეს კათოლიკური ეკლესიისთვის მიყენებული ერთ-ერთი უდიდესი დარტყმა იყო, რომელმაც მის ავტორიტეტს და შედეგად, იტალიელი ხალხის მორალური საძირკველსაც გამოუთხარა ძირი.

**აშშ-ის პრეზიდენტად რონალდ რეიგანის არჩევის შემდეგ, 1980 წლის დეკემბერში ვაშინგტონში „რომის კლუბისა“ და სოციალისტური ინტერნაციონალის ეგიდით მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. ორივე ორგანიზაცია უშუალოდ „300-თა კომიტეტს“ ექვემდებარება. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო რეიგანის პრეზიდენტობის ეფექტურობის მინიმუმამდე დაყვანის გზები და საშუალებები. შეთქმულებმა შეიმუშავეს ერთობლივი გეგმა და, თუ უკან მოვიხედავთ, სრულიად ნათელი გახდება, რომ ეს გეგმა საკმაოდ წარმატებით შესრულდა.**

იმისთვის, რომ ამ შეთქმულების გრანდიოზულობა და ყოვლისმომცველობა წარმოვიდგინოთ, უნდა დავასახელოთ მსოფლიოს მომდევნო დაპყრობისა და მართვის „300-თა კომიტეტის“ მიერ დასახული მიზნები. „300-თა კომიტეტის“ სულ ცოტა 40 ცნობილი „ფილიალი“ არსებობს და ჩვენ მათ, ყველას, ჩამოვთვლით მათი ფუნქციების აღწერით. როგორც კი ეს გახდება ცნობილი, მარტივი იქნება გავიგოთ, თუ **როგორ შეუძლია შეთქმულთა ერთადერთ ცენტრალურ ორგანოს ასე ეფექტურად იმუშაოს და რატომ არ შეუძლია არც ერთ ხელისუფლებას მსოფლიოში, გაუძლოს მის შეტევას ცივილიზებული პროგრესული სამყაროს საფუძვლების წინააღმდეგ, რომლის საფუძველშიც პიროვნების თავისუფლება დევს, როგორც ეს ღიად არის დეკლარირებული შეერთებული შტატების კონსტიტუციაში.**

მოწმე გერცონის ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენებების წყალობით, რომელიც მან იტალიაში (ევროპაში და არა — აშშ-ში) სასამართლოში გაახმაურა, ხალხმა გაიგო, რომ **ალდო მოროს სიკვდილის უკან კისინჯერი იდგა.** ეს ტრაგიკული ისტორია გვიჩვენებს „300-თა კომიტეტის“ უნარს, თავისი სურვილი მოახვიოს უკლებლივ ყველა მთავრობას. **მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი საიდუმლო საზოგადოების წევრი** (მხედველობაში არ მაქვს მასონობა) **კისინჯერი არა მხოლოდ ემუქრებოდა მოროს, არამედ განახორციელა კიდეც თავისი მუქარა მოროს „განადგურების“ შესახებ, თუ იგი იტალიის ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების გეგმებზე უარს არ იტყოდა.**

1982 წლის ივნის-ივლისში ალდო მოროს მეუღლე ლია სასამართლო პროცესზე იძლეოდა ჩვენებას, რომ მისი ქმრის მკვლელობა მოხდა სერიოზული მუქარის შემდეგ, რომელიც, მისი თქმით, „აშშ-ის მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურის მიერ“ ხორციელდებოდა. **ქალბატონმა ელეონორა მორომ ზუსტად გაიმეორა გერცონის მიერ დამოწმებული კისინჯერის ფრაზა: „ან თქვენ შეეშვებით თქვენს პოლიტიკას, ან პასუხს გაგებინებთ“.** მოსამართლემ განმეორებით გამოიძახა გერცონი და ჰკითხა, შეუძლია თუ არა მას, დაასახელოს ის პიროვნება, რომლის შესახებაც საუბრობდა ქ-ნი მორო. გერცონიმ უპასუხა, რომ ეს ნამდვილად იყო ჰენრი კისინჯერი, რომლის შესახებაც მან მანამდე განაცხადა.

გერცონიმ შემდგომში უამბო სასამართლოს იმის შესახებ, რომ **კისინჯერი ემუქრებოდა მოროს სასტუმროში ნომერში აშშ-ში იტალიელი ლიდერების ოფიციალური ვიზიტის დროს.** მორო იტალიის, ნატოს წევრი ქვეყნის, პრემიერმინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, მაღალი რანგის ადამიანი იყო, ასეთი ხალხი მაფიის სტილის მუქარებისა და ზეწოლის ქვეშ არ უნდა ექცეოდნენ. როგორც იმ დროს, ახლაც **კისინჯერი „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის“ მნიშვნელოვანი აგენტი, „რომის კლუბისა“ და „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ წევრია.**

**კისინჯერის როლი შეერთებული შტატების დესტაბილიზაციაში ქვეყნის სამ ომში ჩართვის გზით — ახლო აღმოსავლეთში, კორეასა და ვიეტნამში — კარგადაა ცნობილი, ისევე, როგორც მისი როლი სპარსეთის ყურის ომში, რომელშიც აშშ მოქმედებდა, როგორც „300-თა კომიტეტის“ დაქირავებული ჯარი ქუვეითის მის კონტროლქვეშ დასაბრუნებლად. ერაყი საჩვენებელი მაგალითი იყო, რათა სხვა პატარა ქვეყნებმა არც კი სცადონ საკუთარი ბედის გადაწყვეტა.**

კისინჯერი ასევე ემუქრებოდა აწგანსვენებულ ზულფიკარ ალი ბხუტოსაც, პაკისტანის სუვერენული სახელმწიფოს პრეზიდენტს. ბხუტოს „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ მან ხელი შეუწყო მისი ქვეყნის მიერ ატომური იარაღის მოპოვებას. პაკისტანი, როგორც მუსლიმანური სახელმწიფო, მუდმივად განიცდიდა ისრაელის აგრესიის მუქარას ახლო აღმოსავლეთში. **ბხუტო 1978 წელს ცივსისხლიანად მოკლა გენერალმა ზია ულ ჰაკმა — „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ წარმომადგენელმა პაკისტანში.**

ხელისუფლებაში დაგეგმილი მოსვლის დროს მუჰამედ ზია ულ ჰაკმა უბიძგა გაგიჟებულ ბრბოს, დაეწვათ აშშ-ის საელჩო ისლამაბადში, რათა ნათლად დაენახვებინა „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოსთვის“, რომ იგი დამოუკიდებელი ლიდერია, რათა მეტი უცხოური დახმარება მოეზიდა და ასევე, როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, მოეკლა რიჩარდ ჰელმსი. **რამდენიმე წლის შემდეგ ულ ჰაკს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ავღანეთის ომში ჩარევა. მისი „ჰერკულეს ც-130“ აფრენიდან სულ ცოტა ხანში ელექტრონული დაბალი სიხშირის მიმართულმა იმპულსმა იმსხვერპლა, რის შედეგადაც თვითმფრინავმა ჯერ მარყუჟი გააკეთა და შემდეგ მიწაზე დაეცა.**

გენერალ ულ ჰაკის თავიდან მოშორების შესახებ **„300-თა კომიტეტის“ ბრძანების თანახმად მოქმედმა „რომის კლუბმა“ სინდისის ქენჯნის გარეშე გაწირა აშშ-ის სამხედროების სიცოცხლე, რომლებიც თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ, მათ შორის „თავდაცვის სადაზვერვო სააგენტოს“ (US DEFENSE INTELLIGENCE AGENCY) ჯგუფიც, რომელსაც მეთაურობდა ბრიგადის გენერალი ჰერბერ ვასომი.** გენერალი ულ ჰაკი გაფრთხილებული იყო თურქეთის საიდუმლო სამსახურის მიერ, რომ არ ეფრინა თვითმფრინავით, რადგანაც ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავის ჰაერში აფეთქებაა დაგეგმილი. ამის გათვალისწინებით, როგორც მან დაახლოებული მრჩევლების წრეს აუხსნა, ულ ჰაკმა თან წაიყვანა შეერთებული შტატების სამხედროთა ჯგუფი „სადაზღვევო პოლისის“ სახით.



ზულფიკარ ალი ბხუტო

**პაკისტანის პრეზიდენტი ბხუტო 1978 წელს ცივსისხლიანად მოკლა გენერალმა ზია ულ ჰაკმა — «საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს» წარმომადგენელმა პაკისტანში, რამდენიმე წლის შემდეგ კი თვით ულ ჰაკს სიცოცხლის ფასად დაუჯდა დაუმორჩილებლობა**



ზია ულ ჰაკი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს მთავრობის მიერ ვეტერანების კანონიერ უფლებებზე პერმანენტული შეტევების დინამიკაში განხილვისას უცნაური კანონზომიერება იკვეთება, იგი ეტაპობრივ ხასიათს ატარებს, რაც მთავრობების ცვლილებებთანაა დაკავშირებული. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, იგი ვეტერანებისთვის ყოველთვის საზიანოა, ე. ი. რაც დრო გადის, თითქოს ქვეყნის წინსვლასთან ერთად, ომის ვეტერანების სოციალური მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, არამედ პირიქით, სულ უფრო უარესდება.**

# გრცხვენოდეთ!

**პატივცემულო რედაქცია!**

**ამ წერილს, რომლის გამოქვეყნებას უმორჩილესად გთხოვთ, დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილე უყოყმანოდ მოაწერდა ხელს, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავთ, რადგან იმდენად დიდი და მძიმეა გულში დაგროვილი ტკივილი, უპატივცემულობისა და აბუჩად აგდების ფაქტები, რომ სიცოცხლის ფინიშზე გასულ ხანდაზმულ ვეტერანებს არ შეიძლებოდა ამის შესახებ ძალიან მოკლედ მაინც არ გვეთქვა. ამ დარდს საფლავში ვერ ჩავიყოლებდით, ჩვენი დიდი სურვილია, საზოგადოებამ განსაკუთრებით კი მომავალმა თაობამ, იცოდეს და დაიმახსოვროს, თუ როგორ უმადურად, დაუმსახურებელი შეურაცხყოფით ეკიდებოდნენ საქართველოში სამშობლოსთვის თავდადებულ მებრძოლ ადამიანებს.**

**ავტორები**



**„ნაციონალებმა“ დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებს კანონით გათვალისწინებული თითქმის ყველა შეღავათი მოუხსნეს, ხოლო „ქართული ოცნების“ მთავრობამ მათ ესეც არ აკმარა და ომში მონაწილეობის პენსია გაუუქმა.**

**ეს წერილი დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებისთვის შეიძლება გედის სიმღერა გამოდგეს, რადგან იმ ომის ყველაზე უმცროსი მონაწილე დღეს 89 წლისაა, ხოლო დანარჩენები 90 წელს მიღწეულები და გადაცილებულნი არიან, თანაც მათი რიცხვი ყოველდღე კატასტროფულად მცირდება, კვდებიან.** 1941-45 წწ-ში სამამულო ომში საქართველოდან წარგზავნილი 700 ათასი კაციდან დღეს მთელ საქართველოში ცოცხალია მხოლოდ 3 ათასამდე კაცი, კონკრეტულად ქ. თბილისში 780 კაცი შემორჩა. ამიტომ სიცოცხლის ფინიშზე გასულ ვეტერანებს არ გვინდა ამ ქვეყნიდან ისე წასვლა, რომ საზოგადოებამ, განსაკუთრებით მომავალმა თაობამ, არ იცოდეს იმ უმადურობის, უსამართლობის, უპატივცემულობის, დაუფასებლობისა და დამცირება-შეურაცხყოფის შესახებ, რომლებიც განვლილ წლებში საქართველოს მთავრობებმა, პარლამენტარებმა და სხვა ჩინოსნებმა მოგვაყენეს.

**დიდი სამამულო ომის მონაწილეების შეზღუდვა ჯერ კიდევ იმ საუკუნის დასასრულს, პრეზიდენტ შევარდნაძის დროს დაიწყო, როდესაც ვეტერანებს შეღავათი ელექტროენერგიაზე თითქმის მოუხსნეს.** მაშინ ვეტერანებმა პარლამენტის ეს უკანონო გადაწყვეტილება საკონსულტაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლომ პარლამენტის გადაწყვეტილება ბათილად ცნო და რჩევა მისცა, ვეტერანებისთვის ელექტროენერგიის შეღავათი უახლოეს დროში კანონის შესაბამისობაში მოეყვანა. პარლამენტმა და მთავრობამ სასამართლოს ეს განჩინება სრულად მაინც არ შეასრულა და შუქის შეღავათი დიდი შეზღუდვით აღადგინეს. ეს იყო ომის ვეტერანების კანონიერი უფლებების შეზღუდვის დასაწყისი (I ეტაპი), რომელიც დღემდე გრძელდება.

**საქართველოს მთავრობის მიერ ვეტერანების კანონიერ უფლებებზე პერმანენტული შეტევების დინამიკაში განხილვისას უცნაური კანონზომიერება იკვეთება, იგი ეტაპობრივ ხასიათს ატარებს, რაც მთავრობების ცვლილებებთანაა დაკავშირებული. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, იგი ვეტერანებისთვის ყოველთვის საზიანოა, ე. ი. რაც დრო გადის, თითქოს ქვეყნის წინსვლასთან ერთად, ომის ვეტერანების სოციალური მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, არამედ პირიქით, სულ უფრო უარესდება.** ნათელსაყოფად მოვიყვანთ მაგალითს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტ შევარდნაძის დროს შეზღუდვის პირველი ეტაპი დაიწყო ელექტროენერგიის შემცირებით, შევარდნაძის მთავრობა „ნაციონალებმა“ შეცვალეს, რომლებმაც მთავრობაში მოსვლა ვეტერანებისთვის 1995 წლის საქართველოს კანონით გათვალისწინებული თითქმის ყველა შეღავათით მოხსნეს (II ეტაპი). „ნაციონალების“ თაღლითი მთავრობის „ქართული ოცნების“ მთავრობით შეცვლის შემდეგ (III ეტაპი) ომის ვეტერანებს იმედი გაუჩნდათ, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: **ვეტერანებისთვის უფლებების შეზღუდვის მე-3 ეტაპი მათთვის სრულიად დამღუპველი აღმოჩნდა. „ქართული ოცნების“ მთავრობა იმდენად გაკადნიერდა, რომ რიგით ვეტერანებს ომში მონაწილეობის პენსია სრულიად გაუუქმეს და, როგორც იტყვიან, პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს.** თუ რას უმზადებს მთავრობა ვეტერანებს, არ ვიცით, მაგრამ **ვეტერანების უფლებებზე შეტევის მე-4 ეტაპი რომ ნამდვილად არ შედგება, ეს ცხადზე უცხადესია, რადგან ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ყველა ვეტერანი, მაგრამ იმ დროისთვის დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანთა აბსოლუტური უმრავლესობა, ალბათ, ცოცხლებს შორის არ იქნება.** ამდენად, მთავრობა შეიძლება მშვიდად იყოს. იმ ომის ვეტერანთა პრობლემა თავისთავად მოიხსნება.

**მეორე მსოფლიო ომის მონაწილე არც ერთ ქვეყანაში ომის ვეტერანები ისე უყურადღებოდ მიგდებული და შეურაცხყოფილნი არ არიან, როგორც ეს დღეს საქართველოშია**

ჩვენი ქვეყნის მთავრობებსა და პარლამენტარებს რაიმე ახალი პრობლემის გადაჭრისას სჩვევიათ სხვა ქვეყნებთან პარალელის გავლება, შედარება ანდა მათთან არსებული პრაქტიკის გადმოღება. ამ თვალსაზრისით მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, აშშ-ში ან ევროპის ქვეყნებში? — სრულიად რადიკალურად განსხვავებული. **მეორე მსოფლიო ომის მონაწილე არც ერთ ქვეყანაში ომის ვეტერანები ისე უყურადღებოდ მიგდებული და შეურაცხყოფილნი არ არიან, როგორც ეს დღეს საქართველოშია.** აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ყველა ვეტერანი სოციალურად უზრუნველყოფილია, მათ შორის გაზრდილი პენსიებით. ჩვენ ჩრდილოელ მეზობელ რუსეთში ომის მონაწილე ვეტერანთა პენსია 1000 დოლარზე მეტია, არაფერს ვამბობ სხვა სოციალური მომსახურეობით უზრუნველყოფაზე. აზერბაიჯანში ომის ვეტერანთა პენსია 1000 ევროა და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქვეყნებში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ **ჩვენი მთავრობის საგარეო კურსი ევროკავშირის წევრად გახდომაა, სურთ, იყვნენ ევროპელები და ყველა სფეროში მათ მივბაძოთ, რაც თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ ვბაძავთ ევროპელებს ომის ვეტერანებთან დამოკიდებულებაში, პარადოქსი არ არის?**



ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რატომ შეიქმნა ჩვენთან, საქართველოში დიდი სამამულო ომის მონაწილეების მიმართ მთავრობების მხრიდან ასეთი სისტემურად ნეგატიური დამოკიდებულება? საქართველოდან ომში წასული ადამიანები სხვა ქვეყნების მებრძოლებზე ცუდად იბრძოდნენ? რა თქმა უნდა, არა. ძალიან კარგად და გმირულად იბრძოდნენ და თავიც კარგად გამოიჩინეს. **საქართველოს ჰყავს 169 გმირი, 2 მარშალი, 36 გენერალი, მრავალი ათასი ორდენოსანი ოფიცერი და რიგითი მებრძოლი და, რაც მთავარია, ჩვენ გვყავს ამ ომში ისტორიული გამარჯვების ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი გენიალური სარდალი, გენერალისიმუსი, დიდი სტალინი.**

რატომ მოხდა, რომ საქართველოში, განსაკუთრებით ვ. პ. მჟავანაძის შემდეგ, გააფთრებით შეუტიეს დიდი სამამულო ომის ვეტერანების კანონიერ უფლებებს? **ალვირახსნილი პროპაგანდა გააჩაღეს სტალინის პიროვნების წინააღმდეგ, კერძოდ ლაჩრულად იერიში მიიტანეს სტალინის ძეგლებზე, ომში დაღუპული მებრძოლების მემორიალებზე. საოცარია, საიდან ამდენი ზიზღი, სიძულვილი და ღვარძლი, რომელთაც ბოლო არ უჩანს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ მთავრობები.** ამაზრზენი იყო იმის ყურება, თუ როგორ ანგრევდნენ ქ. თელავში პატიოსანი, ნამდვილი პატრიოტი ადამიანების მიერ აღდგენილ საქართველოს და მსოფლიო ცივილიზაციის ფაშისტური ტირანიისგან გადამრჩენი ადამიანის — გენერასიმუსის სტალინის ძეგლს და როგორ ზეიმობდნენ ამ ლაჩრულ უკადრის საქციელს ვიღაც ჩერგოლეიშვილები და მათი მსგავსი უსინდისოები, მართლაც ქონდრისკაცუნები.

ჩვენი მოსაზრებით, საქმე ისაა, რომ ვ. პ. მჟავანაძის შემდგომმა მთავრობებმა არასწორი ახსნა და შეფასება მისცეს დიდი სამამულო ომში გამარჯვებას და მის შედეგებს, რაც ჩვენი შეხედულებით, ძირითადად, ორი ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული:

**პირველი ფაქტორი** გამომდინარეობს ფსევდომეცნიერებისა და ცრუ ისტორიკოსების მიერ გავრცელებული ძირშივე მცდარი და არასწორი მოსაზრებიდან, რომლის მიხედვით დიდი სამამულო ომი ჩვენთვის, ქართველებისთვის, თითქოს არ იყო სამამულო ომი, რომ ის იყო რუსეთის ომი, რომ ქართველები იბრძოდნენ სხვის ომში. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ სტალინისა და ომის ვეტერანების მოძულეთათვის ჩვეული ალოგიკური მსჯელობის შესახებ, თუ ვინ ვის ომში და რისთვის იბრძვიან. **ჩვენი სახელოვანი ბიჭები დღეს ავღანეთში რომ იბრძვიან, ისინი სამშობლოს იცავენ, ჩვენ კი კავკასიის მთებში სამამულო ომში სამშობლოს არ ვიცავდით? სად არის აქ ლოგიკა?** ასევე არასწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სტალინი რუსული მოვლენაა და მას საქართველოსთვის ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია და მრავალი სხვა სულელური ინსუნიაციები, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. ამ **არასწორმა მოსაზრებებმა დიდი სამამულო ომისა და სტალინის შესახებ საკმაოდ მყარად გაიდგა ფესვი საზოგადოების ერთ ნაწილში და, სამწუხაროდ, იგი დღესაც გრძელდება.** ნამდვილად სიცილის მომგვრელია საავაშვილების, ბარამიძეების, ბოკერიების, წიკლაურების, თუთბერიძეების, მასხარაშვილებისა და სხვა მათი მსგავსი პერსონების მოსაზრებები სტალინის პიროვნების შეფასებასთან დაკავშირებით. ამ ვაჟბატონებმა არც ისტორია იციან, განსაკუთრებით სამამულო ომის ისტორია, არც არაფერი წაუკითხავთ სტალინის მოღვაწეობის შესახებ, თორემ ასე უსინდისოდ არ შეაფასებდნენ სტალინის პიროვნებას, ასე ლაჩრუ- ▶

**საქართველოს ჰყავს 169 გმირი, 2 მარშალი, 36 გენერალი, მრავალი ათასი ორდენოსანი ოფიცერი და რიგითი მებრძოლი და, რაც მთავარია, ჩვენ გვყავს ამ ომში ისტორიული გამარჯვების ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი გენიალური სარდალი, გენერალისიმუსი, დიდი სტალინი**

**ამ ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს მოევლება, კარგი რედაქტორის კალამი უმალ გარანდავს ყველაფერს, მაგრამ იმას რა ეშველება, როცა ძალიან, ძალიან ხშირად, თარგმანი პწკარედის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი ქართულად არაა გააზრებული — უცხოურ კონსტრუქციებში მხოლოდ ქართული სიტყვებია ჩასმული.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლად არ შეუტევდნენ სტალინის ძეგლებს, სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალებს.

სტალინის პიროვნებაზე და მის როლზე მსოფლიო ისტორიაში აქ საუბარს არ დავიწყებთ. იგი საკმაოდ კარგად შეაფასეს მსოფლიოს გამოჩენილმა ადამიანებმა, მეცნიერებმა, სახელმწიფოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რომელთაგან ერთ-ერთ დამახასიათებელ მაგალითს აქვე მოვიტანთ: **„თუ დაუშვებთ, რომ უნდა ჩატარდეს პლანეტების კრება და ამ კრებაზე თითოეული პლანეტა წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი დელეგატით, პლანეტა დედამიწიდან დელეგირებული უნდა იქნეს სტალინი“** (ა. იდენი). სტალინის პიროვნების უკეთესი შეფასება წარმოუდგენელია.

**დიდი სტალინის და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ლანძღვა-გინებამ ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას დროს ომის ვეტერანების ქუჩაში გავლა საშიში გახდა. ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, მკერდიდან ორდენებს აგლეჯდნენ და სხვ.** ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი სტალინის წინააღმდეგ ამ კაცუნების ზღვარგადასულმა კამპანიამ მეტად ამაზრზენი და ნეგატიური ხასიათი მიიღო. **დღეს, როდესაც „ნაციონალების“ მიერ ისედაც დაქცეული ქვეყანა თავზე გვენგრევა, ადამიანების უდიდესი ნაწილი გაუსაძლის სიღატაკეში ცხოვრობს, საქართველოს პარლამენტს თითქოს სხვა საქმე არაფერი ჰქონდეს, პარლამენტის სხდომაზე სამსჯელოდ გაიტანა სტალინის ძეგლის აღდგენა-არაღდგენის საკითხი.** გულის ამრევი იყო ამ ადამიანების მიერ სტალინის მიმართ ზიზღითა და სიძულვილით გაჯერებული ლანძღვა-გინების მოსმენა და ყურება. მხოლოდ ერთი პარლამენტარი შეეცადა სტალინის შესახებ სიმართლის თქმას და ისიც კინაღამ ჩაქოლეს, თითქოს ისინი იმ ბუმბერაზი ადამიანის მიერ შექმნილ და გადარჩენილ ქვეყანაში არ ცხოვრობენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც არც სათანადო განათლება გააჩნიათ, ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის სასარგებლო არაფერი შეუქმნიათ, მხოლოდ მომხმარებლები და პარაზიტები არიან. მათ არ იციან, რომ **ყველა ომს, რომელთაც მსოფლიო ისტორია იცნობს, ჰყავდა სარდლები, მხედართმთავრები. ომები სარდლების გარეშე არ არსებობს. საბედნიეროდ, დიდ სამამულო ომსაც ჰყავდა მთავარსარდალი დიდი სტალინის სახით, რომელმაც გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თვით გერმანიისავე ტერიტორიაზე ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინა, რომ არ ყოფილიყო დიდი სტალინი, იმ ომში გამარჯვება არ იქნებოდა, დღეს საქართველო გერმანული ფაშიზმის მონობაში იქნებოდა.**

საკითხავია, რატომ ჰგონიათ ამ ადამიანებს, რომ ჩვენზე უკეთ იცნობენ სტალინის პიროვნებას და სტალინის დროინდელ პერიოდს, ვიდრე ჩვენ, რომლებიც უშუალოდ იმ პერიოდში ვცხოვრობდით და ვმოღვაწეობდით? მათ გასაგონად გვინდა განვაცხადოთ, რომ მე-12 საუკუნის შემდეგ საქართველოსთვის ის პერიოდი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იყო რენესანსის, აღმავლობის პერიოდი. ჩვენ, იმ დროს მცხოვრებ ადამიანებს, იმდენი გონება კი შემოგვრჩა, რომ ანალიზი და შეფასებები გავაკეთოთ წარსულსა და აწმყოს შორის. საბოლოოდ სტალინის პიროვნების შესახებ ჩვენი, ვეტერანების, ხედვა ასეთია: **ნაპოლეონ ბონაპარტესი არ იყოს, დადგება დრო, როდესაც საქართველოში სტალინის სახელით იამაყებენ, სტალინი უკვდავია, მის სახელს ისტორია საუკუნეების მანძილზე შემოინახავს.**

**მეორე ფაქტორი,** რომელმაც განაპირობა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანების და მისი მთავარსარდლის, დიდი სტალინისადმი მდგომარეობს ამ ომის შესახებ ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის სრული ინფორმაციის არქონაში. მათ ელემენტარული წარმოდგენა არ აქვთ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იმ ომში. საქმე ისაა, რომ **სამამულო ომი 73 წლის წინათ დაიწყო და, ბუნებრივია, დღევანდელ თაობას, მათ შორის დღევანდელი მთავრობისა და პარლამენტის წევრების აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეიძლებოდა ჰქონოდა და ჰქონდეს რეალური წარმოდგენა იმ ომის შინაარსზე, მის ხასიათზე. თანაც ამ ადამიანების დიდი ნაწილი არ იცნობს ისტორიას, კერძოდ, დიდი სამამულო ომის ისტორიას, ამ სფეროში გაუნათლებლები არიან, არ წაუკითხავთ წიგნები მეორე მსოფლიო ომის შესახებ და იოლად მოექცნენ ისტორიის გამყალბებელი ცრუ ისტორიკოსების მიერ გავრცელებული არასწორი, ყალბი პუბლიკაციების გავლენის ქვეშ.** ამიტომ ამ წერილში მოკლედ გვინდა აღვნიშნოთ იმ საშინელებების შესახებ, რომელიც ჩვენ, ომის ვეტერანებმა გადავიტანეთ და ცოტათი მაინც გავუნათოთ მათ გონება და შევუქმნათ სწორი წარმოდგენა ომში განცდილ და გადატანილ სირთულეებსა და სიძნელეებზე.

**ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომი მსოფლიოს ისტორიაში ცნობილ ომებს შორის ყველაზე სასტიკი, ყველაზე საშინელი, ყველაზე მასშტაბური იყო. ის არ იყო სამდღიანი, სამკვირიანი თუ რამდენიმეთვიანი ომი. იგი გრძელდებოდა 1418 დღე, ვიმეორებ: 1418 დღე. ფრონტი გადაჭიმული იყო რამდენიმე ათას კილომეტრზე, შავი ზღვიდან ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანემდე. თანაც საომარი მოქმედება, ძირითადად, რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, რომელიც გამოირჩევა თავისი მკაცრი კლიმატური პირობებით.** განსაკუთრებით მძიმე იყო ბრძოლები ზამთრის პერიოდში, როდესაც ყინვები 20-30-ზე მეტ გრადუსზე ადიოდა. გაყინული მიწის მოთხრა მიწურის მოსაწყობად და ქვემეხის ორმოში ჩასაფლობად ნაჯახითა და წერაქვით გვიხდებოდა. ყველაფერი ეს კეთდებოდა მტრის უწყვეტი ცეცხლის ქვეშ, როდესაც სიკვდილს ყოველ წამს ველოდით. აი, ასეთ ექსტრემალურ პირობებში უხდებოდათ ბრძოლა ომის მონაწილე ვეტერანებს რამდენიმე წლის განმავლობაში, რომლის წარმოდგენა ჩვეულებრივი ადამიანისთვის მართლაც ძნელია, ვისაც არ უნახავს ტანკის მუხლუხებზე მიწაში აზელილი ადამიანის სხეულის ნაწილები, ვისაც არ უთხრია მიწა ნაჯახითა და წერაქვით რუსეთის გაყინულ ტრამალებში, ყველაფერ ამას იგი რეალობაში ვერ წარმოიდგენს და იმ ვეტერანებსაც ვერ გაუგებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრების უსულგულო დამოკიდებულება იმ ომის ვეტერანებისა და სტალინის პიროვნებისადმი. სწორედ ჩვენდამი ასეთმა დამოკიდებულებამ აგვაღებინა საწერკალამი ხელში, რათა მიგვემართა საზოგადოებისთვის ამ წერილით. **ნუთუ არ დადგა დრო, ბოლო მოეღოს დიდი სტალინის ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლას, მისი პიროვნების უსასრულო შეურაცხყოფას, დიდი სამამულო ომის ვეტერანების ლანძღვა-გინებას და შეურაცხყოფას? დასანანი და ქვეყნისთვის სირცხვილია, რომ ვეტერანებს დღეს ამ საკითხებზე საჯაროდ გვიხდება საუბარი. ბოლოს შევნიშნავთ, რომ ვეტერანების გაუქმებული პენსიით ქვეყანა ვერ აშენდება.**

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხისადმი ასეთი ანომალიური დამოკიდებულება ვერც ქვეყანას, ვერც საზოგადოებას და ვერც ქვეყნის მმართველობას კარგს ვერაფერს მოუტანს და ვერც დიდებას შესძენს. არ ვართ ის ადამიანები, რომლებიც ასეთ დამოკიდებულებას ვიმსახურებთ. ამ წერილს მხოლოდ ერთი სიტყვით დავამთავრებთ: **გრცხვენოდეთ!**

**შოთა ბუაძე,**
თბილისის ომისა და შეიარაღებული ძალების კავშირის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი;

**გიორგი ჯომარდიძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.

**P.S. მთავრობის გადაწყვეტილების ომის ვეტერანებისთვის ომში მონაწილეობის პენსიის გაუქმების შესახებ ის კეთილშობილი ადამიანი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ალბათ, საქმის კურსში არაა, თორემ ამას იგი არ დაუშვებდა და არც იტყოდა, რადგან 2012 წელს ვაკის პარკში საზეიმო შეხვედრაზე ვეტერანებთან მისალმებისას აღნიშნა, რომ იგი ვეტერანებთან ვალშია და მალე ამ შეცდომას გამოასწორებდა.**

# ქართულად, ქართულად!

## ანუ ტრიპტიქი ახალ ქართულ თარგმანებზე

### წერილი პირველი

**ეს სათაური ჟურნალ „განთიადს“ დავესესხე — ჯერ კიდევ წინა საუკუნეში, ე. წ. საბჭოთა პერიოდში, ამ ჟურნალს, რომელსაც ცნობილი მწერალი, ბატონი კონსტანტინე ლორთქიფანიძე რედაქტორობდა, რეცენზია შევთავაზე ერთ-ერთ ნათარგმნ წიგნზე და „განთიადმა“ სწორედ ასეთი სათაურით გამომიქვეყნა იგი. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ეს სათაური, ასე ვთქვათ, რედაქციამ შემირჩია და შესანიშნავადაც გადმოსცა კიდეც ჩემი რეცენზიის სულისკვეთება, კერძოდ, რომ მთარგმნელმა ტექსტის გაგების შემდეგ ქართულად, ქართულად უნდა გაიაზროს ავტორის სათქმელი, ანუ, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, თავის პოეტურ ქურაში გაატაროს...**

უსათუოდ კარგი ჩანაფიქრია სს „საქპრესისა“ და შპს **„ქართული ბიოგრაფიული ცენტრის“ ერთობლივი პროექტი, რომელიც იმ 100 ადამიანის ავტობიოგრაფიებს, ბიოგრაფიებსა თუ მემუარებს გვთავაზობს, მართლაც რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს „მსოფლიოს შეცვლაში“, თუკი მაინცდამაინც ასეთი კატეგორიულობით უნდა გამოიხატოს ცნობილ მოღვაწეთა ისტორიული როლი კაცობრიობის განვითარებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, იმთავითვე ისიც ცხადი გახდა, რომ ესოდენ საინტერესოდ ჩაფიქრებულ გამოცემებს აშკარად დააკლდათ სათანადო ყურადღება ტექსტების რედაქტირების თვალსაზრისით, რაც ფრიად გულდასაწყვეტია.** რაღა შორს წავიდე, ჩემდათავად 3 წიგნი შევიძინე ერთდროულად (კაზანოვა, სალვადორ დალი, ვერდი) და ერთი სული მაქვს, კოლეგებს ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარო, ვინძლო, საერთო საქმეს წაადგეს.

მაშ ასე, **კაზანოვა**, რომლის სახელი უცხო არ არის ქართული პრესისთვის — ამ თარგმანის პირველი თავები ჯერ კიდევ 1994-96 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალ „საუნჯეში“...

საგაზეთო სტატიის გამო (ფორმატის შეზღუდულობას ვგულისხმობ), მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ ამონარიდს მოვიყვან — ვრცელი და საგნობრივი განხილვა შემდგომაც შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, გამომცემლობის მესვეურებს გაუჩნდებათ ამის სურვილი:

თუნდაც მხოლოდ გალაკტიონის შემდეგ („უსიყვარულოდ არ არსებობს...“) ვინმეს ხელი რომ მაინც წაუცდება ისეთ არაქართულ კონსტრუქციებზე, როგორიცაა: **„იმედის გარეშე“** (გვ. 66, 71), **„მის გარეშე“** (გვ. 297) და ა. შ. და არ გაახსენდება, რომ აქ უნდა იყოს: **„უიმედოდ“** და **„უმისოდ“,** პირდაპირ უნდა ითქვას, ასეთ „ვინმეს“ პოლიგრაფიაში არაფერი ესაქმება!

ძალზე დამაფიქრებელია ის ელემენტარული გარემოებაც, რომ **„წინ“** და **„წინათ“** ერთმანეთში ერევათ:

**„თხუთმეტი წლის წინ რომში გარდაიცვალა...“** (8); **„ორმოცი წლის წინ მეც ვფიქრობდი...“** (38); **„ორი წლის წინ...“** (107); **„ორი კვირის წინ...“** (126) (ხაზი ყველგან ჩემია — გ. დ.) და ა. შ. და ა. შ. გაუთავებლად, მაშინ, როცა ყველა ამ და მსგავს შემთხვევაში, სადაც დრო იგულისხმება, უნდა იყოს **„წინათ“**.

„ამ შინაგანი ტანჯვა-ჭიდილის **შემხედვარემ** (ხაზი ჩემია — გ. დ), ისე ამოვიგმინე...“ (121) — ცხადია, უნდა იყოს **„შემხედველმა“** (იხ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998, გვ. 537).

იგივე ითქმის სხვა სიტყვებზეც: **„კოსტუმი“** (179) კი არა — **„კოსტიუმი“** (ორთ. ლექ., 323), **„ციხე-სიმაგრე“** (გვ. 32) კი არა — **„ციხესიმაგრე“** (იქვე, 583) და ა. შ.

ახლა ამ სრულიად უადგილო და ზედმეტ ნაცვალსახელებს აღარ იკითხავთ, თანაც ერთ გვერდზე?! (308):

**„შენ** დაღლილი იქნები...“ — **რა საჭიროა ეს „შენ“?** ისედაც ცხადია, ვისზეა საუბარი.

**„მე** მომეჩვენა...“ — ნაცვალსახელი, ცხადია, აქაც ზედმეტია.

**„შენ** ძალიან აღმაგზნე“ — აქაც.

**6**. ასევეა სხვა გვერდებზეც: (197, 302) და ა. შ. და ა. შ.

**7. „თქვენთან სუფრაზე არ დავჯდები“** (342) — **„სუფრაზე დაჯდომა“ რაღა უბედურებაა?!** სუფრას მიუსხდებიან ან შემოუსხდებიან ხოლმე და ა. შ. ცხადია, ამ ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს მოევლება, კარგი რედაქტორის კალამი უმალ გარანდავს ყველაფერს, მაგრამ იმას რა ეშველება, როცა ძალიან, ძალიან ხშირად, თარგმანი პწკარედის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი ქართულად არაა გააზრებული — უცხოურ კონსტრუქციებში მხოლოდ ქართული სიტყვებია ჩასმული. ორიოდე ნიმუში:

„ჩემს სანახავად ტირეტა ჩამოვიდა... მითხრა, რომ ქ-მა (უნდა იყოს: ქ-ნმა — გ. დ.) XXX-მა განიზრახა, ცოლად გაჰყოლოდა, რაზედაც არასდროს დათანხმდება, თუმცა ქალი მთელ ქონებას სთავაზობს“ (233).

ან კიდევ ერთი ასეთი „მარგალიტი“: „ვუთხარი, რომ ამიერიდან ყოველდღე სახლში ვისადილებ და ვივახშმებ და რომ **არავისთვის შინ არავარ“** (285, ხაზი ჩემია — გ. დ.).

ასეთი „მარგალიტებით“, სამწუხაროდ, ისეა დახუნძლული წიგნი, რომ ამის ამოწერასა და გაანალიზებას ჩვენი 32-გვერდიანი გაზეთიც არ ეყოფა... გულდასაწყვეტია ყოველივე ეს, მით უმეტეს მაშინ, როცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ასეთი ლაღი ქართულიც გვხვდება: **„ირენი სიხარულის შეძახილით შემხვდა, პარტერში დაგინახე და ვიცოდი, უსათუოდ მინახულებდიო“** (344).

**არის სხვაგვარი სახის უყურადღებობაც – ეს, უპირველესად, პუნქტუაციას შეეხება, რაკი იგი უმალ თვალში ხვდება მკითხველს და არასასიამოვნო განცდას იწვევს. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია სახელთა საძიებლის უქონლობა, რაც საერთო ნაკლია ჩვენი გამოცემებისა და მისი კულტურა ვერ იქნა და ვერ დამკვიდრდა ჩვენში.**

დასასრულ ერთი საკითხიც: ცნობილია, რომ ეს წიგნი იტალიელმა კაზანოვამ ფრანგულად დაწერა და მას ეწოდება: „Histoire de ma vie” (ანუ „ამბავი ჩემი ცხოვრებისა“). ქართული თარგმანი რომელი ენიდან შესრულდა? შესავალში ზოგადად არის მინიშნებული, თარგმნა ნანა თარგამაძემო, მაგრამ რომელი ენიდან, ამაზე არაფერია ნათქვამი. გამოცემის ბოლო გვერდზე, სადაც ჩვეულებრივ თარგმნილი წიგნების დედნისეული სახელწოდებაა მოცემული, ინგლისურად წერია: „The Memoirs of Jacques Casanova“ (ანუ „ჯაკომო კაზანოვას მემუარები“) და ისიც ინგლისურადაა, თარგმნა ნანა თარგამაძემო („Translated by Nana Targamadze“).

**თუმცა, სულო ცოდვილო, ეს კიდევ რაა იმასთან შედარებით, ამ ინგლისური სახელწოდების თავზე რა დამწერლობით (Spelling) წამოუკუნკულებიათ (ი. ჭავჭავაძის ტერმინია) ავტორის სახელი და გვარი: Jacomo Kazanova. რამდენადაც ვიცი, არც ერთ ლათინური დამწერლობის ევროპულ ენაში კაზანოვას სახელი და გვარი (Giacomo Casanova) არ იცვლება, მაგრამ, აი, მესოპოტამიურზე ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ...**

**გოგი დოლიძე,**
პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

**P.S. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ამოცანა გვეკითხება — მაინც რომელ ენაზე იწერება ასე (Jacomo Kazanova) კაზანოვას სახელი და გვარი, იქნებ ამაზე მაინც გვიპასუხონ გამოცემის მესვეურებმა?!**

ახალი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისტორიას ვერ გარდაქმნი, მაგრამ მისი გაგება აუცილებელია. სტალინს ბევრი რამ შეშლია. მაგალითად, ის, რომ პიროვნების როლი ისტორიაში უმნიშვნელოა. დიადი პიროვნება (ეს თვისება აუცილებლად „პლიუსი“ ნიშნით არ არის წარმოდგენილი) აუცილებლად ახდენს გავლენას მთელ ხალხზე, მის ხასიათზე, მის ისტორიულ ქცევაზე, ამიტომ ხალხის ისტორიის გამო მხოლოდ პიროვნების გასამართლება, საუკეთესო შემთხვევაში, პრიმიტიულია. ოდესმე ამ საკითხში უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაერკვევიან.**

ევგენი გუსლიაროვი

# სტალინი ცხოვრებაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1 (136)

## ავტორისგან

სტალინი ისტორიული ფიგურაა. იგი სწორედ ასე უნდა აღვიქვათ. მისი დარი პიროვნებებისთვის ჩვენი სიყვარულისა და სიძულვილის ჩარჩოები ვიწროა. გაცნობიერებული რომ გვქონოდა ასეთი ჩვეულებრივი გრძნობებით ამ ფიგურისადმი მიდგომის უაზრობა, ამდენ მელანს არ დავხარჯავდით, ამდენ გონებრივ ძალისხმევას უფრო ღირსეულად გამოვიყენებდით.

სიცოცხლის ბოლოს სტალინმა თქვა: „ჩემს საფლავს ბევრ ნაგავს მიაყრიან, მაგრამ ისტორიის ქარი დაუნდობლად გაფანტავს მას“.

მიზნად დავისახე, წამეკითხა ყველაფერი (ეს აუცილებელი პირობა იყო ამ წიგნის შესადგენად) სტალინის შესახებ და მივხვდი, რაზე ლაპარაკობდა იგი. **ყველაფერი, რაც ნაკარნახევია მხოლოდ სიყვარულითა და სიძულვილით, არის ნაგავი.** იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებოდნენ ხოლმე ადამიანები, რომელთა შეგნებას ეს გრძნობები არ ფარავდა და რომლებმაც შეძლეს დაკვირვებოდნენ სტალინს **ფხიზელი გაოცებით,** მის ყოველ მოქმედებასა და ჟესტშიც კი დაენახათ შესატყვისობა **იმდროინდელ ისტორიულ გარემოსთან.** ასეთი ადამიანები, ვიმეორებ, ცოტანი იყვნენ. მაგრამ ნაგავში რაღაც სასარგებლოც აღმოჩნდა. **მარცვალ-მარცვალ შეგროვდა ის, რამაც შეიძლება შეგვიქმნას წარმოდგენა ცოცხალ სტალინზე.**

ლაპარაკი იმაზე, დიდია იგი თუ საშინელი, ჩემი ამოცანა არ არის. მე მხოლოდ მინდოდა გამომეცნო, როგორ იქცეოდა იგი წვრილმან თუ მნიშვნელოვან მოვლენებთან შეტაკებისას, რომელთაც ყოველდღიურობა გვიქადის. როგორ გამოდიოდა სიტუაციებიდან, რომლებიც ჩვეულებრივი ყოველდღიურობის არსია; როგორ უყვარდა და სძულდა, როგორ სვამდა და ჭამდა, რომელი




ავადმყოფობა აწუხებდა, კერძოდ რა სიმაღლისა იყო, ბოლოს და ბოლოს, **როგორი იყო სტალინი ცხოვრებაში.**

ეს ამოცანა არ მეჩვენებოდა პრიმიტიულად მას შემდეგ, რაც გავეცანი ამჟამინდელი ავტორიტეტული ისტორიკოსის — არნოლდ ჯ. ტოინბის ერთ მოსაზრებას, კერძოდ იმას, რომ „კლეოპატრას ცხვირი ნახევარი დიუმით გრძელი რომ ჰქონოდა, მთელი ისტორია სხვა გზით წარიმართებოდა“.

**ისტორიას ვერ გარდაქმნი, მაგრამ მისი გაგება აუცილებელია. სტალინს ბევრი რამ შეშლია. მაგალითად, ის, რომ პიროვნების როლი ისტორიაში უმნიშვნელოა. დიადი პიროვნება (ეს თვისება მაინცდამაინც „პლიუსი“ ნიშნით არ არის წარმოდგენილი) აუცილებლად ახდენს გავლენას მთელ ხალხზე, მის ხასიათზე, მის ისტორიულ ქცევაზე, ამიტომ ხალხის ისტორიის გამო მხოლოდ პიროვნების გასამართლება, საუკეთესო შემთხვევაში, პრიმიტიულია. ოდესმე ამ საკითხში უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაერკვევიან.**

დიახ, ჩვენი ისტორია ჩვენივე დაბერებულ სოფლელ დედასავითაა. ჩვენ მის გამო უხერხულადაც კი შეიძლება ვიგრძნოთ თავი რომელიმე საზეიმო დღეს სტუმრების წინაშე, მაგრამ, თუ ისინი ჭკვიანი სტუმრები არიან, მიხვდებიან, რომ მხოლოდ უვარგის შვილს თუ შერცხვება საკუთარი დედის გამო...

## დასაბამი. როგორ იწრთობოდა სტალინი

### დაბადების თარიღის საიდუმლო

**იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯუღაშვილი) დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს თბილისის გუბერნიის ქალაქ გორში. მისი მამა — ბესარიონ ივანეს ძე, ეროვნებით ქართველი, წარმომავლობით თბილისის გუბერნიის სოფელ დიდი ლილოდან იყო, პროფესიით — ხარაზი, შემდგომ — თბილისში ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა; დედა, ეკატერინე გიორგის ასული გელაძე, სოფელ ღამბარაულის ყმაგლეხის ოჯახიდან იყო.**

**Иосиф Виссарионович Сталин: Краткая биография. М.: 1948. с. 5.**

**1878 წელი. დაიბადა 6 დეკემბერს, მოინათლა 17-ში, მშობლები — ქალაქ გორის მცხოვრებნი — გლეხი ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილი და მისი კანონიერი ცოლი ეკატერინე გიორგის ასული. ნათლია — გორის მცხოვრები გლეხი ციხითათრიშვილი. ნათლობა შეასრულა დეკანოზმა ხახანოვმა კლერიკ — კვინიკაძესთან ერთად.**

**ამონაწერი გორის მიძინების ტაძრის მეტრიკული წიგნიდან ი. ჯუღაშვილის დაბადების შესახებ**

**თვალში საცემია ერთი უცნაურობა ი. ბ. სტალინის დაბადების თარიღების შედარებისას მის ოფიციალურ ბიოგრაფიასა და მეტრიკულ წიგნში. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება. იქნებ აგვიხსნას პატივცემულმა რედაქციამ, რაშია საქმე...**

**მკითხველ ბ. მირონოვის წერილიდან.**

**ჟურნალი „Известия ЦК КПСС“**

ამასთან დაკავშირებით ჟურნალ „Известия ЦК КПСС“ 1990 №11-ში გამოქვეყნდა პასუხი, რომელიც მოამზადეს სკკპ ცკ საერთო განყოფილებისა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თანამშრომლებმა: ი. კიტაევმა, ლ. მოშკოვმა და ა. ჩერნევმა.



სტალინის მუზეუმი ქალაქ გორში

**ყველა ცნობარის, ენციკლოპედიისა და დოკუმენტის მიხედვით, ი. ბ. სტალინის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1879 წლის 21 დეკემბერი, ანუ 1879 წლის 9 დეკემბერი ძველი სტილით**

პასუხში მითითებულია, რომ **ყველა ცნობარის, ენციკლოპედიისა და დოკუმენტის მიხედვით, ი. ბ. სტალინის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1879 წლის 21 დეკემბერი, ანუ 1879 წლის 9 დეკემბერი ძველი სტილით.** ამასთან, გორის მიძინების ტაძრის მეტრიკული წიგნის მიხედვით, რომელშიც დარეგისტრირებულია სტალინის დაბადების ფაქტი, მითითებულია, რომ გლეხებს: ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილს და მის ცოლს ეკატერინე გაბრიელის(?) ასულს დაებადათ ვაჟი იოსები 1878 წლის 6 დეკემბერს, რომელიც 17 დეკემბერს ამავე ეკლესიაში მოინათლა.

პასუხის ავტორები აღნიშნავენ თარიღების ამ განსხვავებას და სავსებით მართებულად ხაზს უსვამენ, რომ ეკლესიის წიგნის სანდოობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, მით უფრო, რომ ამონაწერი ამ წიგნიდან დადასტურებული იქნა აგრეთვე 1894 წელს, როცა სტალინს გადასცეს გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (ატესტატში სულ ხუთიანებია ჩაწერილი, მათ შორის, ყოფაქცევაშიც! სტალინმა სასწავლებელი პირველ მოწაფედ დაამთავრა).

ბუნებრივია, რომ მეტრიკაში მითითებული თარიღი გამეორებულია პეტერბურგის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მასალებში. ამ სამმართველოში გაიხსნა საქმე სტალინზე, საიდანაც, თავისთავად ცხადია, გამოითხოვეს მასზე მონაცემები დაბადების ადგილიდან.

დაბოლოს, **არსებობს სტალინის ხელით შევსებული ანკეტა შეკითხვებით მისი ბიოგრაფიის შესახებ, რომელიც მას 1920 წელს გამოუგზავნა შვედურმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „ფოლკეტ დაგბლად პოლიტიკენმა“. ამ ანკეტაში მან საკუთარი ხელით ჩაწერა თავისი დაბადების თარიღი 1878 წელი.** ეს, სხვათა შორის, ერთადერთი დოკუმენტია, სადაც თარიღი სტალინის მიერაა ჩაწერილი. ყველა სხვა შემთხვევაში, პარტიული ყრილობების მასალებსა და ანკეტებში, VI ყრილობიდან მოყოლებული, პარტბილეთებში, ცკ-ს წევრების სიებში და ა.შ. დაბადების თარიღი ჩაწერილია შესაბამისი მდივნის, რეგისტრატორის ან თანაშემწის ხელით, და ყველგან მხოლოდ 1879 წელია მითითებული.

**В.В. Похлебкин, Великий псевдоним. М.: Юдит, 1996, с. 109-110.**

**სამწუხაროდ, არსებული მასალები საშუალებას არ გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ, შეგნებულად შეცვალა თუ არა ი.ბ. სტალინმა თავისი დაბადების თარიღი. და თუ ასეა, რა მიზნით? შესაძლებელია, პასუხი ამ შეკითხვებზე მომავალში იქნას გაცემული (თუ ასეთი პასუხები საერთოდ არსებობს).**

**Известия ЦК КПСС, 1990, №11, с. 127.**

სტალინმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა თავისი დაბადების მეტრიკული წელი, და ყველგან, 1920 წლამდე, ზუსტად მიუთითებდა. მაგრამ 1917 წლის შემდგომ პარტიულ დოკუმენტებში ყველგან ფიგურირებს ასევე 1879 წელი. პირველად ეს თარიღი გაჩნდა პარტიის VI ყრილობის მასალებში (ანკეტებში). ჩვენ გვექნება საშუალება ვისაუბროთ მისტიკური რიცხვებისადმი სტალინის მიდრეკილების შესახებ. ქართულ-სპარსული რიცხვთაღრიცხვით რიცხვი 5 მაგიური აზრით იყო დატვირთული. ყველაფერს, რაც 5-თან იყო დაკავშირებული, ბედნიერება უნდა მოეტანა, ან უნდა შესრულებულიყო. 1917 წელს იწყებოდა პირველი ხუთწლეული 1912 წლის შემდეგ, სტალინისთვის „აღსრულებათა წლის“ შემდეგ **(ამ წლიდან იწყება მისი აქტიური მონაწილეობა რევოლუციაში. — ე. გ.).** სტალინს სჯეროდა, რომ 1917 წელს არა მარტო მოხდება რევოლუცია, არამედ წარმატებული იქნება და უეჭველად გაიმარჯვებს...

და როცა ასეც აღსრულდა, მან კიდევ უფრო ირწმუნა თავისი მარქსისტული ცოდნაცა და გამოცდილებაც და „ხუთიანის“ იღბლიანობაც.

ამასთან დაკავშირებით მან თვალი გადაავლო რევოლუციამდე განვლილ გზას და „ხუთიანებს“ შეაჯერა იგი. 1889 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ **(რომელიც დაეხმარა „მაგარი“ ფსევდონიმის არჩევაში. რუსთაველის ცნობილი პოემის გამომცემელი ვინმე სტალინსკი** ▶



ბესარიონ ჯუღაშვილი



ეკატერინე გელაძე

**როცა მას ეკითხებოდნენ, რამდენი წლისაა, იგი ფორმალურად კი არ ითვლიდა თავის ასაკს, არამედ ფაქტობრივად, ხოლო ფაქტობრივ ათვლაში ერთ-ორ კვირას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მისი სიცოცხლე იწყებოდა არა თითქმის მთლიანად გასული 1878 წლიდან, არამედ ახლად დაწყებული 1879 წლიდან. აი, რატომ ამბობდა იგი რუსეთში ყოფნისას, რომ დაბადებულია 1879 წელს და 1917 წლიდან საბოლოოდ მიიჩნევდა მას რეალურ თარიღად, ნაცვლად „დოგმატური“ 1878-ისა.**

უცხელადო ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **იყო და, ვ. პოხლებკინი ვარაუდობს, რომ ამას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა ფსევდონიმ სტალინის შერჩევაზე. — ე.გ.).** იგი ამ დროს ზუსტად 10 წლის იყო; 1899 წელს იგი გარიცხეს სემინარიიდან და პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. ამ დროს იგი ზუსტად 20 წლის გახდა. მაშასადამე, გაცილებით მართებული იქნებოდა, ათვლა დაწყებულიყო 1879 წლიდან და არა ფორმალური 1878 წლიდან, რადგან 1878 წელს მას აცილებს დეკემბრის დასასრულის მხოლოდ რამდენიმე დღე. ...დედას ერთი კვირის შემდეგ რომ ემშობიარა, მაშინ ფორმალურადაც და ფაქტობრივადაც დაიბადებოდა 1879 წელს, **როცა მას ეკითხებოდნენ, რამდენი წლისაა, იგი ფორმალურად კი არ ითვლიდა თავის ასაკს, არამედ ფაქტობრივად, ხოლო ფაქტობრივ ათვლაში ერთ-ორ კვირას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მისი სიცოცხლე იწყებოდა არა თითქმის მთლიანად გასული 1878 წლიდან, არამედ ახლად დაწყებული 1879 წლიდან. აი, რატომ ამბობდა იგი რუსეთში ყოფნისას, რომ დაბადებულია 1879 წელს და 1917 წლიდან კი საბოლოოდ მიიჩნევდა მას რეალურ თარიღად, ნაცვლად „დოგმატური“ 1878-ისა.** და როცა მის მიერ აღიარებული წესის საწინააღმდეგოდ 1920 წელს ჩაწერა 1878 წელი, ასე მოიქცა იმიტომ, რომ თარიღი ნაჩვენები იყო საზღვარგარეთისთვის, სადაც, როგორც სტალინმა შესანიშნავად იცოდა, გაბატონებული იყო საშინლად ბიუროკრატიული და ფორმალური შეხედულებები, სადაც მეტრიკაში ნაჩვენები თარიღის შეცვალა სენსაციად იქნებოდა აღქმული.

სწორედ იმიტომ, რომ არ „გაელიაზიანებინა“ დასავლელი ჩინოვნიკები, სტალინმა „გადაუგდო“ მათ „ძვალი“ — თავისი დაბადების ფორმალური წელი და არა ფაქტობრივი 1878 წელი, როცა ერთი კვირის ახლადშობილმა ბავშვმა დაიწყო თავისი ცხოვრება. მხოლოდ 1879 წელიწადი იყო მისი რეალური სიცოცხლის პირველი სრული წელიწადი. **აქ კვლავ გამოჩნდა სტალინის სიძულვილი ფორმალიზმისა და დოგმატიზმისადმი და მისი მისწრაფება, განეხილა ყველა მოვლენა საღი აზრისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.** მაგრამ ეს არავისთვის არ აუხსნია. იცოდა, რომ ეს ზედმეტი იყო, რომ ეს მის გარდა, ბოლოს და ბოლოს, არავის ეხებოდა. ამასთან, მას უფლება ჰქონდა საკუთარი თავისა და თავისი ცხოვრების მიმართ მოქცეულიყო ისე, როგორც სწორად და მართებულად თავადვე მიაჩნდა. მით უფრო, რომ **1879 წელზე ფაქტობრივი მითითება სწორია — წარმოაჩენს მის მიერ განვლილი წლების რეალურ რაოდენობას, ხოლო წლების რეალური რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორმალური თარიღი.**

ამრიგად, ვხედავთ, რომ არსებობს სრულიად ნათელი, გასაგები, ლოგიკური და მართალი განმარტება იმისა, თუ რატომ იყო ნაჩვენები საბჭოთა კავშირში ი. ბ. სტალინის დაბადების ოფიციალურ თარიღად 1879 წელი და არა 1978 წელი, როგორც მეტრიკაში, და რატომ „ჩაასწორა“ თვით სტალინმა ეს თარიღი.

**В. Похлебкин, с. 113-115**



ჯუღაშვილი (ჯუღა — ძველი ქართულით — ფოლადი).

**С.П. Красиков, Возле вождей, М.: Современник, 1997. с. 76.**

აი, რა მომწერა ამის თაობაზე 1990 წელს ჩემი შეკითხვის პასუხად ცნობილმა ქართველმა მწერალმა-დრამატურგმა კიტა ბუაჩიძემ, საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილმა ტუსაღმა, განსაკუთრებული სიმტკიცის და ღრმა კულტურის ადამიანმა, რომელმაც უმძიმეს პირობებში შეინარჩუნა წესიერება, მაღალი ინტელექტი და ბედის უკუღმართობის მიუხედავად სრულიადაც არ დაუკარგავს თავისი განათლებულობა.

**„ძვირფასო ვილიამ ვასილის ძევ!**

**თქვენ ხართ უაღრესად საინტერესო ადამიანი, ვისთანაც დაუსწრებელ-ეპისტოლარული ნაცნობობაც კი ჭეშმარიტ სიამოვნებას მანიჭებს. ამას ვამბობ იმიტომ, რომ თქვენი ჩაკირკიტებულობისა და მეცნიერული პატიოსნების წყალობით, შევძელი გამერკვია ის, რაც ჩვენ, ქართველებმა, ჩვენდა სამარცხვინოდ, აქამდე არ ვიცოდით. „ჯუღა“ სრულიადაც არ ნიშნავს ფოლადს, როგორც ადრე გაცნობეთ, — ასეთი იყო, ასე ვთქვათ, ცნობილი, გავრცელებული მოსაზრება. „ჯუღა“ ძალიან ძველი წარმართული ქართული სიტყვაა სპარსული შეფერილობით. უთუოდ გავრცელებული იყო საქართველოში ირანული ბატონობის პერიოდში და ნიშნავდა უბრალოდ სახელს. როგორც ყველა სახელის მნიშვნელობის თარგმნაა შეუძლებელია ამ შემთხვევაშიც ასეა. სახელი ისეთივეა, როგორც რუსული ივან. მაშასადამე, ჯუღაშვილი ნიშნავს მხოლოდ „ჯუღას შვილს“ და სხვა არაფერს. გამოდის, რომ თქვენ მართალი ხართ — ფსევდონიმ „სტალინის“ წარმოშობასთან მის თავდაპირველ, ბუნებრივ გვარს არავითარი კავშირი არ აქვს.**

**თქვენი კიტა ბუაჩიძე,**
**1990 წლის თებერვალი“.**

**В. Похлебник, с. 71-72.**

**სტალინის სამშობლოში მზის სხივები მიწაზე თითქმის შვეულად ეცემა. სინათლე ჩრდილში არ გადადის. ან — ან. ან სინათლეა, ან — ჩრდილი. მესამე არ არსებობს**



სტალინის საფლავი კრემლის კედელთან

## მშვილდოსნის ნიშნის ქვეშ

...სტალინის დაბადებამდე დედამისს (რომელსაც, ბედნიერება მქონდა, პირადად ვცნობოდი და არაერთხელ ვყოფილიყავი მასთან) პირველი შვილი მიხეილი ჰყავდა, რომელიც ერთი წლისა გარდაიცვალა. შემდეგ დაიბადა გიორგი, რომელიც ასევე ჩვილი ასაკისა ტიფისგან გარდაიცვალა. პირველიცა და მეორეც ბაბუაჩემმა მონათლა. როცა მესამე ბავშვი იოსები დაიბადა, ეკატერინე გიორგის ასულმა მას უთხრა: „შენ, რა თქმა უნდა, ძალიან კეთილი ადამიანი ხარ, მაგრამ მძიმე ხელი გაქვს. ასე რომ, მაპატიე, თუ ღმერთი გწამს, იოსებს მიშა მონათლავს.“ მისი გვარი დამავიწყდა... პატარა სტალინმაც გადაიტანა ტიფი, მაგრამ მაინც გადარჩა.

**Г. Эгнаташвили (кремлевский охранник Сталина).**

**Цит. по: Логинов В. В тени Сталина. М.: Современник, 2000, с. 18.**

მშვილდოსნის ნიშნის ქვეშ დაბადებულები ფლობენ მაღალი სულიერი ბუნების არაჩვეულებრივ ზეცოდნას, დაუოკებელ და დაუდგრომელ ენერგიას, რომელიც აღგვის ყველაფერს დიქტატის გზაზე; წარმატებასა და ძალაუფლებას.

**Красиков С. с. 76.**

**სტალინის დაბადების ადგილი ისევეა დატოვებული, როგორიც უწინ იყო, მხოლოდ უზარმაზარი კარვითაა გადახურული უამინდობისგან დაცვის მიზნით. ამ კარვის ზედა ნაწილი ფერადი შუშისაა. სტალინი დაიბადა ერთ ციცქნა ერთსართულიან პატარა სახლში, რომელიც ქვისგან იყო ნაგები, ჰქონდა ორი ოთახი და აივანი ფასადის გასწვრივ. სტალინის ოჯახი ისეთი ღარიბი იყო, რომ ყველანი სახლის ნახევარში, ერთ ოთახში იყვნენ შეყუჟულები.**

**Стейнбек Дж. Русский дневник, М.: Мысль, 1989. с. 109.**

**მაგიდა, ოთხი ტაბურეტი, საწოლი, პატარა ბუფეტი სამოვარით, კედლის სარკე და ზანდუკი ოჯახის ბარგი-ბარხანით — აი, მთელი მისი მოწყობილობა. მაგიდაზე სპილენძის ნავთის ლამფა. თეთრეული და ჭურჭელი განჯინებში ინახებოდა. ხრახნული კიბე ჩადის სარდაფში, სადაც კერიაა გამართული, რომელზეც ეკატერინე, ალბათ, ამზადებდა საჭმელს. ბესო იქ ინახავდა ტყავს და ხარაზის ხელსაწყოებს. ავეჯიდან ჰქონდათ შეუღებავი ტაბურეტი და სოსოს აკვანი.**

**Такер Р. Сталин. Путь к власти. 1879-1929 М.: Прогресс. 1990 с. 75.**

**კარზე გაბმულია ზონარი, მაგრამ ყველას შეუძლია შიგ შეიხედოს, დაინახოს საწოლი, ტანსაცმლის პატარა კარადა, პატარა მაგიდა, სამოვარი, მოღრეცილი ლამფა. ამ ოთახში ცხოვრობდა ოჯახი, ამზადებდა საჭმელს და ეძინა.**

**Стейнбек Дж. с. 10.**

სამაზრო ქალაქი გორი რუსეთის ღირსშესანიშნავ ადგილებს შორის მოიხსენიებოდა, რომლებიც შეტანილი იყო ბედეკერის მსოფლიოში ცნობილ გზის მაჩვენებელში.

**Яковлев М.Н. Сталин: путь наверх. М.: 2000, с. 17.**

XIX საუკუნის წყაროებში გორი მოხსენიებულია, როგორც თვალწარმტაცი პატარა ქალაქი, რომელიც გაშლილია მტკვრის ნაპირზე მაღალი გორაკის ძირას, ციხე-სიმაგრით მწვერვალზე. მაქსიმ გორკიმ, რომელიც გორში 90-იან წლებში ჩავიდა თავისი ერთ-ერთი ხანგრძლივი ხეტიალის დროს, ამ ადგილებში აღმოაჩინა „რაღაცნაირი განკერძოებულობისა და ველური ორიგინალურობის“ ძლიერი კოლორიტი. თავისი მშობლიური ნიჟნი ნოვგოროდის გაზეთისთვის დაწერილ ნარკვევში აღწერა ეს ყველაფერი.

**Такер Р. с. 75.**

ქალაქი მტკვრის შესართავთან პატარაა — დიდი სოფლის ოდენა. შუაში მაღალი გორაკია. გორაკზე — ციხე-სიმაგრე. ყველაფერს ამჩნევია რაღაცნაირი ველური ორიგინალობის კოლორიტი: მცხუნვარე ცა ქალაქის თავზე, მტკვრის ბობოქარი, ხმაურიანი წყალი, ახლოს — მთები, სადაც მღვიმის ქალაქია და უფრო შორს მთავარი ქედის მთებია, რომლებიც მუდმივი თოვლითაა დაფარული...

**Горький М. Собр. соч. в 30 т. М.: 1953, т. 4, с. 302.**

**სტალინის სამშობლოში მზის სხივები მიწაზე თითქმის შვეულად ეცემა. სინათლე ჩრდილში არ გადადის. ან — ან. ან სინათლეა, ან — ჩრდილი. მესამე არ არსებობს.**

**Дмитриевский С. Сталин. Берлин, 1932. с. 8.**

ბუნების ასეთი სურათები გარს ერტყა სოსო ჯუღაშვილს ბავშვობაში...

გორი (რაც ქართულად „გორაკს“ ნიშნავს) განლაგებულია მთიან ადგილზე აღმოსავლეთ საქართველოში, დაახლოებით 45 მილზე თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით. იმ დროს იგი თბილისის გუბერნიის სამაზრო ცენტრი იყო. მთელი ისტორიის მანძილზე ის არაერთხელ დაუნგრევია მიწისძვრას. უწინდელ დროში საქარავნო გზის ერთ-ერთი პუნქტი, ეს ქალაქი მთავარი სარკინიგზო ხაზის სადგური გახდა, რომელიც 1871 წელს გაიყვანეს და რომელმაც შავი ზღვის ნავსადგური ფოთი თბილისს დაუკავშირა. სოსოს დაბადების დროისთვის ქალაქში 8-9 ათასი მცხოვრები იყო.

**Такер Р. с. 75.**

კავკასიის ველებსა და მთებში რჩებოდა შხეფები კაცობრიობის ისტორიის ნაკადის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აზიიდან ევროპაში გადაედინებოდა. ცალკეული ტომები და ჯგუფები თითქოს გაიყინა აქ თავიანთ განვითარებაში და გადააქცია კავკასია გიგანტურ ეთნოგრაფიულ მუზეუმად.

**Троцкий Л. Сталин. Опыт политической биографии. т. 1. Нью-Йорк, 1985, с. 217, Semdeg citirebulia, rogorc Троцкий Л.1)**

**საქართველო ქრისტიანული ქვეყანა იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი წარმართული იყო. ქრისტიანულ თქმულებებს, რომლებსაც აქ ჰყვებიან, აღმოსავლური შეფერილობა აქვს.**

**Стейнбек Дж. с. 108.**

...200 წლის განმავლობაში ინგლისს ჯერ კიდევ ეკატერინეს დროიდან ეშინოდა რუსეთის გასვლისა კავკასიონის სამხრეთით, ამიტომ მისი ბუნებრივი მოკავშირე აქ თურქეთი იყო. საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (როგორც ქართველებს მიაჩნიათ, მოტყუებით, გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევით) და მისი შემდგომი კოლონიზაციის გზით, საქართველო თვითონ გახდა რუსეთის წინააღმდეგ ინგლისისა და თურქეთის საიდუმლო, პოტენციური მოკავშირე.

რუსულმა ჯარებმა ქართველთა უამრავი აჯანყება ჩაახშეს. ერთ-ერთ მათგანში მონაწილეობდა სტალინის პაპის მამა — ზაზა ჯუღაშვილი...

**Иванов Я. Еще одна загадка Сталина, „Независимая газета“, 1996, 21 дек.**

## მშობლები

მის წინაპრებზე ცოტა რამაა ცნობილი. პაპის მამა (მამის მხრიდან), სახელად ზაზა ჯუღაშვილი, XIX საუკუნის დასაწყისში მონაწილეობდა რუსების წინააღმდეგ მოწყობილ გლეხთა აჯანყებაში და შემდეგ თავი შეაფარა სოფელ დიდ ლილოს თბილისის მახლობლად. მისმა შვილმა ვანომ ამ სოფელში ვენახი გააშენა და აქვე დაებადა ვაჟიშვილი ბესარიონი, მეტსახელად ბესო. მამის გარდაცვალების შემდეგ ბესო თბილისში დასახლდა და იპოვა სამუშაო ადელხანოვის ტყავის ქარხანაში, სადაც ხარაზის ხელობა შეისწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვინმე ბარამოვმა გორში გახსნა ფეხსაცმლის სახელოსნო, სამუშაოდ მიღებულთა შორის იყო ჯუღაშვილიც. გორში ბესომ გაიცნო და ცოლად მოიყვანა ეკატერინე გელაძე, ყოფილი ყმა გლეხების ოჯახის შვილი, მეზობელ სოფელ ღამბარაულიდან. 1864 წელს საქართველოში ყმობის გაუქმების შემდეგ... გელაძეების ოჯახი გორში გადასახლდა. მაშინ ეკატერინე 9 წლისა იყო, სოსოს დაბადებისას — 20-ზე ცოტა მეტისა. იმ დროისთვის მას უკვე სამი შვილი ჰყავდა დაკრძალული.

**Такер Р. с. 75-76.**

**17 მაისს დაქორწინდნენ: გორში დროებით მცხოვრები გლეხი ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილი, მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, პირველი ქორწინებით, ასაკი — 24 წელი; და ქალიშვილი გორის გარდაცვლილი მცხოვრები გლეხის — გლახა გელაძისა ეკატერინე, მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, პირველი ქორწინებით, ასაკი — 16 წელი.**

**ამონაწერი ქ. გორის 1874 წლის ქორწინებათა წიგნიდან.**

**რუბრიკას უძღვება არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლურჯი მდინარე, გრენლანდია

ეს მდინარე ითვლება გრენლანდიის სამოთხედ ექსტრემალური სპორტის — მდინარეზე სრიალის მიმდევართათვის. მდინარე ფორმას იცვლის ყოველ სეზონზე. მდინარის ნათელი ლურჯი ფერის მიზეზს წარმოადგენს დაკრისტალებული ლამა.



# ყინულის სამყარო

**პოლარულ და სხვა ცივ რეგიონებში უჩვეულო და უნიკალური ფორმების დანახვაზე ადამიანებს სული ეკვრებთ. მხოლოდ მეცნიერებსა და თავგადასვლების მაძიებლებს შეუძლიათ ეწვიონ ბუნების ამ საოცრებების უმრავლესობას.**



## «გაყინული ტალღა», ანტარქტიდა

ეს უნიკალური „გაყინული ტალღა“ანტარქტიდაში მდებარეობს. ის 2007 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ტონი ტრავუილონმა აღმოაჩინა....

ფოტოსურათებზე აღბეჭდილია გიგანტური ტალღა, რომელიც გაიყინა მოცემულ მომენტში, მაგრამ ეს ფორმირება შედგება ლურჯი ყინულისგან, რაც დამაჯერებელი მტკიცებულებაა იმისა, რომ ის არ წარმოქმნილა წყლის ტალღისგან.

ცისფერი ყინული იქმნება ყინულის კომპრესიით და გაყინული საჰაერო ბუშტების განთავისუფლებით. ყინული ლურჯად გამოიყურება, რადგან, როდესაც სინათლე გადის სქელ ყინულში, ლურჯი ფერი აირეკლება, ხოლო წითელი ფერი შთაინთქმება.

მუქი ლურჯი ფერი მიუთითებს იმაზე, რომ ყინული ფორმირებულ იქნა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და არა მომენტალურად.



## მყინვარული ჩანჩქერები, ნორვეგია

ყინულიდან გადმოღვრილი შადრევნის ფოტო გადაღებულია სვალბარდის არქიპელაგის ერთადერთ დასახლებულ კუნძულ სპიტსბერგენზე. სვალბარდი ოდნავაა დაშორებული ჩრდილოეთ პოლუსიდან.

დედამიწის ყინულოვანის მასის 99%-ზე მეტს პოლარულ რეგიონებში განლაგებული ყინულის ფენები წარმოადგენს. ყინულის უზარმაზარი კუნძულები სუფთა წყლის უდიდეს საცავს წარმოადგენს და მოსახლეობას სუფთა წყლით უზრუნველყოფს. ამათგან სრულად მყარი მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაშია, შემდეგ კი დნება ნელ-ნელა.

სახიფათო მომენტია ყინულის გიგანტების დნობა. ამან შეიძლება დროთა განმავლობაში წყლის დონის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვიოს.

სახელწოდება სვალბარდი (მეორე სახელი — სპიტსბერგენი) ნორვეგიულად ითარგმნება, როგორც „ცივი სანაპიროები“.

საერთოდ, სპიტსბერგენი წარმოადგენს ყველაზე ჩრდილოეთ დასახლებულ რეგიონს პლანეტაზე.



## კრისტალების მღვიმე, ისლანდია



## ზოლებიანი აისბერგი, სამხრეთ ოკეანე



## ყინულის კანიონი, გრენლანდია

ყინულის კანიონის სიღრმე შეადგენს დაახლოებით 45 მეტრს. ზოლები მის კედლებზე აჩვენებს ყინულისა და თოვლის სტრატიგრაფიულ შრეებს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში იღებდა ასეთ სახეს. არხის ქვედა ნაწილში შავი დანალექი არის წვრილი მტვერი, რომელიც ქარს მოაქვს და რომელიც აკუმულირდება თოვლში, მყინვარებში.



## მყინვარი „სპილოს ფეხი“, გრენლანდია





## Penitentes – კალგასპორები, ჩილე, არგენტინა

ანდების რეგიონში ეს საოცარი ყინულის „წვეტები“ ფორმირებულია ზღვის დონიდან 4000 მეტრ სიმაღლეზე. ისინი შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის, რამდენიმე სანტიმეტრიდან 5 მეტრამდე.

იქაური ხალხი ამ მოვლენას უკავშირებს ამ რეგიონში სწრაფად მქროლ ქარებს.



## მყინვარი Briksdalsbreen, ნორვეგია

მყინვარი მდებარეობს ნორვეგიაში და წარმოადგენს ეროვნული პარკის — Jostedalsbreen-ის ნაწილს. ბრიქსდალსბრინი მთავრდება პატარა მყინვარული ტბით (Briksdalsbrevatnet), რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 357 მეტრზე.

იქ მთელი მსოფლიოდან ჩადიან ტურისტები, რათა დატკბნენ ამ მართალაცდა ულამაზესი სანახაობით.



## რეაქტიული გამანადგურებელი

eBay-ზე ხშირად იყიდება მანქანები და ნავები, მაგრამ F18-ის ტიპის რეაქტიული გამანადგურებელი სრული მოულოდნელობა იყო. კალიფორნიის მოქალაქემ თვითმფრინავი ჯართიდან წამოიღო და გადაწყვიტა, რომ გაეყიდა 1 მილიონ დოლარად. ამერიკის მთავრობას არ მოეწონა ეს ფაქტი და თვითმფრინავი არ გაიყიდა. მიზეზი ის გახდა, რომ თვითმფინავს არ უნდა დაეტოვებინა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია. საბოლოოდ რა ბედი ეწია მას, უცნობია.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## Fang – გაყინული ჩანჩქერი ქალაქ ვეილში, აშშ

ჩანჩქერი მდებარეობს კოლორადოს შტატში. უზარმაზარი ყინულის სვეტი ფორმირებულია ცივ ზამთარში და სიმაღლეში დაახლოებით 50 მეტრს აღწევს, სიგანეში კი 8 მეტრია.



## მთა erebus-ის ყინულის კოშკები, ანტარქტიდა

მუდმივად აქტიური ვულკანი, ალბათ, ერთადერთი ადგილია ანტარქტიდაში, სადაც ცეცხლი და ყინული ხვდება ერთმანეთს, ურთიერთქმედებს და ქმნის რაღაც უნიკალურ შთამბეჭდავ სურათს... კოშკების სიმაღლე 20 მეტრამდეა, რომლებიც უშვებენ ორთქლის ნაკადებს სამხრეთ პოლარულ ცაზე.

# Ebay-ზე გაყიდული ყველაზე უცნაური ლოტები



## ქალაქი ტექსასში

ქალაქი ტექსასში თავისი სახლებითა და ტავერნით Ebay-ს აუქციონზე იქნა გამოტანილი 2007 წელს. გაყიდვის მიზეზი იყო ის, რომ ქალაქი ნელ-ნელა იცლებოდა და მყიდველს უნდა შეეჩერებინა ეს პროცესი. თავიდან ვაჭრობა კარგად წავიდა, მაგრამ საბოლოო შეთავაზებამ სარეზერვო თანხას — 2.5 მილიონ ამერიკულ დოლარსაც კი ვერ მიაღწია, ამიტომაც ქალაქი გაიყიდა, როგორც ცალ-ცალკე ლოტები — სახლები, მიწები და ა.შ.



## თირკმელი

ორგანოების გაყიდვა დღესდღეობით არის ფულის გამომუშავების ყველაზე ექსტრემალური საშუალება. სასონარკვეთილმა კაცმა ფლორიდიდან სცადა, რომ გაეყიდა თავისი თირკმელი Ebay-ს საშუალებით, მაგრამ ორგანოების გაყიდვა ამ გზით არაკანონიერია და ამიტომაც აუქციონი დაიხურა, მაგრამ სანამ დაიხურებოდა, ბოლო შეთავაზება 5.7 მილიონი ამერიკული დოლარი იყო.



## ბრიუსელის კომბოსტო

ბევრ ევროპელს შობის ვახშმის შემდეგ სახლში რჩება უამრავი ბრიუსელის კომბოსტო, მაგრამ ცოტას თუ მოსდის აზრად, დარჩენილი კომბოსტო აუქციონზე გაყიდოს. ბრიტანეთის მოქალაქემ გასაყიდად გამოიტანა 2005 წლის შობის შემდეგ ერთი ცალი კომბოსტოს თავი გასაყიდად, რომელიც გაიყიდა 99.5 ფუნტ სტერლინგად.



## მოჩვენება ქილაში



ამერიკელმა გამოიტანა აუქციონზე ძველი ჭუჭყიანი ქილა და ამტკიცებდა, რომ ამ ქილაში მოჩვენება ცხოვრობდა. მას სურდა, ქილა გაეყიდა, რადგან მას ის აშინებდა. პრესაში ინფორმაცია მალევე გავრცელდა და ქილა საბოლოო ჯამში 50 000 დოლარად გაიყიდა. მყიდველის ბედი უცნობია, მაგრამ გამყიდველმა კარგად იხეირა. „საშიში" ქილაც მოიცილა და ბლომად ფულიც იშოვა.




## სარეკლამო ადგილი

ფული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ვცდილობთ, როგორმე გამოვიმუშაოთ, მაგრამ ბევრს არ მოაფიქრდებოდა, საკუთარი შუბლი სარეკლამო ადგილად გაეყიდა. ნებრასკის მცხოვრებმა აუქციონზე გამოიტანა ლოტი, რომლის მიხედვითაც ის ყიდდა სარეკლამო ადგილს შუბლზე 30 დღით. ყველაზე მაღალმა მაჩვენებელმა შეადგინა 322 დოლარი, რაც არც ისე ცუდია.

## სენდვიჩი ყველით



ალბათ, იფიქრებთ, რომ ეს სენდვიჩი რამით განსაკუთრებულია, რადგან მისმა ფასმა 28 000 დოლარს მიაღწია, მართალიც იქნებით. სენდვიჩის უნიკალურობა ისაა, რომ, როდესაც მას ტოსტერში აცხობდნენ, წმინდა მარიას სახე გამოისახება.




## ქორწილში დაპატიჟება

ზოგჯერ რთულია ქორწილისთვის კავალერის პოვნა. იგივე პრობლემა გაუჩნდა ლოდნონის ერთ-ერთ მცხოვრებს, მაგრამ eBay-ს საშუალებით ამ ადამიანმა კავალერიც იპოვა და 535 ფუნტი სტერლინგიც გამოიმუშავა. მყიდველის ვინაობა უცნობია.

## ცხოვრება

განქორწინების შემდეგ ავსტრალიელმა ბრიტმა გადაწყვიტა, ცხოვრება თავიდან დაეწყო. ამისთვის მან თავისი ძველი ცხოვრება eBay-ზე გაყიდა. ლოტი მოიცავდა მანქანას, სახლს და მეგობრებთან ნაცნობობასაც კი. საერთო ჯამში ბრიტის ძველ ცხოვრებაზე უფლება იყიდა კინოკომპანია Dysney-მ. ახლა ბრიტის ყოფილი ცოლი ძალიან ნანობს განქორწინებას.



1. გაულაწუნის წამალი
2. რისი ექვივალენტია ბერი?
3. სხვის თვალში დასანახავი
4. ბრინჯის არაყი
5. დეტექტივების მამა
6. გვიშველეთ!
7. მცენარეების რაოდენობა
8. ჯონ კენედის მკვლელი
9. დანაწევრების შორისდებული
10. აპრილი (ძვ.)
11. შეძახილი კორიდაზე
12. გაალე პირი და თქვი...
13. ციციც არის და თავაზიანიც
14. გიტარის ნაწილი
15. თავის მიერ ჩატარებული გამოხრების შედეგი
16. ავადმყოფ. განვითარების უმაღლესი წერტილი
17. გაიმეორე!
18. დათა თუთაშხიას და
19. ხვრელიდან გველის ამომყვანი
20. რა გახდა შეძახილით?
21. უბანი თბილისში
22. გერმანელი დრამატურგი, „ყაჩაღების" ავტორი
23. ინგლისელი მწერალი
24. „... რტოო, დალალულო რტოო"
25. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
26. მაუგლის მეგობარი ავაზა
27. მიმართვა გაუთხოვარი ინგლისელი ქალისადმი
28. კარატისტების ოსტატობის ხარისხი
29. ებრაული იარაღი
30. პატარა სარწყავი არხი
31. ნეკნიდან შობილი
32. ... კაპონე
33. კარგი ამინდი
34. „...უხამოხ ზარი"
35. მარგალიტაზე შეყვარებ. ბრეგვაძე
36. იაპონური თამაში
37. განთიადი, გარიჟრაჟი
38. ვინ იჯდა ვეშაპის მუცელში სამ დღეს?





# ოპერის თეატრი «ბედის ძალის» პრემიერას წარმოადგენს

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი გიწვევთ პრემიერაზე — 31 იანვარს და 2 თებერვალს 19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბედის ძალა". ეს პრემიერა „ბედის ძალის" სრული ვერსიის, პრაქტიკულად, პირველი საჯარო შესრულებაა საქართველოში.**

ოპერის თეატრის გუნდსა და სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს თეატრის მთავარი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩანო.** მთავარ პარტიებს იმღერებენ თეატრის სოლისტები: **ტარიელ ჭიჭინაძე** (მარკიზი კალატრავა), **ირინე რატიანი, მაყვალა ასპანიძე** (ლეონორა), **ნიკოლოზ ლაგვილავა** (დონ კარლო დი ვარგასი), **არმაზ დარაშვილი, ოთარ ჯორჯიკია** (ალვარო), **იამზე გურჩიანი** (კურა), **თეა დემურიშვილი** (პრეციოზილა), **ვახტანგ ჯაშიაშვილი** (ალკადე, ექიმი), **ირაკლი მურჯიკნელი** (ტრაბუკო), **გოჩა დათუსანი-ჯიღაური** (პადრე გუარდიანო), **ვანო გალუაშვილი, ზაალ ხელაია** (ფრა მელიტონე).

ოპერა „ბედის ძალის" ლიბრეტო ეკუთვნის **ფრანჩესკო მარია პიავეს,** ლიბრეტოს საფუძვლად დაედო ესპანელი მწერლის — **დონ ანჯელო დე საავედრას** რომანტიკული დრამა „დონ ალვარო, ანუ ბედის ძალა", აგრეთვე, ადაპტირებული სცენა იოჰან ფრიდრიხ ფონ შილერის დრამიდან „ვალენშტაინის ბანაკი".

**„ბედის ძალა" ვერდის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდს განეკუთვნება, როდესაც მას უკვე ჰქონდა შექმნილი შედევრები: „რიგოლეტო", „ტრუბადური" და „ტრავიატა".**

**ოპერა „ბედის ძალა" შეიქმნა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის „ბოლშოი კამენნი თეატრის" დაკვეთით. მსოფლიო პრემიერა კი ლეონორას როლის შემსრულებლის, სოპრანო ემმა ლაგრუას ავადმყოფობის გამო ერთი სეზონის დაგვიანებით შედგა, 1862 წელს.**

მუსიკალური კრიტიკოსებისგან განსხვავებით, რუსულმა აუდიტორიამ ოპერა დადებითად შეაფასა. კრიტიკოსებმა პრეტენზიები ძირითადად ლიბრეტოს მიმართ გამოთქვეს, რომელიც, მათი აზრით, ფრაგმენტულობის გამო უარყოფითად მოქმედებდა მუსიკის ხარისხზე. ცხადია, გამოითქვა დადებითი შეფასებებიც; ასე მაგალითად, **Journal de St.-Petersbourg** წერდა: **„კომპოზიტორს სურდა, რომ ოპერაში ყველგან იგრძნობოდეს ბედისწერის ძალუმი სუნთქვა... მთავარი მელოდია მოკლე და პირქუშია; იგი ისე ვითარდება, რომ ღელვისგან შეკრთები, თითქოს უსასრულობის გზაზე მოლოდინში მყოფი სიკვდილის ანგელოზის ფრთების ჩრდილი ჩამოწვა თქვენს თვალწინ".**

ვერდიმ რამდენიმეჯერ მოახდინა ოპერის რედაქტირება, რომლის შემდეგაც ოპერა 1863 წელს შესრულდა რომსა (როგორც „დონ ალვარო") და მადრიდში (სადაც ესწრებოდა პიესის ავტორი). ამის შემდეგ ოპერა დაიდგა ნიუ იორკსა და ვენაში (1865 წ.), ბუენოს-აირესსა (1866 წ.) და ლონდონში (1867 წ.).

1869 წლის 27 თებერვალს „ბედის ძალა" განახლებული რედაქციით მილანშიც დაიდგა. პიავეს მძიმე ავადმყოფობის გამო, ოპერის მეორე რედაქციის ლიბრეტოს ავტორობა ითავა ანტონიო გისლანცონიმ (შემდგომში „აიდას" ლიბრეტოს ავტორი). ახალ ვერსიაში კომპოზიტორმა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შეიტანა; განახლებული ვარიანტისთვის კომპოზიტორმა დაწერა უვერტიურა, რომელმაც მოკლე პრელუდია შეცვალა; ეს უვერტიურა, შესაძლოა, საუკეთესოა ვერდის უვერტიურებს შორის. მასში გამოყენებულია ოპერის რამდენიმე არიის ფრაგმენტი, მასში ჟღერს მოკლე მრისხანე მელოდიაც, რომელსაც „ბედისწერის" მოტივს უწოდებენ. **„ბედის ძალის" უვერტიურა დამოუკიდებლადაც სრულდება და სიმფონიურ რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია.**

მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო ოპერის ფინალს: პეტერბურგში ოპერა მთავრდებოდა ალვაროს თვითმკვლელობით. ახალ ვარიანტში კი ალვარო ცოცხალი რჩება, გუარდიანოს მოწოდებით ნებდება თავისი ბედისწერის ძალას. ოპერის ბოლო რედაქციაში კომპოზიტორმა რიგი სხვა ცვლილებებიც შეიტანა. მილანის დადგმამ აუდიტორიას კიდევ ერთხელ დაანახა არა მხოლოდ ვერდის მუსიკალური გენია, არამედ კომპოზიტორის, როგორც დიდი საოპერო დრამატურგის, ელვარე ნიჭიც.

**მოისმინეთ „ბედის ძალა" და ისიამოვნეთ.**



## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## სკანვორდის პასუხი:

1. ნარგიზა; 2. ერის; 3. დირე; 4. საკე; 5. პო; 6. სოს; 7. ათი; 8. ოსვალდი; 9. ეხ; 10. იგრიკა; 11. ოლე; 12. აა; 13. უარი; 14. დეკა; 15. კატა; 16. აკმე; 17. ბის; 18. ელე; 19. ენა; 20. ხე; 21. ვაკე; 22. შილერი; 23. ვო; 24. ატმის; 25. აბო; 26. ბაგირა; 27. მის; 28. დანი; 29. უზი; 30. რუ; 31. ევა; 32. ალ; 33. დარი; 34. ვის; 35. ერთაოზი; 36. გო; 37. ალიონი; 38. იონა. **ფოტოებზე:** ლევან გოთუა; დალის მეხსიერების მუდმივობა; ლივ ტაილერი.

საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894